

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელობის უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

პავლე ჭანტურიშვილი

ქრისტიანების სტატუსი ადრეულ ისლამში  
(არაბული დაცვის სიგელები)

ისტორიის დოქტორის (Ph.D. in History) აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ნანი გელოვანი  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
გიორგი ლობჯანიძე  
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2022

## აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევას ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელშიც სხვადასხვა სახის არაბული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე, განხილული და გაანალიზებულია ქრისტიანების სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და უფლებრივი მდგომარეობა ადრეისლამურ პერიოდში როგორც საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პოლიტიკის ჭრილში, ასევე ლოკალურ დონეზე. ნაშრომში განხილულია არაბული დაცვის სიგელები, მათი ავთენტურობის საკითხი და გამოვლენილია ძირითადი თავისებურებები ქრისტიანების სტატუსთან მიმართებაში.

სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს მუჰამადისა და მართლმორწმუნე ხალიფების პერიოდში არამუსლიმებთან გაფორმებული 36 არაბულ ენაზე შედგენილი ზავისა და შეუვალობის სიგელის და წერილის თარგმნა და კომენტირება. მათი ნაწილი შედარებით ნაკლებად არის ცნობილი და პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში.

ეს სიგელები წარმოადგენენ პირველ დოკუმენტებს, რომელთა მეშვეობითაც ფიქსირდებოდა ქრისტიანთა მორჩილება ახლადჩამოყალიბებული მუსლიმური სამხედრო-პოლიტიკური ადმინისტრაციისადმი და განისაზღვრებოდა ორივე მხარის უფლებები და მოვალეობები. ომისა და მშვიდობის დროს მუსლიმთა მიერ ქრისტიანული აღმსარებლობის მოსახლეობასთან ურთიერთობის დარეგულირების პრაქტიკა და ისტორიულ-სამართლებრივი რეალიები მნიშვნელოვანია დღესაც, როდესაც კვლავ აქტუალურია აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთმიმართებისა და მუსლიმურ-ქრისტიანული დიალოგის პრობლემა.

დისერტაციის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია ნაშრომში განხილული პოლიტიკური თუ სოციალ-ეკონომიკური საკითხები, რომლებზეც ძირითად ტექსტშია მსჯელობა.

## **Abstract**

The dissertation is the first monographic study in Georgian historiography, which, based on various Arabic sources and scientific literature, discusses and analyzes the socio-economic, cultural, and legal status of Christians in the early Islamic period. It does so both, through the prism of international relations and regional politics, as well from the local perspective. The paper discusses the Arab protection treaties, the issue of their authenticity, and reveals the main features in relations to the status of Christians.

The scientific novelty of the dissertation is the translation and commentary of the thirty-six treaties of peace and security written in Arabic language and negotiated with non-Muslims during the period of Muhammad and the Rashidun Caliphate. Some of them are relatively unknown and we are bringing them into the scientific circulation for the first time. These treaties were the first documents of the sort, through which the submission of Christians to the newly formed Muslim political-military administration were established, and the rights and responsibilities of both parties were defined. The Muslims' practice to regulate relations with the population professing Christianity, during the times of war and peace, and its historical-legal realities are important to this day, particularly so when the problem of East-West relations and the Muslim-Christian dialogue is resurfacing yet again.

The concluding part of the dissertation summarizes the political and socio-economic issues discussed in the main body of the paper.

# სარჩევი

<b>შესავალი</b> .....	<b>4</b>
<b>I თავი. ადრეული ისლამი და ქრისტიანები</b> .....	<b>30</b>
1.1 ქრისტიანობა და ქრისტიანები არაბეთის ნახევარკუნძულზე ისლამის წარმოშობის წინარე ხანაში .....	30
1.2 მუჰამადის დამოკიდებულება ქრისტიანებთან.....	50
<b>II თავი. მუჰამადის ხელშეკრულებები ქრისტიანებთან</b> .....	<b>57</b>
2.1. სამშვიდობო ხელშეკრულების რელიგიურ-სამართლებრივი ასპექტები ადრეულ ისლამში.....	57
2.2. მუჰამადი, სინას მონასტერი და დაცვის სიგელი .....	68
2.3. მოციქულ მუჰამადის წერილები მეზობელი ქვეყნების მმართველებთან.....	78
2.4. დუმათ ალ-ჯანდალის ზავისა და შეუვალობის სიგელი.....	98
2.5. ელათის დაცვის სიგელი .....	103
2.6. ნაჯრანის დაცვის სიგელი.....	108
<b>თავი III. ქრისტიანების სტატუსი არაბთა სახალიფოში/არაბული დაცვის სიგელები</b> ....	<b>124</b>
3.1. ისლამის ექსპანსია და ჯიჰადის დოქტრინა.....	124
3.2. ქრისტიანების როლი არაბთა დაპყრობით ომებში .....	133
3.3. ეგვიპტის ზავისა და შეუვალობის სიგელი .....	145
3.4. სირია-პალესტინის დამორჩილება ზავისა და შეუვალობის (დაცვის) სიგელებით .....	150
3.5. იერუსალიმის (ილიას) დაცვის სიგელი.....	154
3.6. ირანის მაზდეანური და ქრისტიანული თემების დამორჩილება დაცვის სიგელებით ....	161
3.7. ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელი თბილისთან.....	174
<b>დასკვნა</b> .....	<b>186</b>
<b>ბიბლიოგრაფია</b> .....	<b>197</b>

## შესავალი

III საუკუნის შუა წლებიდან ვითარებას ახლო აღმოსავლეთის რეგიონში განსაზღვრავდა კონფლიქტი ერთი მხრივ, რომის იმპერიას, მოგვიანებით მის მემკვიდრე ბიზანტიასა და მეორე მხრივ, სასანიანთა ირანს შორის. არაბეთის ნახევარკუნძულზე არ არსებობდა ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო, ხოლო იქ არსებული რეგიონები და მათი მმართველები ჩართულები იყვნენ ზემოჩამოთვლილი უძლიერესი იმპერიების გეოპოლიტიკურ დაპირისპირებებში დამხმარე სამხედრო ძალის სახით. ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია, რაც მათ საერთაშორისო ასპარეზზე გააჩნდათ - ეს იყო ვაჭრობა. ისლამამდელი პერიოდის არაბები სხვადასხვა რეგიონიდან ნელსახცებლებით, ტყავითა და თაფლით ამარაგებდნენ იმდროინდელი მსოფლიოს ცივილიზაციის კერებს, პირველყოვლისა ბიზანტიასა და ირანს. ასე რომ, VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე არაბეთის ნახევარკუნძულის ბედ-იღბალს მეტწილად რეგიონალური სამხედრო და პოლიტიკურ-ეკონომიკური კონიუნქტურა განსაზღვრავდა. ქრისტიანობა გავრცელდა ბიზანტიის იმპერიის პროვინციებში - ეგვიპტეში, სირია-პალესტინასა და ეთიოპიაში.

IV საუკუნეში ეთიოპიის (აბისინიის) ქრისტიანული სამეფოს გაძლიერებას შედეგად მოჰყვა ქრისტიანობის გავრცელება სამხრეთ არაბეთში, სახელდობრ ნაჯრანში, სადაც გადიოდა სავაჭრო გზა ჩრდილოეთიდან (ჰიჯაზიდან) და აღმოსავლეთიდან (იამამადან). რელიგიურ ვითარებას ართულებდა ისიც, რომ უკვე II-III საუკუნეებში სამხრეთ არაბეთში გავრცელდა იუდაიზმი, რომელიც აქ ებრაელმა ვაჭრებმა შემოიტანეს. VI საუკუნის დამდეგს სამხრეთ არაბეთში არსებულმა ჰიმარის სამეფოს მმართველმა ელიტამ იუდაიზმი მიიღო, რაც ქრისტიანულ ეთიოპიასთან საბოლოო გამიჯვნას ნიშნავდა. 525 წელს, ბიზანტიის წაქეზებითა და მხარდაჭერით, ეთიოპელებმა დაიკავეს სამხრეთ არაბეთი, რომელიც 570 ან 575 წელს ირანმა დაიპყრო და თავისი კონტროლი დაამყარა სატრანზიტო ვაჭრობაზე, რამაც გამოიწვია არაბებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შესუსტება. შესაბამისად, არაბეთის ნახევარკუნძულზე კიდევ უფრო გაძლიერდა სასანიანთა ირანისა და ბიზანტიის პოლიტიკური გავლენა. ქრისტიანობისა და იუდაიზმის გავლენით კი გამოჩნდნენ ერთდმერთიანობის მქადაგებლები - ჰანიფები,

რომლებიც უარყოფდნენ ტომობრივი კერპების თაყვანისცემას. ითვლება, რომ სწორედ ჰანიფების მოძრაობამ სათავე დაუდო მუჰამადის მისიონერულ მოღვაწეობას.

VII საუკუნისათვის, ისლამის წარმოშობის წინარე ხანაში, არაბეთის ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე ფართოდ იყო გავრცელებული კერპთაყვანისმცემლობა და პრიმიტიული რელიგიური წარმოდგენები. თუმცა, საკმაოდ მყარი პოზიციები ჰქონდათ იუდეველთა, ქრისტიანთა და საბაელთა რელიგიურ თემებს, რომლებიც ყურანში მოხსენიებული არიან ტერმინით - *აჰლ ალ-ქითაბ* („სადვთო წერილის მქონე ხალხი“). ყურანში ტერმინით *მაჯუს* [12:17] მოიხსენიებიან ზოროასტრიზმის (იგივე მაზდეანთა) მიმდევრები, რომელთაც შუალედური მდგომარეობა უკავიათ *აჰლ ალ-ქითაბ*-სა და ურწმუნოებს (*მუმრიქუნ*) შორის.

ისლამის წარმოშობისა და არაბთა დაპყრობითი ომების შედეგად მუსლიმთა ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა დიდი რაოდენობით ქრისტიანი, რომლებიც ცხოვრობდნენ ბიზანტიის ყოფილ პროვინციებსა და სასანიანთა ირანის ტერიტორიაზე. მუჰამადი და შემდეგ არაბი ხალიფები ქრისტიანული ქალაქების მოსახლეობასთან აფორმებდნენ ხელშეკრულებებს ზავის, კაპიტულაციის ან შეუვალობის შესახებ (დაცვის სიგელები) რომლებშიც განსაზღვრული იყო ქრისტიანთა უფლებრივი მდგომარეობა. ამ ხელშეკრულებების უმეტესობა არ იყო შეტანილი კლასიკურ ისლამურ წყაროებში, როგორცაა ყურანი, ჰადისების კრებულები, ბიოგრაფიული ლიტერატურა, ნაშრომები ისლამის ისტორიისა და ისლამური სამართლის შესახებ. სადავოა აგრეთვე ქრონოლოგიური შეუსაბამობები და განსხვავებული ვერსიების არსებობა, რომლებიც არ შეიცავს, მაგალითად, ხარკის გადახდის პირობას. ამის გამო მათი ავთენტურობა ეჭვქვეშ დააყენეს როგორც მუსლიმმა, ისე დასავლელმა მეცნიერებმა. თუმცა, უდავოა ამ ხელშეკრულებების თეოლოგიური და პოლიტიკური მნიშვნელობა როგორც მუსლიმურ-ქრისტიანული ურთიერთობების თვალსაზრისით, ისე ისლამის მიმდევრებისა და მათ მიერ დაპყრობილი ხალხების ურთიერთობის ისტორიის შესასწავლად. მიუხედავად ამისა, დღემდე არც დასავლურ და არც ქართულ ისტორიოგრაფიაში არ არსებობს ნაშრომი, რომელშიც კომპლექსურად იქნებოდა განხილული და გაანალიზებული არა მხოლოდ მუჰამადის, არამედ არაბთა დაპყრობების პერიოდში დადებული ხელშეკრულებები ქრისტიანებთან.

**სადისერტაციო ნაშრომის მიზანია** სხვადასხვა სახის არაბული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე მუჰამადისა და მართლმორწმუნე ხალიფების პერიოდში არამუსლიმებთან გაფორმებული 36 ზავისა და შეუვალობის სიგელისა და წერილის განხილვა-გაანალიზება და ქრისტიანების სტატუსის განსაზღვრა ადრეულ ისლამში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო გვერდებინა: ა) მოციქულ მუჰამადის ტოლერანტულ-პლურალისტული ინტენციები და მისი დამოკიდებულება ქრისტიანებთან; ბ) საზავო ხელშეკრულებები ქრისტიანებთან, როგორც პოლიტიკური დამორჩილების და სამხედრო კონფლიქტების დარეგულირების დიპლომატიური პრაქტიკა; გ) ალ-ჰუნდას (განუსაზღვრელი დროით), 'აჰდ აზ-ზიმმა-ს (განსაზღვრული დროით) და 'აკდ ალ-ამან-ის ტიპის ხელშეკრულებების თავისებურებები მუჰამადისა და ადრეისლამური სახელმწიფოს პრაქტიკაში; ბ) მუსლიმ-ქრისტიანთა ურთიერთობების ძირითადი ფორმები და ქრისტიანების სამართლებლივი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა პირველი მართლმორწმუნე ხალიფების დროს; ქრისტიანთა სტატუსის ევოლუცია ადრეულ ისლამში.

ნაჯრანის, დუმათ ალ-ჯანდალის, ეილათის, ბაჰრეინისა და ჰიმირიელ მმართველებთან დადებული ხელშეკრულებების მაგალითზე ნაშრომში გაანალიზებულია არა მხოლოდ მუჰამადის სამხედრო პოლიტიკა და დიპლომატია, არამედ მედინის ქალაქ-სახელმწიფოს როლი რეგიონალურ პოლიტიკაში.

**ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები** მოიცავს ადრეული ისლამის პერიოდს (610-661). მართალია, მუჰამადმა და პირველმა მართლმორწმუნე ხალიფებმა ბევრი სიახლე შეიტანეს არაბეთის ნახევარკუნძულის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, მაგრამ საკითხის სიღრმისეული კვლევა წარმოუდგენელია ისტორიული წიაღსვლების გარეშე მთელ რიგ საკვანძო რელიგიურ-იდეოლოგიურ საკითხებთან მიმართებაში. ამდენად, ნაშრომში იძებნება პარალელები წინაისლამურ პერიოდთან და ცალკეულ შემთხვევებში უფრო გვიანდელ პერიოდთან. ზემოაღნიშნულ ქრონოლოგიურ პერიოდს აქვს ის თავისებურება, რომ მმართველები იყვნენ ხალხის მიერ არჩეული და 661 წლიდან კი დაიწყო ტახტის მემკვიდრეობითობა მმართველი დინასტიის ჩამოყალიბებით.

**ნაშრომის მეთოდოლოგიური ბაზა.** სადისერტაციო ნაშრომის მეთოდოლოგია ეფუძნება ისტორიული მეცნიერების პრინციპებსა და მეთოდებს. ისტორიზმი და ობიექტივიზმი საშუალებას გვაძლევს კომპლექსურად გავაანალიზოთ ნაშრომში დასმული ძირითადი საკითხები. სტატისტიკური, ისტორიულ-შედარებითი, ისტორიულ-გენეტიკური, ქრონოლოგიური მეთოდების საფუძველზე მოხდა საზავო ხელშეკრულებებისა და შესაბამისი ისტორიული მასალის ანალიზი. ეს მეთოდები საშუალებას იძლევა სხვადასხვა ტიპის (ნარატიული, დოკუმენტური და სხვ.) წყაროების საფუძველზე ანალიტიკურად და დინამიკაში განვიხილოთ საკვლევი საკითხები. ისტორიულ-ტიპოლოგიური მეთოდი დაგვეხმარა გამოგვევლინა დაცვის სივლეების ძირითადი თავისებურებები ქრისტიანების სტატუსთან მიმართებაში.

**ნაშრომის სტრუქტურა.** დისერტაცია შედგება შესავლის, 3 თავის (რომელშიც სულ 14 ქვეთავია), დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან.

შესავალ ნაწილში განხილულია ნაშრომის სიახლე, კვლევის მიზნები და ამოცანები; ნაშრომის მეთოდოლოგია, ქრონოლოგიური ჩარჩოები; გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა.

დისერტაციის პირველი თავი - „ადრეული ისლამი და ქრისტიანები“ შედგება ორი ქვეთავისგან: 1.1. „*ქრისტიანობა და ქრისტიანები არაბეთის ნახევარკუნძულზე ისლამის წარმოშობის წინარე ხანაში*“, სადაც განხილულია ისლამამდელ ეპოქაში არაბეთის ნახევარკუნძულის მოსახლეობის რელიგიები (წარმართობა, იუდაიზმი, ქრისტიანობა, ადგილობრივი მონოთეიზმის ფორმები). ბუნებრივია, მთავარი აქცენტები კეთდება ქრისტიანების ისტორიაზე, მათ როლზე წარმართებით დასახლებულ რეგიონში და ქრისტიანების აღმნიშვნელ ტერმინებზე ყურანში. აგრეთვე გაანალიზებულია ქრისტიანების სოციალურ-კულტურული ასპექტები და მათი გავლენა ნახევარკუნძულის არაბებზე; ისლამის ფუძემდებლის პოტენციური კონტაქტები ქრისტიანებთან სამოციქულო მოღვაწეობის დაწყებამდე და მის დროს. 1.2. „*მუჰამადის დამოკიდებულება ქრისტიანებთან*“ - განხილულია მუსლიმების პირველი და მეორე ჰიჯრა ეთიოპიაში; ბიზანტიის ჩართულობა და მუსლიმებისთვის დახმარების აღმოჩენის მიზეზები და გარემოებები წარმართებთან ბრძოლაში.

მეორე თავი - „მუჰამადის ხელშეკრულებები ქრისტიანებთან“ რამდენიმე ქვეთავისგან შედგება: 2.1. „*სამშვიდობო ხელშეკრულების რელიგიურ-*



*სამართლებლივი ასპექტები ადრეულ ისლამში*“ განხილულია რეგიონში დაცვის სიგელების (ზავისა და შეუვალობის სიგელების) გაფორმების ტრადიცია, ალაჰის მოციქულის დაბადებამდე არაბეთის ნახევარკუნძულზე სხვადასხვა ტიპის სიგელების /ხელშეკრულებების („ჰილფი“ „აკდი“ „ილაფი“ და სხვა) გაფორმების მიზეზები და ტრადიციები. 2.2. *„მუჰამადი, სინას მონასტერი და დაცვის სიგელში*“ განხილულია მუჰამადის სახელით შედგენილი საკმადო გრძელი სიგელი („ალთქმა“) სინას მონასტრის ბერებთან და ასევე მკვლევართა შორის საკამათო სხვა წერილები; სინას მონასტრის ბერებთან დადებული „ალთქმის“ მაგალითზე დასაბუთებულია თითოეული მათგანის ნაყალბეობა. 2.3. *„მოციქულ მუჰამადის წერილები მეზობელი ქვეყნების მმართველებისადმი*“ - სათითაოდაა თარგმნილი და შესწავლილი ისლამის ფუძემდებლის დიპლომატიური წერილები და დაცვის სიგელები, რომელსაც იგი ქრისტიანებს უგზავნიდა და უფორმებდა. გამოთქმულია მოსაზრება ამ წერილების ავთენტურობასა და მათი შედგენის მიზეზებთან დაკავშირებით. 2.4. *„დუმათ ალ-ჯანდალის ზავისა და შეუვალობის (დაცვის) სიგელი*“ - განხილულია ამ რეგიონის ისტორია, გაანალიზებულია საუდის არაბეთის ჩრდილოეთში მდებარე და გეოსტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან რეგიონთან და მის ქრისტიან მმართველთან დიპლომატიური ურთიერთობები და გაფორმებული დაცვის სიგელი, რომელიც პირველად შემოგვაქვს განსახილველად ქართულ ისტორიოგრაფიაში. 2.5. *„ეილათის დაცვის სიგელი*“ - ამ ქვეთავში გაანალიზებულია ეილათის ისტორია, მისი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა და დადებული დაცვის სიგელი, რომელიც მუჰამადმა ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფ ამ ქალაქთან გააფორმა და რომელიც აგრეთვე შედარებით ნაკლებად არის ცნობილი. 2.6. *„ნაჯრანის დაცვის სიგელი*“ - ამ ქვეთავში შესწავლილია ქალაქ ნაჯრანის ისტორია და მისი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება მუჰამადის დროს; განხილულია ე.წ. „ელჩობის წლებში“ ქალაქ ნაჯრანიდან მუჰამადთან ჩასულ ქრისტიანულ დელეგაციასთან ურთიერთობები, მუჰამადსა და ნაჯრანელებს შორის თეოლოგიურ საკითხებზე გაბაასება და გაპაექრება, რომელიც ყურანის აიებში აისახა და დადებული დაცვის სიგელი, როგორც კონსესუსი და კომპრომისი ამ ორ მხარეს შორის. ქვეთავის ბოლოს კი გაანალიზებულია ნაჯრანის, ეილათისა და დუმათ ალ-ჯანდალის დაცვის

სიგელების გაფორმების მიზნები, გარემოებები და შედეგები რეგიონის სამხედრო-პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით.

მესამე თავის სახელწოდებაა „ქრისტიანების სტატუსი არაბთა სახალიფოში/ არაბული დაცვის სიგელები“. ის შედგება: 3.1 „*ისლამის ექსპანსია და ჯიჰადის დოქტრინა*“, სადაც შესწავლილია ჯიჰადის ეტიმოლოგიური წარმომავლობა და პოლიტიკურ-იდეოლოგიური მნიშვნელობა, მისი ადგილი ყურანში და როლი არაბთა დაპყრობითი ომების წარმოებასა და წარმატებაში. 3.2. „*ქრისტიანების როლი არაბთა დაპყრობით ომებში*“ - განხილულია ქრისტიანების მონაწილეობის საკითხები არაბთა სამხედრო ბრძოლებში; სამოქალაქო პირების მიერ მუსლიმთათვის დახმარების აღმოჩენის გარემოებები, მიზეზები და მოტივები. 3.3. „*ეგვიპტის დაცვის სიგელში*“ შესწავლილია მუსლიმების მიერ ეგვიპტის დამორჩილება; გარჩეულია ეგვიპტის ზავისა და შეუვალობის სიგელით თუ ძალით დამორჩილების პერსპექტივები; დეტალურად არის გაანალიზებული სიგელის პირობები და მისი სპეციფიკურობა. 3.4. „*სირია-პალესტინის დამორჩილება ზავისა და შეუვალობის (დაცვის) სიგელებით*“ - არაბულიდან ქართულ ენაზე თარგმნილია რაკას, დამასკოს, ბაალბექის, რაკას, ლუდასა და პალესტინის დაცვის სიგელები. 3.5. „*იერუსალიმის (ილიას) დაცვის სიგელი*“ - ცნობილი არაბი ისტორიკოსის ატ-ტაბარის ნაშრომიდან ჩვენს მიერ ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანის მიხედვით დეტალურად ვარჩევთ სტრატეგიული და იდეოლოგიური თვალსაზრისით ამ უმნიშვნელოვანეს ქალაქთან გაფორმებულ დაცვის სიგელს. 3.6. „*ირანის მაზდეანური და ქრისტიანული თემების დამორჩილება დაცვის სიგელებით*“ - არაბულიდან ქართულ ენაზე თარგმნილია დეჰესთანის, ალ-ჰირას, მაჰ-დინარის, ისფაჰანის, გურგანის, ტაბარისთანისა და გილგილანის, (ხორასნის), ირანის აზერბაიჯანის, მერვ-ე რუდის, მოკანის და კუმისის დაცვის სიგელები. ასევე თარგმნილია ნუბიის ნეიტრალიტეტის შესახებ დიპლომატიური ხელშეკრულება (ჰუდნა). 3.6. „*ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელი თბილისთან*“ - განხილულია არაბთა ქართლში შემოსვლამდე განვითარებული ისტორიული მოვლენები: ბიზანტიის, სახალიფოსა და ხაზართა გეოპოლიტიკური და სამხედრო დაპირისპირებები სამხრეთ კავკასიაზე კონტროლის დასამყარებლად და ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ ქართლის პატრიკიოსთან გაფორმებული დაცვის სიგელი, რომელიც თითოეული არაბი ჟამთააღმწერლის მიერ შემონახული სიგელების

გაერთიანებული ვარიანტის სახით გვაქვს მოტანილი; მოყვანილია ქართველი ისტორიკოსების მოსაზრებები ამ დაცვის სიგელის გაფორმების თარიღთან დაკავშირებით და გამახვილებულია ყურადღება ტერმინ „არდ ალ-ჰარმან“-ზე („ჰარმანთა“ / „ჰირმანთა“ მიწაზე).

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე.** სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევას ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელშიც სხვადასხვა ტიპის არაბული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემების შეჯერების საფუძველზე განხილული და გაანალიზებულია ქრისტიანების სტატუსი ადრეულ ისლამში. ნაშრომში თარგმნილი, კომენტირებული და გაანალიზებულია მუჰამადის დიპლომატიური წერილები სხვადასხვა ქვეყნის მმართველებთან და მუჰამადისა და მართლმორწმუნე ხალიფების პერიოდში ქრისტიანებთან გაფორმებული ზავისა და შეუვალობის სიგელები.

სახელდობრ: ა) ატ-ტაბარის „მეფეთა და მოციქულთა ისტორიიდან“ ითარგმნა მუჰამადის წერილი ეთიოპიის მეფესთან და მისი საპასუხო წერილი მუჰამადისადმი; იბნ სა‘დის „ტაბაკათების ვრცელი წიგნიდან“ ვთარგმნეთ ეგვიპტის ნაცვალთან მუკავკისთან (ჯურაიჯ იბნ მინა) გაგზავნილი წერილი და ასევე საპასუხო წერილი, ხოლო იბნ ქასირის „მოციქულ მუჰამადის ცხოვრებიდან“ - ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლესთან გაგზავნილი ორი წერილის ტექსტი. რაც შეეხება ირანის შაჰინშაჰთან გაგზავნილ დიპლომატიურ წერილებს, ჩვენ ერთი მათგანი ატ-ტაბარის „მეფეთა და მოციქულთა ისტორიიდან“ ვთარგმნეთ, ხოლო მეორე - ატ-ტაბარის ამავე ნაშრომის ბალ‘ამის რედაქციით შესრულებული „თარიხნამადან“ დავიმოწმეთ, რომელიც, თავის მხრივ, ა.ი. კოლესნიკოვმა რუსულ ენაზე თარგმნა და გაანალიზა.

ატ-ტაბარის ნაშრომიდან - „მოციქულთა და მეფეთა ისტორია“ - მოვიყვანეთ ბაჰრეინის ზოროასტრულ მმართველ - მუნზირ იბნ სავასთან გაგზავნილი წერილის თარგმანი ქართულ ენაზე, ხოლო ომანის მმართველ მმებთან გაგზავნილი წერილების თარგმანი - მუჰამად სიდიკ კურეშის ნაშრომიდან - „მუჰამადის საგარეო პოლიტიკა“ შევასრულეთ.

ჰიმარის დიდებულებთან გაფორმებული ზავისა და შეუვალობის სიგელი - იბნ სა‘დის „ტაბაკათების ვრცელი წიგნიდან“ დავიმოწმეთ და ვთარგმნეთ, თუმცა ეს უკანასკნელი აგრეთვე მოყვანილი აქვს ატ-ტაბარის თავის ცნობილ ნაშრომში

„მოციქულთა და მეფეთა ისტორია“. იბნ სა'დის „ტაბაკათების ვრცელი წიგნიდან“ ვთარგმნეთ მუჰამადის წერილი ქალაქ ამანის მმართველ ფარვა იბნ 'ამრ ალ-ჯუზამისთან, რომელიც შედარებით ნაკლებად არის ცნობილი და პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში.

თანამედროვე ისრაელის ქალაქ ეილათის ქრისტიან დიდებულებთან გაგზავნილი წერილი და ამ ქალაქის ქრისტიან მმართველ იოანე იბნ რუ'ბასთან გაფორმებული დაცვის სიგელის თარგმანი იბნ სა'დის ისტორიული ნაშრომიდან გვაქვს შესრულებული, ხოლო ნაჯრანის ქრისტიან მმართველებთან გაფორმებული ზავისა და შეუვალობის სიგელის ნახვა შესაძლებელი იყო როგორც ბალაზურის ნაშრომში „წიგნი ქვეყნების დაპყრობის შესახებ“, ასევე იბნ სა'დთან.

დისერტაციაში არაბულიდან ქართულ ენაზე პირველად ითარგმნა არაბთა დაპყრობითი ომების დროს გაფორმებული ეგვიპტის ზავისა და შეუვალობის უმნიშვნელოვანესი სიგელი, რომელიც ატ-ტაბარის აქვს გადმოცემული. ამავე წყაროდან ვთარგმნეთ ლუდასა და პალესტინის, ჰირას, გურგანის, ისფაჰანის, მოკანის, ირანის აზერბაიჯანის, მაჰ-დინარის, ტაბარისთანის და გილგილანის (ხორასნის), მერვე-რუდის და კუმისის ზავისა და შეუვალობის სიგელები.

რაც შეეხება რაჰას, დამასკოს, ბაალბექის, რაკას და დეჰესთანის შეუვალობის სიგელებსა და ნუბიის ზავს (هنة ჰუნდას), მათი ნახვა სხვადასხვა ისტორიკოსის, კერძოდ ალ-მაკრიზის, კუდამა იბნ ჯა'ფარის, აბუ 'უბაიდის, იბნ ზანჯუვაიჰის და იბნ ასაქირის ნაშრომებშია შესაძლებელი. ამ ისტორიკოსების ნაშრომებში დაფიქსირებულ დაცვის სიგელებს ამერიკაში მოღვაწე ლიზანელმა არაბისტმა და ისლამმცოდნემ ვადად ალ-კადიმ ერთ ნაშრომში მოუყარა თავი, რომელსაც ეწოდება „შესავალი დაპყრობითი პერიოდის ისლამური სამშვიდობო ხელშეკრულებების შესწავლაში“<sup>1</sup>, ასე რომ, დისერტაციაშიც ზემოჩამოთვლილი ზავისა და შეუვალობის სიგელები ვადად ალ-კადის ავტორობითა და ნაშრომის სათაურით გვაქვს დამოწმებული.

ამასთან ერთად, ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში განსახილველად პირველად შემოგვაქვს შედარებით ნაკლებად ცნობილი დუმათ ალ-ჯანდალის ზავისა და შეუვალობის სიგელი, რომელიც ალაჰის მოციქულმა ამ რეგიონის ქრისტიან მმართველ 'უქაიდირს გაუფორმა.

وداد القاضي. مدخل الى دراسة عهود الصلح الاسلامية زمن الفتوح. جامعة الاردنية, جامعة اليرموك. بلاد الشام في صدر الاسلام, 1987. <sup>1</sup>

ზემოთქმულიდან გამომდინარე, წინამდებარე დისერტაცია არის ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველი მოკრძალებული მცდელობა განისაზღვროს ქრისტიანების სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და უფლებრივი მდგომარეობა ადრეისლამურ პერიოდში როგორც საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პოლიტიკის ჭრილში, ასევე ლოკალურ დონეზე.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში კი განზოგადოებულია ჩატარებული კვლევის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგები.

## წყაროები

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული წყაროები შეიძლება დავყოთ რამდენიმე კატეგორიად:

### ა) ბიოგრაფიული ლიტერატურა:

იბნ ისჰაკი (მუჰამმად იბნ ისჰაკ იბნ ასარ იბნ ხიფარ - 704-767) იყო სირას (მუჰამადისა და მისი მიმდევრების ბიოგრაფია) პირველი არაბი ავტორი, რომელმაც შეადგინა ისლამის ისტორიის ადრეული პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი - *სირათ რასულ ალლაჰ* „ალაჰის მოციქულის ბიოგრაფია“, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია იბნ ჰიშამის (აბუ მუჰამმად ‘აბდ ალ-მალიქ იბნ ჰიშამ, გარდ. 218/833წ.) მიერ გადამუშავებული რედაქციის სახით. <sup>1</sup>

იბნ ისჰაკის/იბნ ჰიშამის ნაშრომში დეტალურად არის მოტანილი ინფორმაცია მუჰამადის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე რეგიონში მცხოვრებ ქრისტიანებთან ურთიერთობების შესახებ. ცნობები ქრისტიანების შესახებ შეიძლება დავაჯგუფოთ სამ ნაწილად: ეპიზოდები, რომლებიც დაკავშირებულია მუჰამადის სამოციქულო მისიის წინასწარმეტყველებასთან; მოთხრობები „რწმენის გამოცდის“ შესახებ და მტრული ქმედებების მცდელობები მუჰამადსა და ისლამთან მიმართებაში. ქრისტიანთა შეფასებისას იბნ ჰიშამისათვის მთავარი კრიტერიუმია მათი დამოკიდებულება მუჰამადის სამოციქულო მისიისა და ისლამის მოძღვრებისადმი.

---

<sup>1</sup> Ибн Хишам. *Жизнеописание Пророка Мухаммада. Рассказанное со слов аль-Баккаи, со слов Ибн Исхака аль-Мутталиба (первая половина VIII века)*. Перевод с арабского Н.А. Гайнуллина. Москва: Умма, 2007.

იბნ ჰიშამი ცდილობს იდეოლოგიურად დააპირისპიროს ქრისტიანობა და ისლამი და ეს უკანასკნელი უფრო აღმატებულ რელიგიად წარმოაჩინოს.

იბნ ისჰაკის ნაშრომის მეშვეობით ნათელი ხდება, თუ როგორ ურთიერთქმედებდა ისლამის ფუძემდებელი ქრისტიანებთან და რა პირობებით სთავაზობდა მათ მედინის ქალაქ-სახელმწიფოს სამხედრო, სოციალურ-კულტურულ და ეკონომიკურ ერთიან სისტემაში თანაარსებობას. დელეგაციების პერიოდში ეახლა მუჰამადს ქრისტიანობის ერთ-ერთი უძველესი ქალაქ ნაჯრანის 16-კაციანი დელეგაციაც. მათთან მუჰამადის გაბაასება მიჩნეულია პოლიტიკური თეოლოგიის უძვირფასეს მაგალითად.

მუჰამადს ამ პერიოდში უამრავი დელეგაცია ეახლა, მაგრამ, ფაქტი, რომ ნაჯრანელებთან დიალოგს (და შემდგომ გაფორმებულ დაცვის სიგელს) განსაკუთრებულად ღირებული მნიშვნელობა ჰქონდა მუსლიმური თემისათვის (უმმა), ის ფაქტიც ამყარებს, რომ მათთან დიალოგი ყურანის აიებშიც აღიბეჭდა. ეს კი ნიშნავს, რომ ნაჯრანელების მუჰამადთან დიალოგი, ისლამური თვალსაზრისით, ღვთაებრივი გამოცხადებების ზემთაგონებით წარიმართა.

იბნ ისჰაკი/იბნ ჰიშამი გვაწვდის ინფორმაციას ზავისა და შეუვალობის სიგელების შესახებაც, მთ შორის ალაჰის მოციქულის ეილათის ეპისკოპოს იოანე იბნ რუ'ბასთან გაფორმებულ „დაცვის სიგელზე“, რომელიც მუჰამადის მიერ ქრისტიანებთან გაფორმებული ერთ-ერთი პირველი სიგელი იყო და ის გარკვეულ მოდელად იქცა მუსლიმთათვის არაბთა დაპყრობითი ომების დროს.

საერთო ჯამში, წყაროში კარგად ჩანს ავტორის სურვილი ობიექტურად იქნეს აღწერილი მუჰამადის ცხოვრება, ისლამის ფუძემდებლის ურთიერთობები ქრისტიანებთან, გაანალიზდეს მუსლიმური თემისა (უმმა) და მედინის ქალაქ-სახელმწიფოში დამყარებული რელიგიურ-პოლიტიკური იდეოლოგია, ფასეულობათა და ღირებულებათა სისტემა, მუჰამადის ბრძოლები იუდეველებთან, მონოთეისტური მოძრაობა ჰიჯაზსა და იემენში, სხვადასხვა ადამიანის მიერ ისლამის აღიარების წინაპირობები და გარემოებები, მუჰამადისა და მუსლიმების დაპირისპირება კურაიშიტებთან უჰუდისა და ბადრის ბრძოლებში, დუმათ ალ-ჯანდალის სამხედრო ექსპედიცია, დელეგაციათა ვიზიტები გამარჯვებულ მუჰამადთან და სხვა მრავალი.

**იბნ სა'დი** - აბუ 'აბდ ალლაჰ მუჰამად იბნ სა'დ იბნ მანი' ალ-ბასრი ალ-ჰაშიმი (784/5-845) იყო არაბი ბიოგრაფი და ტაბაკათების სისტემის პირველი კრებულის ავტორი. მისი ნაშრომის სათაურია *ქითაბ ატ-ტაბაკათ ალ-ქაბირ* („ტაბაკათების ვრცელი წიგნი“).<sup>1</sup> ავტორი ძირითადად ეხება მუჰამადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ისლამის ჩასახვისა და გავრცელების პირველ პერიოდს. დიდი ყურადღება ეთმობა პოლიტიკურ დოკუმენტებს და შეთანხმებებს. ეს არის ერთ-ერთი პირველი და უფრო სანდო წყარო ადრეული ისლამის ისტორიაში. სახელდობრ, ნაშრომში დაცულია დეტალური ინფორმაცია პირველი და მეორე ეთიოპური ჰიჯრას შესახებ (ჩამოთვლილია იმ მუსლიმთა სახელები, ვინც თავშესაფარი ჰპოვეს აბისინიაში), მუჰამადის ელჩობების თაობაზე მეზობელ ბაჰრეინში, ირანსა და ჰიმიარში, სადაც ზოროასტრელებისა და იუდეველების გვერდით ბევრი ქრისტიანი ცხოვრობდა.

პროპაგანდისტულ ხერხებს შორის უნდა მოვიაზროთ იბ სა'დის წყაროში მოყვანილი მუჰამადის შეხვედრა ქრისტიან ბერ ნესტორთან, რომელმაც „იწინასწარმეტყველა“, რომ მუჰამადი უკანასკნელი მოციქული იქნებოდა, რადგანაც იგი იმ ხის ქვეშ დაჯდა, სადაც მხოლოდ და მხოლოდ მოციქული იჯდა ძველ დროს. ამ ტიპის პროპაგანდისტული ხერხები (რომელთა რიგებში ასევე შედის სხეულზე სამოციქულო ნიშნების „ამოკითხვა“, ხის ტოტების დახრა, „წმინდა ხის“ ქვეშ ჯდომა, მნიშვნელოვანი პერსონაჟის დაბადების დროს ცაზე „მიმანიშნებელი“ ვარსკვლავის გამოჩენა, წმინდანის თავზე ღრუბლის გაჩერება და სხვა) ჩრდილს არ აყენებს იბნ სა'დის წყაროს მნიშვნელობას.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ცნობები მოციქულ მუჰამადთან ნაჯრანის ქრისტიანთა ელჩობის (ელჩობის შემადგენლობა; განხილული რელიგიური საკითხები, სახელდობრ, იესოს ღვთაებრიობის თაობაზე; საზავო შეთანხმების დადება) თაობაზე. ასევე სწორედ იბნ სა'დის ნაშრომია ის მნიშვნელოვანი წყარო, სადაც დეტალურად არის გადმოცემული არაერთი ზავისა და შეუვალობის წიგნი (სიგელი), რომელიც მუჰამადმა სხვადასხვა რელიგიურ თემთან გააფორმა.

<sup>1</sup> كتاب الطبقات الكبير لمحمد بن سعد بن منيع الزهري ت 230

## **ბ) თხზულებები დაპყრობათა ისტორიის შესახებ**

არაბთა დაპყრობითი ომების ისტორიის პირველი კოდიფიკატორია **ალ-ვაკიდი** (747-823; აბუ ‘აბდ ალლაჰ მუჰამმად იბნ ‘უმარ იბნ ვაკიდ ალ-ასლამი). მის ნაშრომში „ქიტაბ ათ-თარის ვა ალ-მაღაზი“ („ისტორიისა და ლაშქრობათა წიგნი“)<sup>1</sup> თანმიმდევრულადაა გადმოცემული მუჰამადის ცხოვრება, მისი ლაშქრობები, მიმოწერა, შეხვედრები ტომთა დელეგაციებთან და სხვ. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ფაქტების სიზუსტეს.

**ალ-ბალაზურის** (აჰმად იბნ ოაჰია იბნ ჯაბირ იბნ დავუდ იბნ ბალაზური, 820-892) თხზულება „წიგნი ქვეყნების დაპყრობათა შესახებ“<sup>2</sup> შედგენილია გეოგრაფიული პრინციპით - თითოეულ რეგიონს განკუთვნილი აქვს ცალკე თავი, სადაც მასალა დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით – მუსლიმთა პირველი ლაშქრობებიდან პროვინციის საბოლოო დაპყრობამდე. ალ-ბალაზური გადმოგვცემს აგრეთვე კულტურული, ეკონომიკური და ადმინისტრაციული ხასიათის ცნობებს (დაპყრობილი ტერიტორიების მართვა, გადასახადები, სავაჭრო ურთიერთობები, სამონეტო საქმე და სხვა).

ავტორი საკმაოდ ვრცელ და დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის იმ ზავისა და შეუვალობის სიგელების შესახებ, რომლებიც ალაჰის მოციქულმა სხვადასხვა არაბულ ტომთან გააფორმა. მათ შორის ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დუმათ ალ-ჯანდალის ხელშეკრულების ტექსტი, რომლიც ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შემოგვაქვს. ასევე აღსანიშნავია მუჰამადის ხელშეკრულებები ეილათის ქრისტიანულ თემთან, ბაჰრეინის ზოროასტრელებთან და ნაჯრანის ქრისტიანებთან. ალ-ბალაზურის ნაშრომში მოტანილია ეგვიპტის (მთლიანად) და ირანის (ცალ-ცალკე რეგიონებად) ზავისა და შეუვალობის სიგელებიც.

**‘აბდ არ-რაჰმან იბნ ‘აბდ ალ-ჰაქამის** ნაშრომში „ეგვიპტის, ალ-მადრიბის და ალ-ანდალუსის დაპყრობა“<sup>3</sup> მნიშვნელოვანია არაბთა მიერ ეგვიპტის დაპყრობა და ზავისა

<sup>1</sup> Al-Waqidi Muhammad ibn ‘Umar. *The Life of Muhammad. Kitab al-tarikh wa al-Maghazi*. Translated by Rizwi Faizer. London:Routledge, 2011.

<sup>2</sup> 1987, احمد بن يحيى بن جابر بن داود البلاذري. فتوح البلدان. بيروت, 1987; Al-Imam abu-l ‘Abbas Ahmad ibn-Jabir al-Baladhuri. *Kitab Futuh al-Buldan. The origins of the Islamic State, being a translation from the Arabic accompanied with annotations, geographic and historic notes of the kitab futuh al-buldan* by Philip Khuri Hitti on the permanent staff of the Syrian Protestant College. New York: AMS Press, 1916.

<sup>3</sup> *The History of the Conquest of Egypt, North Africa and Spain, known as the Futuh Miṣr of Ibn ‘Abd Al-Ḥakam*. Edited by Charles C. Torrey. New Haven: Yale University Press, 1922; *Абд ар-Рахман ибн Абд ал-Хакам*.



და შეუვალობის ხელშეკრულების გაფორმება. ამასთან, ერთი ქვეთავი სახელწოდებით - მოთხრობა ჯიზიას შესახებ. თუმცა, არაბულ-მუსლიმური სახელმწიფოს არსებობის საწყის პერიოდში საგადასახადო სისტემისათვის უცნობი იყო ის ტერმინოლოგიური სიცხადე, რაც მოგვიანებით განსაზღვრეს მუსლიმმა სამართლისმცოდნეებმა, როდესაც არამუსლიმთა სულადი გადასახადი იწოდებოდა მხოლოდ ჯიზიად, ხოლო მიწაზე დაწესებული გადასახადი - ხარაჯად.

გ) მსოფლიო ისტორიის ნაშრომებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს წარმოშობით სპარსელი აბუ ჯა'ფარ მუჰამმად იბნ ჯარირ იბნ აზიდ ატ-ტაბარი (839-923), რომელსაც განსაკუთრებული ადგილი არაბულ-ისლამურ მეცნიერებაში უკვე შუა საუკუნეების არაბმა ავტორებმა მიაკუთვნეს.

ჩვენთვის საინტერესო თბილისის ზავისა და შეუვალობის ხელშეკრულება, იგივე დაცვის სიგელი ატ-ტაბარის მოხსენებული აქვს ცნობილ ნაშრომში „მოციქულთა და მეფეთა ისტორია“, რომელიც გამოცემულია ლეიდენში 13 ტომად, 1879-1901 წლებში.<sup>1</sup> ატ-ტაბარის მოჰყავს სხვა ზავისა და შეუვალობის სიგელების ტექსტებიც, რომელიც ალაჰის მოციქულმა ქრისტიან, იუდეველ და ზოროასტრულ თემებთან და მათ მმართველებთან გააფორმა. ასევე მოყვანილია ალაჰის მოციქულის მიერ შედგენილი წერილებიც, რომელიც ისლამის ფუძემდებელმა ეთიოპიის, ბიზანტიისა და ირანის მმართველებს დაუგზავნა. ატ-ტაბარის მოტანილი აქვს აგრეთვე მრავალი ზავისა და შეუვალობის სიგელი, რომელიც ალაჰის მოციქულის გარდაცვალების შემდეგ საბრძოლო მოქმედებების დროს მუსლიმმა მხედართმთავრებმა მონოთეისტებით დასახლებულ რეგიონებს გაუფორმეს. ამას გარდა, იგი საინტერესოდ აღწერს მუსლიმების ეთიოპიის ქრისტიანულ სამეფოში გადასახლების ისტორიასაც და განიხილავს ეთიოპელთა როლს ჰიჯაზის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ატ-ტაბარი სათითაოდ ჩამოთვლის თითოეულ რეგიონს, რომელმაც დაარღვია მუჰამადთან დადებული ზავისა და შეუვალობის პირობები. მათ შორისაა მედინასთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი - დუმათ ალ-ჯანდალის რეგიონი,

---

*Завоевание Египта, ал-Магриба и ал-Андалуса.* Перевод с арабского, предисловие и примечания С.Б. Певзнера. Москва:Наука, 1985.

<sup>1</sup> تاريخ الرسل و الملك لابي جعفر محمد بن جرير الطبري Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901].

რომელიც წარმოადგენდა ბუფერულ რეგიონს მედინის თეოკრატიულ ქალაქ-სახელმწიფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის.

ატ-ტაბარი ეხება არაბთა დაპყრობითი ომების დროს ქრისტიანი არაბების მუსლიმების მხარეზე გადასვლის მიზეზებსაც, დეტალურად აღწერს მთელ რიგ რეგიონებსა და ქალაქებს, რომელიც მუსლიმებმა ზავისა და შეუვალობის სიგელების საფუძველზე დაიმორჩილეს და საინტერესო ცნობებს გვაწვდის ამ ქალაქების რელიგიური, ეთნიკური და გეორაფიული მახასიათებლების შესახებაც.

**იბნ ქასირი (1300-1373)** იყო მე-14 საუკუნის ცნობილი არაბი ისტორიკოსი და სამართლისმცოდნე. მისი სრული სახელი იყო აბუ-ლ-ფიდა' [იმად ად-დინ] ისმა'ილ იბნ 'უმარ იბნ ქასირ [ალ-კურაში ად-დიმაშკი]. თეოლოგიურ საკითხებში განსწავლულობის გამო მან მიიღო ლაკაბი (მეტსახელი) „იმად ად-დინ“, რაც ნიშნავს „რწმენის ბოძს“. იბნ ქასირის კალამს ეკუთვნის არაერთი ნაწარმოები. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კი არის მისი ისტორიული თხზულება „ალ-ბიდაა ვა ან-ნიჰაა“ („დასაწყისი და დასასრული“).

ჩვენი დისერტაციის პირველი თავისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მის ნაშრომს „მოციქულ მუჰამადის ცხოვრებას“,<sup>1</sup> რომელიც წარმოადგენს ზემოხსენებული ნაშრომის - „დასაწყისი და დასასრულის“ ნაწილს. ნაშრომი იწყება მედინაში მცხოვრები იუდეველთა ტომის - ბანუ კაინუკას ისტორიით. მასში აგრეთვე განხილულია რეგიონში მცხოვრები სხვადასხვა რელიგიური თემის რელიგიურ-იდეოლოგიური დაპირისპირებები, რაც შესაძლებლობას გვაძლევს გავიაზროთ ამ დაპირისპირებების რეალური საფუძვლები და მოტივები და რეგიონში შექმნილი გეოპოლიტიკური სურათი ერთიან ჩარჩოში გავაანალიზოთ. განსაკუთრებულად საყურადღებოა მისი ცნობები მუჰამადის ელჩობების თაობაზე ბიზანტიაში, ირანსა და ეგვიპტეში, რისი მეშვეობითაც ჩვენ ვავსებთ იმ ინფორმაციულ ვაკუუმს, რომელსაც უფრო ადრეული წყაროები (იბნ სა'დი, იბნ ისჰაკი, ალ-ბალაზური, ატ-ტაბარი) არ გვაწვდიან.

---

<sup>1</sup> Ibn Kathir. *The Life of the Prophet Muhammad, Al-Sira al-Nabawiyya*. Translated by Professor Trevor Le Gassick. Reviewed by Dr. Muneer Fareed. Reading, UK: Garnet Publishing, 1998.

საერთო ჯამში, იბნ ქასირის წყარო საკმაოდ ობიექტურია და მიუხედავად იმისა, რომ მასშიც ზუსტად იმავე ნაკლოვანებებსაც ვხედავთ, რასაც უფრო ადრეულ წყაროებში, - იბნ ქასირის ნაშრომი მნიშვნელოვანი დამატებითი წყაროა.

დ) ადრეული რელიგიურ-სამართლებრივი ხასიათის ნაშრომებიდან საყურადღებოა აბუ 'უბაიდის (აბუ 'უბაიდ ალ-კასიმ იბნ სალლამ, 770-838) ნაშრომი „ქითაბ ალ-ამვალ“ („ქონების წიგნი“).<sup>1</sup> ის იყო არაბული გრამატიკის, ყურანისა და ფიკჰის საუკეთესო მცოდნე. საინტერესოა, რომ ამ მეცნიერებების შესწავლისას ის არ ემხრობოდა არცერთ მაზჰაბს და მიმდინარეობას. შესაბამისად, მისი ნაშრომები არ არის ტენდენციური. „ქითაბ ალ-ამვალ“ ეხება სახელმწიფო მმართველობასა და საგადასახადო სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებს. მასში დაცულია ინფორმაცია ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელის შესახებაც თბილისისა და მისი შემოგარენის მოსახლეობისადმი.

აბუ ეუსუფის *ქითაბ ალ-ხარაჯ* („ხარაჯის წიგნი“) არის მუსლიმური წერილობითი ტრადიციის ერთ-ერთი უძველესი ძეგლი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია და ისლამური სამართლის ჰანაფიტური სკოლის პირველი ნაშრომი. ეს წიგნი, რომელიც დაიწერა მე-8 საუკუნეში, ხალიფას ჰარუნ არ-რაშიდის ეპოქაში და მისი ბრძანებით, ასახავს მუსლიმთა საგადასახადო სისტემას ამ სიტყვის ფართო გაგებით: შეიცავს 550-მდე გადმოცემას სხვადასხვა სახის გადასახადების შესახებ.

ე) რელიგიური წყაროებიდან მნიშვნელოვანია ყურანი<sup>2</sup> - მუსლიმთა წმინდა წიგნი, რომელიც საღვთისმეტყველო-იურიდიულ მითითებებთან ერთად შეიცავს ისტორიულ მასალასაც, რაც დაკავშირებულია ადრეული მუსლიმური თემის სამხედრო-პოლიტიკურ საქმიანობასთან, სამხედრო-პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ ისტორიულ რეალიებთან. ყურანში გადმოცემულია მუსლიმური თემის ჩამოყალიბების პირველი ეტაპები, გარემოებები და სხვადასხვა ვითარება, მუსლიმების იურიდიული და საკანონმდებლო ბაზა, გაბატონებული რელიგიური და პოლიტიკური იდეოლოგია და დამოკიდებულება ქრისტიანებთან და იუდეველებთან მიმართებით.

<sup>1</sup> Abu 'Ubayd al-Qasim ibn Sallam. *Kitab al-Amwal. The Book of Revenue*. Translated by Professor Imran Ahsan Khan Nyazee. Reading, United Kingdom: Garnet Publishing, 2002.

<sup>2</sup> *ყურანი*. არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო გიორგი ლობჯანიძემ. თბილისი: კავკასიური სახლი, 2006.

ცნობილია, რომ ყურანის მრავალი აია უკავშირდება არა მხოლოდ ისლამის თეოლოგიურ პოსტულატებსა და შეხედულებებს იესოსა და მარიამის შესახებ, არამედ მუსლიმების და, კერძოდ, მუჰამადის დამოკიდებულებას ქრისტიანებისადმი. მასში აღწერილია ნაჯრანელებთან მუჰამადის გაბაასებაც, რომელსაც მუსლიმების წმინდა წიგნის სხვადასხვა აიაში ვკითხულობთ. მნიშვნელოვანია აგრეთვე ცალკეული აიები როგორც ქრისტიანი ბერების ქების შესახებ, რომლებიც „ალაჰს ადიდებენ რიჟრაჟისას და ღამისას და ვერ მოსწვეტს მათ ლოცვას ვერავინ“, ისე ქრისტიანი სასულიერო პირების გაკიცხვის შესახებ, რომლებიც „ავლა-დიდებასა და ოქროს იუნჯებენ და არ გასცემენ“.

### სამეცნიერო ლიტერატურა

1990-იანი წლებიდან ქართული ისტორიოგრაფია და, სახელდობრ, ქართული ისლამმცოდნეობა შეივსო რამდენიმე სადისერტაციო ნაშრომით, რომლებიც ეძღვნებოდა ადრეული ისლამის პერიოდს, ძირითადად წინაისლამურ და მუჰამადის დროინდელ პერიოდს და მოიცავდა სხვადასხვა საკითხებს.

აღმოსავლეთმცოდნე მ. ვახტანგაძის სადისერტაციო ნაშრომში „ადრეული ისლამის ძირითადი თავისებურებები“, გაანალიზებულია ადრეისლამური სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლები.<sup>1</sup> ყურადღება გამახვილებულია ისლამამდელ ხანაში ტომთა შორის ურთიერთობის ფორმებზე - ჰილფ, ჯივარ, ვალა', აგრეთვე განხილულია „ხუმსის“ ინსტიტუტის დაარსება, ისევე როგორც იუდეველთა ტომების დასჯა და მათ მაგალითზე „სულჰით“ (მშვიდობიანი, მოლაპარაკების გზით) და „'ანვათი“ (ბროლით და „ცხენების გაჭენებით“) დამორჩილებულ რელიგიურ თემებთან დამოკიდებულებაც, რაც ფაქტობრივად არაბთა ბრძოლების სამხედრო სტრატეგიის ერთ-ერთი ქვაკუთხედად იქცა. მკვლევარს განხილული აქვს ფისკალური სისტემაც, გაანალიზებულია „ზაქათის“ (განწმენდა, სავალდებულო მოწყალების გაღება უპოვართათვის) და „სადაკას“

---

<sup>1</sup> Вахтангадзе, М.К. *Основные Особенности Раннего Ислама*. Диссертация, представленная на соискание ученой степени кандидата исторических наук. Тбилисский Государственный Университет им. И. А. Джавахишвили. Тбилиси, 1991.

წარმოშობის ისტორია, მათი მნიშვნელობა და ადგილი ადრეისლამურ ფისკალურ სისტემაში.

მ. ვახტანგაძის ზემოხსენებული ნაშრომი ჩვენთვის იმ კუთხით არის სასარგებლო, რომ მისი მიხედვით ვარკვევთ, თუ რა ტიპის ფინანსური მოვალეობები ეკისრებოდათ ქრისტიანებს მუჰამადის დროს და თუ რა სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბაზისებსა და პრინციპებზე იყო დაარსებული ისლამური სახელმწიფო, სადაც უამრავი ქრისტიანული თემი ცხოვრობდა.

საყურადღებო და გასათვალისწინებელია აღმოსავლეთმცოდნე გ. ლობჯანიძის დისერტაცია „იესო და მარიამი ყურანში“<sup>1</sup>, სადაც შესწავლილია არაბულ საისტორიო წყაროებში შემორჩენილი ცნობები მექასა და არაბეთის ნახევარკუნძულის სხვა მხარეებში მოსახლე ქრისტიანებისა და წარმართ არაბთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ასევე გაანალიზებულია მუჰამადის წარმოდგენა ქრისტიანობისა და ქრისტიანების შესახებ მისი ქადაგების დასაწყისისათვის და გამოკვეთილია ყურანის ის ძირითადი დებულებები, რაშიც ტრანსფორმირებულია მუჰამად მოციქულის ზემოაღნიშნული რწმენა-წარმოდგენები.

აღსანიშნავია აგრეთვე ირმა მახარაძის სადისერტაციო ნაშრომი - *ქრისტიანული თემატიკა და მასთან დაკავშირებული ლექსიკა ყურანში*. დისერტაციაში სისტემატიზირებულია იესოს და მარიამის შესახებ წარმოდგენები ყურანში, მუსლიმთა წმინდა წიგნის მიხედვით რეკონსტრუირებულია მათი ისტორიები, კომენტირებული და გაანალიზებულია ყველა ის აია, რომელიც ყურანში მარიამსა და იესოს ეხება; ნაჩვენებია ძირითადი განსხვავებები (იესოს ჯვარცმისა და შესაბამისად, მკვდრეთით აღდგომის იდეის უარყოფა, პირველყოფილი ცოდვის უარყოფა ისლამში) და მსგავსებები (მაგ. იესოს უბიწოდ ჩასახვის იდეა, რომელიც ორივე რელიგიის მიერაა გაზიარებული) კანონიკურ სახარებებსა და ყურანს შორის. მოყვანილია მსგავსებები ყურანსა და აპოკრიფულ სახარებებს შორის; გავლებულია პარალელები ზაქარიასა და იოანე ნათლისმცემლის როლსა და მნიშვნელობაზე ახალ აღთქმასა და ყურანს შორის.

<sup>1</sup> ლობჯანიძე, გიორგი. *იესო და მარიამი ყურანში*. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2005.

ნაშრომში სათითაოდაა გარჩეული ძირითადი ლექსიკა (წმინდანთა სახელები, სიტყვები), რაც მეზობელი რეგიონებიდან, სადაც სალიტერატურო და სამეტყველო ენებად ებრაული, სირიული და არამეული იყო მიჩნეული, მოხვდა ყურანში.<sup>1</sup>

რაც შეეხება დაცვის სიგელებს, ქართულ ისტორიოგრაფიაში გ. ჯაფარიძემ, სხვადასხვა წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე, კრიტიკულად გაანალიზა ხალიფა 'უმარის 637წ. ხელშეკრულება იერუსალიმის ქრისტიანულ მოსახლეობასთან.<sup>2</sup> ძირითადად ყურადღება გამახვილებულია 'უმარის სიგელის იმ ნუსხაზე, რომელშიც ქართველები იხსენიებიან. ჩვენი ნაშრომისათვის ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე გ. ჯაფარიძის სამეცნიერო სტატიები (აჰლ ალ-ქითაბი, დაცვის სიგელი, ზიმიები, ნასარა, ჯიჰადი და სხვ.) „ისლამის ენციკლოპედიაში“,<sup>3</sup> რომლებიც ეხება მუსლიმურ-ქრისტიანული ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტებს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელს. დღეისათვის ცნობილია 5 არაბულენოვანი ავტორი, რომელთა თხზულებებშიც დაცულია აღნიშნული დაცვის სიგელი: აბუ უბაიდი, ალ-ბალაზური, ატ-ტაბარი, იბნ ზანჯუვაიჰი და ალ-იაკუთი. ეს სიგელები თარგმნილი და გაანალიზებულია ე. სიხარულიძის და ო. ცქიტიშვილის ნაშრომებში.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> მახარაძე, ირმა, *ქრისტიანული თემატიკა და მასთან დაკავშირებული ლექსიკა ყურანში*. არაბულ ფილოლოგიაში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. თბილისი, 2009.

<sup>2</sup> ჯაფარიძე, გოჩა. *ქართველთა სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII საუკუნეებში (არაბული ნარატიული და დოკუმენტური წყაროების მიხედვით)*, თბილისი: მერიდიანი, 2018, 149-165 (ნაშრომში ვრცლად არის განხილული 'უმარის ხელშეკრულების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული თვალსაზრისები).

<sup>3</sup> *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრი. შემდგენლები კარლო კუცია, მეგი მეტრეველი, გიორგი სანიკიძე, მიხეილ სვანიძე, გოჩა ჯაფარიძე. შესავალი წერილი და ხელმძღვანელობა გოჩა ჯაფარიძისა. თბილისი: ნეკერი, 1999.

<sup>4</sup> სიხარულიძე, ეთერ. „არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან: [არაბული "დაცვის სიგელები]"“, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, 73, თბილისი, 1959, 167-181; „საქართველოში არაბთა პირველ ლაშქრობათა ზოგიერთი საკითხისათვის“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის *მოამბე*, თბილისი, 1961, 185-195; ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის“ აბუ 'უბაიდისეული ვარიანტი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. თბილისი, 2001 (15 გვ.); ცქიტიშვილი, ოთარ. „ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ აბუ უბაიდის თხზულებაში.“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, ტ.2, თბილისი, 1976, 187-199; „აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფი არაბთა პირველი ლაშქრობების შესახებ საქართველოში“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის *მაგნე*, ისტორიის არქეოლოგიის ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, N1, თბილისი, 1984, 92-104.

ჰაზიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების კვლევისას მნიშვნელოვანია პ. თოფურისა, მ. ლორთქიფანიძის, ლ. ნადირაძის, ბ. სილაგაძის, გ. ჯაფარიძის და სხვ. ნაშრომები.<sup>1</sup>

სადისერტაციო ნაშრომში გათვალისწინებულია აგრეთვე ბ. ზნამენსკის და მ. წურწყუმის ნაშრომები.<sup>2</sup>

დასავლური ისტორიოგრაფიიდან აღსანიშნავია აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსისა და ისლამმცოდნის მონტგომერი უოტის (1909-2006) ნაშრომები „მუჰამადი მექაში“<sup>3</sup> და „მუჰამადი მედინაში“.<sup>4</sup> ნაშრომში - „მუჰამადი მექაში“ - მკვლევარი საერთაშორისო ურთიერთობებისა და რეგიონალური პოლიტიკის კონტექსტში განიხილავს მექის საგარეო პოლიტიკას. უოტი აანალიზებს რეგიონში იუდაიზმისა და ქრისტიანობის გავრცელების საკითხებს და ჰანიფებისა და სამოციქულო მოძრაობის ჩამოყალიბებას, მუჰამადის ბიოგრაფიას, სავაჭრო მოგზაურობის დროს ქრისტიან ბერ ბაჰირასთან შეხვედრას, მუჰამადის სამოციქულო მისიის დაწყებას.

„მუჰამადი მედინაში“ - მ. უოტის უმნიშვნელოვანესი ნაშრომია, რომელიც ფართო არაბული წყაროთმცოდნეობის გამოყენებით დაიწერა. ნაშრომში ყურადღებას იქცევს სხვადასხვა ტომის პოლიტიკური და დიპლომატიური პოზიციონირების ანალიზი მედინასთან მიმართებით, ასევე დუმათ ალ-ჯანდალის სამხედრო ოპერაცია და ამ რეგიონის წინააღმდეგ ლაშქრობის მიზეზებისა და შედეგების კვლევა. ეს ნაშრომი

---

<sup>1</sup> თოფურია, პავლე. ქართველთა ეროვნული თვითშემეცნების ისტორიიდან. ტაბარის ერთი ცნობის ინტერპრეტაცია, *ციცკარი*, N5, თბილისი, 1984, 143-148; ლორთქიფანიძე, მარიამ. „არაბთა მფლობელობის ხასიათი საქართველოში“. *მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. 35, თბილისი, 1963, 35-71; „ჰაზიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“, *მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის*, თბილისი, 1951, 61-65; „საქართველო-არაბთა სახალიფოს ურთიერთობის ზოგი საკითხი“. *აღმოსავლეთმცოდნეობა*, #3. თბილისი, 2014, 235-240; სილაგაძე, ბენიამინ. „ჰაზიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელის დათარიღებისათვის“. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის *მაცნე*, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1, თბილისი, 1971, 68-85; „არაბთა ბატონობა საქართველოში, (არაბული ცნობების მიხედვით)“. თბილისი, „მეცნიერება“, 1991, 6-106; Надирадзе, Л.И. *Хрестоматия по Истории Халифата*. Москва: Издательство Московского Университета, 1968.

<sup>2</sup> ზნამენსკი, ბორის. სახარების პერსონაჟები ყურანში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის *მაცნე*, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, თბილისი, 1985, 85-100; წურწყუმა, მამუკა. *ომის იდეოლოგია საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთში. ქრისტიანული საღვთო ომი და ისლამური ჯიჰადი*. გოჩა ჯაფარიძის წინასიტყვაობით. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი: კოლორი, 2019.

<sup>3</sup> Watt, W. Montgomery. *Muhammad at Mecca*, Oxford: Clarendon Press, 1956; Уотт, М., У. *Мухаммад в Мекке*. Перевод. Москва-Санкт-Петербург: Дия, 2006.

<sup>4</sup> Watt, W. Montgomery. *Muhammad at Medina*. Oxford: Clarendon Press, 1956.

გვეხმარება გავაანალიზოთ, თუ რა პირობებს უყენებდა ქრისტიანებს ისლამის მოციქული და რა თემებზე ესაუბრებოდა მათ. მ. უოტის ეს ორი ნაშრომი დისერტაციაში საშუალებას გვაძლევს მაქსიმალურად ობიექტურად აღვადგინოთ მუჰამადის პერიოდის ქალაქების - მექისა და მედინის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული მდგომარეობა.

ჯ. ს. ტრინინგემი ნაშრომში „ქრისტიანობა არაბთა შორის ისლამამდელ პერიოდში“ იკვლევს ქრისტიანობის ისტორიას არაბეთის ნახევარკუნძულსა და მის მომიჯნავე ტერიტორიებზე I-VI საუკუნეებში.<sup>1</sup> მკვლევარი განიხილავს მონოფიზიტურ და ნესტორიანულ მოძრაობასაც და სწავლობს ლახმიანთა დინასტიის ისტორიას, რომელიც სასანური ირანის პოლიტიკური ორბიტის ქვეშ მოქმედებდა. მნიშვნელოვანია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სასანური ირანი ყოველმხრივ უწყობდა ხელს ნესტორიანული ეკლესიის გაძლიერებას, ამ უკანასკნელთა ვაჭრობაში გამორჩეული ნიჭის გამო, რაც ხელს უწყობდა ირანის გეოპოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესების გატარებას. ნაშრომში განხილულია რელიგიური და სამხედრო დაპირისპირებები მონოფიზიტ ღასანიანებსა და ნესტორიანულ ლახმიანებს შორის, რაც რეალურად წარმოადგენდა ირან-ბიზანტიის იდეოლოგიური და სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების გაგრძელებას და იმ ხანის „პროქსი ომს“ („proxy war“ - არაპირდაპირი ომი). ეს ნაშრომი გვეხმარება კარგად გავაცნობიეროთ, თუ რომელი ტომები აღიარებდნენ ქრისტიანობას და რა დოზით ჰქონდა ქრისტიანობას ფესვები გადგმული ამ რეგიონში. ამ ნაშრომის გარჩევის შედეგად დისერტაციაში ნათელი ხდება, რომ ქრისტიანობისა და იუდაიზმის სხვადასხვა მიმდინარეობის აქტიური მხარდაჭერით V-VI საუკუნეებში, ირანი, ბიზანტია და ეთიოპია ცდილობდნენ ამ რეგიონში ჰყოლოდათ ახლო პოლიტიკური მოკავშირეები, დაემყარებინათ საკუთარი პოლიტიკური გავლენები და ამ გზით გაეტარებინათ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესები.

ბ. როჯემას წიგნი – „ლეგენდა სერგიუს ბაჰირაზე“ წარმოადგენს კრიტიკულ ესქატოლოგიურ-ისტორიულ ნაშრომს, სადაც ნაჩვენებია ისლამისა და ქრისტიანობის

---

<sup>1</sup> Trimmingham J. Spencer. *Christianity among the Arabs in Pre-Islamic Times*. London: World Dominion Press, 1949.



პოლიტიკური დაპირისპირება და განხილულია ამ დაპირისპირების მიზეზები.<sup>1</sup> ნაშრომში ავტორი ანალიზებს, თუ როგორ ხდებოდა 'აბასიანთა სახალიფოში რელიგიური ტიპის ფსევდო-ისტორიების გამოგონება და როგორი მეთოდებით იყენებდნენ გამოგონილ ქრისტიან წმინდანთა პერსონაჟების სახელებს, რაც ემსახურებოდა სოციალურ-პოლიტიკური პოზიციების გამყარებას და შიდაპოლიტიკური მიზნების მიღწევას. ნაშრომი სავსეა სიმბოლოებით და ალეგორიებით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ს. გრიფიტის შრომები,<sup>2</sup> რომელიც ჩვენთვის საინტერესო თემის ცალკეულ ასპექტებს აშუქებს. ს. გრიფიტის შრომების მიხედვით ვადგენთ, რომ ისლამამდელ პერიოდში და ალაჰის მოციქულის დროსაც, არაბეთის ნახევარკუნძულზე საკმაოდ ბევრი ქრისტიანული თემი ცხოვრობდა და ისინი მშვიდობიანად თანაარსებობდნენ არაბ წარმართებთან. ყურანში მოყვანილი ქრისტიანული ტერმინოლოგიის მრავალი მაგალითი, ისევე როგორც ქრისტიანობის ფუნდამენტურ დოგმებთან შეპაექრების მაგალითები, იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ რეგიონში წარმართი მოსახლეობა გათვითცნობიერებული იყო ქრისტიანულ მოძღვრებაში, დოგმებსა და ტრადიციებში.

დისერტაციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პ. კრონის ნაშრომებსაც.<sup>3</sup> მან საკმაოდ დიდი კითხვის ნიშანი დაუსვა მე-20 საუკუნეში პოპულარულ მოსაზრებას, რომ ქალაქი მექა რეგიონალური მასშტაბით ძალიან დიდ სავაჭრო-ეკონომიკურ როლს ასრულებდა. მკვლევარი საკმაოდ განსხვავებული რაკურსით წარმოაჩენს ჰიჯაზის რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას ისლამამდელ ხანაში და განსხვავებულ მოსაზრებებს გვთავაზობს ისლამამდელი მექელების რელიგიის შესახებაც.

---

<sup>1</sup> Roggema, Barbara, *The Legend of Sergius Bah'irā: Eastern Christian Apologetics and Apocalyptic in Response to Islam*. Leiden, Brill, 2009.

<sup>2</sup> Griffith, Sidney. H. "Christian Lore and the Arabic Qur'an. The "Companions of the Cave" in Surat al-Kahf and in Syriac Christian Tradition," *The Qur'an in the Historical Context*, Edited by Gabriel Said Reynolds. London: Routledge, 2008, 109-137.

"Christians and Christianity," *The Encyclopedia of the Qur'an*. Volume 1, Jane Dammen McAuliffe, General Editor. Leiden-Boston, Brill, 2001, 307-316; "Monasticism and Monks," 405-407. *The Encyclopedia of the Qur'an*. Volume 3, Jane Dammen McAuliffe, General Editor. Leiden-Boston: Brill, 2003.

<sup>3</sup> Crone, Patricia. "The Religion of the Qur'anic Pagans: God and the Lesser Deities," *Arabica*, 57, 2010, 151-200; *Meccan Trade and the Rise of Islam*. Piscataway, N.J.: Gorgias Press, 2004; "Quraish and the Roman Army: Making Sense of the Meccan leather trade," *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, 70, 1, UK, 2007, 63-88.

ისლამამდელი ხანის ჰიჯაზის რეგიონში ჰანიფიზმის მოძრაობის შესახებ საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის ფრანცოის დე ბლოის ნაშრომი „ნაზორეველი და ჰანიფი“,<sup>1</sup> ხოლო ისლამზე ქრისტიანობის გავლენის შესახებ ვრცლად გვესაუბრება სამირ ხალილ სამირის ნაშრომში „თეოლოგიური ქრისტიანული გავლენა ყურანზე“.<sup>2</sup>

ამ ნაშრომების გარდა, აგრეთვე აღსანიშნავია აღმოსავლეთმცოდნე მკვლევრების სხვადასხვა სტატია, რომელიც შეეხება მუჰამადის პერიოდში ქრისტიანობის გავრცელების არეალის შესწავლას არაბეთის ნახევარკუნძულზე და როგორც სოციალურ-პოლიტიკური და რელიგიური ვითარების გარჩევას, აგრეთვე ირან-ბიზანტიის გეოპოლიტიკური დაპირისპირებების კვლევა-ანალიზს.<sup>3</sup>

უშუალოდ დაცვის სიგელებთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ამერიკელი ისლამმცოდნისა და არაბისტიკის ჯონ ანდრიუ მოროუს წიგნი „მოციქულ მუჰამადის ხელშეკრულებები მსოფლიოს ქრისტიანებთან“, სადაც თავმოყრილია ალაჰის მოციქულის მიერ ქრისტიანებთან გაფორმებული ზავისა და შეუვალობის 6 სიგელი: 1. მუჰამადის „აღთქმა“ სინას მთის ბერებისადმი; 2. მუჰამადის პაქტი სპარსეთის ქრისტიანებთან; 3. მუჰამადის ხელშეკრულება მსოფლიოს ქრისტიანებთან (ორი ვერსია); 4. მუჰამადის ხელშეკრულება ნაჯრანის ქრისტიანებთან; 5. მუჰამადის ხელშეკრულება ასირიელ ქრისტიანებთან; 6. მუჰამადის ხელშეკრულება იერუსალიმის სომეხ ქრისტიანებთან.<sup>4</sup> მკვლევარს მოჰყავს „დამაჯერებელი არგუმენტები“ ამ დოკუმენტების ავთენტურობის შესახებ. თუმცა, ნაშრომი საკმაოდ ტენდენციურია და მიუხედავად იმისა, რომ ჰუმანურ და კეთილშობილურ მიზანს ემსახურება - ღრმად გაარკვიოს მკითხველები ისლამის ისტორიაში და ისლამის მიმართ აგრესია შეამციროს, მკვლევარი ხშირად იყენებს მეორეხარისხოვან და საკმაოდ საეჭვო წყაროებს ან კი ბუნდოვანი ჰიპოთეზებით ხელმძღვანელობს.<sup>5</sup>

<sup>1</sup> Francois de Blois. “Nasrani and Hanif: Studies on the religious vocabulary of Christianity and of Islam” *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, January, 2002, 1-30.

<sup>2</sup> Samir Khalil Samir. “The Theological Christian Influence on the Quran,” *Islam and Religious Diversity, (collection)*. Edited by Lloyd Ridgeon, volume II, London: Routledge, 2011, 25-40.

<sup>3</sup> მაგ. Lecker, Michael. “Pre-Islamic Arabia.” *The New Cambridge History of Islam. Volume 1. The Formation of the Islamic World, Sixth to the Eleventh Centuries*. Cambridge: Cambridge University Press, 2011, 153-170; Were the Ghassanids and the Byzantines behind Muhammad’s hijra? Les Jafnides. Des Rois arabes au service de Byzance, (VI e siècle de l’ère chrétienne): actes du colloque de Paris, Paris, 2015, 277-294.

<sup>4</sup> Morrow, J.A. *The Covenants of the Prophet Muhammad with the Christians of the World*. Tacoma, WA: Angelico Press and Sophia Perennis, 2013.

<sup>5</sup> ნაშრომზე დაიწერა კრიტიკული რეცენზიებიც. მაგ., Hussain, M. [Review of The Covenants of the Prophet Muhammad with the Christians of the World, by J. A. Morrow]. *Islamic Studies*, 57(3/4), 2018, 311-317.

თუმცა, ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების სხვადასხვა ასლებთან და თარგმანებთან ერთად, ის მეცნიერებს შესაძლებლობას აძლევს, შემდგომში შეისწავლონ ნაშრომის მნიშვნელოვანი ასპექტები, განსაკუთრებით საკამათო ასპექტები.

საგულისხმოა ბათ იეორის ნაშრომი „აღმოსავლური ქრისტიანობის დაცემა ისლამის გავლენით. ჯიჰადიდან ზიმიობამდე“, რომელშიც მკვლევარი ცდილობს დაგვანახოს, რომ არაბ მუსლიმთა შეტევით ომებს ქრისტიანების წინააღმდეგ, ისევე როგორც ასწლეულების განმავლობაში ისლამურ სახალიფოებსა და სასულთნოებში ზიმიების დარბევებს, გადასახადების გაზრდასა და დეპორტაციებს საფუძვლად ედო ჯიჰადის იდეოლოგია.<sup>1</sup>

დისერტაციაში აგრეთვე განვიხილავთ, მონაწილეობდნენ თუ არა ქრისტიანები მუჰამადთან და მართლმორწმუნე ხალიფებთან ერთად მუსლიმების მხარეზე ბრძოლებში? რა მოტივები ამოძრავებდა ზიმიის ამ გადაწყვეტილების მიღების დროს და რა ტიპის პრივილეგიებით სარგებლობდნენ ისინი ამ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში? ამ კითხვებზე პასუხის გაცემაში გვეხმარება ვადად ალ-კადის ნაშრომი „არამუსლიმები მუსლიმთა დამპყრობელ ჯარში ადრეისლამურ პერიოდში“.<sup>2</sup> მკვლევარი ადგენს, რომ მუსლიმთა სასარგებლოდ სამხედრო თუ სამოქალაქო დახმარების აღმოჩენის განმსაზღვრელი ფაქტორი იმ წლის ჯიზიის გაუქმება იყო. ვადად ალ-კადი განიხილავს, თუ რა ტიპის სამუშაოებს ასრულებდნენ ქრისტიანები მუსლიმთა სასარგებლოდ და რა იყო მათი პროფესია VII საუკუნეში.

ადრეული ისლამისა და კოპტების ისტორიის მკვლევარი მაგედ მიხაილი თავის ფუნდამენტურ სამეცნიერო ნაშრომში „ქრისტიანული ეგვიპტიდან ისლამურ ეგვიპტემდე“ არაბულ-ისლამური წყაროების მიხედვით აქარწყლებს დამკვიდრებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ეგვიპტელთა უმრავლესობა მხარში ედგა არაბებს ბერძნების წინააღმდეგ ბრძოლებში.<sup>3</sup> იგი ამტკიცებს, რომ მრავალი ქრისტიანული თემი ებრძოდა მუსლიმებს პირველივე დღეებიდან, მაშინ, როდესაც კოპტების

<sup>1</sup> Bat Ye'or. *The Decline of Eastern Christianity under Islam. From Jihad to Dhimmitude*. Translated from the French by Miriam Kochan and David Littman. Madison, Teaneck: Fairleigh Dickinson University Press, 2009.

<sup>2</sup> Wadad al-Qadi. "Non-Muslims in the Muslim Conquest Army in Early Islam," *Christians and Others in the Umayyad State*, by Antoine Borrut and Fred M. Donner. Chicago: The Oriental Institute, 2016, 83-129.

<sup>3</sup> Maged S.A. Mikhail. *From Christian Egypt to Islamic Egypt, Religion, Identity and Politics after the Arab Conquest*. New York, NY: American University in Cairo Press, 2014.

მხოლოდ გარკვეული ნაწილი ეხმარებოდა მუსლიმებს. ამ ნაშრომის მიხედვით ვიგებთ, რომ ეგვიპტე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგანაც ის ერთბაშად ორი საგარეო ძალის დომინაციის ქვეშ მოექცა და მათ შორის საბრძოლო პოლიგონადაც იქცა. ამის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო დასტურია ჩვენს დისერტაციაში დეტალურად გარჩეული ეგვიპტის დაცვის სიგელი, რომელიც დიდწილად ბერძნების გარნიზონებს ეხებოდა. სიგელის გასაანალიზებლად ვიყენებთ აგრეთვე ბრიტანელი ორიენტალისტისა და ისლამმცოდნის სტენლი პულის სტატიას „მუჰამადის პირველი ხელშეკრულებები ქრისტიანებთან“, <sup>1</sup> რომელშიც მკვლევარი ამ პაქტს 640 წლის ოქტომბრის თვით ათარიღებს და თარგმნის მას როგორც „ეგვიპტის შუა დედაქალაქის“ ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავდა *მემფისის, ფუსტატის, ბაბილონისა და კაიროს რეგიონებს*. მკვლევარი მიიჩნევს, რომ არაბებმა მოგვიანებით ბიზანტიის ქვემდებარე ქალაქ ალექსანდრიასთან ცალკე ხელშეკრულება დადეს. ყურადღებას იპყრობს მკვლევრის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლოა, ეგვიპტის დაცვის სიგელი ყოფილიყო კოპტებისა და მუსლიმების საერთო შეთანხმება ბიზანტიელების წინააღმდეგ. დაცვის სიგელში გათვალისწინებული იყო იმ ბერძენი სამოქალაქო და სამხედრო პირთა უფლებები, რომლებიც ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ ან კი ჯარში მსახურობდნენ ეგვიპტეში, ჰყავდათ ოჯახები (ან მარტო ცხოვრობდნენ) და გადაწყვეტილი ჰქონდათ ეგვიპტეში დარჩენა. დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ მათ მუსლიმები აძლევდნენ ეგვიპტეში დარჩენის უფლებას იმ შემთხვევაში, თუ დანარჩენი ეგვიპტელების მსგავსად, ისინიც გადაიხდიდნენ ყოველწლიურ ჯიზიას.

რუსული სამეცნიერო ლიტერატურიდან აღსანიშნავია პიოტროვსკის „ყურანის თქმულებები“, <sup>2</sup> რომელშიც განხილულია ყურანში ბიბლიურ ნარატივები, იუდეურ-ქრისტიანული და გნოსტიკური ტრადიციები. ავტორმა მიზნად დაისახა იმ რელიგიური და მითოლოგიური ისტორიების რეკონსტრუქცია, რაც მუჰამადის წრემ და გარემოცვამ იცოდა და რაზედაც „დაშენდა“ ყურანის აიები. ამას გარდა, პიოტროვსკი აღნიშნავს, რომ ყურანი ალუზიური წიგნია და ყველა ის ისტორია და გადმოცემა ბიბლიური მოციქულების შესახებ არა მხოლოდ პარალელებს ჰპოვებს, არამედ

<sup>1</sup> Lane-Poole, S. “The First Mohammadan Treaties with Christians.” *Proceedings of the Royal Irish Academy: Archeology, Culture, History, Literature*, Volume 24, 1902-1904, 227-256.

<sup>2</sup> Пиотровский, М.Б. *Коранические Сказания*, Москва: Наука, 1991.

მჭიდროდაა დაკავშირებული ისლამის ფუძემდებლის მექაში ცხოვრების პერიოდთან. პიოტროვსკის ეს ნაშრომი ჩვენ საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა შეგვექმნას მუჰამადის პერიოდში არაბებს შორის მოარული ლეგენდების, რწმენა-წარმოდგენებისა თუ ფილოსოფიური იდეების შესახებ. ეს ნაშრომი გვეხმარება გავარკვიოთ, რომ ისლამამდელ პერიოდში არაბეთის ნახევარკუნძულზე საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქრისტიანული თემები ცხოვრობდნენ, ხოლო წარმართი არაბები მათ გვერდზე მცხოვრები ქრისტიანების გარდა, ვაჭრების მეშვეობითაც ეცნობოდნენ ქრისტიანობის ძირითად პოსტულატებს.

დისერტაციაში დიდ ყურადღებას ვუთმობთ ნაჯრანის დელეგაციასთან მუჰამადის შეხვედრასა და მათთან გაფორმებულ ზავისა და შეუვალობის სიგელს. იმისათვის, რათა გავერკვეთ, თუ რა პრეისტორია გააჩნდა მუჰამადსა და ნაჯრანელებს შორის დაცვის სიგელის გაფორმებას, საჭიროა ქრისტიანული ქალაქ ნაჯრანის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში კარგად გარკვევა. ამაში კი დახმარებას გვიწევს პიოტროვსკის ნაშრომი „სამხრეთ არაბეთი ადრეულ შუა საუკუნეებში“,<sup>1</sup> რომლის თანახმადაც ირკვევა ქალაქ ნაჯრანის როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ასევე სამხედრო-პოლიტიკურ ვითარება. ნაშრომი ასევე საინტერესოა იემენის, და სახელდობრ, ქალაქ ნაჯრანის გეოპოლიტიკური ვითარების რეგიონალურ კონტექსტში შესასწავლადაც. პიოტროვსკის ამ ნაშრომის მიხედვით ვადგენთ, რომ მუჰამადის დროს რეგიონში სიღრმისეული სოციალურ-პოლიტიკური, სამხედრო და კულტურული ცვლილებები ხდებოდა. ეს კი იმ მოსაზრების გამყარებაში გვეხმარება, რომ რეგიონალური პოლიტიკა და გეოპოლიტიკური ძვრები ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული რეგიონის ეკონომიკურ არქიტექტურასთან.

ზ. ჩომაევი დისერტაციაში „მუსლიმური დიპლომატია ადრეისლამურ ეპოქაში: წარმოშობა და ფუნქციონირების თავისებურებები“<sup>2</sup> სწავლობს მედინის ქალაქ-სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე მუჰამადის დიპლომატიურ ნაბიჯებს, სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებს და სამშვიდობო ხელშეკრულებების როლს ადრეისლამური დიპლომატიის სისტემაში. იგი განიხილავს მედინის ქალაქ-

<sup>1</sup> Пиотровский, М.Б. *Южная Аравия в раннем средневековье*. Москва:Наука, 1985.

<sup>2</sup> Чомаев, З.А. *Мусульманская дипломатия в раннеисламскую эпоху: Зарождение и особенности функционирования (622-661 гг.)*. Диссертация на соискание учёной степени кандидата исторических наук. Институт востоковедения РАН. Москва, 2021.

სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში მოლაპარაკებებისა და დიპლომატიური შეხვედრების როლსაც და მუჰამადს წარმოაჩენს, როგორც არა მხოლოდ რელიგიურ, არამედ სახელმწიფო ლიდერსა და პოლიტიკოსს. ჩომაევი არჩევს ხელშეკრულებების ('აჰდის, ილაფისა და ამანის) გაფორმების რიტუალებსა და წესებს და ყურადღებას ამახვილებს მოწმეების არსებობის აუცილებლობაზე ამა თუ იმ ტიპის ხელშეკრულების თუ სამართლებრივი დოკუმენტის გაფორმებისას.

დისერტაციაში გამოყენებული გვაქვს არაერთი სტატია, რომელთა ავტორები ეხებან მუჰამადის წერილებს და ალაჰის მოციქულის დიპლომატიურ ურთიერთობებს. ამათ შორის უნდა აღინიშნოს ტ.კ. იბრაჰიმი, რომელიც თავის შრომებში კითხვის ნიშანს ქვეშ აყენებს მუჰამადის მიერ ნაჯრანელების დახარკვას, როგორც პირველი ჯიზიის დაკისრებას ქრისტიანებზე მუსლიმებისა და ქრისტიანების ისტორიაში.<sup>1</sup>

ბოლოს, უნდა აღინიშნოს ა. შაგინიანის ნაშრომი „სომხეთი და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ბიზანტია-ირანისა და არაბთა ძალაუფლების ქვეშ“,<sup>2</sup> რომელშიც მკვლევარი არაბთა მიერ ქართლის უომრად დამორჩილებას საერთაშორისო პოლიტიკური და ჩვენს რეგიონში შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარების პრიზმაში წარმოაჩენს.

სადისერტაციო ნაშრომში გათვალისწინებულია აგრეთვე ო. ბოლშაკოვის, ე. რეზვანის, ა. ი. კოლესნიკოვისა და ნ.ა. მედნიკოვის ნაშრომები.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> Ибрагим, Т.К. “Джизйа как Постпророческий Институт: хадисоведческий анализ преданий о договоре христианами Наджрана,” *Ислам в Современном мире*, 4, 2019, 117-135; “Об Историчности Наджранской Депутации: Содержательный анализ преданий о составе.” *“Ислам в современном мире.” Том 16. #2.* Москва, 2020, 27-46.

<sup>2</sup> Шагинян, А.К. *Армения и Страны Южного Кавказа в Условиях Византийско-Иранской и Арабской Власти.* Санкт-Петербург: Алетейя, 2011.

<sup>3</sup> Большаков. О.Г. *История Халифата, том 1, Ислам в Аравии 570-633*, Москва: Восточная литература РАН, 2000; Резван, Е.А. *Коран и его мир.* СПб.: Петербургское востоковедение, 2001; Медников Н.А. *Палестина от завоевания ее арабами до крестовых походов.* Т. 1. СПб, 1897; Колесников, А.И. “Две Редакции Письма Мухаммеда Сасанидскому Шаху Хосрову II Парвизу,” *Палестинский Сборник.* Выпуск 17(80), *История и Культура Ближнего Востока Древнего и Раннесредневекового Времени.* Ленинград: Наука, Ленинградское отд-ние, 1967, 74-83; “Сражение при Зу-Каре.” *Палестинский Сборник. Выпуск 19(82). Вопросы Истории и Культуры на Ближнем Востоке. Древность и Средневековье.* Ленинград: Наука, 1969, 76-86.

# I თავი. ადრეული ისლამი და ქრისტიანები

## 1.1 ქრისტიანობა და ქრისტიანები არაბეთის ნახევარკუნძულზე ისლამის წარმოშობის წინარე ხანაში

მუსლიმი არაბები თავისი ისტორიის ისლამამდელ ხანას უწოდებდნენ ჯაჰილიას (ჯაჰილია), რადგანაც მაშინ მათთვის უცნობი იყო „ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგია - ისლამი“. ე. რეზვანი ისლამამდელ არაბეთის ნახევარკუნძულს სემიტური წარმართობის „უკანასკნელ ბასტიონს“ უწოდებს და ყურანსაც გენეტიკურად აკავშირებს ისლამამდელ ზოგადსემიტურ ტრადიციებთან.<sup>1</sup> მისი აზრით, სწორედ ყურანში აისახა მრავალღმერთიანობიდან მონოთეიზმისკენ გარდამავალი ხანის (ფსიქოსომატური, კულტურული და ეკონომიკური) პერიპეტიები.<sup>2</sup>

მ. მირი ისლამამდელ ჰიჯაზში გაბატონებულ რელიგიას პოლითეიზმის ჰენოთეისტურ ფორმას ადარებს, სადაც არსებობდნენ სხვადასხვა კერპები, როგორც ღმერთები, მაგრამ, ამასთანავე, არსებობდა ერთი უმაღლესი ღმერთი - ალაჰი.<sup>3</sup> ყურანში ვკითხულობთ მექელ მოწინააღმდეგეთა გაკვირვებას არა ალაჰის უზენაესობის თაობაზე (რაც მათთვის ისედაც ცხადი იყო), არამედ მუჰამადის მიერ ალაჰის, როგორც ერთადერთი ღმერთის ქადაგებისა და მოწოდების შესახებ: „ნუთუ ქმნის ღვთაებებს ღმერთად ერთად?! ჭეშმარიტად, ეს საკვირველი რამაა“ [38:4]. პ. კრონი აღნიშნავს, რომ ყურანის გაანალიზებისას არსად ჩანს, რომ ამ ღმერთებს ისინი ალაჰის ნაცვლად ადიდებდნენ.<sup>4</sup> მექელებს სწამდათ, რომ ეს კერპები მათ ალაჰთან დაახლოებაში ეხმარებოდათ [39:4].

ისლამამდელ ეპოქაში მექა წარმოადგენდა მსხვილ სავაჭრო და რელიგიურ ცენტრს. აქ გავრცელებული იყო პრიმიტიული რელიგიური წარმოდგენები. თუმცა, წარმართი არაბები იცნობდნენ მონოთეისტურ რელიგიებსაც, რომელთაც ისლამის წარმოშობამდე ხანგრძლივი ისტორია ჰქონდათ სამხრეთ არაბეთში, მეზობელ სირიასა

<sup>1</sup> Резван, Е.А. *Коран и его мир*, СПб.: Петербургское востоковедение, 2001, 22.

<sup>2</sup> იქვე, 43.

<sup>3</sup> Mustansir, Mir. "Polytheism and Atheism," *Encyclopedia of the Qur'an*, vol. 4. Jane Dammen McAuliffe, General Editor, Leiden-Boston: Brill, 2004, 160.

<sup>4</sup> Crone, Patricia. "The Religion of the Qur'anic Pagans: God and the Lesser Deities," *Arabica*, vol. 57, no. 2/3, 2010, 177.

და ერაცში.<sup>1</sup> რეგიონში ქრისტიანობა ძირითადად ვაჭრების მეშვეობით ვრცელდებოდა. მექა საქარავნო გზით უკავშირდებოდა ქრისტიანულ ქალაქ ნაჯრანს, რომელშიც ქრისტიანობამ, სავარაუდოდ, შეადგინა ალ-ჰირას სირიული ეკლესიისა და თანამედროვე იორდანისა და სირიის მეშვეობით, რომლებიც იმ პერიოდში შედიოდნენ ქრისტიანული ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში და თავად წარმოადგენდნენ ქრისტიანობის ერთ-ერთ უძველეს კერას. პ. კრონის თანახმად, მექელი ვაჭრები ისლამის ფუძემდებლის ქადაგებებამდე, ათწლეულების განმავლობაში თანამედროვე იორდანისა და სირიის ტერიტორიებზე დისლოცირებულ ბიზანტიის ჯარებს ამარაგებდნენ სხვადასხვა პროდუქტით, უმთავრესად კი ტყავის ნაწარმით.<sup>2</sup> მექას ასევე სავაჭრო კავშირები ჰქონდა მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ ეთიოპიასთანაც (ეთიოპიაში ქრისტიანობა გავრცელდა უკვე I საუკუნეში. 330 წელს ეთიოპიის აქსუმის სამეფომ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა).

არსებობს მოსაზრება, რომ მუჰამადის მისიონერულ მოღვაწეობას ბიძგი მისცა ისლამამდელი არაბი მონოთეისტების – ჰანიფების მოძრაობამ. ჰანიფებს უწოდებდნენ მათ, ვინც უარყოფდა ტომობრივი კერპების თაყვანისცემას, ასკეტებს, რომლებიც იცავდნენ რიტუალურ სიწმინდეს, პრეტენზიას არ აცხადებდნენ ღვთაებასთან პირდაპირ კონტაქტზე, არ ვარდებოდნენ ექსტატიკურ ტრანსში, სწამდათ ერთი ღმერთი, მაგრამ არ იყვნენ არც ქრისტიანები და არც იუდეველები.<sup>3</sup> ყურანში ტერმინი *ჰანიფ* გამოიყენება სიტყვა მუსლიმის სინონიმად. ისლამმა ისესხა ალაჰის სირიულ-არამეული წარმოშობის ეპითეტი *რაჰმან* – მოწყალე, რომელიც სამხრეთელი არაბების, საბას და ჰიმირიელი მონოთეისტების, იუდეველებისა და ქრისტიანების ღმერთის გამომხატველი სახელი უნდა ყოფილიყო. სამხრეთ არაბეთში, რომელიც იყო მონოთეიზმის ერთ-ერთი უძველესი კერა, *რაჰმან* არაერთ ეპიგრაფიკულ წარწერაში

---

<sup>1</sup> Trimingham, J.S. *Christianity among the Arabs in Pre-Islamic Times*. London: Longman, 1979; Fisher, G. *Between Empires: Arabs, Romans, and Sasanians in Late Antiquity*. Oxford: Oxford University Press, 2011, 34-71; S. Fares, "Christian monasticism on the eve of Islam: Kilwa (Saudi Arabia) - new evidence", *Arabian Archaeology and Epigraphy* (AAE) 22/2, 2011, 243-252.

<sup>2</sup> Crone, P. "Quraish and the Roman Army: Making Sense of the Meccan leather trade," 63-88.

<sup>3</sup> ერთღმერთიანობის პირველი მქადაგებელი იყო იბრაჰიმი, არაბთა და ებრაელთა საერთო წინაპარი. თუმცა, ყურანის მიხედვით, „იბრაჰიმი არ იყო არც იუდეველი, არც ნაზარეველი, არამედ ის იყო ჰანიფა, ალაჰის რჩეული და ერთ-ერთი პოლითეისტი“ [3:60/67].



გვხვდება. ამ წარწერებიდან ერთ-ერთი ყველაზე მეტად ცნობილი საბას სამეფოს - მეფე აბრაჰას სამადლობელო ლოცვა უკავშირდება მა'რიბის დამბის აღდგენით სამუშაოებს.

ისლამის წარმოშობის წინ არაბეთის ნახევარკუნძული ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე იდგა. მუჰამადის დროს სამხრეთ არაბეთს უკვე ჰქონდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია, განსხვავებით ჩრდილოეთისაგან, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ბიზანტიის იმპერიისა და სასანიანთა ირანის შემადგენლობაში ან გავლენის ქვეშ იყო და ამ ორი იმპერიის დახმარებით ქმნიდა სამეფოებს. მაგ., დასანიანთა სამეფო, რომელიც არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა, ბიზანტიას ექვემდებარებოდა, ხოლო არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ლახმიანთა სამეფო ცენტრით ჰირა, სასანიანთა ირანის ვასალი იყო. ამიტომ, გ. გრიუნებაუმი ჩრდილოელ არაბებს მოიხსენიებს ტერმინით “Kulturnation” და არა “Staatsnation.”<sup>1</sup> ამასთან, ლახმიანები იზიარებდნენ ნესტორიანელთა, ხოლო დასანიანები - მონოფიზიტთა შეხედულებებს.

„ჯაჰილიის პერიოდში არაბეთის ნახევარკუნძული არ ყოფილა იზოლირებული გარე სამყაროსაგან. არაბებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შესუსტება, რასაც ადგილი ჰქონდა სამხრეთ არაბეთში ეთიოპიისა და ირანის დამკვიდრების შემდეგ, ორი დიდი სახელმწიფოს - სასანიანთა ირანის და ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის გამლიერება, ტომობრივი დაპირისპირება, ფართოდ გავრცელებული მევახშეობა და სოციალური დაძაბულობის ზრდა ჰიჯაზში, ყოველივე ეს ქმნიდა იმ ფონს, რომელიც წინ უძღოდა ახალი მონოთეისტური რელიგიის - ისლამის წარმოქმნას“.<sup>2</sup>

ყურანში აისახა მუჰამადის ბრძოლა წარმართობასა და კერპთაყვანისმცემლობასთან, პოლემიკა იუდაიზმსა და ქრისტიანობასთან, რომელთაც ყურანი განიხილავს როგორც ისლამის წინამორბედ და მასთან გენეტიკურ კავშირში მყოფ რელიგიებს. ქრისტიანთა სახელწოდება ყურანში არის *ან-ნასარა* (მხ. რ. ან-ნასრანი) და ეს ტერმინი დამოწმებულია 14-ჯერ თავდაპირველად მედინურ სურებში, სადაც იუდეველებთან და საბაელებთან ერთად მიეკუთვნებიან საღვთო

<sup>1</sup> Von Grunebaum, G.E. “The Nature of Arab Unity before Islam,” *Arabica*, vol. 10, no. 1, 1963, 5-6.

<sup>2</sup> ტიკაძე, მერაბ. *არაბთა ისტორია (V-XVსს.)*, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2008, 26.

წერილის ხალხებს (*აჰლ ალ-ქითაბ*) [2:59/62; 5:73/69; 22:17]. ყურანში ტერმინი (*აჰლ ალ-ქითაბ*) მექის პერიოდის მიწურულს ჩნდება და იხსენიება 54-ჯერ. სავარაუდო უფრო ადრინდელი ტერმინია *აჰლ აზ-ზიქრ* „შეხსენების ხალხი“ [16:45/43], რომელშიც წინა გამოცხადებათა მოწმეები იგულისხმება.<sup>1</sup>

არაბული ტერმინი *მასიჰიუნ* (არაბ. ალ-მასიჰ), რაც ასევე ნიშნავს ქრისტიანებს, საერთოდ არაა გამოყენებული ყურანში. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული თვალსაზრისით, არაბული ტერმინი *ან-ნასარა* მომდინარეობს იესოს მშობლიური ქალაქ ნაზარეთიდან (არაბ. *ან-ნასირა*) და ნიშნავს ნაზარეველებს ან ნაზორეველებს (ხალხი ნაზარეთიდან). ქრისტიანების სახელწოდება ბერძნულად არის *nazōraioi*, ხოლო სირიულად - *narāyê*, რაც მომდინარეობს არამეული ფორმიდან.<sup>2</sup> ქრისტიანები ყურანში ასევე „ინჯილის ხალხის“ [აჰლ ალ-ინჯილ, 5:4] სახელითაც იხსენიებიან, სადაც აღნიშნულია, რომ ქრისტიანებმა „დაამახინჯეს“ (თაჰრიფ)<sup>3</sup> საკუთარი წმინდა წიგნები [2:39/42, 70/75, 79, 154/159, 169/174; 3:64/71, 72/78; 5:16/13, 18/15; 6:91]. მუჰამადს თავისი ქადაგების დაწყებისას იმედი ჰქონდა, რომ ქრისტიანები, როგორც „სადვთო წერილის ხალხი“, მას მალე აღიარებდნენ მოციქულად. თუმცა, მას შემდეგ, რაც ჰიჯაზელმა და ჩრდილოეთ არაბეთის ქრისტიანმა გამგებლებმა ამაზე უარი თქვეს, გაძლიერდა მუჰამადის პოლემიკა ქრისტიანებთან, მათი დადანაშაულება მრავალღმერთიანობაში. ქრისტიანებს ბრალი ედებათ იმაში, რომ ალაჰის მოციქული ისა (იესო) გამოაცხადეს ღმერთად [9:30] და სწამთ სამება [4:169/171; 5:79/75]. ყურანში აისახა ქრისტიანობისა და ქრისტიანებისადმი მუჰამადის დამოკიდებულების ევოლუციაც.

ისლამის გამოჩენის დროს, სხვადასხვა ქრისტიანული მიმდინარეობა და კონფესია საკუთარი ეკლესიის ორგანიზებით უფრო მეტად იყო დაკავებული და თითოეული მათგანი, ნებით თუ უნებლიეთ, ისედაც მრავალ მიმდინარეობად დაშლილ ეკლესიას,

<sup>1</sup> მახარაძე, ირმა. *ქრისტიანული თემატიკა და მასთან დაკავშირებული ლექსიკა ყურანში*, 95; Bavardi, Majid. “The Investigation of “Zikr” From the View of the Holy Quran and Narrations,” *Journal of Basic and Applied Scientific Research*, 2(11), 2012, 10824-10831.

<sup>2</sup> Griffith, S. H. “Christians and Christianity,” *Encyclopaedia of the Qurān*, volume one A – D, Jane Dammen McAuliffe, General Editor. Leiden-Boston-Köln: Brill, 2001, 310-311.

<sup>3</sup> ყურანში საუბარია მხოლოდ თორას და სახარების „დამახინჯებაზე“, თუმცა, ხშირად გამოიყენება „წმინდა წერილები“. არ არის ცნობილი, რას გულისხმობდა მუჰამადი (მაგ., გულისხმობდა თუ არა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს) ან როგორ ესმოდათ ეს მის მიმდევრებს. ყურანის კომენტატორები „წმინდა წერილებში“ გულისხმობენ მხოლოდ თორას და სახარებას, ხოლო ისლამის აპოლეგეტები და პოლემისტები – ახალი აღთქმის წიგნებისა და სახარების მთელ კორპუსს.

კიდევ უფრო მეტად ანაწევრებდა.<sup>1</sup> ამ დაპირისპირებების შესახებ უნდა გვამცნობდეს ყურანიც [19:37; 2:254, 6:159, 42:14]. სავარაუდოდ, ისლამის ფუძემდებელი ქრისტიანულ თეოლოგიურ დისკუსიებს და ქრისტიანობის შიგნით საეკლესიო და კონფესიურ განხეთქილებას ეცნობოდა მისი სავაჭრო მოგზაურობების განმავლობაში.

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, მუჰამადზე ქრისტიანობას მცირე გავლენა ჰქონდა.<sup>2</sup> მ. უოტი მიიჩნევდა, რომ ისლამის მოციქული არ ფლობდა ფუნდამენტურ ცოდნას ქრისტიანული თეოლოგიური საკითხების შესახებ და ისლამის დოგმატური შეხედულება იესოს ბუნების შესახებ, გამომდინარეობდა იმავე ქრისტიანული სექტებიდან, რომლებთანაც ხშირი კონტაქტი ჰქონდა მუჰამადს.<sup>3</sup> ზოგი მკვლევრის აზრით, ადრეული ისლამისა და მუჰამადის რეალური ისტორია და ისლამის ჭეშმარიტი მოძღვრების არსი დაკარგულია და გაჯერებულია შუა საუკუნეების მუსლიმური თეოლოგიური სკოლების წარმოსახვითი ისტორიით.<sup>4</sup> ს. გრიფიტი კი მცდარად მიიჩნევს მკვლევართა მოსაზრებას, რომ მუჰამადს ქრისტიანების მხოლოდ უმნიშვნელო ერესულ დაჯგუფებებთან ჰქონდა ხშირი კონტაქტი, რადგანაც ისინი იმ პერიოდში უკვე აღარ არსებობდა. მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისლამის მოციქულს კონტაქტი ჰქონდა იაკობინელებთან, მელქიტებთან და ნესტორიანელებთან, რომლებიც მუჰამადის დროს ძალიან აქტიურად ავრცელებდნენ თავიანთ მოძღვრებას და, სავარაუდოდ, სწორედ მათ მოიხსენიებს ყურანი „ნაზარეველებად“ ან „ნაზორეველებად“ როგორც ზოგადად ქრისტიანების კრებსითი სახელის აღმნიშვნელ (სირიულ) ტერმინს.<sup>5</sup> ს. გრიფიტი წერს: ყურანში არაერთხელაა ნახსენები ისეთი სახელები, როგორც არის მონასტრები, კელიები, ქრისტიანი ბერ-მონაზვნები, მღვდლები, „ინჯილი“, ისა, მარიამი, ისას მოციქულები (ჰავარიები),<sup>6</sup> სამება, ალაჰის ძე, ანგელოზები, მოყვანილია ქრისტიანული თეოლოგიური პოლემიკის მაგალითები და სხვა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მუჰამადის დროს

<sup>1</sup> Debie, M. "Christians in the Service of the Caliph: Through the Looking Glass of Communal Identities". *Christians and Others in the Umayyad State*, edited by Antonie Borrut and Fred Donne, 54.

<sup>2</sup> Muir, W. *The Life of Mahomet*, from original sources. With an introduction by Ram Swarup, first published in 1861, New Delhi: Voice of India, 2002, 178.

<sup>3</sup> Watt, W.M. *Muhammad at Medina*, 320.

<sup>4</sup> Shoemaker, S. J. "Muhammad and the Qur'an," *The Oxford Handbook of Late Antiquity*. Oxford; New York : Oxford University Press, 2012, 1098-1099.

<sup>5</sup> Griffith, S. H. "Christians and Christianity," 313-314.

<sup>6</sup> ამ ტერმინის შესახებ იხ. ირმა მახარაძე, *ქრისტიანული თემატიკა და მასთან დაკავშირებული ლექსიკა ყურანში*, 108-109.

არაბეთის ნახევარკუნძულზე და, კერძოდ, ჰიჯაზის რეგიონში საკმაოდ არაზედაპირული წარმოდგენა უნდა ჰქონოდათ ქრისტიანობის შესახებ და, როგორც ჩანს, ისლამის ფუძემდებლისა და, ზოგადად, ჰიჯაზელების გარემოცვაში არაერთი ქრისტიანული თემიც ცხოვრობდა, რომელიც საუბრობდა არაბულ ენაზე, ხოლო ყურანი და ისლამი დასაწყისიდანვე დიალოგის რეჟიმში იმყოფებოდა როგორც იუდაიზმთან, ისე ქრისტიანობასთანაც.<sup>1</sup>

როგორც მ. ნანობაშვილი აღნიშნავს: „ს. გრიფიტი მხარს უჭერს იმ მიდგომას, რომლის მიხედვითაც ყურანი აღმოცენდა საზოგადოებაში, სადაც ბიბლია ზეპირი გზით უკვე კარგად იყო ცნობილი არაბულ ენაზე და თვით ყურანში აშკარად შეიცნობა მისი „ბიბლიური ქვეტექსტი“.“<sup>2</sup>

რ. ბელი აღნიშნავდა, რომ მედინაში ისლამის ფუძემდებელს უკეთესი პირობები შეექმნა ქრისტიანული მოძღვრების უკეთ გასაცნობად. ეს აზრი, შესაძლოა, იმით დასტურდებოდეს, რომ ის მოკლე სურები, სადაც ძველი აღთქმიდან მოყვანილ აიებს ვკითხულობთ, უფრო დაწვრილებით არის გადმოცემული მოგვიანებით მედინური პერიოდის სურებსა და აიებში.<sup>3</sup>

ისლამამდელ არაბეთის ნახევარკუნძულზე იმდენად ბევრი ქრისტიანული ერესული მოძღვრება გავრცელდა, რომ ანტიკურ ხანაში ის *Arabia haeresium ferax* ანუ „ერესებით გამოზრდილი არაბეთის“ სახელით გახდა ცნობილი.<sup>4</sup> „ყურანი იცნობს აპოკრიფულ სახარებებს და მასში ქრისტიანული მოძღვრების ვითომდაც ზოგიერთი დამახინჯება სინამდვილეში ასახავს სხვადასხვა იუდეურ-ქრისტიანული სექტის წარმოდგენებს“.<sup>5</sup> მექური პერიოდის გამოცხადებები შეიცავს მთელ რიგ ცალსახად ტრანსფორმირებულ ბიბლიურ სიუჟეტებს. ყურანის პერსონაჟები არიან ნოე (ნუჰი) [3: 33; 4: 163; 6: 84; 7: 59, 69; 9: 70; 10: 71; 11: 25, 32, 36, 42, 45, 46, 48, 49, 89; 12: 102, 109; 14: 9], მოსე (მუსა) [2: 51-52, 54-55, 60-61, 87, 97, 108, 136, 246, 248; 3: 84; 4: 153, 164; 5: 20, 22,

<sup>1</sup> Griffith, S.H. “Christians and Christianity,” 314.

<sup>2</sup> ნანობაშვილი, მ. “Sidney Harrison Griffith, The Bible in Arabic, Princeton University Press, Princeton and Oxford, 2013, 255 pp.” *აღმოსავლეთმცოდნეობა*, # 3, თბილისი, 2014, 374.

<sup>3</sup> Bell, Richard. *The Origin of Islam in its Christian Environment*. The Gunning Lectures Edinburgh University. London: Routledge and Francis Group, 1925, 99.

<sup>4</sup> Irfan Shahid, “Pre-Islamic Arabia.” *The Cambridge History of Islam. Volume 1A. The Central Islamic lands from pre-Islamic Times to the First World War*, Cambridge University Press, the Edinburgh Building, Cambridge, 1977, 13.

<sup>5</sup> ჯაფარიძე, გოჩა. „ისა“, *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*, თბილისი: ნეკერი, 1999, 89-90.

24; 6: 84], მარიამი [ 3: 36-37, 42-45; 4: 171), აბრაამი (იბრაჰიმი) [2: 124-127, 130, 132-133, 135-136, 140, 258, 260; 3: 33, 65, 67-68, 84, 95, 97; 4: 54), ისა (ისჰაკი) [2: 133, 136, 140; 3: 84; 4: 163; 6: 84; 11: 71; 12: 6, 38; 14: 39; 19: 49; 21: 72; 29: 27; 37: 112-113; 38: 45], იაკობი (იაკობი) [2: 132-133, 136, 140; 3: 84; 4: 163; 6: 84; 11: 71; 12: 6, 38, 68; 19: 6, 49; 21: 72; 29: 27; 38: 45], ფარაონი (ფირაენი) [2: 49-50; 3: 11; 7: 103-104, 109, 113, 123, 127, 130, 137, 141; 8: 52, 54; 10: 75, 79, 83, 88, 90; 11: 97) და სხვ. არის მოხსენიება იესოზე, მარიამის ძეზე (ისა იბნ მარიამ) [2: 84, 253; 4:157; 5: 17, 46, 72, 75, 110, 114, 116], რომელთა ნაწილი შეიძლება განხილულ იქნეს მტკიცებულებად, რომ ყურანის ავტორი იცნობდა აპოკრიფულ სახარებებს და იუდეურ-ქრისტიანული სექტების მოძღვრებებს, რომლებიც თავყანს სცემდნენ ქრისტეს, მაგრამ უარყოფდნენ მის ღვთაებრიობას [ყურანი, 4:157, 5:75, 78, 116]. რ. პარეტი შესაძლებლად მიიჩნევს ყურანსა და აპოკრიფულ სახარებებს შორის მკაფიო პარალელების დანახვას.<sup>1</sup>

ბ. ზნამენსკი წერდა: „ყველაფერი, რაც მარიამის ადრეულ წლებს შეეხება, აპოკრიფული ქრისტიანული ლიტერატურის გავლენის კვალს ატარებს, რომელიც, უნდა ვივარაუდოთ, მუჰამადამდე ზეპირსიტყვიერების გზით მივიდა“.<sup>2</sup> ამის გარდა, „ყურანში არის ზოგიერთი აია, რომელიც გმობს როგორც ისას, ასევე მარიამის გაღმერთებას, რაც იძლევა საფუძველს დასკვნისა, რომ ყურანის წარმოდგენით სამება შედგებოდა ღმერთის, ისასა და მარიამისაგან.<sup>3</sup> ამგვარ თვალსაზრისს თავისი საფუძველი აქვს. ეპიფანე კვიპრელი (IVს.) მწვალებლობის შესახებ თხზულებაში მოგვითხრობს კოლირიდიანთა ქალების სექტაზე, რომლის მიმდევრებიც თავყანს სცემდნენ მარიამს, როგორც ღვთაებას. ეს სექტა არაბეთშიც იყო გავრცელებული. ცნობილია აგრეთვე მარიამიტების სექტა, რომლის მიმდევრებიც თავყანს სცემდნენ სამებას, ღმერთის, ქრისტეს და მარიამის შემადგენლობით.<sup>4</sup>

ქა'აბას ტამარში მუჰამადამდე გამოსახული იყო იესოს და მარიამის ბარელიეფი.<sup>5</sup> გადმოცემის მიხედვით, ის 600 წელს ბიზანტიელმა მოხატა. იგი მექაში მას შემდეგ

<sup>1</sup> Paret, R. "The Qur'an – I," *The Cambridge History of Arabic Literature. Arabic Literature to the end of the Umayyad period*. Cambridge: Cambridge University Press, 1983, 208.

<sup>2</sup> ზნამენსკი, ბ. „სახარების პერსონაჟები ყურანში“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის *მაცნე*, ენისა და ლიტერატურის სერია, N2, თბილისი, 1985, 91.

<sup>3</sup> იქვე, 85.

<sup>4</sup> ჯაფარიძე, გ. „მარიამი“, *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*, 127-128.

<sup>5</sup> Shutao Wang. *The Origins of Islam in the Arabian Context*, (Religious Roots of Europe Master's Thesis). University of Bergen, 2016, 7.

აღმოჩნდა, რაც მისი გემი წითელ ზღვაში ჩაიძირა.<sup>1</sup> იბნ ჰიშამის მიხედვით, ქა'აბას სახურავი მექაში მცხოვრებმა ქრისტიანმა კოპტმა ხურომ შეაკეთა.<sup>2</sup> ამის გარდა, სირაში ვკითხულობთ, რომ ქა'აბას შეკეთების პროცესში მექელებმა იპოვეს საშუალო ასირიულზე ჩაწერილი დოკუმენტი, რომელიც გაშიფრა მექაში მცხოვრებმა იუდეველმა.<sup>3</sup>

ვინ იყვნენ ის ადამიანები, ვინც ქრისტიანობას ისლამამდელ არაბეთის ნახევარკუნძულზე ავრცელებდნენ? უპირველეს ყოვლისა, ესენი იყვნენ სირიელი მისიონრები.<sup>4</sup> ისლამამდელი არაბები და თავად ისლამის მოციქული სირიელ და სხვა არამეულ და რეგიონში მცხოვრებ ბერძნულენოვან ქრისტიან ვაჭრებთან ურთიერთობის დროს ეცნობოდა ქრისტიანულ სხვადასხვა სწავლებას.<sup>5</sup>

სირიულ-არამეულ ქრისტიანულ ტრადიციას დიდი გავლენა ჰქონდა ისლამამდელ ეპოქაში არაბეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ არაბ ქრისტიანებზე.<sup>6</sup> სავაჭრო მოგზაურობების დროს მუჰამადი, ისევე როგორც მის დაბადებამდე სხვა ჰიჯაზელი ვაჭრები ხშირად ხვდებოდნენ ქრისტიან ბერებს, რომლებიც სავაჭრო გზების პერიფერიებზე განდევილად ცხოვრობდნენ და მათგანაც გარკვეულ ინფორმაციას იგებდნენ ქრისტიანობის შესახებ.<sup>7</sup> ისინი ჩერდებოდნენ ეკლესიებთან, მონასტრებთან, კელიებთან და ხედავდნენ ქრისტიანი სასულიერო პირების ცხოვრების წესს.<sup>8</sup> შესაძლოა, რომ სირია-პალესტინაში სავაჭრო ქარავნებთან მოგზაურობის დროს შეეტყო ისლამის მოციქულს გადმოცემა შვიდი ეფესელი ყრმის შესახებაც.<sup>9</sup>

---

<sup>1</sup> Большаков, О. Г. “Ал-Ка’ба.” *Ислам. Энциклопедический Словарь*. Г.В. Милославский, Ю.А. Петросян, М.Б. Пиотровский, С.М. Прозоров (ответственный секретарь). Главная редакция восточной литературы, Москва:Наука,1991, 123.

<sup>2</sup> Ибн Хишам. *Жизнеописание Пророка Мухаммада*, 71.

<sup>3</sup> იქვე, 72.

<sup>4</sup> Eried R.Y. “The Syrian impact on Arabic literature.” *Arabic literature to the End of the Umayyad period*. Edited by A.F.L. Beeston, T.M. Johnstone, R.B. Serjeant. Cambridge: Cambridge University Press, 1983, 499.

<sup>5</sup> Serjeant, R.B. “Early Arabic Prose.” *Arabic Literature to the End of the Umayyad period*, 1983, 115; Shutao Wang. *The origins of Islam in the Arabian Context*, 57.

<sup>6</sup> Griffith, S.H. “Christian Lore and the Arabic Qur’an: The “Companions of the Cave” in Surat al-Kahf and in Syriac Christian Tradition,” 131.

<sup>7</sup> Crone, P. “Quraysh and the Roman Army. Making sence of the Meccan leather trade,” 77-78; Griffith, S.H. “Monasticism and Monks.” *Encyclopedia of the Qur’an*, 405-407; Bradford, B.C. *Muhammad’s Jesus, (Sources of Monk-Arab Interaction)*, 49-58.

<sup>8</sup> Уотт, У.М. *Мухаммад в Мекке*, 47.

<sup>9</sup> Пиотровский, М.Б. “Асхаб ал-Кахф,” *Ислам. Энциклопедический Словарь*, 24.

შვიდი ეფესელი ყრმის შესახებ. იხ.: ნანობაშვილი, მ. „შვიდი ეფესელი ყრმის წამების“ *ქართული ვერსიები*. დისერტაცია წარდგენილი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1999.

მე-8 საუკუნის ცნობილი მონოფიზიტი მიხეილ სირიელი წერდა: „მუჰამადი, ახალგაზრობისას, იასრიბიდან პალესტინაში ყიდვა-გაყიდვის მიზნით ხშირად დადიოდა. სანამ იმ ქვეყნის მიწაზე იყო, მან იხილა ერთი ღმერთის რწმენა და ეს მას მოეწონა. როდესაც სამშობლოში დაბრუნდა, ერთი ღმერთის შესახებ თანატომელებს უამბო და რამდენიმე ადამიანი გადაიბირა, რომლებიც გახდნენ მისი თანამოაზრეები. მუჰამადი არწმუნებდა ხალხს, რომ სირია-პალესტინელების სიძლიერის მიზეზი ერთი ღმერთის რწმენა იყო, რის გამოც ისინი ღმერთმა ნაყოფიერი მიწებით დააჯილდოვა. მუჰამადმა უთხრა თანატომელებს, რომ თუ ისინი მას გაჰყვებოდნენ, მიატოვებდნენ თავიანთ ღმერთებს და მხოლოდ ერთ ღმერთს იწამებდნენ, მათაც ექნებოდათ კარგი მიწები, სადაც რძე და თაფლი მიედინებოდა. ამის შემდეგ, მალევე, მათ შეტევები დაიწყეს პალესტინაზე“.<sup>1</sup>

ისლამის წარმოშობამდე ქრისტიანები ცხოვრობდნენ არაბეთის ნახევარკუნძულის მიმდებარე ტერიტორიაზე (სირია-პალესტინა, სირიის უდაბნო, სამხრეთ ერაყი, სამხრეთ არაბეთი, წითელი ზღვის სანაპირო რაიონები, ეთიოპია). შედარებით მწირი ცნობები გვაქვს ისლამის პირველ საუკუნეში ქრისტიანების შესახებ ქინდას სამეფოში, ნაჯრანის რაიონში და ჰიჯაზშიც, მათ შორის მექასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. მექელი წარმართი ვაჭრები, რომლებიც ხშირად ჩადიოდნენ იასრიბში (მედინაში) სავაჭროდ, შ. ვანგის აზრით, არ ფლობდნენ სიღრმისეულ თეოლოგიურ ცოდნას ორთოდოქსული ქრისტიანობის შესახებ.<sup>2</sup> ამის საპირისპიროდ, მათ საკმაოდ კარგი წარმოდგენა უნდა ჰქონოდათ სხვადასხვა გნოსტიკურ და მწვალებლური ტიპის ქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებზე, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, მაგრამ ძლიერად ზემოქმედებდნენ როგორც ისლამის ფუძემდებლის, ასევე მისი თანამედროვე მექელების რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებზე იესოსა და მარიამის შესახებ.<sup>3</sup>

„მუჰამადს უყვარდა საუბარი რელიგიურ თემებზე ქრისტიანებთან და იუდეველებთან და ამ გზით მიიღო ძალზე ზოგადი ცნობები მათ სარწმუნოებაზე. თავდაპირველად, მას არ ჰქონდა ნათლად წარმოდგენილი განსხვავება იუდაიზმსა და

<sup>1</sup> *Chronique de Michel de Syrien, patriarche jacobite d'Antioche (1166-1199)*, éditée pour la première fois et traduite en français par J.-B. Chabot, II, Paris: E. Leroux, 1901, 405.

<sup>2</sup> Shutao Wang. *The Origins of Islam in the Arabian Context*, 55.

<sup>3</sup> Беляев, Е.А. *Арабы, Ислам и Арабский Халифат в Раннее Средневековье*, Москва:Наука,1966, 101.

ქრისტიანობას შორის. მუჰამადისთვის მთავარი ჩანდა ამ რელიგიების მონოთეისტური იდეა და წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ მათი მიმდევრები ზემთაგონებებს ღმერთისგან, მოციქულთა მეშვეობით იღებდნენ“.<sup>1</sup>

ახალგაზრდა მუჰამადი არაბეთის ნახევარკუნძულს ფარგლებს გარეთ ქრისტიანობას პირველად თანამედროვე იორდანიაში სავაჭრო მოგზაურობის დროს უნდა გაცნობოდა. იორდანია-სირიაშივე უნდა ენახა მას პირველად ეკლესიები, ზარები, ხატები და ქრისტიანული სხვა სიმბოლოები.<sup>2</sup> თუმცა, მანამდე მექაშიც, როგორც ჩანს, უკვე ცხოვრობდნენ ქრისტიანები (ეთიოპელები და არაბები), რომლებიც როგორც ჩანს, მუჰამადის ქადაგებების მსმენელთა არც თუ უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენდნენ. ჯ. მოროუს აზრით, ისლამის მოციქული სხვა ვაჭრებთან და ქარავნების თანხლებით განსაკუთრებით ბევრს მოგზაურობდა თანამედროვე სირიაში ზაფხულობით და იემენში - ზამთრის განმავლობაში, ასევე სტუმრობდა ბასრასა და ბაჰრეინს, ‘აკაბასა და სინას ნახევარკუნძულს. ის შესაძლებლად მიიჩნევს მუჰამადის სავაჭრო მოგზაურობებს ალექსანდრიასა და ეთიოპიაში, ისევე როგორც ომანში, სადაც იკრიბებოდნენ ვაჭრები და სხვა პროფესიის ადამიანები ჩინეთიდან, ინდოეთიდან, სპარსეთიდან და მსოფლიოს სხვა მხარეებიდანაც. შესაბამისად, ამ მოგზაურობების დროს მუჰამადს შესაძლებლობა ჰქონდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიეღო ქრისტიანობის შესახებ.<sup>3</sup>

სირიელების გარდა, აღსანიშნავია ე.წ. იუდეურ-ქრისტიანული ტრადიციის როლიც. სწორედ იუდეურ-ქრისტიანულმა და სირიულმა ტრადიციამ გააცნეს მომთაბარე და ნახევრად-მომთაბარე არაბებს და მათ შორის მუჰამადს ელინური ფილოსოფია და კულტურა.<sup>4</sup> ისლამამდე სირია-პალესტინის, ერაყისა და სინას ნახევარკუნძულის ტერიტორიებზე სავაჭრო ოპერაციების დროს არაბები ელინური კულტურისა და ფილოსოფიის მიღწევებსაც ეცნობოდნენ, ისევე როგორც დევნილ ქრისტიანებს და მათ რწმენა-წარმოდგენებს და შემდეგ ამ ცოდნას არაბეთის ნახევარკუნძულის მკვიდრთა შორის ავრცელებდნენ.<sup>5</sup>

<sup>1</sup> ჯაფარიძე, გ. „მუჰამადი“, *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*, 143.

<sup>2</sup> Muir, M. *The Life of Mahomet*, 11.

<sup>3</sup> Morrow, J.A. *The Covenants of the Prophet Muhammad with the Christians of the World*, 7-8.

<sup>4</sup> Goodman, L.E. “The Greek Impact on Arabian Literature.” *Arabic Literature to the End of the Umayyad Period*, Cambridge: Cambridge University Press, 1983, 462-463.

<sup>5</sup> Резван, Е.А. *Введение в Коранистику*, 41-42.



ისლამამდელ არაბებს ქრისტიანულ სამყაროსთან კონტაქტი ჰქონდათ როგორც ბერძნულ, ასევე არამეულ ენაზე მოსაუბრე ხალხების (ძირითადად სირიელების და, როგორც ჩანს, სირიულად) მეშვეობით, რომლებიც სინას ნახევარკუნძულზე, სირია-პალესტინასა და ერაყში ცხოვრობდნენ.<sup>1</sup> თუმცა, როგორც ს. გრიფიტი მიიჩნევს, მუჰამადამდე და მის დროს არაბ ქრისტიანებს ასევე უნდა ჰქონოდათ ზეპირსიტყვიერი (და არა წერილობითი) ქრისტიანული კულტურა არაბულ ენაზე.<sup>2</sup> ისლამამდელ პერიოდში სირიელი მისიონრები ინტენსიურად ავრცელებდნენ არაბებს შორის ქრისტიანობას.<sup>3</sup> თუკი ისლამამდელი პერიოდის არაბები კითხულობდნენ ახალ აღთქმას, ერთადერთი სემიტური ენა, რომელზეც V-VII საუკუნეებში ბიბლიის კითხვა იყო შესაძლებელი, ეს სირიული ენა და დამწერლობა იყო.<sup>4</sup> ყურანის კითხვისას უამრავ სირიულ-არამეულ სიტყვას და სახელს ვხვდავთ.<sup>5</sup> ამ სიტყვების ჰიჯაზის რეგიონში მოხვედრა კი მუჰამადამდე ხდებოდა სწორედ სავაჭრო კონტაქტების მეშვეობით. „ებრაელი, სირიელი და ბერძენი ხალხების მეშვეობით არაერთი ებრაული, სირიული და ბერძნული ესქატოლოგიური გადმოცემა, სიტყვა და სახელი მოხვდა არაბეთის ნახევარკუნძულის სემიტურ ეთნოკულტურულ და ლინგვისტურ არეალში და საბოლოოდ, არაბიზირდა“.<sup>6</sup> ისლამის მომდგრებას ახასიათებს იმ იდეების გამოყენება, რომლებიც საერთო იყო მუჰამადის ხანის იემენელი და სირიელი ქრისტიანებისთვის და იუდეური წრეებისათვის. მუჰამადი მათ „არაბიზირებულ“ და თავისებურ, სპეციფიკურ ფორმასა და არსს აძლევდა.<sup>7</sup> ამასთანავე, როგორც ჩანს, სიტყვები, ცნებები და სახელები, რომლებსაც მუჰამადი ზემოხსენებული ენებიდან და რელიგიებიდან სესხულობდა - მექის განათლებული წრეებისათვის კარგად ნაცნობი იყო.<sup>8</sup>

ყურანში ასახული უნდა ყოფილიყო ის შთაბეჭდილებებიც, რასაც ალაჰის მოციქული ქრისტიანებთან შეხვედრებისას იღებდა. იბნ ჰიმამის თანახმად, 12 წლის

---

<sup>1</sup> Griffith, S.H. “Christians and Christianity,” 308; Healey, J. F. “Between Rome and Arabia: the Aramaic Interface.” *Arabia, Greece and Byzantium. Cultural Contacts in Ancient and Medieval Times*. Vol 2, Riyadh: King Saud University, 2012, 39.

<sup>2</sup> Griffith, S.H. “Christians and Christianity,” 315.

<sup>3</sup> Eried, R.Y. “The Syrian impact on Arabic literature,” 499; Crone, P. “Meccan Trade and the Rise of Islam,” 45.

<sup>4</sup> Healey, J.F. “Between Rome and Arabia: the Aramaic Interface,” 40.

<sup>5</sup> Luxenberg, Christoph. *The Syro-Aramaic Reading of the Koran*. Berlin: Verlag Hans Schiler, 2007.

<sup>6</sup> Bell, R. *The Origin of Islam in its Christian Environment*, 110.

<sup>7</sup> Пиотровский, М.Б. “ал-Ислам.” *Ислам. Энциклопедический Словарь*, 103.

<sup>8</sup> Уотт, У.М.. *Мухаммад в Мекке*, 115.

მუჰამადი თავის ბიძასთან - აბუ ტალიბთან ერთად სავაჭრო მოგზაურობის დროს, ბოსრასთან ახლოს, შეხვდა ქრისტიან ბერს – ბაჰირას, რომელსაც არაბულ წყაროებში ეწოდება აგრეთვე ნასტური (ნესტორი) და სარჯი (სერგიუსი). მან ღრუბლების, მზისა და ხის ტოტების მოძრაობით ამოიგნო მუჰამადში მომავალი მოციქული, ყურანის რამდენიმე სურაც ასწავლა და ქარავნის სხვა წევრებს ურჩია მისი გაფრთხილება და დაცვა.<sup>1</sup>

ჰ. გოდარდის აზრით, ეს ესქატოლოგიური ლეგენდა სირიელმა ქრისტიანებმა განზრახ შეთხზეს მუსლიმებთან კონფლიქტის არიდების მიზნით. მათი მიზანი იყო კეთილგანწყობა მოეპოვებინათ დამპყრობელი მუსლიმების თვალში.<sup>2</sup> ეს იყო პოლიტიკური და იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული გადმოცემა, რომელიც შუა საუკუნეებში გავრცელდა ქრისტიანებს შორის და გარკვეული დამაჯერებლობა შეჰმატა მუჰამადის სამოციქულო მისიას.<sup>3</sup>

ბ. როჯემას მოჰყავს ამ ლეგენდის როგორც აღმოსავლურ-სირიული, ასევე დასავლურ-სირიული ვარიანტები და აღნიშნავს, რომ ეს ფსევდო-ისტორიული ლეგენდა შექმნილი უნდა ყოფილიყო 'აბასიანთა პერიოდში (750-1258) როგორც პოლიტიკურ-პროპაგანდისტული ხერხი, რომლის საშუალებითაც 'აბასიანებმა მოახდინეს საკუთარი თავის ლეგიტიმაცია ქრისტიანული მოსახლეობის თვალში.<sup>4</sup> თუმცა, მკვლევარი ამავდროულად მიიჩნევს, რომ მისი ტექსტი მუჰამადის ბიოგრაფიის (*სირა*) საფუძველზე უნდა ყოფილიყო გადაწერილი.<sup>5</sup> ეს ლეგენდა მე-10 საუკუნეში უნდა ყოფილიყო შექმნილი, რასაც ადასტურებს დასავლურ სირიულ ვარიანტში მოხსენიება „ფატიმას ძეთა“, რომლებიც „არ ეთანხმებიან ჰაშიმის ძეთა“,<sup>6</sup> რაც ფატიმიანთა სახალიფოს დაარსების იმ ხანად უკვე შემდგარ ფაქტზე მეტყველებს. ყურადღებას იქცევს ლეგენდაში თურქების პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენაც,<sup>7</sup> რაც აგრეთვე იმ პერიოდში დაწყებული პროცესი იყო. ამას გარდა, ამ ლეგენდაში არის

---

<sup>1</sup> Sprenger, A. *The Life of Mohammad: from Original Sources*. Allahabad: Presbyterian Mission Press, 1851, 145; Godhard, H. *A History of Christian - Muslim Relations*, New York: New Amsterdam Books, 2001, 20; Sprenger, A. *The Life of Mohammad*, 79.

<sup>2</sup> Godhard, H. *A History of Christian -Muslim Relations*, 23.

<sup>3</sup> Пиотровский М. Б. "Бахира." *Ислам. Энциклопедический Словарь*, 39.

<sup>4</sup> Roggema, B. *The Legend of Sergius Bahira*, 323.

<sup>5</sup> იქვე, 54.

<sup>6</sup> იქვე, 363.

<sup>7</sup> იქვე, 369.

მუჰამადისა და ბაჰირას დიალოგიც, სადაც მუჰამადი ბაჰირას ეკითხება ქრისტეს ბუნების შესახებ.<sup>1</sup> ამ დიალოგში აისახა ის პოლემიკაც, რომელიც აქტიურად და დაუფარავად მიმდინარეობდა მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის ქრისტეს ბუნების შესახებ 'აბასიანთა სახალიფოში'.<sup>2</sup>

ანტიკურ ხანაში სპარსეთის ყურის რეგიონი თითქმის მთლიანად გაქრისტიანებული იყო,<sup>3</sup> მეტწილად ნესტორიანელი მისიონრების და ვაჭრების ძალისხმევით, რომლებსაც სასანური ირანი მფარველობდა. VI საუკუნისთვის ნესტორიანელობამ ისეთი მაშტაბებით მოიკიდა ფეხი არაბეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ რეგიონებში, რომ არ დარჩენილა თითქმის არცერთი დასახლება, სადაც არ მოქმედებდა ნესტორიანული ეკლესია.<sup>4</sup> ამას კი გასულ ათწლეულებში ქუვეითში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, საუდის არაბეთის აღმოსავლეთ რეგიონებსა და კატარში არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი არაერთი ნესტორიანული ეკლესია ადასტურებს, რომელთა უმრავლესობაც VI ს-ით თარიღდება. ამათ შორისაა: მე-4 საუკუნით დათარიღებული ჯუბაილის ეკლესია საუდის არაბეთში; ასევე 600 წ. დათარიღებული ნესტორიანული მონასტერი, რომელიც არაბთა გაერთიანებული საამიროების შემადგენლობაში შემავალ სირ ბანი იასის კუნძულზე მდებარეობს. ასევე აღსანიშნავია არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, კუნძულ მარავაზე აღმოჩენილი ნესტორიანული ეკლესია და ქუვეითის კუნძულებზე - ფაილაკასა და აკაზზე აღმოჩენილი ეკლესიები.<sup>5</sup>

ნესტორიანელობა და ქრისტიანული მონოფიზიტური მიმდინარეობა მუჰამადის ხანაში ასევე იყო გავრცელებული სასანიანთა ირანის შიდა რეგიონებშიც. ცნობილია, რომ ზოგიერთი შაჰინშაჰის ოჯახის წევრები და დაახლოებული პირები ქრისტიანები იყვნენ. ბიზანტია წარმატების მისაღწევად იყენებდა რელიგიური ექსპანსიის სტრატეგიას, რაც გულისხმობდა ქრისტიანობის, როგორც იდეოლოგიური და

---

<sup>1</sup> იქვე, 343, 345, 347.

<sup>2</sup> იქვე, 64-65, 271, 273, 275, 277.

<sup>3</sup> Crone, P. "Meccan Trade and the Rise of Islam," 46-47.

<sup>4</sup> Shutao Wang. *The Origins of Islam in the Arabian Context*, 7; Lecker, M. "Pre-Islamic Arabia," 161.

<sup>5</sup> Elders, J. "The lost churches of the Arabian Gulf: recent discoveries on the island of Sir Bani Yas and Marawah," *Proceedings of the Seminar for Arabian Studies*, vol. 31, Abu Dhabi Emirate, United Arab Emirates, 2001, 47-57; Carter, R.A. "Christianity in the Gulf during the first centuries of Islam," *Arabian Archaeology and epigraphy*, 19, 2008, 71-108; Hoyland, R. *Arabia and the Arabs. From the Bronze Age to the coming of Islam*, London: Routledge, 2001, 30-32.

პოლიტიკური იარაღის გავრცელებას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის ირანში, რომლის მთლიანად გაქრისტიანება, როგორც ჩანს, შედიოდა კონსტანტინოპოლის გეგმებში.<sup>1</sup>

არაბეთის ნახევარკუნძული მუჰამადის დროს გარშემორტყმული იყო ქრისტიანული სახელმწიფოებით და, რაც მთავარია, თავად ამ რეგიონში ცხოვრობდა სხვადასხვა მიმდინარეობის არაერთი ქრისტიანული დაჯგუფება, როგორებიც იყვნენ არიანელები, ნესტორიანელები, დოკეტები, კოლერიდიელები და ე.წ. იუდეურ-ქრისტიანული სექტები, მათ შორის ჰანიფები,<sup>2</sup> ელკასაიტები, განსაკუთრებით ებიონიტები და მანიქეველები, რომლებიც ათწლეულების მანძილზე დიდ გავლენას ახდენდნენ ისლამამდელ არაბებსა და მუჰამადზე<sup>3</sup> და მყარ ნიადაგს უმზადებდნენ რელიგიურ რეფორმას არაბეთის ნახევარკუნძულზე, რომელიც მკვიდრ და ბედუინ არაბებს ერთი ღმერთის იდეის ირგვლივ გააერთიანებდა.<sup>4</sup>

ისლამის ფუძემდებლის პერიოდში არაბეთის ნახევარკუნძულზე ქრისტიანული სხვადასხვა რელიგიურ დაჯგუფებათა ქადაგებები, შესაძლოა, ვრცელდებოდა ზეპირი გადმოცემების სახით.<sup>5</sup> ანტიკურ ხანაში ადამიანების უმრავლესობამ არ იცოდა წერა-კითხვა და ბევრ კულტურას ჯერ არ ჰქონდა დამწერლობა. შესაბამისად, ისინი ინფორმაციას ზეპირად იმახსოვრებდნენ.<sup>6</sup> არაერთი მკვლევრის აზრით, ისლამის მოციქულიც რელიგიური სახის ინფორმაციას იმახსოვრებდა და თავის გამოცხადებებში გადმოსცემდა იმ წარმოდგენებს ქრისტეს და მარიამის შესახებ, რაც ე.წ. ერეტიკოს ქრისტიანებს გააჩნდათ.<sup>7</sup> ბ. ზნამენსკის აზრით, სწორედ ამით არის

---

<sup>1</sup> Joan Zouberi. "The role of religion in the foreign affairs of Sassanian Iran and the later Roman Empire (330-630 A.D.)," *Historia I swiat*, 6, 2017, 121.

<sup>2</sup> ჰანიფების შესახებ: Francois de Blois. "Nasrani and Hanif." *Studies on the religious vocabulary of Christianity and of Islam*, 49-71. Shutao Wang. *The Origins of Islam in the Arabian Context*, 41-49 და ასევე Rubin Ury. "Hanifiyya and Ka'ba. An Inquiry into the Arabian pre-Islamic Background of Din Ibrahim", *Jerusalem Studies in Arabic and Islam*, 13, 1990, 86-99.

<sup>3</sup> Brown, N. *The Judeo Christian Presbyter of Makah and Madinah*, New York: Nick Brown, 2011.

<sup>4</sup> Остроумов, Н.П. *Аравия и Коран, (Происхождение и Характер Ислама)*, Казань: Типолитогр. Имп. ун-та, 1899, 199.

<sup>5</sup> ჯავარიძე, გ. „ყურანი“, *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*, 202.

<sup>6</sup> Bradford, B.C. *Muhammad's Jesus, Qur'an Parallels with non-Biblical Texts*, 2015, 47; Serjeant, R.B. "Early Arabic prose (The writing of documents in the pre-Islamic age)," 115; Большаков, О. Г. *История Халифата*. Т 1, *Ислам в Аравии*, 36.

<sup>7</sup> Noldeke, T. *The History of the Quran*, Volume 8. Leiden – Boston: Brill, 2013, 6; Serjeant, R.B. "Early Arabic Prose," 115; Остроумов, Н.П. *Аравия, Колыбель Ислама*, Ташкент: Тип. при канц. Турк. Г. Губернатора, 1910, 245; Bowering, G. *Recent Research on the Construction of the Qur'an. The Qur'an in the Historical Context*. Edited by Gabriel Said Reynolds. London: Routledge, 70-87.

განპირობებული მცირე უზუსტობანი, რასაც მუჰამადი უშვებდა ქრისტიანული თქმულებების გადმოცემისას.<sup>1</sup>

არაერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მუჰამადს არც ბიბლია ჰქონდა წაკითხული და არც ახალი აღთქმა,<sup>2</sup> რადგანაც არ იცოდა წერა-კითხვა და ამიტომაც, საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა უნდა ჰქონოდა ბიბლიისა და ახალი აღთქმის შესახებ.<sup>3</sup> ძირითადი არგუმენტი იყო ის, რომ ყურანის 7:156/157,158 აიებში მუჰამადთან დაკავშირებით გამოყენებულია ზედსართავი სახელი - *უმმი*. ამ სიტყვას თარგმნიდნენ როგორც „უწიგნურს“, 2:73/78 აიაზე [„მათში არიან უმეცარნი /უმმიუნ/, რომელთაც წიგნისა არა გაეგებათ რა...“] დაყრდნობით. მკვლევართა აზრით, 7:156/157, 158 აიებში მოხსენიებული *ან-ნაბი ალ-უმმი* ნიშნავს არაიუდეველ, ადგილობრივ წინასწარმეტყველს, რომელიც გამოეგზავნა არაბებს.<sup>4</sup> არაერთი მკვლევარი ასევე ასაბუთებს, რომ ისლამამდელი არაბეთის ნახევარკუნძული იყო არაერთი დამწერლობის მქონე ცივილიზაცია. რეგიონში მკვიდრი ბედუინები და მიწათმოქმედები კლდეებზე და ქვებზე ჯერ კიდევ ისლამამდელ ხანაში წერდნენ, რაც არქეოლოგიური მასალებით დასტურდება.<sup>5</sup> მუჰამადის ბიოგრაფიაშიც ვკითხულობთ, რომ ისლამამდელ ხანაში ჰიმარის ერთ-ერთმა მმართველმა მოინდომა მექაში გავრცელებული აბრაამის რელიგიის დამკვიდრება, მაგრამ მას შეეწინააღმდეგნენ იუდეველი რაბინები, რომლებსაც „კისრებზე თავიანთი წმინდა წიგნები ეკიდათ“.<sup>6</sup>

მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ალაჰის მოციქულს შეუძლებელია არ სცოდნოდა წერა-კითხვა, რადგან მისი ინიციატივით რამდენიმე იუდეურ და ქრისტიან ტომთან გაფორმდა წერილობითი დოკუმენტები, რომელთაგანაც ყველაზე ცნობილი იყო ნაჯრანის, დუმათ ალ-ჯანდალის, ბაჰრეინისა და ეილათის სიგელები და ე.წ. „მედინის კონსტიტუცია“.<sup>7</sup> ატ-ტაბარი პირდაპირ მიგვითითებს ფაქტზე, რომ ისლამის ფუძემდებელი „წერდა დოკუმენტს“.<sup>8</sup> რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ მას

<sup>1</sup> ზნამენსკი, ბ. *სახარების პერსონაჟები ყურანში*, 86-87.

<sup>2</sup> Большаков, О.Г. *История Халифата*, Т 1, *Ислам в Аравии*, 78.

<sup>3</sup> Фрилинг, Р. *Христианство и Ислам, Духовные борения человечества на пути к самопознанию*. Пер. с нем, „Энигма“, 1997, 44. ლობჯანიძე, გ. „ყურანისა და სახარების ერთი მნიშვნელოვანი პარალელი“, 39.

<sup>4</sup> Белл Р., Уотт Монтгомери У. *Коранистика: введение*, СПб.: Диля, 2005, 47.

<sup>5</sup> Serjeant, R.B. „Early Arabic Prose,“ 114-154; Beeton, A.F.L. „Background Topics.“ (The Arabic Book), 22-27.

<sup>6</sup> Ibn Kathir. *The Life of the Prophet Muhammad, Al-Sira al-Nabawiyya*, 15.

<sup>7</sup> Serjeant, R.B. „Early Arabic Prose,“ 114-154; Beeton, A.F.L. „Background Topics.“ (The Arabic Book), 22-27.

<sup>8</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 1547; *The History of al-Tabari*. Volume VIII. *The Victory of Islam*.

აუცილებლად წაკითხული უნდა ჰქონოდა ბიბლია და ახალი აღთქმა, რადგანაც ბიბლიისა და ახალი აღთქმის თარგმანები არაბულ ენაზე მუჰამადის დროს არ არსებობდა. თუმცა, გ. ლობჯანიძე წერს, რომ მუჰამადს შესაძლოა წაკითხული ჰქონოდა სახარებაც. საქმე ის არის, რომ ერთ-ერთ აიაში გვხვდება მთელი წინადადება, რომელიც იესოს სიტყვებს იმეორებს. სურა 7:40-ში ვკითხულობთ: „ჭეშმარიტად, რომელთაც ცრუდ მიიჩნიეს ჩვენი აიები და ქედმაღლობდნენ მათ მიმართ, არ გაეხსნებათ ზეცის კარები და სამოთხეში ვერ შევლენ, ვიდრე აქლემი არ გაძვრეს ნემსის ყუნწში“. ეს აია ახალი აღთქმიდან არის და სიტყვასიტყვით იმეორებს მას.<sup>1</sup> ცნობილია, რომ სახარებაში გაპარული შეცდომა „აქლემის ნემსის ყუნწში გავლის“ შესახებ, სიტყვა-სიტყვითაა გამეორებული ყურანშიც, რაც შესაძლოა იმაზე მეტყველებდეს, რომ მუჰამადს წაკითხული ჰქონდა სახარებაც.<sup>2</sup>

მექელი ვაჭრებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო სავაჭრო ოპერაციების აღრიცხვისთვის დავთრებისა და მცირე დოკუმენტების ჩაწერა-დაფიქსირება, რასაც ნახევარკუნძულზე გავრცელებული ცხოველების ტყავზე აკეთებდნენ. ამ ტყავებს სპეციალური ტექნიკით თბილ წყალში ამუშავებდნენ, დიდხანს ალბობდნენ და ინახავდნენ ბუნებრივ წითელ საღებავებში, ხოლო გამრობის შემდეგ წერდნენ მათზე.<sup>3</sup>

მუჰამადის ქადაგებებსა და ყურანის პირველ ჩანაწერებში ეტაპობრივად იკვეთებოდა იუდეურ-ქრისტიანული წრეების ტრადიციები და რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებები.<sup>4</sup> აქედან გამომდინარე, პ. ჰოლტი ფიქრობდა, რომ ისლამი ეს არის იუდეურ-ქრისტიანული ტრადიციისა და ძველი და ახალი აღთქმის სწავლების ლოგიკური გაგრძელება.<sup>5</sup>

ა. შედი აღნიშნავდა, რომ მუჰამადი არა მხოლოდ ფლობდა ინფორმაციას ქრისტიანობის შესახებ, არამედ ის საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებში და

---

Bibliotheca Persia. Edited by Ehsan Yar-Shater. Translated by Michael Fishbein. New York: State University of New York Press, 1997, 86.

<sup>1</sup> ლუკას სახარება 18:25.

<sup>2</sup> ყურანი, გ. ლობჯანიძის თარგმანი, განმარტებები, 535-536.

<sup>3</sup> Serjeant, R.B. "Early Arabic Prose," 114-154; Beetsen, A.F.L. "Background Topics," 22-27; М.Б. Пиотровский. *Южная Аравия в раннем средневековье*, 139.

<sup>4</sup> Serjeant, R.B. "Early Arabic Prose," 114-154; Beetsen, A.F.L. "Background Topics," 22-27; М.Б. Пиотровский. *Южная Аравия в раннем средневековье*, 83.

<sup>5</sup> Watt, M. "Muhammad," *The Cambridge History of Islam*, volume 1A, The Central Islamic Lands from Pre-Islamic Times to the First World War. Cambridge: Cambridge University Press, 1977, chapter 2, 32- 33.

ბიზანტია-ირანს შორის გეოპოლიტიკურ და სამხედრო დაპირისპირებაშიც იყო გათვითცნობიერებული.<sup>1</sup>

ყურანის ცალკეული აიების თანახმად, მუჰამადმა იცოდა, რომ ბიზანტიის იმპერიაში ქრისტიანობა დომინირებდა,<sup>2</sup> ხოლო 614 წელს ბიზანტიელთა დამარცხება სპარსელებთან აისახა ყურანის 30-ე სურაში „რომაელნი“ [30:1, 4/5]. რ. ბელის აზრით, ყურანის ამ აიას მიხედვითაც ნათელი ხდება, რომ ორი დიდი იმპერიის სამხედრო დაპირისპირებაში მუჰამადის სიმპატია ბიზანტიელების მხარეს იყო.<sup>3</sup> ე. რეზვანი კი აღნიშნავს, რომ ბიზანტიელების სახით მუჰამადი მექელების ბუნებრივ მოკავშირეებს ხედავდა.<sup>4</sup> ‘აბდ არ-რაჰმან იბნ ‘აბდ ალ-ჰაქამთან ვკითხულობთ: „და ბიზანტიელებმა (რუმელებმა) სპარსელებზე 7 წლის შემდეგ გაიმარჯვეს. ალაჰმა ბიზანტიელებს სპარსელებზე გამარჯვება მიანიჭა ალ-ჰუდაიბიას დროს. და გაიხარეს მუსლიმებმა იმის გამო, რომ ალაჰი „წიგნის ხალხს“ (ე.ი. *ბიზანტიელებს*) დაეხმარა“.<sup>5</sup> ითვლება, რომ მუჰამადის ქადაგებათა შემდგომი წარმატებები არაბეთის ნახევარკუნძულზე გარკვეულწილად განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ 628 წელს სასანიანთა ირანის პოზიციების დასუსტების შემდეგ, სპარსელების მრავალმა მომხრემ უშუალოდ არაბეთის ნახევარკუნძულზე მიმართა მუჰამადს მხარდაჭერისათვის და მიიღო ისლამი.<sup>6</sup>

მუჰამადის ეპოქაში არაბებს უყვარდათ ძველი ისტორიებისა და ლეგენდების მოსმენა. ალაჰის მოციქულიც არ იყო გამონაკლისი და ხშირად უსმენდა არაბულ ხალხურ პოეზიასა და თხზულებებს.<sup>7</sup> ყურანში ქრისტიანული და იუდეური რელიგიური სახის ნაშრომები კარგად იყო ცნობილი ისლამამდელი და მუჰამადის პერიოდის ზოგიერთი არაბისთვის. ამ ცოდნას არაბული ფოლკლორი და იუდეური ტრადიცია ინახავდა.<sup>8</sup> ამის გამოძახილი უნდა იყოს ყურანის 83:13 აია, რომლის თანახმადაც მუჰამადს აბრალებდნენ ძველი, წინაპართა ამბების ხელახლა შეთხზვას.

---

<sup>1</sup> Shedd, W.A. *Islam and the Oriental Churches. Their Historical Relations*, Gorgias Press, 2004, 23.

<sup>2</sup> Пиотровский М.Б. *Коранические Сказания*, 91, 137.

<sup>3</sup> Bell, R. *The Origin of Islam in its Christian Environment*, 138; Sir William Muir. *The life of Mohammad*, 122.

<sup>4</sup> Резван, Е.А. *Введение в Коранистику*, 56.

<sup>5</sup> Абд ар-Рахман ибн Абд ал-Хакам. *Завоевание Египта, ал-Магриба и ал-Андалуса*, 54.

<sup>6</sup> Белл Р., Уотт Монтгомери У. *Коранистика: введение*, 10-11.

<sup>7</sup> Sprenger, A. *The Life of Mohammad*, 94.

<sup>8</sup> Norris, H.T. “Qisas elements in the Qur’an,” *The Cambridge History of Arabic Literature*, Arabic Literature to the End of the Umayyad Period, 246-247.

ასევე მექელები მას აბრალებდნენ უცხოელ პირთან აქტიურ კონტაქტს და მისგან რელიგიური ფორმულების სწავლას, ანუ არაორიგინალურობას, ცრუ-მოციქულობას:<sup>1</sup> „ვიცით, რასაც ამბობენ - მას ერთი ადამიანი ასწავლისო. ენა მისი, ვისზეც ისინი არასწორად მიუთითებენ, უცხოურია (‘აჯამ). ხოლო ესაა მკაფიო არაბული“[ყურანი, 16:105/103]. დღეს მკვლევართა წრეებში ეჭვს არ იწვევს, რომ რეალურად არსებობდა მინიმუმ ერთი ადამიანი, რომელიც მუჰამადს მონოთეისტურ იდეებს აცნობდა და ალბათ სხვა რელიგიების შესახებაც გარკვეულ ინფორმაციას აწვდიდა.<sup>2</sup> მუჰამადის კონტრარგუმენტი იმის თაობაზე, რომ მისი ნარატივი მკაფიო არაბულ ენაზეა ფორმულირებული და განსხვავდებოდა უცხოელ(ებ)ის მსხვრეული არაბულისაგან, რაც მისი ქადაგებების ღვთაებრივ წარმომავლობაზე მიუთითებს, - საკმაოდ სუსტად გამოიყურება და უფრო მეტად ამყარებს მექელების ეჭვს.<sup>3</sup> ერთ-ერთი ვერსიით, ეს უცხოელი იყო სოჰაიბი, რომელიც დაიბადა და გაიზარდა ქალაქ მოსულში (ერაყი), რომელიც 225 წლიდან სასანიანთა ირანს ექვემდებარებოდა. სიტყვა ‘აჯამ კი, უცხოელის გარდა, სპარსელსაც ნიშნავს.<sup>4</sup>

მუჰამადის ბიოგრაფიაში აგრეთვე ვკითხულობთ ისფაჰანელი ზოროასტრელი სალმან სპარსის (სალმან ალ-ფარსი) ვრცელ ისტორიასაც, რომელიც სირიაში მოინათლა. ბიოგრაფიაში აღწერილია მისი გაქცევა ირანიდან სირიაში და მთელი თავგადასავალი.<sup>5</sup> იგი მუჰამადის აქტიური მხარდამჭერი იყო. სალმანი მოგვიანებით ანსართა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადამიანიც გახდა.<sup>6</sup> ის იყო ერთ-ერთი ყოფილი ქრისტიანი, ვინც მუჰამადის გვერდზე იბრძოდა ხანდაკის ბრძოლაში (627წ.) და ამის შემდეგ მისი არცერთი ბრძოლა არ გამოუტოვებია.<sup>7</sup> სწორედ სალმანის რჩევით შემოავლეს მუსლიმებმა თხრილი მედინას, რაც იმ ხანად ირანში გავრცელებული თავდაცვითი პრაქტიკა იყო.<sup>8</sup> მუჰამადს დიდი იმედი ჰქონდა, რომ მედინელი

<sup>1</sup> Большаков, О.Г. *История Халифата, Т. 1, Ислам в Аравии*, 78.

<sup>2</sup> Fazlur Rahman. “Pre-Foundations of the Muslim Community in Mecca,” *The Arabs and Arabia on the Eve of Islam*. Edited by F.E. Peters, volume 3. *The Formation of the Classical Islamic World*. New York: Routledge, 2017, 190; Крылов Г. Л. “Христиане у истоков ислама: свидетельства мусульманского предания.” *Христианство на Ближнем Востоке*, № 3, 2019, 21-35.

<sup>3</sup> იქვე, 33.

<sup>4</sup> Баранов, 637/ 950 المنجد

<sup>5</sup> Ибн Хишам. *Жизнеописание Пророка Мухаммада*, 81-88.

<sup>6</sup> Ibn Kathir. *The Life of the Prophet Muhammad, Al-Sira al-Nabawiyya*, 217.

<sup>7</sup> იქვე, 219.

<sup>8</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 1465; *The History of al-Tabari. Volume 8. The Victory of Islam*, 8.



იუდეველების დიდი ნაწილი აღიარებდა ისლამს, რადგან განსწავლულმა ქრისტიანმა სალმანმა მასში ღმერთის უკანასკნელი მოციქული შეიქცნო.<sup>1</sup> სირაში ვკითხულობთ, რომ ისლამის მოციქული ხშირად უსმენდა ნაჯრანელი ქრისტიანი ეპისკოპოსის - კუსს იბნ სა'იდას ქადაგებებს მექის ახლოს, უქაზის ბაზრობაზე და სიტყვა-სიტყვით იმეორებდა.<sup>2</sup>

სირაში მოხსენიებულია ზაიდ იბნ საბითი, რომელიც ალაჰის მოციქულის მიმდევარი და მდივანი იყო. სირას თანახმად, მან ისლამის ფუძემდებელს ქრისტიანობის შესახებ ბევრი რამ ასწავლა.<sup>3</sup> იგი წერდა სირიულად, ფლობდა არამეულ და ძველ ებრაულ ენებს. სწორედ მის მიერ შედგენილი ყურანის რედაქცია საფუძვლად დაედო ხალიფა 'უსმანის დროს კანონიკურ ტექსტს.<sup>4</sup>

სირაში აგრეთვე გვხვდება ინფორმაცია ხადიჯას ბიძაშვილი ვარაკა იბნ ნავვალის შესახებაც. ზოგიერთი მკვლევარი მას არამეულად დაწერილი „ებიონიტების სახარების“ იმავე „მათეს სახარების“ სირიულიდან კურაიშის დიალექტზე წერილობით თარგმანის შესრულებასაც კი მიაწერს.<sup>5</sup> ეს სახარება, თითქოს, მუჰამადისთვის იყო ერთადერთი ცნობილი სახარება, რომელიც ყურანში „ინჯილის“ სახელით არის მოხსენიებული.<sup>6</sup> ვარაკა იბნ ნავვალი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც უარყო მრავალღმერთიანობა იქამდე, ვიდრე მუჰამადი სამოციქულო მოღვაწეობას დაიწყებდა.<sup>7</sup> ცნობილია, რომ სირიულის გარდა, ვარაკამ ებრაულიც იცოდა,<sup>8</sup> რაც წყაროებში გადმოცემულია სიტყვა 'ibraniyya-თი. მან პირველმა ირწმუნა მუჰამადის სამოციქულო მისია. ვარაკას აზრით, მუჰამადს გამოეცხადა *ან-ნამუს* (ანგელოზი გაბრიელი). არ არის გამორიცხული, რომ სანამ ქრისტიანად მოინათლებოდა, ვარაკა იბნ ნავვალი იუდეველი ყოფილიყო.<sup>9</sup>

<sup>1</sup> Morrow, J.A. *The Covenants of the Prophet Muhammad with the Christians of the World*, 37.

<sup>2</sup> *Ibn Kathir. The Life of the Prophet Muhammad, Al-Sira al-Nabawiyya*, 104-109; Dziekan, Marek M. "Quss Ibn Sa'ida al-Iyadi (6th-7th cent. A.D.), Bishop of Najran: An Arabic and Islamic Cultural Hero," *Studia Ceranea* 2, 2012, 127-135.

<sup>3</sup> Ибн Хишам. *Жизнеописание Пророка Мухаммада*, 100.

<sup>4</sup> Пиотровский, М.Б. "Зайд ибн-Сабит," *Ислам. Энциклопедический Словарь*, 73.

<sup>5</sup> Brown, N. *The Judeo Christian Presbyter of Makah and Madinah*, 17-19.

<sup>6</sup> იქვე, 52.

<sup>7</sup> Robinson, C.F. "Waraqah b. Nawfal," *The Encyclopedia of Islam*. Volume XI, 142.

<sup>8</sup> Lecker, M. "The Monotheistic Cousins of Muhammad's Wife Khadija," 365; Jūzif Qazzī. *The priest & the Prophet: the Christian priest, Waraqa Ibn Nawfal's profound influence upon Muhammad, the Prophet of Islam*. Los Angeles, CA: The Pen Publishers, 2005.

<sup>9</sup> იქვე, 365.

ვარაკა იყო ჰანიფი და ბევრი ჰანიფისგან განსხვავებით, მან ქრისტიანობა მიიღო.<sup>1</sup> მას კარგად უნდა სცოდნოდა ბიბლიის შინაარსი.<sup>2</sup> ო. ბოლშაკოვი მიიჩნევდა, რომ ვარაკა იბნ ნავფალის ცოდნა ქრისტიანობის შესახებ შემოიფარგლებოდა არაბეთის ნახევარკუნძულზე გავრცელებული დევნილ ქრისტიანთა დაჯგუფებების რწმენა-წარმოდგენებით.<sup>3</sup> შესაძლოა, რომ ვარაკა იბნ ნავფალი ძალიან მოხუცებული და უსინათლო ყოფილიყო, როცა მუჰამადს პირველი აია გარდმოევიწინა, ხოლო მომდევნო აიების გარდმოვლენის დროს იგი უკვე აღარ იყო ცოცხალი. ამას გარდა, არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ თითქოს ვარაკა პირველი მამაკაცი იყო, ვინც მიიღო ისლამი.<sup>4</sup> ჯონ მოროუ მიიჩნევს, რომ მუჰამადი და მისი პირველი ცოლი ხადიჯაც ჰანიფები იყვნენ.<sup>5</sup> რ. ბელი კი აღნიშნავდა, რომ მუჰამადს და სხვა არაბ ვაჭრებს მექაში მცხოვრები ქრისტიანი ეთიოპელი მონები ესაუბრებოდნენ ქრისტიანობის შესახებ და მექელებიც მნიშვნელოვან ინფორმაციას მათგან იღებდნენ.<sup>6</sup> ერთ-ერთი პირველი მუსლიმიც ხომ ეთიოპელი მონა ბილალი იყო, რომელიც წამების ქვეშაც არ უარყოფდა ერთღმერთიანობას.<sup>7</sup>

მექელებს შორის, როგორც თავისუფალ მოსახლეობაში, ასევე მონებში, გავრცელებული ყოფილა ქრისტიანული სახელები: ნასტასი (ანასტასიუსი), მინა (მენნასი), იოანე. შესაძლოა, რომ მექაში ყოფილიყო აგრეთვე ერთი ან ორი ქრისტიანული ეკლესიაც, რის შესახებაც ირიბი მინიშნებები ყურანში მოგვეპოვება.<sup>8</sup> თ. ნოლდეკე მიიჩნევდა, რომ ისლამამდელი პერიოდის არაბები საკმაოდ კარგად იყვნენ გაცნობიერებულები ქრისტიანულ საკითხებში. ეს თავად ყურანის დაკვირვებული კითხვისას ვლინდება.<sup>9</sup> მისი აზრით, ისლამამდელი და მუჰამადის პერიოდის არაბები ქრისტიანული აპოკრიფული წიგნების მიმდევრების და ე.წ. ერეტიკოსი ქრისტიანების მოძღვრება-ქადაგებებს მიიჩნევდნენ ჭეშმარიტ ქრისტიანობად.<sup>10</sup>

<sup>1</sup> Robinson, C.F. "Waraka b. Nawfal." *The Encyclopedia of Islam*. Volume XI, 142.

<sup>2</sup> Ibn Kathir. *The Life of the Prophet Muhammad, Al-Sira al-Nabawiyya*, 111, 193.

<sup>3</sup> Большаков, О.Г. *История Халифата. Ислам в Аравии*. Том, 1, 68-69.

<sup>4</sup> Robinson, C.F. "Waraka b. Nawfal." *The Encyclopedia of Islam*. Volume XI, 143.

<sup>5</sup> Morrow, J.A. *The Covenants of the Prophet Muhammad with the Christians of the World*, 26.

<sup>6</sup> Bell, R. *The Origin of Islam in its Christian Environment*, 105.

<sup>7</sup> Ibn Kathir. *The Life of the Prophet Muhammad, Al-Sira al-Nabawiyya*, 357.

<sup>8</sup> Trimmingham J. S. *Christianity among the Arabs in Pre-Islamic Times*, 260.

<sup>9</sup> Noldeke, T. *The History of the Quran*, 6.

<sup>10</sup> Пиотровский М.Б. *Коранические Сказания*, 120.

## 1.2 მუჰამადის დამოკიდებულება ქრისტიანებთან

ისლამის ფუძემდებელი იესოს 12 მოწაფეს „ანსარებს“ უწოდებდა, რაც შესაძლოა მის მიერ არადეკლარირებულ შედარებად მივიჩნიოთ მის ისტორიასა და იესოს ისტორიას შორის.<sup>1</sup> არსებობს სხვა მოსაზრებაც, კერძოდ, რომ ისლამამდელ ეპოქაში არაბეთის ნახევარკუნძულზე იესოს 12 მოციქულს „ჰავარიებს“ უწოდებდნენ. მუსლიმური ტრადიციით, ჰავარიებს უწოდებდნენ მუჰამადის ყველაზე ახლოს მყოფ მიმდევარსაც. ამ ინფორმაციაში მკვლევრები ხედავენ ქრისტიანულ გავლენას იესოს 12 მოციქულის ანალოგიით.<sup>2</sup>

დღეს დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ მუსლიმური თემის პირველი პოლიტიკური და დიპლომატიური კონტაქტები ქრისტიანებთან ოფიციალურ რანგში ეთიოპიაში შედგა, სადაც გადასახლებული მუსლიმები ეთიოპიის მმართველი - ნეგუსის წინაშე აღმოჩნდნენ, რომელმაც შეიფარა ისინი.<sup>3</sup> ამის გარდა, მიჩნეული იყო, რომ მხოლოდ ეილათის, დუმათ ალ-ჯანდალისა და ნაჯრანის ხელშეკრულებები იყო ის დიპლომატიური აქტები, რომელიც მუჰამადმა გააფორმა რეგიონში მცხოვრებ მონოთეისტებთან. თუმცა, წინამდებარე ნაშრომში შემოტანილია სხვა დაცვის სიგელებიც, რომელიც შესაძლოა, ისლამის ფუძემდებელს გაეფორმებინა სინას ნახევარკუნძულზე მცხოვრებ და სხვა რეგიონების წარმომადგენელ ქრისტიანებთან.

ის ფაქტი, რომ მექელმა მუსლიმებმა ეთიოპია აირჩიეს თავშესაფრად, იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ მუჰამადი და ჰიჯაზელების დიდი ნაწილი ენდობოდნენ ამ ქრისტიანული სამეფოს მმართველს.<sup>4</sup> ჯა'ფარ იბნ აბი ტალიბმა ყურანის მე-19 სურის („მარიამი“) ნაწყვეტი წაუკითხა ეთიოპიის (აბისინიის) ქრისტიან მმართველს – ნეგუს ასჰამა იბნ ალ-აბჯარს (614-631) (ისლამურ ტრადიციაში ცნობილია როგორც ნაჯაში), სადაც გადმოცემულია მარიამის მიერ იესოს უბიწოდ ჩასახვის ამბავი, რის დროსაც ეთიოპიის მმართველი და მასთან მდგომი ეპისკოპოსები ატირდნენ. ამ ყველაფრის შემდეგ ასჰამა მუსლიმებს დაპირდა დახმარებას.<sup>5</sup> მუსლიმების ჰიჯრა ეთიოპიაში ცხადყოფს, რომ ისლამამდელ ხანაში ქრისტიანობა ჰიჯაში ეთიოპიიდანაც

<sup>1</sup> Watt, W.M. *Muhammad at Medina*, 317.

<sup>2</sup> ჯაფარიძე, გ. „ჰავარი“, *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*, 230.

<sup>3</sup> Пиотровский М.Б. *Коранические Сказания*, 113.

<sup>4</sup> Ahmad Von Denffer. *Christians in the Quran and the Sunnah*. Illinois: Islamic foundation, 1979 (2007), 15.

<sup>5</sup> Ибн Хишам. *Жизнеописание Пророка Мухаммада*, 133-135. Martin Lings. *Muhammad, His Life Based on the Earliest Sources*. Rochester, Vermont: Inner Traditions, 2006, 85.

აქტიურად ვრცელდებოდა. დევნილი მუსლიმები ვერ გაბედავდნენ ეთიოპიაში გამგზავრებას, ჰიჯაზელებსა და ეთიოპიას შორის აქტიური კონტაქტები რომ არ ყოფილიყო და როგორც ჩანს, ეს კონტაქტები საკმაოდ ძველი იყო.<sup>1</sup> მაგრამ, რეალურად, რა მიზნით შეიფარა ეთიოპიის ნეგუსმა მუსლიმები? ნუთუ მას მხოლოდ რელიგიური და ჰუმანური მოტივები ამოძრავებდა? ამასთან, ჩვენ ვიცით, რომ თეოლოგიური განსხვავება ეთიოპელთა რელიგიურ მრწამსსა და მუსლიმებს შორის თვალსაჩინო იყო.<sup>2</sup>

ცნობილია, რომ მე-7 საუკუნეში პოლიტიკური საკითხები, როგორცაა ორ ქვეყანას შორის ზავის გაფორმება, გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარება და პოლიტიკური თავშესაფრის მიცემა წყდებოდა მეფეების, იმპერატორებისა და შაჰინშაჰების უშუალო ჩარევითა და ბრძანებებით. ამ გადაწყვეტილებების მიღების დროს მათი უმთავრესი მოტივი კი იყო პრაგმატული მოსაზრებები. არც ის უნდა გამოგვჩვენებდეს მხედველობიდან, რომ სახელმწიფოების ეროვნულ ინტერესებსა და იმას, რასაც დღეს სახელმწიფოების გეოპოლიტიკურ და სტრატეგიულ ინტერესებს ვუწოდებთ, იმ პერიოდშიც თანამედროვე ეპოქის მსგავსად, დიდწილად პოლიტიკური, ეკონომიკური და სავაჭრო მოტივები განსაზღვრავდა, ხოლო ამ ყველაფერს აუცილებლად სამხედრო ძალა უმაგრებდა ზურგს.

მ. უოტი ცდილობდა ეკონომიკური მოტივებით აეხსნა მუსლიმების მიღება ეთიოპიაში და აღნიშნავდა, რომ მას შემდეგ რაც სპარსელებმა 614 წელს სირია-პალესტინის ტერიტორიაზე განავრცეს გავლენა და ბიზანტია რეგიონიდან განდევნეს, მექელი დიდვაჭრები თითქოს და მზად უნდა ყოფილიყვნენ სპარსელებთან დაემყარებინათ სავაჭრო კავშირები. ეთიოპელები ბიზანტიის პოლიტიკური მოკავშირენი იყვნენ და თავადაც გააჩნდათ საკუთარი პოლიტიკური და სავაჭრო ინტერესები ჰიჯაზის რეგიონში, რის გამოც ეს კავშირი მათთვის საფრთხის შემცველი იყო. ისლამის ფუძემდებლის და მისი მიმდევრების პოლიტიკური სიმპატიები ბიზანტიელებისკენ იხრებოდა, რაც ყურანის 30-ე სურაშიც არაორაზროვნად ჩანს. ამ სურიდან ლოგიკურად ისიც გამომდინარეობს, რომ ჯერ კიდევ მექურ პერიოდში

---

<sup>1</sup> Пиотровский, М.Б. *Южная Аравия в раннем средневековье*, 127.

<sup>2</sup> Спивак И.А. “Христиане Аравии в Изображении Ибн Хишама,” *Учёные записки Таврического национального Университета имени В.И. Варнадского*. Серия “исторические науки”, 27(66), №4, 2014, 87.

ისლამის ფუძემდებელი აქტიურად ადევნებდა თვალყურს საერთაშორისო პოლიტიკას.<sup>1</sup>

როგორც ავღნიშნეთ, ორივე მხარის სიმპატიები ბიზანტიელებისკენ იხრებოდა, ხოლო მექელი დიდვაჭრებისა - დიდი ალბათობით, „ურწმუნო“ სპარსელების მხარეს უნდა ყოფილიყო.<sup>2</sup> მ. შოლერი წერს, რომ არსებობს მხოლოდ ფრაგმენტული ცნობები მედინელ იუდეველებსა და სასანიანთა ირანს შორის კავშირების თაობაზე.<sup>3</sup> ლეკერი კი აღნიშნავს, რომ საკმაოდ რთულია ისლამური არაბული წყაროების მიხედვით პოლიტიკის ისტორიული ანალიზის ჩატარება, რადგანაც ისლამური ისტორიოგრაფია სავსეა რელიგიური ნარატივებით, ხოლო პოლიტიკა მათში ხშირ შემთხვევაში მეორეხარისხოვან როლს იკავებს.

წარმოუდგენლად მიგვაჩნია, რომ ეთიოპიის ნეგუსს ჰერაკლე კეისრის ნებართვის გარეშე მიეღო მუსლიმები და თავშესაფარი მიეცა მათთვის. მიუხედავად იმისა, რომ რელიგია ეთიოპელებსა და მუსლიმებს შორის უმნიშვნელო როლს არ ასრულებდა, ეჭვგარეშეა, რომ ეთიოპელებს მუსლიმები კონკრეტული პრაგმატული მიზეზების გამო სჭირდებოდათ. ამასთან დაკავშირებით საინტერესო აზრს გამოთქვამს მ. შოლერი, რომელიც აღნიშნავს, რომ მუჰამადის მედინაში ჰიჯრის დროს ხაზრაჯის არაბულ ტომში შედიოდა 3 მცირე ტომი, კერძოდ კი ბანუ სალ'აბა (იუდეველი არაბები), ჯაფნა და ბანუ-შუტაიბა - დასანიანების ახლო ნათესავები.<sup>4</sup> მედინის ქარტიაში დასანიანების (ირიბი) მონაწილეობა ცხადყოფს, რომ მუჰამადსა და მუსლიმებს მედინაში გადასვლის დროს აქტიურად უჭერდნენ მხარს და ეხმარებოდნენ დასანიანები და მათი პროტექტორი - ბიზანტიელები.<sup>5</sup> ასე რომ, იმ პერიოდში, როდესაც ბიზანტიის იმპერატორმა კონტრ-შეტევები დაიწყო და სირია-პალესტინის მიწების სპარსელთა გავლენისგან გათავისუფლებას შეუდგა, ჰერაკლეს მიზანი ამავე დროს იყო მუსლიმთა ხელით მედინის ჩრდილოეთ რეგიონებში მცხოვრები იმ იუდეველების დასუსტებაც, რომლებიც არ შეუერთდნენ „მედინის

---

<sup>1</sup> Khalid el-Awaisi. "The Quranic Prophecy of the Defeat and the Victory of the Byzantines," *Journal of Islamic Jerusalem Studies*, 2015, 9.

<sup>2</sup> Bonner, M. "Byzantines." *The Encyclopedia of the Qur'an*, 266; Khalid el-Awaisi. "The Quranic Prophecy of the Defeat and the Victory of the Byzantines," 15-16.

<sup>3</sup> Scholler, M. "Medina." *Encyclopedia of the Qur'an*, 369.

<sup>4</sup> Lecker, M. "Where the Ghassanids and the Byzantines behind Muhammad's hijra?," 288-289.

<sup>5</sup> იქვე, 289.

კონსტიტუციას“ (622წ.) და მხარს უჭერდნენ სასანიანთა ირანს.<sup>1</sup> როგორც ჩანს, ბიზანტიელები და ეთიოპელებიც ისლამის ფუძემდებლის სახით ახლო პოლიტიკურ და სამხედრო მოკავშირე ძალას ხედავდნენ და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ მას.

უნდა აღინიშნოს, რომ ეთიოპელთა 10.000-კაციანი (უფრო სავარაუდოა 1000) როდენობა კურაიშიტთა მხარესაც იბრძოდა.<sup>2</sup> ჰიჯაზელი ეთიოპელების საკმაოდ დიდი ნაწილი წარმართი იყო და კურაიშიტთა და ზოგადად ადგილობრივი ჰიჯაზელების იდეებს იზიარებდა, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მექის აღების შემდეგ, როცა ხალიდ იბნ ალ-ვალიდმა დაანგრია ალ-‘უზზას კერპი, მასთან გამოსასარჩლებლად გამოვიდა ეთიოპელი ქალი მისანი, რომელიც ხალიდმა განგმირა.<sup>3</sup>

ხალიდ ელ-ავაისი საინტერესო დიაგრამას გვთავაზობს, სადაც ბიზანტიის იმპერატორის სამხედრო წარმატებები და ალაჰის მოციქულის გამარჯვებები მექელ წარმართებზე პარალელურად მიმდინარეობდა.<sup>4</sup> პოლიტიკური და სტრატეგიული საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ეთიოპელებმა რამდენიმე წლით შეიფარეს კურაიშიტთა მიერ დევნილი მუსლიმები, ხოლო ბიზანტიის უახლოესი მოკავშირე დასანიანები კოალიციაში ჩაერთვნენ მუჰამადთან, ანსარებთან და მუჰაჯირებთან ერთად ე.წ. „მედინის კონსტიტუციაში“, რომელმაც აბუ-მუნშარის აზრით, თანასწორი სტატუსი მიანიჭა იუდეველ მართლმორწმუნეებსა და მუსლიმებს და როგორც იუდეველებს, ასე მათ მოკავშირე ტომებს მისცა დაცვის, შეუვალობისა და სამართლიანობის გარანტიები.<sup>5</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ „მედინის კონსტიტუციაში“ არ არიან მოხსენიებული ქრისტიანები. მიზეზად შეიძლება დასახელდეს ის ფაქტი, რომ თუ ისინი იყვნენ მედინაში, ვერ იქნებოდნენ მუჰამადის სერიოზული მოწინააღმდეგეები

<sup>1</sup> იქვე, 289-290.

<sup>2</sup> *Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 1470; The History of al-Tabari. Volume 8. The Victory of Islam, 13.*

<sup>3</sup> იქვე, 187.

<sup>4</sup> Khalid el-Awasi. “The Quranic Prophecy of the Defeat and the Victory of the Byzantines,” 25.

<sup>5</sup> Maher Younes Abu-Munshar. *A Historical Study of Muslim Treatment of Christians in Islamic Jerusalem, at the Time of ‘Umar ibn al-Khattab and Salah al-Din with Special Reference to Islamic Value of Justice*. A thesis submitted in partial fulfilment of the requirements of the University of Abertay Dundee for the Degree of Doctor of Philosophy, Ph.D., 2003, 49; Yetkin Yildirim. “The Medina Charter: A Historical Case of Conflict Resolution,” *Islam and Christian-Muslim Relations*, 20/4, 2009, 439-450; Arjomand, S. A. “The Constitution of Medina: a Sociolegal Interpretation of Muhammad’s Acts of Foundation of the Umma.” *International Journal of Middle Eastern Studies*, 41, 2009, 555-575.

(პოლიტიკური ძალის თვალსაზრისით) თავიანთი მცირერიცხოვნობის გამო. არის ცნობა, რომ ჰიჯრამდე იასრიბში იყო ქრისტიანთა განსაზღვრული რაოდენობა. მ. ჰამიდულაჰი იხსენებს ვინმე აბუ ამირს აუსის ტომიდან, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა და გახდა ბერი. მუჰამადის გადასვლის შემდეგ მედინაში, აბუ ამირმა დატოვა ქალაქი და გაიქცა მექაში. საბოლოოდ, უჰუდის მთასთან ბრძოლაში (625წ.) მან მიიღო მონაწილეობა მექელების მხარეზე.<sup>1</sup> შესაძლებელია, დანარჩენმა ქრისტიანებმა დატოვეს მედინა ამ ბერთან ერთად და ჰიჯრას შემდეგ პრაქტიკულად აღარ იყვნენ ქალაქში. მათი გაქცევის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ის ფაქტი, რომ მათ არ სურდათ ეცნოთ მუჰამადი მოციქულად და პოლიტიკური გაერთიანების ხელმძღვანელად. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მუჰამადის მიერ შექმნილ რელიგიურ თემში (უმმა) თავდაპირველად მუსლიმებთან ერთად შევიდნენ ებრაელები და ქრისტიანებიც. თუმცა, მოგვიანებით, უმმა აღნიშნავდა მუსლიმურ თემს, რომელში გაერთიანებაც ხდებოდა რელიგიური კუთვნილების საფუძველზე და მუჰამადი უკვე კიცხავს იუდეველებს და ქრისტიანებს ჭეშმარიტი მოძღვრების დამახინჯებისათვის. ცნობილია, რომ პირველი მეჩეთი, რომელიც ააგო მუჰამადმა მედინის ოზისის განაპირას, ქრისტიანული ტაძრების მსგავსად, მიმართული იყო აღმოსავლეთისაკენ.

ბიზანტიის იმპერია ჰიჯაზის რეგიონში დასაყრდენ პოლიტიკურ და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია - სავაჭრო პარტნიორსა და ძალას მუჰამადის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენამდეც ეძებდა. ბუნებრივია, რომ იმ ხანად ბიზანტიის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტრატეგიის - ქრისტიანული ექსპანსიონიზმის შედეგად, კონსტანტინოპოლს ასეთ პოლიტიკურ ლიდერებად არაბი ქრისტიანები ესახებოდა. მაგალითად, მუჰამადის ცოლის - ხადიჯას ერთ-ერთი ბიძაშვილი 'უსმან იბნ ალ-ჰუვაირისი ღიად უპირისპირდებოდა კურაიშიტებს, რომლებსაც სპარსელებთან ჰქონდათ განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა. მუჰამადის ჰიჯრამდე ცოტა ხნით ადრე მას მცდელობაც კი ჰქონდა ბიზანტიელთა მხარდაჭერით კონტროლი დაემყარებინა მექაზე.

---

<sup>1</sup> Muhammad Hamidullah. *Le prophète de l'Islam*, vol. I. Vendeur : Librairie Philosophique J. Vrin, Paris, 1975, 179.

ყურანში ასახულია არაბეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები სხვადასხვა რელიგიური თემის ყოფა-ცხოვრება და გზა, რომელიც მათ ისლამის ფუძემდებელთან ურთიერთობის სხვადასხვა ეტაპზე გაიარეს. ეს ურთიერთობები ხან უმჯობესდებოდა და ხანაც უარესდებოდა, ისლამის მოციქულის ცხოვრების სხვადასხვა ისტორიული რეალობიდან გამომდინარე.<sup>1</sup> ამიტომაც არის, რომ ყურანის სხვადასხვა აიაში ქრისტიანებისა და იუდეველების შესახებ საკმაოდ ურთიერთგამომრიცხავ აიებს ვკითხულობთ [5:85/82, 9:31, 57:27].

ქრისტიანებთან დამოკიდებულებაში ალაჰის მოციქულს ტოლერანტული პოზიცია უფრო მეტად მაშინ უნდა ჰქონოდა, როცა მას ურთიერთობები გაუფუჭდა იუდეველებთან, რომელთა უმრავლესობამაც არ აღიარა იგი, როგორც მოციქული.

გ. ლობჯანიძე წერს: „ყურანის მიმართება ქრისტიანობასთან არაერთგვაროვანი და გრადაციულია. იგი მეგობრულ კეთილგანწყობასა და აშკარა მტრობას შორის მერყეობს. ამ მერყეობის ამპლიტუდა კი, არცთუ იშვიათად, მოციქულის პირად განწყობასა და, უფრო მოგვიანებით, ისლამის ინტერესებზეა დამოკიდებული“.<sup>2</sup> და იქვე ვკითხულობთ: „ქრისტიანები, ისევე როგორც „საღვთო წერილის“ სხვა ხალხები (საბაელები, იუდეველები) ყურანში ურწმუნოებად არ არიან მიჩნეულნი. ისინი ღვთის სამსჯავროზე თავიანთი წმინდა წიგნების მიხედვით განისჯებიან, და უფლის მიერ, შესაძლოა, გამართლებულნიც იყვნენ ადამიანური სიკეთის ხარისხის შესაბამისად“.<sup>3</sup>

630 წლისათვის, როდესაც მუჰამადმა გააერთიანა არაბეთის ნახევარკუნძული და ისლამმა როგორც რელიგიურ-პოლიტიკურმა იდეოლოგიამ საბოლოოდ გაიმარჯვა, მოხდა [პოლიტიკური] დაპირისპირება მუსლიმებსა და არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ რეგიონებში მცხოვრებ არაბებს შორის, რომელთა უდიდესი უმრავლესობაც ქრისტიანი იყო და რომლებიც ბიზანტიის პოლიტიკისა და ინტერესების გამტარებლები იყვნენ რეგიონში.<sup>4</sup> ამას კი მუჰამადი ვერ დაუშვებდა. მაღალი უნდა იყოს იმის ალბათობა, რომ იგი განუდგა პოლიტიკურ მოკავშირე ბიზანტიას. მ. უოტის აზრით, სწორედ ამ დროს გარდმოველინა ისლამის ფუძემდებელს ღვთაებრივი აიებიც, სადაც ვკითხულობთ მოწოდებებს ქრისტიანების

<sup>1</sup> Goddard, H. *A History of Christian – Muslim Relations*, 29.

<sup>2</sup> ლობჯანიძე, გ. „ყურანი და ქრისტიანობა“, *სჯანი*, V. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი, 2004, 188.

<sup>3</sup> იქვე, 196.

<sup>4</sup> Watt, W.M. *Muhammad at Medina*, 319-320.



წინააღმდეგ ბრძოლაზე და ჯიზიის დაკისრებაზე, რადგანაც მათ იესო ალაჰის ძედ შერაცხეს, ხოლო თავიანთ მწიგნობრებსა და ბერ-მონაზვნებს მეუფეებად ირჩევენ [ყურანი, 9:29-32].

## II თავი. მუჰამადის ხელშეკრულებები ქრისტიანებთან

### 2.1. სამშვიდობო ხელშეკრულების რელიგიურ-სამართლებრივი ასპექტები ადრეულ ისლამში

მუსლიმი არაბები დაპყრობითი ომების დაწყებამდე არაბეთის ნახევარკუნძულზე აქტიურ სამხედრო პოლიტიკასა და დიპლომატიას ერთმანეთს წარმატებით უთავსებდნენ. როგორც მუჰამადი და მისი თანამოაზრენი, ასევე მართლმორწმუნე ხალიფები ყველა დასახლებას ბრძოლით არ იმორჩილებდნენ. ხშირ შემთხვევაში, არაბები იმ დროისათვის აპრობირებულ დიპლომატიურ ხერხებს მიმართავდნენ და სამშვიდობო მოლაპარაკებების შედეგად ქალაქებსა და სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებს ან უომრად იმორჩილებდნენ ან უდებდნენ საზავო ხელშეკრულებებს. არაბების მიერ გაფორმებული სამშვიდობო ხელშეკრულებები, რომლებიც „დაცვის სიგელების“, „უსაფრთხოების გარანტიის ხელშეკრულებების“ და „ზავისა და შეუვალობის სიგელების“ სახელებით ვიცნობთ, არ ყოფილა არაბების მიერ შემოტანილი სიახლე რეგიონში. არაბებამდე გაცილებით ადრე დაცვის სიგელების გაფორმების ტრადიცია რომისა და ბიზანტიის იმპერიებსა და სასანიანთა ირანში არსებობდა.<sup>1</sup>

ბერძნულ-რომაულ სამყაროში მიიჩნეოდა, რომ დაცვის სიგელი წმინდა იყო და სჯეროდათ, რომ მას ღმერთები იცავდნენ წარმოთქმული ფიცის დადების შემდეგ.<sup>2</sup> ამის ანალოგიასა და ტრადიციის გაგრძელებას წარმოადგენდა მე-7 ს-ის არაბული დაცვის სიგელების გაფორმების ტრადიცია, რომელთა ბოლოს, როგორც წესი, ალაჰისა და მისი ანგელოზების სახელებია მოყვანილი, როგორც პაქტის ურღვეობის გარანტორები. ამასთანავე, მუსლიმების მიერ ზაქათის დაკისრება უძველესი ებრაული გადასახადი „ზაქუთის“ მინაბადი უნდა ყოფილიყო,<sup>3</sup> რომელსაც ძველ აღთქმაშიც ვხედავთ.

ისლამამდელ ხანაშიც ძლიერი არაბული ტომები ზავისა და შეუვალობის სიგელებს აძლევდნენ შედარებით სუსტ ტომებს, რის სანაცვლოდაც ამ უკანასკნელებს

<sup>1</sup> იხ: *ქართული დიპლომატიის ისტორია, ქრესტომათია*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, 4-5.

<sup>2</sup> იქვე, 10.

<sup>3</sup> Большаков, О.Г. *История Халифата, Т 1, Ислам в Аравии*, 169.

გარკვეული თანხა უნდა ეხადათ. ხოლო თუ დაცული ტომი ვეღარ გადაიხდიდა თანხას, დაცვის გარანტია ანულირდებოდა.<sup>1</sup>

მუსლიმი არაბებიც ამგვარი ტიპის პოლიტიკური და სამხედრო დიპლომატიის ტრადიციის გამგრძელებლები იყვნენ. ისლამის ადრეულ პერიოდში არ არსებობდა მკაცრად განსაზღვრული დიპლომატიური ეტიკეტი. ასე რომ, მუსლიმები ხელმძღვანელობდნენ რეგიონში ცნობილი და არაბებს შორის დამკვიდრებული ტრადიციებით, ხოლო მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ - სუნათი.

მუჰამადი რეგიონში მცხოვრებ მონოთეისტებს არ აიძულებდა ისლამზე მოქცევას. მუსლიმი მკვლევრების დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მონოთეისტებთან დამოკიდებულებაში ისლამის ფუძემდებელი მშვიდობაზე დაფუძნებულ პოლიტიკას მისდევდა.<sup>2</sup> მისთვის პირველ ადგილზე იყო მშვიდობა, ხოლო შემდეგ - მახვილი.<sup>3</sup> ზოგადად, ყურანში ვხედავთ აიას, რომელშიც წაქეზებულია ხალხების მიერ ერთურთის შეცნობა და პატივისცემა [49:13], რაც ბუნებრივია, ისლამური დიპლომატიის წარმოებისა და მშვიდობიანი პოლიტიკის გატარების ერთგვარი და ერთ-ერთი საწინდარიც გახდა. ამასთანავე, მართებულია მოსაზრება, რომ არაბეთის ნახევარკუნძულის გვარ-ტომობრივი ფორმაციის საზოგადოებაში (დანებების მოწოდების უარყოფის შემთხვევაში) სამხედრო ლიდერისაგან არავინ მოელოდა მტრების შეწყალებას, რადგანაც სამხედრო დაპირისპირება ეს იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და ყველამ იცოდა წარუმატებლობის მოსალოდნელი შედეგები და ფასი.<sup>4</sup>

უომრად დამორჩილებულებს ავალდებულებდნენ ხარკის გადახდას. ისლამამდელ ხანაში ხარკის გადახდა არა მხოლოდ ფულით, არამედ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებითა და ძვირფასი ტანსაცმლითაც იყო შესაძლებელი. ისლამის გამოჩენამდე არაბები სხვადასხვა პირობაზე წერილობით ადგენდნენ შეთანხმებებს, რომლის პირობების დარღვევა სისხლიანი გარჩევებისა და მრავალწლიანი ბრძოლების მიზეზი ხდებოდა.<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> Watt, W.M. *Muhammad at Medina*, 246.

<sup>2</sup> Morrow, J.A. *The Covenants of the prophet Muhammad*, 44.

<sup>3</sup> Yasir Randathani, "Diplomacy and Statesmanship of Holy Prophet Muhammad," 3.

<sup>4</sup> Armstrong, K. *Islam: A short History*, New York: Modern Library, 2002, 21.

<sup>5</sup> Smith, R. *Kinship and Marriage in Early Arabia*, Cambridge: Cambridge University Press, 1885, 43.

არაბეთის ნახევარკუნძულზე სხვადასხვა ტომი ისლამამდელ ხანაშიც ქმნიდა კავშირებს, რასაც არაბულად **حلف** (ჰილფ) და ('აკდ) **عقد** ეწოდებოდა.<sup>1</sup> არაბული ტომების გაერთიანებების უპირველესი მიზანი და მიზეზი საერთო თავდასხმითი და თავდაცვითი ბრძოლების წარმოება იყო. ისლამამდელი ხანის არაბულ ტომებს შორის შეტაკებების რეალური მიზეზები კი ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი.<sup>2</sup> თანაც, ამ ტიპის კავშირები, როგორც წესი, არა თავდაცვითი, არამედ თავდასხმითი შინაარსის იყო.<sup>3</sup>

ისლამამდელ პერიოდში არაბეთის ნახევარკუნძულზე მოხინაძრე არაბები კარგი ვაჭრების სახელით იყვნენ ცნობილი, რომლებიც ასობით კილომეტრს გადიოდნენ, რათა სხვადასხვა პროდუქტი ჰიჯაზისა და ნეჯდის რეგიონებიდან თანამედროვე იორდანიაში, სირიასა და იემენში ჩაეტანათ, რისთვისაც მათ ხელშეუხებლობის გარანტია სჭირდებოდათ. ილაფების, ჰილფების, 'აკდებისა და 'აჰდების მეშვეობით მექელ ვაჭრებს ეძლეოდათ როგორც უსაფრთხოების გარანტია გზაში, როცა ისინი სირიაში, იემენსა და ერაყში სავაჭროდ მიემგზავრებოდნენ,<sup>4</sup> ასევე სამხედრო და პოლიტიკური სახის ხელშეკრულების გაფორმების საშუალებაც.

კურაიშის ტომიც ყველა არაბულ ტომთან სამშვიდობო სავაჭრო ხელშეკრულებით იყო დაკავშირებული.<sup>5</sup> 'აკდ-ს (ع) უფრო ხშირად, როგორც ჩანს, ორმხრივი (როგორც ინდივიდებს, ასევე 2 ჯგუფს შორის) ურთიერთსარგებლიანობისა (المصلحة) და უსაფრთხოების გარანტიის გაცემის დროს გასცემდნენ.<sup>6</sup> ხოლო დიდი გეოგრაფიული არეალის მომცველ სავაჭრო ხელშეკრულებებსა და კავშირებს, როგორც ჩანს, „ილაფით“ მოიხსენიებდნენ **إيلاف**.<sup>7</sup>

ტერმინი 'აკდ გამოიყენება ყურანში 20-ჯერ მედინის სურებში, მაგრამ ძირითადად მეტაფორული მნიშვნელობით. ყურანში ღმერთი სიკეთეს აღუთქვამს იმათ, „ვინც ერთგულებენ ალაჰის აღთქმას და არ არღვევენ პირობას“ [13:20]. ის გვხვდება იმ

<sup>1</sup> Негря, Л.В. *Общественный Строй Северной и Центральной Аравии в V-VII вв*, Москва: Наука, 1981, 60.

<sup>2</sup> იქვე, 54-55.

<sup>3</sup> არაბულად ტომებს შორის კავშირის დამყარება აღინიშნებოდა **حلف** „ჰალაფა“ ზმნით, ხოლო კავშირი **حلف** „ჰილფ“ სიტყვით.

<sup>4</sup> Crone, P. "Meccan Trade and the Rise of Islam," 109.

<sup>5</sup> Serjeant, R.B. "Early Arabic prose (The writing of documents in the pre-Islamic age)," 129.

<sup>6</sup> Ибн Хишам. *Жизнеописание Пророка Мухаммада*, 273.

<sup>7</sup> **الاف: امان و عهد يؤخذ لتأمين خروج التجار من ارض الى ارض** ილაფი: 1. ხელშეკრულება და შეუვალობის სიგელი, რომელსაც ტერიტორიიდან ტერიტორიაზე უსაფრთხოდ გადასაადგილებლად აფორმებდნენ ვაჭრები. 2. ილაფის სინონიმებია: **ميثاق اجازة حلف**

აიებშიც, რომლებიც ეხება მუჰამადის მიერ დადებულ ხელშეკრულებებს. მაგ., „და თუ გატეხეს თავიანთი ფიცი მისი დადების შემდეგ და გაამასხრეს თქვენი რწმენა – შეებრძოლეთ ურწმუნოების მეთაურთ. მათთვის არ არსებობს ფიცი, (მაგრამ) ეგების შეეშვან (ბოროტმოქმედებას)“ [9:12]. ამავე კონტექსტში გამოიყენება ზმნა ‘აჰადა მედინის სურებში. ყურანში ასეა გაკიცხული აჰლ ალ-ჯითაბ („საღვთო წერილის ხალხი“) - „თუმცა, ყოველთვის როცა დადებდნენ აღთქმას (ღვთის წინაშე), მათი ნაწილი არღვევდა მას. დიახ, უმრავლეს მათგანს არა სწამს“ [2:100]. ილაფ 106-ე მექური პერიოდის ერთ-ერთ უძველეს სურაში გვხვდება. მ. ვახტანგაძე წერს, რომ „ილაფების ხელშეკრულების გაფორმების მთავარი მიზანი იყო ქარავნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომლებიც ამა თუ იმ ტომის ტერიტორიაზე გადიოდნენ და რომლებსაც გარკვეულ თანხას უხდიდნენ ამ უსაფრთხო დერეფნების შექმნის გამო“.<sup>1</sup> ილაფების სისტემამ ძლიერად შეარყია გვარ-ტომობრივ ფორმაციაში მცხოვრები მექელების საზოგადოებრივი ნორმების საფუძვლები, რომლის მეშვეობითაც მექელებმა წარმატებით დაამყარეს ურთიერთობები ნახევარკუნძულის შორეულ რეგიონებში მცხოვრებ ტომებთან.

არაბულ-ისლამური ტრადიციის თანახმად, ილაფების, ‘აჰდებისა და ‘აკდების გაფორმება ისლამამდელ ხანაში მექელებმა VI ს-ის დასაწყისიდან დაიწყეს.<sup>2</sup> ისლამამდელი არაბები სამხედრო-პოლიტიკური საკითხების მოსაგვარებლად აგზავნიდნენ ელჩს, რომელსაც السفير „ას-საფირს“ ან الرسول „არ-რასულს“ უწოდებდნენ.

ყურანში ‘აკდ (‘უკუდ) عقد ج عقود არის ფიცით განმტკიცებული ხელშეკრულება.<sup>3</sup> ისლამურ სამართალში ‘აკდ (‘უკუდ) არის ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულება/შეთანხმება ურთიერთვალდებულებების შესახებ, ‘აკდ-ზე უფლება აქვს ნებისმიერ ქმედითუნარიან პირს მისი რელიგიური კუთვნილებისა და სტატუსის მიუხედავად. ‘აკდ კანონიერია, თუ სახეზეა: ხელშეკრულების დამდები ორი მხარე (ალ-მუთაკა‘იდან), მათი ნებაყოფლობითი თანხმობა (იხთიარ) და ხელშეკრულებისთვის საჭირო საგანი (მაკსუდ ‘ალაჰჰი).

<sup>1</sup> Вахтангадзе, М.К. *Основные особенности Раннего Ислама*, 21.

<sup>2</sup> Simonsen, J.B. *Studies in the genesis and early development of the caliphal taxation system : with special references to circumstances in the Arab Peninsula, Egypt and Palestine*. København : Akademisk forlag, 1988, 20; Serjeant, R.B. “Early Arabic prose. Pacts and Treaties in pre-Islamic Arabia,” 129-130.

<sup>3</sup> Chafik Chenata. “Aqd,” *The Encyclopedia of Islam. New Edition. Vol. I*, Leiden: Brill, 1986, 318-320; Боголюбов, А.С. “Акд,” *Ислам. Энциклопедический Словарь*, 17.

ადრეისლამურ ხანაში არაბები ხელშეკრულებას უსაფრთხოების შესახებ უწოდებდნენ 'აკდ ალ-ამან. ასეთი ხელშეკრულება შეიძლება დადებულიყო ნებისმიერ, ორივე მხარისათვის გასაგებ ენაზე იმ პირობით, რომ მოწინააღმდეგეს (ჰარბი) უნდა მოესმინა ეს უშუალოდ უფლებამოსილი მუსლიმის პირიდან. ხელშეკრულება ალ-ამან უსაფრთხოებისა და სიცოცხლის, ქონების და ღირსების ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევდა მუსთა'მინ-ს (გარანტიის მიმღებს), ასევე უზრუნველყოფდა მისი ოჯახისა და მცირეწლოვანი ბავშვების უსაფრთხოებას.<sup>1</sup> ხელშეკრულებები, რომლებიც იდებოდა მოწინააღმდეგე მხარეებს შორის განსაზღვრული დროით, ისლამურ სამართალში იწოდებოდა როგორც 'აკდ ალ-ჰუდნა ან 'აკდ ალ-მუვადა'. 'აკდ ალ-ჰუდნა-ს დასაბუთება მოცემულია ყურანში: „და თუ მშვიდობას მოისურვებენ, შენც მშვიდობა ინებე და ალაჰი მოიიმედე, რადგან იგია ყოვლისგამგონე, ყოვლისმეცნიერი“ [8:63/61]. ფაკიჰები ერთსულოვანნი არიან, რომ ომის დროს მუსლიმებმა პირველებმა არ უნდა მოითხოვონ ზავი, თუ ამაში არ არის სარგებელი (*მასლაჰა*) მორწმუნეთათვის. ისინი ეყრდნობიან ყურანს, სადაც ნათქვამია: „და ნუ დაუპლურდებით და ნუ მოუწოდებთ მშვიდობისაკენ. თქვენ ხომ უმაღლესნი ხართ. ალაჰი თქვენთანაა და არ მიატოვებს თქვენს საქმეებს“ [47:37/35]. საინტერესოა, რომ 'აკდ-ის, 'აკდ-ისა და ილაფ-ის გაფორმებას, ფიცის დადების ცერემონიასა და ხელის ჩამორთმევას, აუცილებლად უნდა ჰყოლოდა მინიმუმ 2 მოწმე (შაჰიდი), რომელთაც არ ჰქონდათ უფლება უარი ეთქვათ დამოწმებაზე. ეს ყურანის დოგმაა.

ისლამამდელ და მუჰამადის ხანაში ხელშეკრულებების დარღვევა *ءاىء* / ბარა'ა ხშირ შემთხვევაში ომის მიზეზი ხდებოდა. მე-6 ს-ის ამგვარ დოკუმენტებს *ءاىء* „ქითაბისა“ და *ءاىء* „საჰიფას“ სახელებითაც ვიცნობთ.<sup>2</sup> მათ, როგორც წესი, პაპირუსებზე ადგენდნენ არაბი ბედუინები.<sup>3</sup> ხელშეკრულების დარღვევისა და დამრღვევებთან მკაცრი შურისძიების ისტორიული მაგალითი იყო ბანუ კურაიზას ბედი, რომელთა სასტიკი დასჯა არის ნათელი ილუსტრაცია იმისა, თუ როგორც ექცეოდა ხელშეკრულების დამრღვევ მონოთეისტების სხვადასხვა რელიგიურ თემს ალაჰის

<sup>1</sup> Чомаев. З. А. *Мусульманская дипломатия в раннеисламскую эпоху, 170-172*; Bsoul, Labeeb Ahmed. "Islamic Diplomacy: Views of the Classical Jurists." *Islam and International Law Engaging Self-Centrism from a Plurality of Perspectives*. Editors: Marie-Luisa Frick and Andreas Th. Müller, Leiden-Boston: Brill, 2013, 125-145.

<sup>2</sup> Milka Levy-Rubin. *Non-Muslims in the Early Islamic Empire*, 18.

<sup>3</sup> Beetsen, A.F.L. "Background topics." *The Cambridge History of Arabic Literature*, 23.

მოციქული, რომლის ყველა მითითების ზედმიწევნით შესრულებასაც ცდილობდნენ არაბები როგორც მშვიდობიან, ასევე დაპყრობითი ომების დროს.<sup>1</sup>

მუჰამადის მცდელობა, განსაკუთრებით ბადრთან ბრძოლაში (624წ.) გამარჯვების შემდეგ, რომ გაეერთიანებინა რეგიონში მცხოვრები იუდეველები - კრახით დასრულდა. კურაიშიტების ისტორიულმა მოკავშირე ბანუ-ნადირის იუდეველთა ტომმა დახმარება აღმოუჩინა კურაიშიტებს და მუჰამადის მოკვლაც კი სცადა, რითაც ისლამის ფუძემდებელთან გაფორმებული ხელშეკრულება დაარღვიეს. სწორედ ეს გახდა მიზეზი მათ წინააღმდეგ დაწყებული სამხედრო კამპანიებისა, რასაც შედეგად მოჰყვა მათი გაძევება არაბეთის ნახევარკუნძულიდან 624, 625 და 627 წლებში.

იუდეველ ტომებს, მედინის კონსტიტუციის თანახმად, რელიგიის სრული თავისუფლება ჰქონდათ. შესაბამისად, მცდარია მოსაზრება, რომ მუჰამადის მოტივი მათ წინააღმდეგ ბრძოლებში სარწმუნოებასთან იყო დაკავშირებული. ამასთანავე, ბანუ კაინუკას, ბანუ კურაიზას და ბანუ ნადირის ებრაულ ან შესაძლებელია იუდაიზმზე მოქცეულ არაბულ ტომთა წინააღმდეგ ხმლით გალაშქრებამ ანდა ზავის დადებას საფუძველი ჩაუყარა *სულჰით* და *‘ანვათი* დაპყრობის ინსტიტუციებს.<sup>2</sup> აგრეთვე ამ იუდეველ ტომთა დამარცხების შედეგად ჩაეყარა საფუძველი დამარცხებულთა ნადავლის იმგვარად გადანაწილებას, რასაც მუსლიმები მუჰამადის შემდეგაც მისდევდნენ არაბთა დაპყრობით ომებში.<sup>3</sup>

ადრეული ისლამური დიპლომატიის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითია ჰუდაიბიას ხელშეკრულება. ეს იყო პირველი უაღრესად მნიშვნელოვანი დიპლომატიური შეთანხმება მუსლიმებისა წარმართებთან, რომელიც გახდა შემობრუნების წერტილი მუსლიმთა სასარგებლოდ და რამაც განმსაზღვრელი როლი შეასრულა მუსლიმების საბოლოოდ გამარჯვების გზაზე. მისი მოლაპარაკების პუნქტებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი სავაჭრო რეგულაციებს ეხებოდა.<sup>4</sup>

<sup>1</sup> Большаков, О.Г. *История Халифата, Т 1, Ислам в Аравии*, 133-156.

<sup>2</sup> Noth, A. "On The Relationship in the Caliphate Between Central Power and the Provinces: The 'Sulh'-'Anwa' Traditions for Egypt and Iraq." *The Expansion of the Early Islamic State*. New York: Routledge, 2008, 177-188.

<sup>3</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 1498. *The History of al-Tabari. Volume 8. The Victory of Islam*, 39.

<sup>4</sup> Чомаев. З.А. *Мусульманская дипломатия в раннеисламскую эпоху*, 101.

ყურანში ასახულ ამ საზავო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით აღნიშნავთ მხოლოდ ტერმინოლოგიას, სადაც ყურადღებას იქცევს მუსლიმთა წმინდა წიგნში დაფიქსირებული რამდენიმე სიტყვა და ზმნა, რაც ბუნებრივია, რომ მანამდეც (VI საუკუნეშიც) გამოიყენებოდა რეგიონში დიპლომატიური ხელშეკრულებების შედგენის დროს.

მე-9 სურის მე-3, მე-5 და მე-11 აიებში ვხედავთ ფრაზებს, რომელიც საკმაოდ ხშირად გვხვდება ისლამის ფუძემდებლის გარდაცვალების შემდეგ დაწყებულ არაბთა დიდი დაპყრობითი ომების პერიოდში გაფორმებულ ზავისა და შეუვალობის სიგელებშიც: ... فان تبتم فهو خير لكم و ان توليتم ... ასევე დასევე ... أتوا الذكوة و اقاموا الصلوة و اتوا الذكوة ... ეს ნიშნავდა: „თუ მოინანიეს და ლოცვად დადგნენ და ზაქათი გასცეს“. ასევე ვხედავთ მიმართვით ფორმას, რაც საკმაოდ ხშირად გვხვდება დაცვის სიგელებში, მათ შორის თბილისის დაცვის სიგელშიც: „თუ მოინანიებთ, - ეს უკეთესია თქვენთვის“, „და თუ მოინანიებთ შემდეგ კვლავ ზურგს გვაქცევთ...“. მე-6 აიაში კი იმ ტერმინებს ვკითხულობთ, რომელიც თითქმის ყველა დაცვის სიგელში მეორდება მცირე ცვლილებებით: ثم ابلغه „შემდეგ მიაღწევინე უსაფრთხო ადგილამდე“. ეგვიპტის დაცვის სიგელში კი ვკითხულობთ: و هو آمن حتى يبلغ مأمنه „და ის დაცულია, სანამ (თავის) უსაფრთხო ადგილს არ მიაღწევს“. იგივე გვხვდება გურგანის სიგელშიც, ხოლო იერუსალიმთან გაფორმებულ ზავისა და შეუვალობის სიგელში მრავლობითი ფორმით გვაქვს: حتى يبلغوا - „სანამ თავიანთ უსაფრთხო ადგილს არ მიაღწევენ“. შემდეგ კი 9:8-ში ვხედავთ ذمة - რომელიც ნიშნავს შეთანხმებას, ზეპირს ან წერილობითს, დაცვის სიგელს, ანუ მფარველობის შესახებ სიგელს.

საინტერესო ფრაზეოლოგიას ვხედავთ ყურანის 9:10 აიაში: لا يرقبون في مؤمن إلا و لا ذيمة. „არცერთი მორწმუნის წინაშე არ იცავენ არც ილს [ფიცს] და არც ზიმმას. რუსულ თარგმანში გვაქვს (ილ) ال клятва и (ზიმმა) ذمة условия.<sup>1</sup> ბარანოვის ლექსიკონში წერია ال = родство.<sup>2</sup> ინგლისურ თარგმანში ال აღნიშნავს kinship. „ილი“, როგორც ჩანს, ჯაჰილიის ხანაში აღნიშნავდა ფიცით შეკვრას, ფიცით დანათესავებას, ფიცით დაახლოებას. მე-12 აიაში მოხსენიებულია სიტყვა ايمان (იმან) - ფიცი, რწმენა ღმერთისა. აქ აშკარად ეს სიტყვა „იმან“ დაკავშირებული უნდა იყოს ყურანის მე-10 აიაში

<sup>1</sup> *Коран*. Перевод и комментарии И.Ю. Крачковского, Баку: Язычы, 1990, 162.

<sup>2</sup> Баранов. *Арабско-Русский словарь*, 46.



მოხსენებულ „ილთან“ და „ზიმმასთან“. ლოგიკურად არის, რადგანაც შეუვალობის სიგელის ან შეთანხმების გაფორმებას ხშირ შემთხვევაში წინ უძღოდა შეთანხმების შინაარსიდანვე გამომდინარე დაფიცება და დაფიცების რიტუალი.<sup>1</sup> ყურადღებას იქცევს ასევე ყურანის მე-13 აია, სადაც ვარკვევთ, რომ ფიცის გატეხვა, ფიცის ან პირობის შეუსრულებლობა გამოიხატებოდა ფრაზით: *انك ايمان* მუჰამადი, მუჰაჯირები და ანსარები მედინაში ცხოვრების პერიოდში დაცვის სიგელებს აფორმებდნენ მედინიდან ახლოს და შორს მცხოვრებ ქრისტიან, იუდეველ და ზოროასტრულ ტომებთან.<sup>2</sup> სტრატეგიული მოსაზრებებით, ისლამის ფუძემდებელი არ ერიდებოდა ხელშეკრულებების გაფორმებას მრავალმერტიანებთანაც, რისი ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და ცნობილი მაგალითიცაა ჰუდაიბიას ზავი მექელ წარმართებთან.<sup>3</sup>

ვითარება შეიცვალა მას შემდეგ, რაც მუსლიმებმა მექა დაიმორჩილეს და ფაქტობრივად ერთპიროვნულ უძლიერეს სამხედრო-პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდნენ არაბეთის ნახევარკუნძულზე. ამის შემდეგ მკვეთრად შეიცვალა სოციალური სურათიც. წარმართებს კატეგორიულად მოსთხოვეს ისლამის მიღება, ხოლო იუდეველებსა და ქრისტიანებს - ჯიზიის გადახდა. ეს ყურანის მე-9 სურაშია გადმოცემული. ამ ტიპის პოლიტიკური, დიპლომატიური და სამხედრო სტრატეგია აღმოჩნდა ფუნდამენტი ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე, რომელიც შემდგომ წარმატებით გააგრძელეს მართლმორწმუნე ხალიფებმა და უმაიანებმა.<sup>4</sup> ამ სტრატეგიის შედეგად მუჰამადი ახდენდა არაბეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრები სხვადასხვა ტომის ინკორპორაციას და კონსოლიდაციას მედინის ქალაქ-სახელმწიფოს უსაფრთხოების გარანტიის სისტემაში და საკუთარი ლიდერობის ქვეშ ქმნიდა პოლიტიკურ სისტემას, რასაც მ. უოტმა *Pax Islamica* უწოდა.<sup>5</sup> ამ გზით მუსლიმები რეგიონში მცხოვრებ იუდეველებს, ქრისტიანებსა და წარმართებს ან საკუთარ მხარეზე

---

<sup>1</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 1544-1545; *The History of al-Tabari. Volume VIII. The Victory of Islam*, 83-84.

<sup>2</sup> Watt, W.M. "Muhammad." *The Cambridge History of Islam, (Volume 1A), The Central Islamic Lands from Pre-Islamic Times to the First World War*, 53.

<sup>3</sup> ჰუდაიბიას ზავი იხ. *The History of al-Tabari. Volume VIII. The Victory of Islam*, 86.

<sup>4</sup> Peters, F.E. *The Monotheists. Jews, Christians and Muslims in Conflict and Competition, Volume 1. The Peoples of God*. Princeton, N.J. : Princeton University Press, 2003, 108.

<sup>5</sup> Watt, W.M *Muhammad at Medina*, 121-122.

იბირებდნენ ან კი ზიმმას ხელშეკრულების გაფორმებით მათ პოზიტიურ ნეიტრალიტეტს იღებდნენ, ხოლო მექელებს უმცირესობაში ტოვებდნენ.<sup>1</sup>

ამავე აზრს აგრძელებს აჰმედ ელ-ვაკილი, რომელიც წერს, რომ იმ {ქრისტიანულმა} თემებმა, რომლებმაც {არაბეთის ნახევარკუნძულის პერიფერიებზე} მოციქულთან ზავისა და შეუვალობის სიგელები გააფორმეს, უდიდესი ზიანი მიიღეს ბიზანტია-ირანის ომებში (602-628). ისინი დაღლილები იყვნენ ომის დასრულების მუდმივი მოლოდინით და შესაძლოა იგრძნეს, რომ ბიზანტიელებმა და სპარსელებმა, როგორც მათმა მოკავშირეებმა და პროტექტორებმა, ლეგიტიმურობა დაკარგეს. როდესაც მათ წინაშე ახალი ალტერნატივა გამოჩნდა, მათ უყოყმანოდ მიიღეს ის.<sup>2</sup>

ჰიჯაზის რეგიონს მიღმა ისლამის ექსპანსიამდე გაფორმებული ხელშეკრულებები - ზავისა და შეუვალობის სიგელები - წარმოადგენდა ბიზანტიისა და ირანის კონტროლქვეშ მცხოვრებ რელიგიურ თემებთან მოლაპარაკებების ნაწილს, რომლებთანაც მუსლიმებს მოუწევდათ პირისპირ დარჩენა და რომლებიც თავს შეიკავებდნენ მუსლიმების წინააღმდეგ ბრძოლაში, როდესაც იმპერიებს, სახელდობრ სახალიფოს, ირანსა და ბიზანტიას, შორის გარდაუვალი ბრძოლები დაიწყებოდა. მიზეზი, რის გამოც ადგილობრივმა მოსახლეობამ არაბთა დაპყრობით პერიოდში წინააღმდეგობა არ გაუწიეს მუსლიმებს, შესაძლოა, ეს იყო მოციქულსა და სხვადასხვა თემებს შორის დიპლომატიური მოლაპარაკებები და წერილობითი შეთანხმებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ისლამის ექსპანსიამდე.<sup>3</sup>

მუჰამადი სხვადასხვა რელიგიურ თემთან ზიმმა-ს სრულიად სხვადასხვა პირობებით აფორმებდა, თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი ამ შეთანხმებებში ბუნებრივი რესურსების: წყლების, თევზების, პალმის და სხვა ხეების ნაყოფების და ნაყოფიერი მიწების გარკვეული ნაწილის ხელში ჩაგდება იყო.<sup>4</sup> მედინაში მოღვაწეობის ბოლო პერიოდში კი მუჰამადს ქრისტიანების, იუდეველების და წარმართების წინააღმდეგ მიმართული ყურანის აიეებიც გარდმოევიწინა. ამიტომაც, მონოთეისტთა არაერთი არაბული ტომი ამ ახალი სახელმწიფოს მთელ რიგ სოციალურ-ეკონომიკურ

<sup>1</sup> Ибн Хишам. *Жизнеописание Пророка Мухаммада*, 276.

<sup>2</sup> Ahmed el-Wakil. "The Prophet's Treaty with the Christians of Najran: an analytical study to determine the authenticity of the covenants," *Journal of Islamic Studies*, Vol. 27, No. 3. 2016, 329.

<sup>3</sup> იქვე, 329.

<sup>4</sup> Ибн Хишам. *Жизнеописание Пророка Мухаммада*, 552.

სიკეთეებს აანალიზებდა და ისლამს შედარებით უპრობლემოდ იღებდა.<sup>1</sup> ისლამის მიღება მათთვის აუცილებლობად მოჩანდა, რათა მედინის პოლიტიკური მძლავრი გაერთიანების სრულყოფილი წევრობა მოეპოვებინათ და მისი სიკეთეებით ესარგებლათ.<sup>2</sup> სიკეთეებში კი შეუვალობის გარანტია და სამხედრო ოპერაციების შემდგომ ხელში ჩავარდნილი ნადავლის წილის მიღება იგულისხმებოდა.

ზიმიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებას ეწოდებოდა „აკდ აზ-ზიმმა“, რომელიც მიიჩნეოდა მუდმივად და მხოლოდ სამ შემთხვევაში ანუღირდებოდა: 1. თუ ზიმიები მიიღებდნენ ისლამს. 2. თუ მუსლიმები დაკარგავდნენ დამორჩილებულ ტერიტორიაზე კონტროლს და ის არამუსლიმთა ხელში აღმოჩნდებოდა. 3. სამხედრო გადატრიალების შემთხვევაში, თუ ძალაუფლებას ხელში ზიმიები აიღებდნენ.<sup>3</sup> „აჰლ აზ-ზიმმას“ ისლამური კანონი იცავდა. რაც შეეხება მათ, ვისაც მუსლიმები „ამანს“ იმავე „სულჰს“ მისცემდნენ - ისინი სახალიფოს ტერიტორიულ შემადგენლობაში არ შედიოდნენ, სარგებლობდნენ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ფართო ავტონომიით.<sup>4</sup> მათ საკუთარი საკანონმდებლო ბაზა სრულად უნარჩუნდებოდათ. ისინი შეუვალობის სანაცვლოდ მუსლიმების სასარგებლოდ ჯიზიას იხდიდნენ.

ახლადჩამოყალიბებული ისლამური სახელმწიფოს მეთაური, იზოლაციაში რომ არ მოქცეულიყო, ცდილობდა კონტაქტები დაემყარებინა მეზობელ ქრისტიანებით დასახლებულ რეგიონებთან და სახელმწიფოებთან და აფორმებდა ზავისა და შეუვალობის სიგელებს, რითაც არა მხოლოდ დიპლომატიურ კავშირებს ამყარებდა მათთან, არამედ საკუთარი საზღვრების უსაფრთხოების გარანტიასაც იღებდა.<sup>5</sup> ე.წ. „ელჩობათა წელს“ (631წ.) მუჰამადთან ჩავიდა დელეგაცია დაახლ. 70 არაბული ტომიდან, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს ხელშეკრულება გაუფორმა. მათ შორის იყო იემენში მცხოვრები ჰამდანის ტომი, რომელთაც მღვდლის სამოსი ეცვათ და ადენური ქუდები ეხურათ. ხელშეკრულების პირობების თანახმად, ისლამის ფუძემდებელმა დელეგაციის წევრებს, ვინც მიიღო ისლამი, შეუნარჩუნა მიწები და

<sup>1</sup> Watt, W.M. *Muhammad at Medina*, 147.

<sup>2</sup> იქვე, 143-148.

<sup>3</sup> Чомаев, З.А. *Мусульманская дипломатия в раннеисламскую эпоху*, 106.

<sup>4</sup> Milka Levy-Rubin. *Non-Muslims in the Early Islamic Empire. From Surrender to Coexistence*, 26.

<sup>5</sup> Чомаев, З.А. *Мусульманская дипломатия в раннеисламскую эпоху*, 49.

ბუნებრივი სიკეთეები მიჰლავის ოლქში ზაქათის გადახდის პირობით.<sup>1</sup> არსად არ ჩანს, რომ ისლამის მოციქულმა ადენელებს, რომელთა რიგებშიც იყვნენ როგორც ბედუინები, ასევე მკვიდრნიც, ისლამის მიღება მოსთხოვა. ამავდროულად, უცნაური ის არის, რომ „ადენელებმა უარი თქვეს ღმერთებზე და კერპებზე“.<sup>2</sup> ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ქრისტიანობისა და იუდაიზმის გავრცელების მიუხედავად, მუჰამადის პერიოდში ადენში, როგორც ჩანს, მრავალღმერთიანები ჯერ ისევ ცხოვრობდნენ. „ელჩობათა წელს“ პოლიტიკური და სავაჭრო სიმძიმის ცენტრმა მექადან მედინაში გადაინაცვლა. ამას გარდა, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ არაბული ტომების მასობრივი ისლამიზაციის პროცესი ამ პერიოდში იმითაც ყოფილიყო განპირობებული, რომ მუჰამადმა არ შეასრულა მასზე გარდმოვლენილი აია, რომელშიც იყო ალაჰის სიტყვა, მუსლიმებს მოეკლათ მრავალღმერთიანები.<sup>3</sup>

მუჰამადის დროს მუსლიმები ისე აფორმებდნენ ხელშეკრულებებს, რომ რელიგია არ ასრულებდა გადამწყვეტ როლს, მაგრამ ისლამის ფუძემდებელი არაერთ შემთხვევაში ცდილობდა ისლამის, როგორც პოლიტიკური იდეოლოგიის თავის სასარგებლოდ გამოყენებას, რაც მის მხრიდან ისლამური ექსპანიონისტური პოლიტიკის გატარებად შეგვიძლია შევაფასოთ. განსაკუთრებით ეს მის სამხრეთულ პოლიტიკას ეხებოდა. იგი კარგად აცნობიერებდა რელიგიური იდეოლოგიის მნიშვნელობას, როგორც გავლენის სფეროს გაფართოების საშუალებას, განსაკუთრებით იმ მომენტში დაქსაქსული არაბული ტომების გაერთიანების საქმეში.

ისლამის მიღების მოთხოვნა, როგორც ხელშეკრულების გაფორმების წინარე ზეპირი მოლაპარაკების სტადია, უფრო სუსტ და მცირერიცხოვან ტომებს ეხებოდა, რომლებსაც შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ისლამის აღიარების გარდა სხვა გზა აღარ რჩებოდათ.<sup>4</sup> მედინიდან შორს მცხოვრები ძლიერი ტომები კი, რომლებიც აღიარებდნენ მუჰამადის პოლიტიკურ ლიდერობას და აფორმებდნენ *ზიმმა*-ს ისლამის ფუძემდებელთან, ინარჩუნებდნენ იუდაიზმსა და ქრისტიანობას.<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> Ибн Хишам. *Жизнеописание Пророка Мухаммада*, 588-589.

<sup>2</sup> იქვე, 589.

<sup>3</sup> Вахтангадзе, М.К. *Основные особенности Раннего Ислама*, 57.

<sup>4</sup> Watt, W.M. *Muhammad at Medina*, 125-126.

<sup>5</sup> იქვე, 144.

## 2.2. მუჰამადი, სინას მონასტერი და დაცვის სიგელი

მუჰამადი მედინურ პერიოდში წარმოჩინდა როგორც პოლიტიკური ლიდერი. იგი ქრისტიანულ თემებთან აფორმებდა საზავო ხელშეკრულებებს და ამავდროულად აგრძელებდა სამხედრო ექსპანსიას ჩრდილოეთის მიმართულებით,<sup>1</sup> სადაც მეტწილად ქრისტიანი ტომები ცხოვრობდნენ. ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ არა მხოლოდ ნაჯრანის, ეილათისა და დუმათ ალ-ჯანდალის დაცვისა და შეუვალობის სიგელები იყო მაგალითი იმისა, რომ ალაჰის მოციქული აფორმებდა დიპლომატიური სახის დოკუმენტებს ქრისტიანებთან, არამედ მუჰამადმა თითქოს და დაცვის სიგელები გაუფორმა სინას ნახევარკუნძულზე არსებულ წმ. ეკატერინის მონასტრის ბერებს, სპარსელ ქრისტიანებს, „მსოფლიოს ქრისტიანებს“, იერუსალიმის სომეხ (და არა მხოლოდ) ქრისტიანებს და ასირიელ ქრისტიანებსაც და რომ, თითქოს, ადრეული ისლამის ისტორიაში ხელუხლებელი ეკლესიები სწორედ იმის დასტური უნდა იყოს, რომ მუსლიმები გულდასმით იცავდნენ მოციქულის ანდერძს - არ შეხებოდნენ ქრისტიანულ ეკლესია-მონასტრებს.<sup>2</sup>

ჯ. მოროუ იზიარებს აზიზ სურიალ ათიას, ბალთაზარ დე მონკონის, ანტონი მორისონის, დემეტრიუს ცენტემირის და ფრედერიკ ჰენიკერის ჩანაწერებს იმის თაობაზე, რომ მუჰამადი, სამოციქულო მისიის დაწყებამდე, ძალიან კარგად იცნობდა სინას ნახევარკუნძულის მონასტერსა და ქრისტიან ბერებს, რომლებიც იქ მოღვაწეობდნენ. ისლამის ფუძემდებელი მათ სავაჭრო მოგზაურობებისას ეცნობოდა. ზემოხსენებულ მკვლევრებზე დაყრდნობით, ჯ. მოროუ დარწმუნებულია, რომ ისლამის ფუძემდებელმა მათთან გააფორმა ზავისა და შეუვალობის ხელშეკრულება.<sup>3</sup> ამასთან, სინას მონასტრის სიახლოვეს აგებული მეჩეთი უძველესი უნდა იყოს და ის ან თავად მუჰამადის ცხოვრების დროს ან კი ‘ამრ იბნ ალ-‘ასის დროს ააგეს ზუსტად იმ ადგილას, სადაც ისლამის მოციქულმა დაადგა ფეხი.<sup>4</sup> თუმცა, მკვლევართა უმეტესობა ამ სიგელებს ნაყალბევად მიიჩნევს.

არსებობს მოსაზრება, რომ მუჰამადი 15-დან 25 წლამდე და განსაკუთრებით, 25-დან 40 წლამდე, ვიდრე დაიწყებდა სამოციქულო მოღვაწეობას, გარკვეული პერიოდის

<sup>1</sup> Watt, W.M. *Muhammad at Medina*, 53.

<sup>2</sup> Morrow, J.A. *The Covenants of the Prophet Muhammad*, 17.

<sup>3</sup> იქვე, 8-11.

<sup>4</sup> იქვე, 16-22.

განმავლობაში ცხოვრობდა სინას ნახევარკუნძულზე, სადაც იგი თითქოს და გაეცნო იუდეურ-ქრისტიანულ ეზოთერიულ სექტას, რომლებიც ეზოთერიულ სწავლებებს სხვადასხვა რეგიონში ავრცელებდნენ. ეს სექტა წარმოადგენდა მოსეს სჯულისა და ქრისტიანობის ნაზავს, რომელიც აღიარებდა იესოს, როგორც მესიას, თუმცა არა როგორც ღვთის შვილს და არ ივიწყებდა მოსეს სჯულს.<sup>1</sup>

ცნობილია, რომ უძველესი დაცვის სიგელი, რომლის დედანი ინახებოდა ოსმალეთის სულთნის საგანძურში სტამბოლში, თარგმნილია რუსულ ენაზე და შეტანილი რუსული საიმპერატორო არმიის გენერლის ა. უმანეცის (1762-1828) წიგნში - „მოგზაურობა სინაზე“. ა. უმანეცი წერს: თარგმანი არაბულიდან რუსულად შესრულდა ვინმე გრიგორიევის მიერ სახელწოდებით “Жалованная грамота пророка Мухаммеда”. „...ფირმანი მონასტრის უსაფრთხოებისა და იქ ღვთისმსახურების თავისუფლად აღვლენის შესახებ გაცემულ იქნა უშუალოდ მუჰამადის მიერ, როდესაც მან მოიპოვა პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება ... ბადრთან (622 წლის 1 მარტი).... სინას მონასტერმა ... გააგზავნა მასთან დელეგაცია მილოცვებითა და საჩუქრებით. დელეგაცია მიიღეს ძალიან თბილად და დაბრუნებისას მონასტერში ჩამოიტანეს ყველაზე კეთილგანწყობილი ფირმანი. .. ფირმანი ჩაწერილ იქნა ღაზელის ტყავზე ქუფური ასოებით, ხოლო ხელმოწერის ნაცვლად მასზე მიამაგრეს, ბუკვალური მნიშვნელობით, მუჰამადის ხელი (ხელის ანაბეჭდი) ... ყველა მუსლიმი აღიარებდა მონასტრისათვის მინიჭებულ უპირატესობას როგორც ხელშეუხებელ სიწმინდეს. სულთანმა სელიმ I-მა, როდესაც 1517 წელს დაიპყრო ეგვიპტე, სინას მცხოვრებლებმა წარუდგინეს მუჰამადის შეთანხმება და სთხოვეს მფარველობა. მან უპასუხა, რომ იპოვა ფასდაუდებელი საგანძური და ის ძალიან ბედნიერი იყო არა იმდენად ეგვიპტის დაპყრობით, რამდენადაც ამ საგანძურის შეძენით. მან თავისთვის მოითხოვა დოკუმენტის ორიგინალი და ამ დროიდან ეს დოკუმენტი ინახება სულთნის საგანძურში სტამბოლში, რომლის გასაღებიც აქვს თვითონ სულთანს და სადაც ქრისტიანების შესვლა დღემდე შეუძლებელია. ორიგინალის ნაცვლად მან მონასტერს გადასცა ამ ფირმანის თურქული თარგმანი, რათა ის გასაგები ყოფილიყო ეგვიპტის

---

<sup>1</sup> Upton, Charles. “The Shepherds, the Baptist and the Essenes: A Response to *The Life of Christ and Biblical Revelations* by Anne Catherine Emmerich.” Findings in *Mettaphysics, Path and Lore: A Response to the Traditionalist/Perennialist School*. San Rafael: Sophia Perennis, 2010, 199.

თურქი მმართველებისათვის. თარგმანს ახლავს შესავალი და დასკვნა ყველაზე დახვეწილი ფრაზებით აღმოსავლურ სტილში“.<sup>1</sup>

ჯ. მოროუ მიიჩნევს, რომ სინას მთაზე მოღვაწე ბერებისადმი გაგზავნილი წერილი ორიგინალი ვერსიის ასლია.<sup>2</sup> უძველესი ასლი მიეკუთვნებოდა სულეიმან „ბრწყინვალის“ ეპოქას (1520-1566). ყოველ საუკუნეში ერთხელ ბერები ადგენდნენ ახალ ასლს, რომლის ისტორიული ფესვებიც მუჰამადის ეპოქამდე მიდის და ის თანაბრად აღიარეს შიიტებმა და სუნიტებმაც.<sup>3</sup> ალბერტ ჩამპდორი მიიჩნევდა, რომ დაცვისა და შეუვალობის სიგელი ისლამის ფუძემდებლის კარნახით ალი იბნ აბი ტალიბმა შეადგინა ჰიჯრით 4/625წელს.<sup>4</sup> ამავე აზრს იზიარებდა კონსტანტინოს მანაფისი.<sup>5</sup> თუმცა, როგორც ჯ. მოროუ მიიჩნევს, ხელშეკრულების ორიგინალი ვერსია დაკარგული უნდა იყოს. ამასთან, XIX-XX სს. ევროპელები, რომლებიც ყალბად მიიჩნევდნენ მუჰამადის მიერ შედგენილ დოკუმენტებს, სადაც მუსლიმების მიერ ქრისტიანული ძეგლებისა და ქრისტიანების პატივისცემაზე იყო საუბარი, უგულბებლყოფილი და ყალბად იყო მიჩნეული იმპერიალისტური ზრახვებითა და მოტივებით.<sup>6</sup> მათ ინტერესებში არ შედიოდა მუსლიმების და ქრისტიანების მეგობრობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის დამადასტურებელი ძვირფასი დოკუმენტების არსებობის აღიარება.

არსებობს სინას მონასტრის დაცვისა და შეუვალობის სიგელის ინგლისურ ენაზე თარგმანის რამდენიმე ვარიანტი; ესენია: 1809 წელს რ. პოკოკეს მიერ შესრულებული დაცვისა და შეუვალობის სიგელის თარგმანი, ფ. არუნდალეს 1837 წელს შესრულებული თარგმანი, მარი-ჯოზეფ გერამბის 1840 წლის თარგმანი, ჰ. სკრობუჩას მიერ თარგმნილი 1966 წლის ვარიანტი, ჰადადისა, რომელიც 1902 წლით არის დათარიღებული და ჯონ მოროუს უახლესი - 2013 წლის ვარიანტი.<sup>7</sup>

<sup>1</sup> Уманец, А.А. *Поездка на Синай с приобщением отрывков о Египте и Святой земле*, Санкт-Петербург: типография III отд. Собст. Е.И.В. Канцелярии. 1850, 18-21.

<sup>2</sup> Morrow, J.A. *The Covenants of the Prophet Muhammad*, 66.

<sup>3</sup> იქვე, 68, 72.

<sup>4</sup> Champdor, Albert. *Le Mont Sinai Et Le Monastère Sainte Catherine*. Paris, 1963.

<sup>5</sup> Manafis, Konstantinos A. *Sinai: Treasures of the Monastery of Saint Catherine*, Ekdotike Athenon, 1990, 22.

<sup>6</sup> Morrow, J.A. *The Covenants of the Prophet Muhammad*, 77, 79-82.

<sup>7</sup> Pococke, Richard. "Chapter XIV: The Patent of Mahomet, which he granted to the Monks of Mount Sinai; and to Christians in General," *A Description of the East*, vol. 1, London: Printed for the author, by W. Bowyer, 1743, 268-70; Arundale, Francis. *Illustrations of Jerusalem and Mount Sinai: Including the Most Interesting Sites Between Grand Cairo and Beirut*, London: Henri Colburn, 1837, 28-29; Géramb, Marie Joseph. *A Pilgrimage to Palestine, Egypt, and Syria*, vol. 2, London: Henri Colburn, 1840; Scrobucha, H. *Sinai*, London: Oxford University

ჩვენ აქ თვალსაჩინოებისთვის თავიდან ბოლომდე მოვიყვანოთ სინას მონასტრის ბერებთან გაფორმებული დაცვის სიგელის თარგმანს ქართულ ენაზე. სხვა სიგელებს ვრცლად აღარ განვიხილავთ, რადგან ჩვენ ვეთანხმებით კოლესნიკოვსა და ყველა იმ მკვლევარს, რომლებიც ამ, სპარსელ ქრისტიანებთან, ასირიელ ქრისტიანებთან, ე.წ. მსოფლიოს ქრისტიანებთან და იერუსალიმის სომეხ ქრისტიანებთან გაფორმებულ დაცვის სიგელებს და ნაჯრანელებთან გაგზავნილ ძალიან გრძელ წერილს (და არა დაცვის სიგელს) ნაყალბევად მიიჩნევენ. ამის მიზეზები კი შემდეგია: ა. ეს სიგელები და წერილი ძალიან გრძელია. ისინი უფრო მეტად ანდერძს, ქადაგებასა და კონსტიტუციას ჰგავს, ვიდრე დაცვის სიგელებს. მათი კითხვისას თვალსაჩინოა ის პრობლემები, რომელიც მუსლიმებსა და დამორჩილებულ ადგილობრივ ქრისტიანულ თემებს შორის გვიანუმაიანთა და განსაკუთრებით 'აბასიანთა და ფატიმიანთა ეპოქაში იჩინა თავი. ე.წ. ნაჯრანის წერილში კარგად ჩანს იუდეველთა დამცირებისა და იმ ფაქტის წარმოჩენის მცდელობა, რომ ნაჯრანელმა ქრისტიანებმა შეასრულეს დაცვის სიგელის პირობები. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ სირია-პალესტინის მიწაზე, 'აბასიანთა და ფატიმიანთა პერიოდში ადგილობრივ იუდეველებსა და ქრისტიანებს შორის სხვადასხვა სოციალური და რელიგიური ტიპის კონფლიქტი იყო გაღვივებული და როგორც ჩანს, ქრისტიანები ცდილობდნენ საკუთარი უფლებები იუდეველებზე მაღლა დაეყენებინათ. როგორც კოლესნიკოვმა შენიშნა, „ნაჯრანის წერილის“ კითხვისას აშკარა და თვალსაჩინოა მცდელობა, რომ ის უნივერსალურად, საყოველთაოდ წარმოეჩინათ.<sup>1</sup>

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დიდი უნდა იყოს იმის ალბათობა, რომ სწორედ მუსლიმთა ზეწოლის ქვეშ, ასევე იუდეველებთან კონფლიქტის პირობებში, ქრისტიანები ადგენდნენ (აყალბებდნენ) დაცვის სიგელებს. მათივე შედგენილი უნდა იყოს ე.წ. მუჰამადის წერილი ნაჯრანელებისთვის. აშკარაა, რომ ეს დოკუმენტები ქრისტიანების გადმოსახედიდან და მათ სასარგებლოდაა შედგენილი. ბუნებრივია, რომ 'აბასიანთა და ფატიმიანთა სახალიფოს ქრისტიანულმა მოსახლეობამ კარგად

---

Press, 1966, 58; Haddad, Anton F., trans. *The Oath of the Prophet Mohammed to the Followers of the Nazarene*, New York: Board of Counsel, 1902; Morrow, John Andrew. *The Covenants of the Prophet Muhammad with the Christians of the World*. Tacoma, WA: Angelico Press / Sophia Perennis, 2013.

<sup>1</sup> Колесников, А.И. “Две версии договора Мухаммада с христианами Наджрана.” *Палестинский Сборник. Выпуск 28(91), История и Культура Ближнего Востока Древнего и Раннесредневекового Времени*. Ленинград: Наука, 1986, 25.



იცოდა, რომ ისლამის ფუძემდებელი სიცოცხლეში ადგენდა დაცვის სიგელებს ქრისტიანულ თემებთან; მათაც ამ დაცვის სიგელებისთვის ლეგიტიმურობის მისანიჭებლად, ოსტატურად გამოიყენეს მუჰამადის, როგორც ისლამის ფუძემდებლის სახელი. თუმცა, მათ დაავიწყდათ ან არ იცოდნენ, რომ ალაჰის მოციქული ძალიან გრძელ ზავისა და შეუვალობის სიგელებსა და წერილებს არ ადგენდა. ამ სიგელების და ნაჯრანის წერილის ნაყალბევობაში ისიც გვარწმუნებს, რომ ისინი მოიცავენ სოციალურ-კულტურული, სამართლებრივი და აგრეთვე ეკონომიკური საკითხების საკმაოდ ფართო სპექტრს, რაც მუჰამადის დროს ვერ იარსებებდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისლამის მოციქულმა თითქოს განჭვრიტა და ზუსტად იწინასწარმეტყველა ის მნიშვნელოვანი საკითხები და პრობლემები (მაგალითად, ქრისტიანი გოგონების მუსლიმებზე გათხოვების საკითხი), რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ მხოლოდ ათწლეულების შემდეგ გამოჩნდა. სხვა მხრივ, გამოდის სრულიად ალოგიკური და აბსურდული რამ, რომ მუჰამადმა განჭვრიტა ჯერ დაუმორჩილებელ რეგიონებში შექმნილი ვითარება და ფაქტობრივად წინასწარ შექმნა საკანონმდებლო ბაზა ქრისტიანებისა და მუსლიმების წარმატებული კოჰაბიტაციისთვის, პროცესისთვის, რომელიც როგორც ისტორიული რეალობიდანაა ცნობილი, დაიწყო მხოლოდ 720-იანი წლებიდან და პიკს მიაღწია X-XI საუკუნეებში 'აბასიანთა და ფატიმიანთა ეპოქაში.

ჯ. მოროუ თითქოს და ლოგიკურად ასაბუთებს ამ წერილების სინამდვილეს იმით, რომ თითქმის ყველა მათგანი მოიცავს ნაჯრანის დაცვის სიგელის პირობებს და ფაქტობრივად იმეორებს მის ტექსტს, რაც იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ისლამის მოციქულმა ერთი ტიპის სიგელები დაუგზავნა სინას მონასტრის ბერებს, ასირიელებს, მსოფლიოს ქრისტიანებს, მცირე ცვლილებებთან ერთად. ამ აზრს აგრძელებს აჰმედ ელ-ვაკილი, რომელიც აღნიშნავს: „ექვსივე დაცვის სიგელის ენობრივი მსგავსებები იძლევა ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ თუ ერთი მათგანი ავთენტური აღმოჩნდა, მაშინ დანარჩენი სიგელების სანდობაც გამყარდება“.<sup>1</sup> ამასთან, მკვლევარი იქვე აღნიშნავს: „მოწმეთა სახელების შედარებითი ანალიზი გვაძლევს მაღალი დარწმუნებით დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ ისინი ერთმანეთისაგან

---

<sup>1</sup> Ahmed el-Wakil. "The Prophet's Treaty with the Christians of Najran: an Analytical Study to determine the Authenticity of the Covenants," 286.

დამოუკიდებლად შეადგინეს სხვადასხვა ქრისტიანული თემისთვის“.<sup>1</sup> მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს სიგელები არა გაყალბებული, არამედ ავთენტური სიგელების კვლავწარმოებას წარმოადგენდა.<sup>2</sup> ამასთანავე, მკვლევარი ეჭვქვეშ აყენებს თითქმის ყველა ავტორიტეტული წყაროს ავტორის (ალ-ბალაზური, ატ-ტაბარი და სხვები) სანდოობას და წერს, რომ ისინი მიზანმიმართულად ფარავდნენ ისლამის ისტორიის ადრეულ პერიოდსა და მუჰამადის ბიოგრაფიას, მანიპულირებდნენ ისლამის ისტორიით, რათა მორგებოდნენ (რეგიონალური) დიდი ძალების ინტერესებს, (სახალიფოს ტერიტორიული გაფართოვების უმაღლეს ინტერესს), და წარმოეჩინათ, რომ მოციქული არ აფორმებდა სიგელებს ქრისტიანებთან.<sup>3</sup>

ვფიქრობთ, ეს ნაშრომი სპეკულაციური ტიპისაა, სადაც ავტორი ჰიპოთეტური დაშვებებით და მსჯელობით ხელმძღვანელობს. მისი ბუნდოვანი მსჯელობა არცერთი ავტორიტეტული წყაროთი (იბნ ჰიშამი, იბნ სა'დი, ატ-ტაბარი, ალ-ვაკიდი, ალ-ბალაზური, იბნ ქასირი) არ არის გამყარებული. მკვლევარი მათ სრულიად არ ენდობა.

ჯ. მოროუ წერს: „უნდა არსებულიყო ამ სიგელების მთავარი წყარო-დოკუმენტი, ე.წ. პროტოტიპი (Q-Source), რომელიც მოციქულ მუჰამადის დროს გაამრავლეს და გაავრცელეს, შედეგად კი მივიღეთ მრავალი ტექსტუალური ვარიანტი“. მკვლევარი ამ სიგელებში გაპარულ მცირე სტილისტურ განსხვავებებს, აცდენებს თარიღებსა და მოწმეთა სახელებში გადამწერებს აბრალებს და ფიქრობს, რომ შესაძლებელია, მოციქულმა ერთი მთავარი დოკუმენტი შეადგინდა, რომელიც შემდგომ 'ალიმ და მუ'ავიამ დააკოპირეს, რის შედეგადაც, მივიღეთ ხელნაწერის ორი ტიპი. მკვლევარი აღნიშნავს, რომ სრულიად შესაძლებელია, რომ მოციქულმა კიდევ ძალიან ბევრი დოკუმენტი გამოსცა.“<sup>4</sup> ეს მსჯელობა, ერთი შეხედვით შეიძლება ლოგიკური მოგვეჩვენოს, ასევე მცირე შეცდომების გადამწერებზე დაბრალება, მაგრამ ყურადღებას იქცევს ქრისტიანი გოგონების მუსლიმ მამაკაცებზე გათხოვების საკითხი, რომელიც ასევე თითოეულ დოკუმენტში გვხვდება. არა მხოლოდ ტექსტების სიდიდე, არამედ სწორედ ამ ტიპის გამეორება გვარწმუნებს აგრეთვე ამ წერილების ნაყალბეობაში, რადგანაც ამ მწვავე სოციალურმა პრობლემამ მხოლოდ 'აბასიანთა და

---

<sup>1</sup> იქვე, 291.

<sup>2</sup> იქვე, 291.

<sup>3</sup> იქვე, 334.

<sup>4</sup> Morrow, J.A. "The Covenants of the Prophet and the Problems of Transmission," 22.

ფატიმიანთა პერიოდში იჩინა თავი. მაშ, რატომ უნდა ეხსენებინა მუჰამადს სინას მონასტრის ბერებთან გაგზავნილ წერილში ქრისტიანი გოგონების მუსლიმ მამაკაცებზე გათხოვების საკითხი? ან რატომ დაწერდა მუჰამადი, რომ ბერები ბრძოლებში მონაწილეობისაგან უნდა გათავისუფლებულიყვნენ? სარწმუნო არაა, რომ გადამწერებს ამ ტიპის უპატიებელი „შეცდომა“ გაპარვოდათ. ეს მიზანმიმართულად უნდა გაკეთებულიყო.

ვფიქრობთ, რომ ისლამის ფუძემდებლის მიერ შედგენილი დაცვის სიგელებიდან ნამდვილი ის სიგელებია, სადაც ე.წ. უბრალო და მეტწილად მატერიალურ საკითხებზეა საუბარი, როგორცაა კონკრეტული ნატურალური (ანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების ტრადიციისთვის დამახასიათებელი: ცხვარი, ძროხები, თაფლი, თევზი, ძვირფასი სამოსი) და ფულადი გადასახადები (ესეთებია: ნაჯრანის, ადრუს, მკნას, ჰიმარისა და ბაჰრეინის სიგელები), ხარკის სხვა ტიპები (აბჯრების, უზანგების და საბრძოლო იარაღების გადახდის დავალდებულება), მუსლიმთა სასარგებლოდ ბრძოლებში მონაწილეობა ან მათგან გათავისუფლება, გარკვეულ რეგიონებში გადაადგილების თავისუფლების გარანტიის მიცემა (ეილათის სიგელი), სწორად ლოცვის ინსტრუქცია და ზაქათის გაცემა (ჰიმირიელთა სიგელი), ისლამის აღიარებისკენ მოწოდება (მუკავკისის, შაჰინშაჰის, მუნზირ იბნ სავასა და ჰერაკლესთან გაგზავნილი წერილები). სინას მონასტრის ბერებისთვის გაგზავნილი დაცვის სიგელი (ჩვენი აზრით გაყალბებული) ~~ა~~ კი იწყება ტრადიციული ისლამური ფრაზით: „სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა“.<sup>1</sup>

*ეს ხელშეკრულება მუჰამადის, 'აბდალაჰის ძის ბრძანებით დაიწერა, რომელიც არის გამომცხადებელი და მაუწყებელი, (ღვთის სიტყვისა) ვისაც მინდობილი აქვს დაიცვას ალაჰის ქმნილებანი, იმისთვის, რომ არავინ გაბედოს ალაჰის წინააღმდეგ გამოსვლა მისი მოციქულების მოსვლის შემდეგ, რამეთუ ალაჰი ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნეა. მან დაწერა ეს (დოკუმენტი) მისი რელიგიის ხალხისთვის და მათთვის, ვინც აღიარებს ქრისტიანულ რელიგიას აღმოსავლეთსა და დასავლეთში, შორს და ახლოს მყოფთათვის, არაბებისათვის და არაარაბთათვის, ნაცნობებისა და უცნობებისთვის, როგორც დაცვის სიგელი.*

---

<sup>1</sup> *Text of the Covenant of the Prophet Muhammad with the Monks of Mount Sinai* (in Arabic), 218-221.

თუ ვინმე არღვევს ხელშეკრულებას, უარყოფს და ეწინააღმდეგება მის დებულებებს - არღვევს ალაჰის ხელშეკრულებას, არღვევს შეთანხმებას, აძაგებს მის რელიგიას და ღირსია ალაჰის წყევლისა, იმის მიუხედავად, ის სულტანია თუ უბრალო რიგითი მუსლიმი.<sup>1</sup>

თუკი ბერს ან მომლოცველს სურს დაცვა და თავშესაფარი მთასა და ბარში, გამოქვაბულში თუ მინდვრებში, უდაბნოსა თუ ეკლესიაში, პირადად მე ვარ მათ უკან და ვიცავ მას ყველა მტრისაგან,<sup>2</sup> მე, ჩემი დამხმარენი, ყველა ვინც აღიარებს ჩემს რელიგიას და თითოეული ჩემი მიმდევარი, რამეთუ ისინი (ბერები და პილიგრიმები) არიან ჩემი პატრონობის ქვეშ და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ხალხია (ზიმეები).

მე ვიცავ მათ [სასურსათო] მარაგებში ჩარევისგან, გადასახადების გადახდისგან. არ უნდა იყოს მათზე ძალდატანება ან შევიწროება მათ წინააღმდეგ ამ საკითხებში.<sup>3</sup>

არცერთმა ეპისკოპოსმა არ უნდა დატოვოს ეპარქია, არც ბერმა უნდა მიატოვოს მონასტერი და არც განდევილმა უნდა მიატოვოს (სალოცავი) კოშკი და არც მომლოცველი უნდა დაბრკოლდეს პილიგრიმობის დროს. მეტიც, მათი ეკლესიებიდან არცერთი შენობა არ უნდა იქნეს დანგრეული, მათი ეკლესიების ქონება არ უნდა იქნეს გამოყენებული მეჩეთების ან მუსლიმების სახლების ასაგებად. ვინც ამას გააკეთებს, არღვევს ალაჰის სიგელს და უთანხმოებს ალაჰის მოციქულთან.

ბერებს, ეპისკოპოსებსა და მორწმუნეებს ჯიზია ან სხვა სულადი გადასახადი არ უნდა დაეკისროთ, რამეთუ მე ვარ მათი დაცვა. სადაც არ უნდა იყვნენ - ხმელეთსა და ზღვაზე, აღმოსავლეთსა და დასავლეთში, ჩრდილოეთსა და სამხრეთში, ისინი ჩემი დაცვისა და შეუვალობის სიგელისა და პირადი მფარველობის ხელშეკრულების ქვეშ არიან ყოველივე ზიანისგან დაცულები.

ისინი, ვინც განდევილები გახდნენ და განმარტოვდნენ წმინდა ადგილებსა და მთებში, უნდა გათავისუფლდნენ სულადობრივი ბეგარისგან (ჯიზიისგან), ხარაჯისგან და ნებისმიერი 'უმრისგან და იმ სხვადასხვა გადასახადისგან, (რაც დაწესებულია იმაზე,) რასაც მოიპოვებენ თავისი მოხმარების მიზნით მიწიდან (საკვებად) აღმოჩენების შედეგად. მეტიც, მათ მუსლიმები უნდა დაეხმარონ მოუსავლიანობის შემთხვევაში მარცვლეულის გაზრდაში 1 არდაბიდან (კვადრატ.

<sup>1</sup> იქვე, 218-221.

<sup>2</sup> იქვე, 218-221.

<sup>3</sup> იქვე, 218-221.

მოცულობა) 1 ბუშელის (მოცულობის საზომი) ოდენობით მათი პირადი მოხმარებისთვის.

ბერები და განდევნილები არ არიან ვალდებული იმში მიიღონ მონაწილეობა და გადაიხადონ გადასახადი, ხოლო მას, ვინც ვალდებულია ხარაჯა იხადოს და ვინც შეძლებულია იმით, რომ დიდი მიწის ნაკვეთებს ფლობს ან კი შეძლებული ვაჭარია - წელიწადში 12 დირჰამზე მეტი არ უნდა გადაიხადოს თითო კაცმა.

არ შეიძლება ვინმეზე არასამართლიანი გადასახადის დაწესება, „წიგნის ხალხთან“ არ შეიძლება კონფლიქტი და კამათი რელიგიურ უპირატესობაზე; ყველაფერი კეთილი განზარხვით უნდა აღსრულდეს. ჩვენ მათ ვიყვანთ ჩვენი მოწყალების ფრთის ქვეშ და სადაც არ უნდა იყვნენ და სადაც არ უნდა დამკვიდრდნენ, მათთან უსიამოვნებისგან თავს შორს დავიჭერთ.

თუ ქრისტიანი ქალი მუსლიმის ოჯახში შედის, იგი კეთილად უნდა მიიღონ და მას უნდა ჰქონდეს ეკლესიაში ლოცვის შესაძლებლობა. არ უნდა არსებობდეს დავა მასსა (ქრისტიან ქალს) და კაცს შორის, თუ უყვარს (ქალს) მისი რელიგია. ვინც კი დაარღვევს ალაჰის ხელშეკრულებას და საპირისპიროდ მოიქცევა - არის მეამბოხე მისი და მისი მოციქულის ხელშეკრულებისა.

ამ ხალხს მუსლიმები უნდა დაეხმარონ მათი რელიგიური შენობებისა და საცხოვრებელი ადგილების შენარჩუნებაში, ასე დარჩებიან ისინი (ქრისტიანები) ძლიერნი რწმენაში და იქნებიან პირმომთენნი თავიანთი ერთგულებისა.

მათგან არავის უნდა დააძალონ იარაღის ტარება, არამედ მუსლიმებმა უნდა დაიცვან ისინი; და მათ არასდროს არ უნდა დაარღვიონ დაცვისა და შეუვალობის პირობა, სანამ (მეორედ მოსვლის) საათი არ დადგება და სამყარო არ დასრულდება.

როგორც მოწმენი ამ სიგელისა ქრისტიანებისთვის, რომელიც მუჰამად 'აბდალაჰის ძემ, ალაჰის მოციქულმა დაწერა, დაე იყოს მშვიდობა და ლოცვა-კურთხევა ალაჰისა მასზედ, არიან: 'ალი იბნ აბი ტალიბი; აბუ-ბაჟრ იბნ აბი ქუჰაფა; 'უმარ იბნ ალ-ხატტაბი; 'უსმან იბნ 'აფფანი; აბუ ალ-დარდა; აბუ ჰურაირა; 'აბდალაჰ იბნ მას'უდი; 'აბას იბნ 'აბდ ალ-მუტტალიბი; ჰარის იბნ საბითი; 'აბდ ალ-'აზიმ იბნ ჰასანი; ფუდაილ იბნ 'აბბასი; აზ-ზუბაირ იბნ ალ-'ავვამი; ტალჰა იბნ 'აბდ ალლაჰი; სა'დ იბნ მუ'აზი; სა'დ იბნ 'უბადა; საბით იბნ ნაფისი; ზაიდ იბნ საბითი; აბუ ჰანიფა იბნ 'უბაია; ჰაშიმ იბნ 'უბაია; მუ'აზიზამ იბნ კურაიში; 'აბდ ალლაჰ იბნ 'ამრ იბნ ალ-'ასი; 'ამირ იბნ იასინი.

ეს დაცვისა და შეუვალობის სიგელი (წიგნი) საკუთარი ხელით დაწერა 'ალი იბნ აბი ტალიბმა მოციქულის მეჩეთში, დაე იყოს მშვიდობა და ალაჰის ლოცვა-კურთხევა მასზედ; მუჰარამის მე-3 დღეს მოციქულის ჰიჯრის მეორე წელს. ამ სიგელის ნუსხა სულტნის ხაზინას გადაეცა. მას მოციქული ბეჭდით იქნა დადასტურებული, მშვიდობა იყოს მასზედ. დაწერილ იქნა ტყავის ნაჭერზე ტაიფიდან.

კურთხეულია ის, ვინც იცავს მის შინაარსს. კურთხეულია ის, რამეთუ იგი იმ ხალხთაგანია, ვინც უნდა ელოდოს ალაჰის პატიებას. ეს მინაბადი, რომელიც ორიგინალის მინაბადია, ბეჭედდასმულია დიდებული სულტნის მიერ. ეს მინაბადი გადაწერილ იქნა იმ ასლიდან, რომელიც ხელით დაწერა მართლმორწმუნეთა ხელმძღვანელმა, 'ალი იბნ აბი ტალიბმა, დაე დალოცოს ის ალაჰმა.

კეთილშობილი სულტნის ბრძანებით ეს დოკუმენტი, რომელიც ალაჰის ჩანაფიქრით სინაის მთის ბერებს გადაეცათ, ძალაში რჩება, ხოლო ბერები მიიღებენ მინაბადს, რადგანაც მოციქულ მუჰამადის ორიგინალი დაცვის სიგელი დაიკარგა. ასე რომ, ბერებს ექნებათ თავად სულტნის შეუვალობა და დაცვა.

ეს დოკუმენტი არის ასლის მინაბადი, გადაკეთების გარეშე. დაიწერა (ღვთის) მონათა შორის ყველაზე სუსტის - მუჰამად ალ-კადის მიერ.<sup>1</sup>

ალაჰის მოციქული ხვდებოდა, რომ არაბეთის ნახევარკუნძულის კონსოლიდირება შესაძლებელი იყო მხოლოდ ჩრდილოეთის მიმართულებით ბრძოლების მეშვეობით.<sup>2</sup> ამიტომაც, მან დიპლომატიური წერილების შედგენით მოიგო დრო, სანამ სამხედრო შეტევებს დაიწყებდა. ბოლოს კი, სწორედ მან დაიწყო ბიზანტიის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიები, საიდანაც ყველაზე ცნობილია მუ'თას ბრძოლა.<sup>3</sup> ზოგ შემთხვევაში მუჰამადსა და რეგიონის ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიებზე მცხოვრებ მონოთეისტ არაბებთან ალიანსის გაფორმება იმით იყო განპირობებული, რომ ორივე მხარე ჩრდილოეთის მიმართულებით (ანუ ბიზანტიისა და ირანის მიმართულებით) სამხედრო ოპერაციების ჩატარებით იყო დაინტერესებული.<sup>4</sup> საბოლოოდ, ეს სამხედრო „სვლები ჩრდილოეთისკენ“ წარმატებით განაგრძეს მისმა სამართალმემკვიდრებმა. მედინაში ცხოვრების

<sup>1</sup> იქვე, 218-221.

<sup>2</sup> Watt, W.M. *Muhammad at Medina*, 189.

<sup>3</sup> იქვე, 53-55.

<sup>4</sup> იქვე, 90.

განმავლობაში მუჰამადის პოლიტიკა არამუსლიმებთან მიმართებით შემოიფარგლებოდა მეტწილად (სამხედრო) დიპლომატიით, რომელთა შორის უნდა ყოფილიყვნენ სხვადასხვა მიმდინარეობის ქრისტიანები, მათ შორის ნესტორიანული ეკლესიის წარმომადგენელი თამიმის ტომიც იყო, რომელიც მოიაზრებოდა სასანიანთა ირანის გავლენის სფეროში და მუჰამადისათვის სადაკას გადახდას კისრულობდა.<sup>1</sup>

როგორც ჩანს, სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში მუჰამადის მთავარი მიზანი არა მხოლოდ ისლამის გავრცელება, არამედ არაბულენოვანი ეთნიკური ჯგუფების გაერთიანება, მათი სოციალურ-პოლიტიკური კონსოლიდაცია იყო, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა არა ნათესაურ-კლანურ პრინციპებზე და სისხლით ნათესაობაზე, არამედ რელიგიურ-მორალურ, ეთიკურ და მკაცრ სამხედრო დოგმებსა და პრინციპებზე.<sup>2</sup> ჯამში კი, ისლამის მოციქულის მიზანი უნდა ყოფილიყო ერთიანი გეოგრაფიული (გეოპოლიტიკური) სივრცის შექმნა, სადაც ისლამი იქნებოდა დომინირებადი რელიგია, ხოლო ცენტრისგან მოშორებული არაბები შეინარჩუნებდნენ იმ მონოთეისტურ რწმენას (ქრისტიანულსა და იუდეურს), რაც მათ წინაპართაგან მოსდევდათ.

### 2.3. მოციქულ მუჰამადის წერილები მეზობელი ქვეყნების მმართველებთან

არაბული წყაროების თანახმად, რომელსაც მუსლიმი ისტორიკოსების უმრავლესობა კრიტიკის გარეშე ეთანხმება, ისლამის ფუძემდებელმა ჰუდაიბიას ზავის გაფორმების (628წ.) შემდეგ მედინიდან ელჩები და წერილები გაუგზავნა ისლამის მიღების მოთხოვნით:<sup>3</sup> 1. ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს; 2. აკაბას ყურეში ეილათის ეპისკოპოსს - იოანე რუ'ბას ძეს, რომელმაც მუსლიმებთან ომს ხარკის ნატურით გადახდა არჩია; 3. ეგვიპტის სასანიან მმართველს - ჯურაიჯ იბნ მათთას (ალ-მუკავკისს); 4. სირიაში ალ-იამამას რეგიონში მცხოვრები ბანუ ჰანიფას ქრისტიანული ტომის ლიდერს - ჰავდა იბნ 'ალის 5. აქსუმის ნეგუსს ასჰამა იბნ ალ-

<sup>1</sup> იქვე, 139-140.

<sup>2</sup> იქვე, 264-265.

<sup>3</sup> Пиотровский. М.Б. *Коранические Сказания*, 17; R.B. Serjeant. "Early Arabic Prose (Muhammad's letters to foreign Monarchs and Governors)," 141-142.

აბჯარს (გარდ. 630წ.); 6. სირიის დასანიან არაბ ქრისტიან მმართველს - ალ-ჰარის იბნ აბი შამირს 7. ისტორიული ბაჰრეინის სასანიან არაბ მმართველს - მუნზირ იბნ სავა ათ-თამიმის 8. ომანის მმართველებს ჯაფარს და 'აბდს 'აზდის ტომიდან იბნ-ჯულანდა ალ-აზდის 9. ირანის შაჰინშაჰ ხოსრო II ფარვიზს.

ეს წერილები ალექსანდრიის მუზეუმში ინახება, თუმცა მათი ავთენტურობა დღემდე პოლემიკის საგანია. ჰ. გოდარდი წერდა, რომ არაბი მუსლიმების მიერ გამოგონილი ისტორია, მათი რელიგიის უნივერსალურობის ხაზგასმის სურვილით უნდა აიხსნას.<sup>1</sup> მარგოლიუსი კი ამ წერილებს ავთენტურად მიიჩნევდა.<sup>2</sup>

ო. ბოლშაკოვი ფიქრობდა, რომ ეს წერილები გაყალბებული იყო.<sup>3</sup> რ. ბელის მოწაფე რ. სერჟანტიც შეუძლებლად მიიჩნევდა მუჰამადის მიერ წერილების გაგზავნის ფაქტს. იგი ფიქრობდა, რომ იმ დროს, როდესაც მუჰამადს ჯერ არაბეთის ნახევარკუნძულზე ძალაუფლება არ ჰქონდა განმტკიცებული და არაბთა თითოეული ტომი არ იყო მოქცეული ისლამზე, ის ვერ გაუგზავნიდა წერილებს ისლამის მიღების მოთხოვნით ისეთ პიროვნებებს, როგორებიც იყვნენ ბიზანტიის კეისარი და ირანის შაჰინშაჰი.<sup>4</sup> მ. უოტი კი მიიჩნევდა, რომ მუჰამადმა წერილები არა რელიგიის შეცვლის მოთხოვნით, არამედ პოლიტიკური და დიპლომატიური კავშირებისა და ურთიერთობების დამყარების მიზნით გაუგზავნა მეზობელი რეგიონების მმართველებს.<sup>5</sup> ჩვენც ვფიქრობთ, რომ ეს იყო დიპლომატიური წერილები, რომლის ერთადერთი მიზანი იყო საკუთარი ლეგიტიმურობის გამყარება და საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლის შესახებ განაცხადის გაკეთება. ლოგიკურიცაა, რომ მუჰამადი ვერ და არ მოსთხოვდა მეზობელი იმპერიების მმართველებს ისლამის კატეგორიულად მიღებას. მას სჭირდებოდა იმ პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობების აქტორების მხრიდან (პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის) აღიარება.

მუჰამადის დროს მედინის ქალაქ-სახელმწიფო ახლადჩამოყალიბებული იყო და მიუხედავად იდეოლოგიისა, ძლიერი ჯარისა, ფასეულობათა და ღირებულებათა სისტემისა, ის ძალიან ახალგაზრდა სახელმწიფო იყო, რომელსაც არსებობის პირველ თვეებსა და წლებში სჭირდებოდა მეზობელი პოლიტიკური ერთეულების მხრიდან

<sup>1</sup> Godhard, H. *A History of Christian – Muslim Relations*, 23

<sup>2</sup> Margoliouth, D.C. *Mohammed and the Rise of Islam*; New York and London: G. P. Putnam's Sons, 1905, 66.

<sup>3</sup> Большаков, О.Г. *История Халифата, Т 1, Ислам в Аравии*, 154.

<sup>4</sup> Serjeant, R.B. "Early Arabic Prose, (Muhammad's letters to foreign Monarchs and Governors)," 141-142.

<sup>5</sup> Watt, W.M. *Muhammad at Medina*, 41-44.



აღიარება, სოციალურ-ეკონომიკური და შიდაპოლიტიკური სისტემის აშენება და არა მეზობლების დაპყრობა-დამორჩილება. მას შემდეგ, რაც მუსლიმებმა გააფორმეს მათთვის ხელსაყრელი ჰუდაიბიას შეთანხმება და მუსლიმებს მშვიდად ცხოვრების შესაძლებლობა მიეცათ, მუჰამადმა გადაწყვიტა წერილები მიეწერა ისეთი მმართველებისათვის,<sup>1</sup> რომლებიც პოლიტიკურ კლიმატს ქმნიდნენ საერთაშორისო ასპარეზზე და არა მხოლოდ რეგიონში. აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ისლამის ადრეულ ხანაში, არ არსებობდა ელჩების მოსამზადებელი ინსტიტუტები. მუჰამადი და მის შემდეგ ხალიფები ამ მიზნისთვის ყველაზე შესაფერის კანდიდატებს ირჩევდნენ, რომლებიც გამოირჩეოდნენ პატიოსნებით, ეთიკურობით, გამბედაობით, უცხო ენის ცოდნით, კონკრეტული ადგილისა და ხალხის ცოდნით, ლამაზი სახელით, წესიერებით, მჭევრმეტყველებით, მაღალი მორალურობითა და გარეგნული სილამაზით.<sup>2</sup> მუჰამადმა, დიპლომატიური ტრადიციის შესაბამისად, პირველად გამოიყენა ბეჭედი წარწერით: *მუჰამად რასულ ალლაჰ* („მუჰამადი, ალაჰის მოციქული“).

მუჰამადის მიერ ეთიოპიის ნეგუსისადმი გაგზავნილი წერილის ანალიზი საშუალებას იძლევა დადგინდეს, რომ წერილი გაიგზავნა მექურ პერიოდში, ჰიჯრის მე-7 წელს, როდესაც მისი ორმოცამდე თანამოაზრე მუსლიმი ეთიოპიაში გაიხიზნა. ერთ-ერთი მუჰაჯირი ‘უბაიდ ალლაჰ იბნ ჯაჰში (588-627) ეთიოპიაში ქრისტიანად მოინათლა და იქ გარდაიცვალა.<sup>3</sup> წერილი ეთიოპიაში ჩაიტანა ‘ამრ იბნ უმაიდა ად-დამრიმ. მასში ვკითხულობთ:

*„სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. მუჰამადისგან, ალაჰის მოციქულისგან ნეგუს ალ-ასჰამას, აბისინიის მეფეს, მშვიდობა შენ! პირველყოვლისა, მე ვადიდებ ალაჰს, უფალს, წმინდას, მშვიდობისმოყვარეს, სარწმუნოს, მფარველს. ვმოწმობ, რომ იესო, მარიამის ძე არის ალაჰის სული და სიტყვაა მისი, რომელიც ალაჰმა ჩაადო კეთილ და უბიწო მარიამში, და იგი იესოზე დაორსულდა.*

*ღმერთმა იესო თავისი (საკუთარი) სულისაგან და დაბერვით შექმნა, ისევე როგორც ადამი შექმნა თავისი ხელითა და დაბერვით. მე მოგიწოდებ ღმერთისკენ,*

<sup>1</sup> Ibn Kathir. *Al-Sira al-Nabawiyya*, 354.

<sup>2</sup> Чомаев, З.А. “Зарождение Арабско-Мусульманской Посольской Службы (VIIв.),” *Известия Саратовского университета*. Сер. История. Международные отношения, 8, вып 2, 2018, 184-186.

<sup>3</sup> ه 230 \* 223, كتاب الطبقات الكبير لمحمد بن سعد بن منيع الزهري ت

ერთიანისკენ, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი და (მოგიწოდებ მისი) მორჩილებისკენ, რათა შეიგონო ჩემი რჩევა და ერწმუნო იმას, რითაც მე მოვედი და რომ მე, ჭეშმარიტად, ვარ ალაჰის მოციქული. მე გამოგიგზავნე ჩემი ბიძაშვილი ჯა'ფარი რამდენიმე მუსლიმთან ერთად. როდესაც ის შენთან მოვა, დააბინავე ისინი და არ იყო სასტიკი [მათ მიმართ]. (ან: და მოიშორე ამჰარტავნება). ჭეშმარიტად, მე მოგიწოდებ შენ და შენს ჯარებს ალაჰისაკენ. მე გადმოგეცი [წერილი] და მოგეცი რჩევა, მაშ, მიიღე იგი, მშვიდობა მათ, ვინც მისდევს სწორ გზას“<sup>1</sup>

ამ წერილის საპასუხოდ, ნეგუსმა მისწერა მუჰამადს:

„სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. ალაჰის მოციქულ მუჰამადს, ან-ნაჯაში ალ-ასჰამ ბინ აბჯარისგან. მშვიდობა შენდა, ო, ალაჰის მოციქულო, ალაჰისგან [მოგზავნილო], ალაჰის წყალობა და ლოცვა (იყოს შენზე), რომლის გარდა არ არს სხვა ღმერთი, რომელმაც მიწინამძღვრა მე ისლამისკენ. და შემდგომ, მე მივიღე შენი წერილი, ო, ალაჰის მოციქულო და ყველაფერი, რასაც შენ ახსენებ იესოს შესახებ, ცისა და მიწის ღმერთს ვფიცავ, რომ ერთი წუნიც კი არ არის იმაში, რასაც შენ ამბობ, რამეთუ ყოველივე იმგვარად არის, როგორც შენ ამბობ. ჩვენ გავეცანით იმას, რითიც ხარ გამოგზავნილი, მივიღეთ შენი ბიძაშვილი და მასთან თანმხლებნი. მე ვმოწმობ, რომ შენ ხარ ალაჰის ჭეშმარიტი მოციქული და დამადასტურებელი (დამმოწმებელი).

მე შენ და შენს ბიძაშვილს შემოგფიცეთ ერთგულება და მე მის წინაშე ჩემი თავი სამყაროთა უფალს მივანდე (ისლამი მივიღე). მე შენ ჩემი შვილი არჰა, იბნ ალ-ასჰამ იბნ ალ-აბჯარი გამოგიგზავნე. საკუთარი თავის გარდა მე არავის ვფლობ.<sup>2</sup> ო, ღმერთის მოციქულო, თუ შენ გსურს მე მოვიდე შენთან, მე ამას ვიზამ. მე ვმოწმობ, რომ რასაც შენ ამბობ, სიმართლეა“. მშვიდობა იყოს შენზე, ო, ალაჰის მოციქულო“<sup>3</sup>

აღსანიშნავია, რომ გემი, რომელზეც ასჰამას შვილი არჰა და 60 ეთიოპელი იყვნენ, ჩაიძირა შუა გზაში.<sup>4</sup> მაღალი უნდა იყოს იმის ალბათობაც, რომ მუჰამადმა ეთიოპიის სხვადასხვა მმართველს მისწერა წერილები. ამ მმართველებიდან, როგორც ჩანს, ერთმა (ასჰამამ) მიიღო ისლამი და მუსლიმები შეიფარა, ხოლო მეორემ - არ შეისმინა

<sup>1</sup>Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 1569.

<sup>2</sup>Ibn Sa'd, Tabaqat, 1/258, Hamidullah, 100, 104-105.

<sup>3</sup>Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 1569-1570.

<sup>4</sup>იქვე, 1570.

მუჰამადის მოწოდება ისლამის მიღების თაობაზე და აღარ დაეხმარა მუსლიმებს. მიუხედავად ამისა, ალაჰის მოციქულმა დაუფასა ეთიოპელებს მუსლიმთათვის რთულ პერიოდში გამოწვდილი დახმარების ხელი და აუკრძალა მუსლიმებს ეთიოპიასთან კონფლიქტები და ბრძოლა. ამ მშვიდობამ 600 წელს გასტანა.<sup>1</sup>

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ეგვიპტის მმართველის მუკავკისისთვის გაგზავნილი წერილი. „მუკავკისი“ იყო კოპტების პატრიარქის ტიტული. ისლამური ტრადიციის თანახმად, ალექსანდრიაში მცხოვრებ პატრიარქს,<sup>2</sup> წერილი ჩაუტანა ჰატიბ იბნ აბი ბალთა'ამ, <sup>3</sup> რომელსაც მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ბადრთან ბრძოლაში და მოგვიანებით უღალატა ისლამის მოციქულს. მან კურაიშიტებს ამცნო მუსლიმების გადაადგილების შესახებ, რაც იმით გაამართლა, რომ მისი ოჯახი კურაიშიტებს შორის ცხოვრობდა და არ უნდოდა მათ ზიანი მიდგომოდათ.<sup>4</sup> მუჰამადმა შეუნდო ჰატიბ აბი ბალთა'ას, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მუსლიმს მისთვის თავის მოკვეთა უნდოდა.<sup>5</sup> ეს უკანასკნელი ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მუჰამადის დროს ჯერ ისევ ძალიან მყარი იყო გვარ-ტომობრივი წყობა და ინდივიდის მიერ ტომისთვის ზურგის შექცევა ავტომატურად ნიშნავდა მისი და ოჯახის მოკვეთას ტომიდან.

კოპტების პატრიარქის (მუკავკისის) სახელი იყო ჯურაიჯ იბნ მინა. წერილში ისლამის ფუძემდებელი მას ისლამის მიღებისაკენ მოუწოდებდა:

*„სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. ღმერთის მოციქულისგან კოპტების მმართველ მუკავკისს. მშვიდობა მას, ვინც სწორ გზაზე დგას... მე მოგიწოდებთ მიიღოთ ისლამი და თუ აღიარებთ ისლამს, მოიპოვებთ ალაჰთან მშვიდობას და ის ორმაგად დაგაჯილდოვებთ, ხოლო თუ უარს იტყვით, მაშინ კოპტი ქრისტიანების ვარამზე თქვენ იქნებით პასუხისმგებელი. ო, წიგნის მქონენო, მოდიეთ თანასწორობის სიტყვასთან, ჩვენსა და თქვენს შორის: ნუ დავემონებთ სხვას, თვინიერ ალაჰისა, ნუ ჩავუზიარებთ მას რაიმეს და არ ამოვირჩიოთ ერთმანეთი მეუფეებად, თვინიერ ალაჰისა! - და თუ მაინც პირს იბრუნებენ, უთხარით: ვამოწმებთ, რომ ჩვენ ვართ მორჩილნი (მუსლიმნი)!“<sup>6</sup>*

<sup>1</sup> Чомаев, З.А. *Мусульманская дипломатия в раннеисламскую эпоху*, 186-188.

<sup>2</sup> ابن سعد. *طبقات*. 224

<sup>3</sup> ابن سعد. *طبقات*. 224

<sup>4</sup> Ibn Kathir. *Sira al-Nabawiyya*, 384-385.

<sup>5</sup> იქვე, 385.

<sup>6</sup> *ყურანი*, 3:64, 127. Qureshi, Muhammad Siddique. *Foreign Policy of Hadrat Muhammad*, 39.

საპასუხო წერილში მუკავკისმა მისწერა: „სახელითა ალაჰისა, ყველაზე მოწყალისა, ყველაზე მწყალობელისა. მუკავკისისგან მუჰამად იბნ 'აბდ ალაჰს. მშვიდობა შენდა! მე წავიკითხე შენი წერილი და გავიგე მისი არსი და ის, რისკენაც მოუწოდებ. მე ვიცოდი, რომ მოციქული უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ, მეგონა, რომ ის სირიაში დაიბადებოდა. მე პატივი მივაგე შენს ელჩს და გიგ ზავნი ორ მსახურს (მარიასა და შირინს), რომლებიც დიდგვაროვანი კოპტური ოჯახებიდან არიან, ძვირფას ტანსაცმელს, ჯორს (დულდულს) და მაიმუნს (იაფურს)“.<sup>1</sup> მუკავკისმა მუჰამადს აგრეთვე საჭურისი გაუგზავნა. მარიამისგან მუჰამადს შეეძინა იბრაჰიმი, რომელიც მცირეწლოვანი გარდაიცვალა.<sup>2</sup>

ზ. ჩომაევი წერს: „ეს გზავნილი მუსლიმთათვის ეფექტურად შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც ეგვიპტესა და მედინას შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები. სრულიად შესაძლებელია, რომ ამგვარი ნაბიჯის გადადგმით, მუკავკისი იმედოვნებდა მუსლიმი არაბების პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებას ბიზანტიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი მხრიდან ეს ნაბიჯი შეიძლება შეფასდეს როგორც კარგად გააზრებული პოლიტიკური მანევრი. ცნობილია, რომ კოპტების პოლიტიკურ-რელიგიური შეხედულებები განსხვავდებოდა ბიზანტიის მმართველების შეხედულებებისგან. ბიზანტიის სახელმწიფოებრიობის დასაყრდენს წარმოადგენდა მართლმადიდებლური ეკლესია, რომლის მრწამსიც არ შეესაბამებოდა ეგვიპტელი ხალხის მისწრაფებებსა და მსოფლმხედველობას“.<sup>3</sup>

მუჰამადმა ბიზანტიის იმპერატორსაც გაუგზავნა წერილი. ტრადიცია გვამცნობს, რომ მუჰამადის მაცნეს დიჰია იბნ ხალიფა ალ-ქალბსა და ჰერაკლე იმპერატორს შორის დიალოგი შედგა,<sup>4</sup> რომლის ავთენტურობასაც არაერთი მკვლევარი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. წერილში კი ვკითხულობთ:

„სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. მუჰამადისაგან, ღმერთის მოციქულისაგან ჰერაკლეს, რომაელთა (ბიზანტიის) იმპერატორს. მშვიდობა მას, ვინც

<sup>1</sup> ابن سعد. طبقات. 224; Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 1592; *The History of al-Tabari. Volume VIII. The Victory of Islam*, 131. Абд ар-Рахман ибн Абд ал-Хакам. *Завоевание Египта, ал-Магриба и ал-Андалуса*, 72.

<sup>2</sup> Абд ар-Рахман ибн Абд ал-Хакам. *Завоевание Египта, ал-Магриба и ал-Андалуса*, 71-72.

<sup>3</sup> Чомаев, З.А. *Мусульманская дипломатия в раннеисламскую эпоху*, 204.

<sup>4</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 1741, 1567.

სწორ გზაზე დგას! მე მოგიწოდებ შენ, რომ მიიღო ისლამი. თუ მიიღებ ისლამს, მაშინ გექნება უსაფრთხოება და ღმერთი ორმაგად დაგაჯილდოვებს, ხოლო თუ ზურგს აქცევ, მაშინ პასუხისმგებლობა შენზე იქნება, შენი მთელი ხალხის თავ-გზის აბნევის გამო.

ო, წიგნის მქონენო, მოდიოთ თანასწორობის სიტყვასთან, ჩვენსა და თქვენს შორის: ნუ დავემონებით სხვას, თვინიერ ალაჰისა, ნუ ჩავუზიარებთ მას რაიმეს და არ ამოვირჩიოთ ერთმანეთი მეუფეებად, თვინიერ ალაჰისა! - და თუ მაინც პირს იბრუნებენ, უთხარიოთ: გამოწმებთ, რომ ჩვენ ვართ მორჩილნი (მუსლიმნიო)!<sup>1</sup>

როგორც ჩანს, ამ წერილის შედგენის შემდეგ მუჰამადი თაბუკისაკენ დაიძრა. ასევე ჰერაკლეს, ჯარების მობილიზების შემდეგ, თითქოს მედინისკენაც კი დაიძრა, ხოლო მას შემდეგ, რაც მუჰამადი თაბუკში ჩავიდა, მან იქიდან შემდეგი ტიპის წერილი მისწერა იმპერატორს:

„სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. მუჰამადისგან, ალაჰის მოციქულისგან ბიზანტიის იმპერატორს. მე მოგიწოდებ შენ მიიღო ისლამი. თუ ამას იზამ, შენ იგივე უფლებები გექნება, რაც მუსლიმებს აქვთ და ასევე იგივე მოვალეობები - როგორც მათ აქვთ, მაგრამ თუ უარს იტყვი, მაშინ შენ უნდა იხადო ჯიზია.<sup>2</sup> ალაჰი, სახელმძღვანელო და დიდებულიმც იყოს იგი, ამბობს: ებრძოლეთ იმათ, ვისაც არ სწამს ალაჰი და დღე უკანასკნელი, არ იკრძალავენ იმას, რაც აკრძალა ალაჰმა და მისმა მოციქულმა, და არ აღიარებენ სჯულს ჭეშმარიტებისას, ვიდრე თავისი ხელით გაიღებდნენ ჯიზიას, იმ დროს, როცა იქნებიან დაკნინებულნი“<sup>3</sup>

ჩვენ არ გვაქვს არანაირი ეჭვის შეტანის საფუძველი ამ წერილის ნამდვილობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ჯიზიის გადახდის დაკისრებას ისლამის არმილების შემთხვევაში, ეს ქმედებაც არ არის ალოგიკური. მუჰამადმა ჰერაკლეს მისწერა იმ ტიპის პირობები, რაც დამკვიდრებული და მიღებული პრაქტიკა იყო იმ ხანად და ამით ისლამის ფუძემდებელმა საკუთარი პირობები გააცნო მოწინააღმდეგის მთავარსარდალს. წერილიდან ჩანს, რომ მუჰამადი ბიზანტიის იმპერატორს თანასწორად მიიჩნევდა.

<sup>1</sup> Ibn Kathir. *The Life of the Prophet Muhammad*, 359. Qureshi, Muhammad Siddique. *Foreign Policy of Hadrat Muhammad*, 37-38. *ყურანი*, 3:64.

<sup>2</sup> Bahnasawy, Salim. *Non-Muslims in the Shari'ah of Islam*. Cairo: Dar al-Nashr lil-Jami'at, 2004, 13-14.

<sup>3</sup> *ყურანი*, 9:29, 180.

ბაჰრეინი ერთ-ერთი მხარე იყო, რომელთანაც მუჰამადმა ზავისა და შეუვალობის წიგნი (სიგელი) გააფორმა. იბნ სა'დის თანახმად, დიდია იმის ალბათობა, რომ მუჰამადმა ზავისა და შეუვალობის წიგნი (სიგელი) ბაჰრეინის მმართველს ქა'ბას ალბის შემდეგ მიწერა და ფაქტობრივად შეიერთა არაბეთის ნახევარკუნძულის ეს მხარე. მუჰამადმა მუნზირ იბნ სავასთან გააგზავნა კუდამა და აბა ჰურაირა.<sup>1</sup>

მუნზირ იბნ სავასთვის გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ, რომ თუ ბაჰრეინელები გააგრძელებდნენ ლოცვას, გადაიხდიდნენ ზაქათსა და გულწრფელნი იქნებოდნენ ალაჰისა და მუჰამადის წინაშე, გადაიხდიდნენ ფინიკის (წლიური) მოსავლიდან 'უმრს, (მეათედს), ხოლო მარცვლეულის (წლიური) მოსავლის - ნახევარ 'უმრს, (1/10-ის ნახევარს) და ამასთან, შთამომავლობას არ მოაქცევდნენ მაზდეანობაზე, მაშინ მათ შეუნარჩუნდებოდათ ყველაფერი, რაც ისლამის მიღებამდე გააჩნდათ მფლობელობაში. ამასთანავე, ალაჰსა და მის მოციქულს გადაეცემოდა უფლებები მათ საცეცხლო ტაძარზე. ხოლო, თუ უარს იტყოდნენ, მაშინ მათ ჯიზია უნდა ეხადათ.<sup>2</sup>

საპასუხო წერილში ბაჰრეინის მმართველმა მუნზირ იბნ სავამ, რომელიც თამიმის ტომიდან იყო, მისწერა მუჰამადს, რომ თავად მან და მისმა ზოგიერთმა ქვეშევრდომმა მიიღეს ისლამი და კითხულობდა რჩევას, როგორ მოქცეულიყო მის რეგიონში მცხოვრებ მაზდეანებთან და იუდეველებთან მიმართებით.<sup>3</sup> ამის საპასუხოდ კი ისლამის ფუძემდებელმა მისწერა მუნზირ იბნ სავას:

*„სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. მუჰამადისგან, ალაჰის მოციქულისგან მუნზირ იბნ სავას. მშვიდობა შენდა! მე ვადიდებ ალაჰს, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი და ვმოწმობ, რომ მუჰამადია მისი მონა და მოციქული. მე გახსენებ შენ, რომ ალაჰი ძლევამოსილი და დიდებულია. ვინც მიჰყვება ჩემს ემისრებს და მათი კარნახით იქცევა, ის იღებს ჩემს რჩევას. ჩემმა ემისრებმა დიდად შეაქეს შენი მოქმედება. შენ უნდა გააგრძელო შენი საქმე შენს თანამდებობაზე. ისლამზე ახლადმოქცეულებს მიეცი სრული შესაძლებლობა იქადაგონ ახალი რელიგია. მე ვიღებ შენს რჩევას ბაჰრეინის ხალხის თაობაზე და ვპატიობ შეურაცხჰყოფას შეურაცხმყოფელებს. ამასთანავე, შენც უნდა მიუტევო (მუსლიმებს). თუ*

<sup>1</sup> ابن سعد. طبقات. 239.

<sup>2</sup> Qureshi, Muhammad Siddique. Foreign Policy of Hadrat Muhammad, 35.

<sup>3</sup> ابن سعد. طبقات. 226.

ბაჰრეინელებიდან ვინმეს სურს შეინარჩუნოს იუდეური ან მაზდეანური რწმენა, მათ უნდა იხადონ ჯიზია“<sup>1</sup>

რაც შეეხება ხოსრო ფარვიზისთვის გაგზავნილ წერილს, ის ძალიან ძველ პერგამენტზეა შესრულებული. წერილი 1963 წელს ანრი ფარაონმა საკუთარ კოლექციაში აღმოაჩინა. მუჰამადმა ირანის შაჰინშაჰთან გააგზავნა ‘აბდ ალლაჰ იბნ ჰუზაფა ას-საჰმი.<sup>2</sup> წერილში ვკითხულობთ, თუ როგორ მოუწოდებდა ისლამის ფუძემდებელი ირანის შაჰინშაჰს ისლამის აღიარებისკენ. გადმოცემის თანახმად, ხოსრომ დახია მუჰამადის წერილი და უკიდურესად გაბრაზდა, რომ მან ირანის შაჰინშაჰს როგორც თანასწორს მიმართა.<sup>3</sup>

ატ-ტაბარის მიერ მოტანილ ტექსტში ვკითხულობთ:

„სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. ალაჰის მონისა და მოციქული მუჰამადისგან ხოსროს - სპარსთაგან უდიდესს. მშვიდობა მას, ვინც სწორ გზაზე დგას, სწამს ალაჰისა და მისი მოციქულის და მოწმობს, რომ არს არს ღმერთი, თვინიერ ალაჰისა, ერთი(ანი)სა და არა ჰყავს მას თანამოზიარე და ჭეშმარიტად, მუჰამადი მისი მონა და მოციქულია. აღიარე ისლამი, რამეთუ ჭეშმარიტად, მე ვარ მოციქული მთელი კაცობრიობისთვის, რათა ვამცნო [ჭეშმარიტება] მას, ვინც ცხოვრობს და განვამტკიცო [დავამყარო] [ღვთის] სიტყვა ურწმუნოთა წინააღმდეგ. მიიღე ისლამი და შენ გადარჩები, ხოლო თუ უარს იტყვი - შენზე იქნება ცეცხლთაყვანისმცემელთა ცოდვა“<sup>4</sup>

ატ-ტაბარის ზემოხსენებული ვარიანტისგან საკმაოდ განსხვავდება ბალ‘ამის რედაქციის შედარებით უფრო ახალი ვარიანტი, რომელიც 963 წლის შემდგომ ხანაში უნდა ყოფილიყო შედგენილი:<sup>5</sup>

„სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. ალაჰის მოციქული მუჰამადისგან ფარვიზს, ხოსროს ძეს. ხოლო შემდგომ, ჭეშმარიტად, მე შენს გამო ვადიდებ ალაჰს. არ არს ღვთაება, მის გარდა, ცოცხალისა, მარადმყოფისა, რომელმაც, ჭეშმარიტად,

<sup>1</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 1601; *The History of al-Tabari. Volume VIII. The Victory of Islam*, 142. Qureshi, Muhammad Siddique. Foreign Policy of Hadrat Muhammad, 35.

<sup>2</sup> ابن سعد. طبقات. 223.

<sup>3</sup> ابن سعد. طبقات. 223.

<sup>4</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 1571.

<sup>5</sup> Колесников, А.И. “Две Редакции Письма Мухаммеда Сасанидскому Шаху Хосрову II Парвизу.” *Палестинский Сборник*. Выпуск 17(80). *История и Культура Ближнего Востока Древнего и Раннесредневекового Времени*. Ленинград:Наука, 1967, 76-77.

გამომგზავნა მე ხალხის მახარობლად და მაცნედ, მათთან, რომლებიც ზნედაცემულნი და გონებადაბინდულნი არიან. ის, ვისაც ალაჰი მიუძღვეს, გზას არ ასცდებს, ხოლო ის, ვისაც ალაჰი გზას აუბნევს (გზას ააცდენს), მას აღარ ჰყავს დამრიგებელი (გზამკვლევნი). ჭეშმარიტად, ალაჰი ხედავს თავის მონებს. არაფერია მისი მსგავსი, იგი (ყოვლის)მსმენელი და (ყოვლის)მხედველია, ხოლო შემდგომ, თუ შენ მიიღებ ისლამს - შენ გადარჩები, თუ არა და მოემზადე ალაჰთან და მის მოციქულთან საბრძოლველად, დაე არ შესუსტდეს ის (ბრძოლა)“<sup>1</sup>

კოლესნიკოვის აზრით, ბოლო ვარიანტი უფრო ზუსტი და სანდოა, რადგანაც, როგორც ჩანს, ბალ‘ამიმ მუჰამადის წერილის ტექსტი გადმოიღო ატ-ტაბარის ქრონიკის ჩვენამდე ვერ მოღწეული უფრო ძველი რედაქციიდან. როგორც ჩანს, ბალ‘ამი სარგებლობდა ჩვენთვის უცნობი უფრო ძველი სხვა ავტორის ნაშრომითაც.<sup>2</sup> საყურადღებოა, რომ ბალ‘ამი მოხიბლულია ამ ტექსტში როგორც ყურანის ამონარიდების სიუხვით, ასევე მას ეს წერილი მოჰყავს უშუალოდ ზუ-კარას ცნობილი ბრძოლის აღწერის შემდეგ. ეს კი არ უნდა ყოფილიყო უბრალო დამთხვევა.

მრავალ ვარიანტთაგან, კოლესნიკოვი ემხრობა ტაბარის, იბნ ალ-ასირისა და ალ-მას‘უდის ვერსიას, რომ ეს ბრძოლა უნდა მომხდარიყო 604-605 წლებში, დაახლოებით მუჰამადის სამოციქულო მისიის დასაწყისში, და ხოსრო ფარვიზმა ლახმიანთა მეფე ნუ‘მანი მოაკვლევინა,<sup>3</sup> რომელიც ბედუინ არაბებს ირანის სამხრეთ-დასავლეთ მიწების დასარბევად აქეზებდა. უშუალოდ ბრძოლის მიზეზი კი ის იყო, რომ ნუ‘მანის მოკვლით (602 წ.) უკმაყოფილო ბაჰრის ბედუინმა ტომებმა აქტიურად დაიწყეს ირანის მიწების რბევა.<sup>4</sup> 604-605 წწ. ირანელები და არაბი ბედუინები ერთმანეთს ზუ-კარას ველზე შეებრძოლნენ, სადაც ირანელები დამარცხდნენ. ბუნებრივია, ამ გამარჯვებამ არაბებს თვითრწმენა განუმტკიცა და სერიოზულად შეარყია ირანის ჯარების დაუმარცხებლობის გამყარებული მოსაზრება.

კოლესნიკოვის მოსაზრებით, ისლამის ფუძემდებელმა მშვენივრად იცოდა ირანის სამხედრო დამარცხებების, რეგიონში პოზიციების დათმობის, ირანში შაჰინშაჰით

<sup>1</sup> იქვე, 77.

<sup>2</sup> იქვე, 77.

<sup>3</sup> Колесников, А.И. “Сражение при Зу-Каре.” *Палестинский Сборник. Выпуск 19(82)*, 76-86. *Вопросы Истории и Культуры на Ближнем Востоке. Древность и Средневековье*. Ленинград: Наука, 1969, 77-78.

<sup>4</sup> იქვე, 81-83.



უკმაყოფილებისა და ირანში შექმნილი ურთულესი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ. ამის საპირისპიროდ, იმავე პერიოდში მუჰამადისა და მუსლიმების საქმეები კარგად მიმდინარეობდა და მუსლიმური თემი ძალ-ღონეს იკრეფდა. სწორედ ამ ფაქტორებმა ცალ-ცალკე და ერთობლივად განაპირობეს ისლამის მოციქულის სითამამე და ხოსროსთვის 627-628 წწ. წერილის მიწერა.<sup>1</sup>

მუჰამადი ისლამის არმილების შემთხვევაში უტოვებდა თანამდებობებს მმართველებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გადაიხდიდნენ ჯიზიას. ამიტომ, ისლამის ფუძემდებლის საგარეო პოლიტიკის საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილია ომანის სამეფო, რომლის 2 მმართველსაც - ჯულანდას ვაჟებს: ჯაიფარსა და 'აზდს ალ-აზდის ტომიდან მუჰამადმა შესთავაზა ან ისლამის მიღება, ან ომი და მმართველობის დაკარგვა, რაც მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ ომანი უკიდურესად მნიშვნელოვან სტრატეგიულ-სავაჭრო ადგილს იკავებდა და მისი ისლამურ სახელმწიფოში ინკორპორირება, მიუხედავად მისი მედინისგან სიშორისა, როგორც ჩანს, კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო ისლამის ფუძემდებლისთვის. მუჰამადმა მათთან გააგზავნა 'ამრ იბნ ალ-'ასი.<sup>2</sup> ჰიჯრის მე-8 წელს (630) ზუ-ლ-კა'დას თვეში მუჰამადმა მისწერა მათ:

*„მუჰამადისგან, ალაჰის მოციქულისგან ჯულანდას ორივე შვილს: ჯაიფარსა და 'აზდს. მშვიდობა მას, ვინც სწორ გზაზე დგას. შემდეგ კი, ჭეშმარიტად, მე თქვენ ორივეს მოგიწოდებთ ისლამის მიღებისკენ. თუ ორივე მიიღებთ ისლამს, თქვენ უსაფრთხოდ იქნებით. მე ვარ ალაჰის გამოგზავნილი ყველა ხალხის წინაშე, „რათა გააფრთხილოს მისით ვინც ცოცხალია და ახდეს სიტყვა ურწმუნოებზე“ [36:70]. თუ თქვენ ორივე მიიღებთ ისლამს - თქვენ დარჩებით მმართველებად, თუ არა და თქვენ დაკარგავთ თქვენს ძალაუფლებას, ჩემი მხედრობა დაიკავებს თქვენს სანაპიროებს და ჩემი წინასწარმეტყველება დაამარცხებს თქვენს სამეფოს“<sup>3</sup>*

აღსანიშნავია, რომ ძმებმა მიიღეს ისლამი და მნიშვნელოვანი როლიც შეასრულეს მის გავრცელებაში.

მუჰამადმა 628 წელს დასანიანთა მმართველს ჰარის იბნ აბი-შიმრსაც მისწერა წერილი, რათა მას ზურგი ექცია ბიზანტიელთათვის და ისლამური სახელმწიფოს

<sup>1</sup> Колесников. А.И., “Две Редакции Письма Мухаммеда Сасанидскому Шаху Хосрову II Парвизу,” 80-81.

<sup>2</sup> ابن سعد. الطبقات الكبرى. 224

<sup>3</sup> Qureshi, Muhammad Siddique. *Foreign Policy of Hadrat Muhammad*, 36.

მოკავშირე გამხდარიყო. ასევე ურჩევდა მიეღო ისლამი, რათა ხელისუფლება შეენარჩუნებინა.<sup>1</sup> დასანიანთა მმართველთან ალაჰის მოციქულმა შუჯა'ა იბნ ვაჰბ ალ-ასადი გააგზავნა.<sup>2</sup>

ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული იყო მოსაზრება, რომ მუჰამადმა წერილები თითქოს და ერთიანად დააგზავნა სიცოცხლის უკანასკნელ წელს მშვიდ გარემოში. როგორც ვხედავთ, წერილები სხვადასხვა დროს იყო გაგზავნილი და გამოხატავდა მუჰამადისა და მუსლიმების კონკრეტულ მდგომარეობასა და დინამიკას.

ჰიჯრის 9/631 წელს, თაბუქის ექსპედიციის (630წ.) შემდეგ, მუჰამადმა 'აკაბას ყურესთან (აილასთან) მაკნას მისადგომებიდან იქ მცხოვრებ იუდეველ ტომებს - ბანუ ჯანბას, ბანუ ჰაბიბასა და ბანუ ჰანინას, მისცა დაცვის სიგელი:

*„სახელითა ალაჰისა, ყველაზე მოწყალისა, ყველაზე მწყალობლისა. მუჰამადისგან, ალაჰის მოციქულისგან ბანუ ჰაბიბას და მაკნას ხალხს. მშვიდობა იყოს თქვენზე. მე მოვედი, რათა თქვენ იცოდეთ, რომ თქვენ უკან მიდიხართ თქვენს დასახლებაში. როდესაც ჩემი ეს წერილი თქვენამდე მოაღწევს, თქვენ ზავისა და შეუვალობის გარანტია გექნებათ. თქვენ გაქვთ ღმერთისა და მისი მოციქულის შეუვალობა. ალაჰის მოციქული გაპატიობთ თქვენ ბოროტ ქმედებებს და ცოდვებს. თქვენს არ გაქვთ დიდი შეცდომა და არ არის თქვენს მიმართ მტრობა.*

*თქვენ არ ჩაგიდენიათ უსამართლობა. ალაჰის მოციქულია თქვენი მცველი ყველაფრისგან, რისგანაც ის საკუთარ თავს იცავს. ალაჰის მოციქულისაა თქვენი მოქსოვილი ტანისამოსი, ყველა მონა, ცხოველთა სადგომი, იარაღის არსენალი, იმის გარდა, რისგანაც თქვენ გათავისუფლებთ ალაჰის მოციქული ან მისი დესპანები, და ამის შემდეგ თქვენზეა (თქვენ გმართებთ) თქვენი პალმების ნაყოფების 1/4, ასევე თქვენი ბადეებით დაჭერილი თევზის 1/4 და რასაც თქვენი ცოლები მოქსოვენ იმის 1/4. (დანარჩენი თქვენია).*

*ამას გარდა, ალაჰის მოციქულმა გაგათავისუფლათ თქვენ ჯიზიასაგან და იძულებითი შრომისაგან. თუ თქვენ შეისმენთ და დაემორჩილებით, ალაჰის მოციქულისთვის სავალდებულო იქნება პატივი მიაგოს თქვენს შორის პატივცემულთ და მიუტევოს შეცოდებულთ. ვისაც კი ბანუ ჰაბიბა და მაკნას ხალხი აირჩევს*

<sup>1</sup> იქვე, 51.

<sup>2</sup> ابن سعد. الطبقات. 224

*მართველად, ის პატივცემულ იქნება, შესაბამისად... თქვენი მმართველი მხოლოდ თქვენი წარმომადგენელი იქნება, ან (ვინმე) მოციქულის ოჯახის წევრებიდან“<sup>1</sup>*

მუჰამადის დროს არაბი ქრისტიანებისა და იუდეველების მიერ ისლამის აღიარება ეს იყო სიმბოლური აქტი. ამ გზით ტომების მმართველები, ბიზანტიელების მიერ დანიშნული არაბეთის ნახევარკუნძულის რეგიონების არაბი ქრისტიანი გამგებელნი და სხვადასხვა ტომები გამოხატავდნენ ლოიალობას მუჰამადისა და აღზევებული მედინის სახელმწიფოს პოლიტიკის მიმართ.<sup>2</sup>

მუჰამადმა ჰიმირიელთა მეფეებს (ადგილობრივ მმართველებსაც): ჰარის იბნ ‘აბდ ალქულალს, შურაიჰ იბნ ‘აბდ ალქულალს, ნუ‘აიმ იბნ ‘აბდ ქულალს და ნუ‘მან კაულ ზი იაზანს, ზირა‘ა ზი რა‘აინს მისწერა წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ჰიმირიელთა წარმომადგენლები ბიზანტიელთა მიწიდან დაბრუნებულ მუჰამადს (თაბუკის კამპანიის შემდეგ) შეხვდნენ მედინაში და აცნობეს მას ჰიმირიელთა ზემოხსენებული ლიდერების გამუსლიმებისა და მათ მიერ პოლითეისტების დახოცვის შესახებ.<sup>3</sup> შემდეგ კი წერილში ვკითხულობთ:

*„ჭეშმარიტად, თქვენ ღმერთმა გიწინამძღვრათ თავისი წინამძღოლობით. თუ გინდათ, რომ კარგად იყოთ, დაემორჩილეთ ღმერთსა და მის მოციქულს და შეასრულეთ ლოცვა, გადაიხადეთ ზაქათი და მიეცით ნადავლის 1/5 - წილი ალაჰის მოციქულს, რასაც ის თავად აირჩევს და (გადაიხადეთ) სადაკა ღარიბებისთვის, რაც სავალდებულოა მორწმუნეთათვის. აუცილებელი ზაქათი არის მიწის მოსავლიდან 1/10, იქიდან, რასაც წყაროები და წვიმა რწყავს, ხოლო 1/20 იქიდან (იმ მიწის მოსავლიდან), რასაც ავზი (სათლი) [ხელოვნურად] რწყავს.*

*თქვენზეა 1 მეწველი აქლემი ყოველი 40-დან და 1 ახალგაზრდა მამრი აქლემი ყოველი 30-დან, 1 ცხვარი ყოველ 5 აქლემზე და 2 ცხვარი ყოველ 10 აქლემზე, 1 ძროხა ყოველ 40 ძროხაზე და 1 ხარის ხბო (ბოჩოლა) ან ძროხის ბოჩოლა ყოველ 30 ძროხაზე და 1 ცხვარი ყოველ 40 ცხვარზე საძოვრიდან. ეს არის ღმერთის ბრძანება, რაც მან მორწმუნეთათვის სავალდებულო შესაწირი დააწესა. თუ ვინმე ამას გარდა რაიმეს დაამატებს, ეს მას სათვალავში ჩათვლება. ის, ვინც ამას აღიარებს და მოწმეებს*

<sup>1</sup> ابن سعد. الطبقات الكبرى, 239-240.

<sup>2</sup> Peters. F.E. *The Monotheists. Jews, Christians and Muslims in Conflict and Competition*, 152.

<sup>3</sup> ابن سعد. الطبقات الكبرى 228 / Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 1718.

დაიყენებს, რომ ისლამი აღიარა და დაეხმარება მორწმუნეებს პოლიტიკისტების წინააღმდეგ, იქნება ერთ-ერთი მორწმუნეთაგანი იმავე უფლებებითა და მოვალეობებით, როგორც მათ აქვთ და ექნება ღმერთისა და მისი მოციქულის შეუვალობა.

თუ იუდეველი ან ქრისტიანი ისლამს აღიარებს, მაშინ, მას აქვს იგივე უფლებები და მოვალეობები, რაც მორწმუნეს. ის, ვინც იცავს მარხვას იუდაიზმსა და ქრისტიანობაში, არ უნდა იქნეს ცდუნებული. აუცილებელია, რომ მან გადაიხადოს სულადობრივი გადასახადი: თითოეულ ზრდასრულზე, ქალსა და მამაკაცზე, თავისუფალსა და მონაზე (სავალდებულოა) 1 მთლიანი დინარი, ან კი მისი ექვივალენტი ძვირფასი ქსოვილი ან ტანისამოსი. ის, ვინც გადაუხდის ამას ღმერთის მოციქულს, აქვს ღმერთისა და მისი მოციქულის დაცვა, ხოლო ვინც დაიკავებს - ის არის ღმერთისა და მისი მოციქულის მტერი.

ღმერთის წინასწარმეტყველმა, მოციქულმა მუჰამადმა ზურა'ა ზუ იაზანს გაუგზავნა: როდესაც ჩემი მოციქულები მუ'ად იბნ ჯაბალი, 'აბდალაჰ იბნ ზაიდი, მალიქ იბნ 'უბადა, 'უქბა იბნ ნამირი და მალიქ იბნ მურარა თქვენთან მოვლენ, გავალებთ, რომ კარგად მოუფრთხილდეთ მათ. შეაგროვეთ შესაწირი და სასულე გადასახადი თქვენი რეგიონებიდან და გადაეცით ის ჩემს კურიერებს. მათი წინამძღოლია მუ'ად იბნ ჯაბალი და არ დააბრუნოთ ის მანამ, სანამ იგი არ იქნება კმაყოფილი. მუჰამადი ადასტურებს, რომ არ არს ღმერთი ალაჰის გარდა და მუჰამადია მისი მონა და მოციქული.

მალიქ იბნ მურარა არ-რაჰავიმ [ეს იყო ჰიმირიელთა ელჩი მუჰამადთან]<sup>1</sup> მამცნო მე, რომ თქვენ იყავით პირველი ჰიმირში, ვინც ისლამი მიიღო და რომ თქვენ მოკალით პოლიტიკისტები, ასე რომ, გიხაროდენ თქვენი კარგი ბედი. მე გიბრძანებთ, რომ კარგად მოეპყრათ ჰიმირს. არ იყოთ მოღალატენი და არ მიატოვოთ ერთმანეთი. ღმერთის მოციქული თქვენი მდიდრებისა და ღარიბების ბატონია. შესაწირი მუჰამადისთვის და არც მისი ოჯახისთვის არ არის. ის არის განსაწმენდი გადასახადი, რაც ღარიბ მუსლიმებზე და მგზავრებზე უნდა დაიხარჯოს... იყოს ღმერთის წყალობა, მშვიდობა და ლოცვა თქვენზე“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ابن سعد. الطبقات الكبرى, 228.

<sup>2</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 1718-1720.

თაბუქის კამპანიის შემდეგაც მუჰამადმა ასევე საკმაოდ ბევრი ზავისა და შეუვალობის სიგელი გააფორმა იუდეურ და სხვა ქრისტიანულ თემებთანაც. ეს სიგელები სრულიად სხვადასხვა პირობით ფორმდებოდა:<sup>1</sup> ადრუს ტომს წელიწადში 100 დინარის გადახდა, მუ'ადას ტომს დაევალა ყოველწლიურად 30 ძროხიდან თითო ერთი წლის ძროხის გადახდა, ხოლო ყოველი 40 ზრდასრული ძროხიდან - ასევე თითო. მათ ასევე დაეკისრათ 1 დინარის ექვივალენტი ტანსაცმლის გადახდა ყოველი ზრდასრული მამაკაცისგან.<sup>2</sup>

623 წელს მუჰამადმა გააფორმა თავდაუსხმელობის შესახებ ხელშეკრულება ბანუ დამრას ტომთან. ეს იყო პაქტი ნეიტრალიტეტის (ალ-ხიიად) დაცვის შესახებ.<sup>3</sup> ამავდროულად, ბანუ დამრა ვალდებული იყო მუსლიმებისთვის აღმოეჩინა დახმარება თუ ამას მუჰამადი მოითხოვდა.<sup>4</sup> მუჰამადმა ბანუ ლატაფანის ტომთან გააფორმა სამხედრო ურთიერთდახმარების თაობაზე ხელშეკრულება, რომელიც „აშჯას ხელშეკრულების“ სახელით არის ცნობილი.<sup>5</sup>

იემენელ მაზდეანებს დაევალათ წელიწადში 1 დინარის ან მისი ექვივალენტი ტანისამოსის ან სადაკას ქალების სახით გასტუმრება. მუსლიმებმა იემენელ არაბებს, ვინც ისლამი მიიღეს, სადაკა დააკისრეს მორწყულ მიწებზე, სადაც საღებავის მასალისთვის განკუთვნილი მცენარე იზრდებოდა. ზაქათი დაწესდა მთელ რიგ პროდუქტებზე.<sup>6</sup> გარდა იმისა, რომ ისლამის ფუძემდებელი ცალკეულ რელიგიურ თემებს უფორმებდა დაცვის სიგელებს - ზავისა და შეუვალობის სიგელებს, როგორც გამჭრიახი დიპლომატი, იგი ცალკეულ ინდივიდებსაც აძლევდა ზავისა და შეუვალობის გარანტიებს,<sup>7</sup> ანუ პერსონალური დაცვის სიგელს და იფართოვებდა მომხრეთა წრეს. ხოლო თუ ზიმიები აღიარებდნენ ისლამს - მათი მიწა 'უმრის ანუ მეათედის გადახდას დაექვემდებარებოდა.<sup>8</sup>

საყურადღებოა, რომ ბაჰრეინის რეგიონი მუჰამადის დროს სასანიანთა ირანის შემადგენლობაში შედიოდა. ბაჰრეინის მიწაზე ცხოვრობდნენ 'აბდ ალ-კაისის, ბაქრ

<sup>1</sup> احمد بن يحيى بن جابر بن داود البلاذري. فتوح البلدان, 108.

<sup>2</sup> იქვე, 110.

<sup>3</sup> Bahnasawai, Salim. *Non-Muslims in the Shari'ah of Islam*, 78.

<sup>4</sup> Hamidullah, *The Muslim Conduct of State*. The Other Press, 1977, 629-630.

<sup>5</sup> Qureshi, Muhammad. *Foreign Policy of Hadrat Muhammad*, 153.

<sup>6</sup> البلاذري. فتوح البلدان, 110-113.

<sup>7</sup> Watt, W.M. *Muhammad at Medina*, 64.

<sup>8</sup> البلاذري. فتوح البلدان, 114.

იბნ ვაილის და თამიმის ტომები. მართალია, ზოგი მოექცა ისლამზე, მაგრამ მრავალმა შეინარჩუნა იუდაიზმი, ქრისტიანობა და მაზდეანობა. როგორც ზემოთ განვიხილეთ, ისინი ზიმიები გახდნენ ანუ ბაჰრეინი მედინის ქალაქ-სახელმწიფო შემადგენლობაში შევიდა და მათთან მუჰამადმა *ზიმმა* გააფორმა, რომლის თანახმადაც ბაჰრეინელებს დაევალებათ პალმის ნაყოფების გაყოფა მუსლიმური თემისთვის. ამას გარდა ჯიზია 1 დინარი 1 სულ მოსახლეზე. ჯამში, მუჰამადმა მათგან 80 000 დირჰამი აიღო.<sup>1</sup>

მუჰამადი საფუძველს უყრიდა ახალ სახელმწიფოს. მან მედინა ქალაქ-სახელმწიფოდ აქცია და მექა დაიმორჩილა, გააერთიანა მთელი ჰიჯაზის რეგიონი, ნაჯრანიდან მედინის ჩრდილოეთით მცხოვრები ტომებით დასრულებული, ანუ ნახევარკუნძულის დასავლეთ რეგიონები და დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა მედინიდან შორს მყოფ არაბულ ტომებთან, რაც წერილობითი დოკუმენტებით გაამყარა. ამას გარდა, ისლამის მოციქულს მსტოვართა სისტემაც ჰქონდა ჩამოყალიბებული და ინფორმაციას საფუძველიანად ფლობდა, რამაც დიდწილად განაპირობა კიდევ მისი მექელებზე საბოლოოდ გამარჯვება.<sup>2</sup> მის მსტოვრებს ჰქონდათ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბიზანტია და ირანი მუდმივად ეომებოდნენ ერთმანეთს, რასაც თუნდაც 30-ე სურას პირველი აიები გვიდასტურებს. ამ ორი იმპერიის ომები კი ხელსაყრელი იყო არაბებისთვის, რადგანაც იმპერიები ერთმანეთს ასუსტებდნენ. მუჰამადი კარგად ხედავდა, რომ ბრძოლებში დასუსტებულ ბიზანტიასთან მას ჰქონდა შანსი ბუფერული ტერიტორიები მიეტაცა და ამ პოლიტიკაში ის შესანიშნავად იყენებდა თანამედროვე იორდანის ტერიტორიაზე მცხოვრებ არაბულ ეთნიკურ ელემენტს. ისლამის ფუძემდებელი მათთან აფორმებდა წერილობით დიპლომატიურ აქტებს და არ სთხოვდა მათ ისლამის მიღებას.<sup>3</sup> ამ პოლიტიკის შედეგად კი, მუჰამადმა მოახერხა რამდენიმე ქრისტიანული არაბული ტომის ან მედინის პოლიტიკის მხარეს გადაბირება ან კი მათი პოზიტიური ნეიტრალიტეტის მოპოვება.

ამავდროულად, გვაქვს სარწმუნო ცნობები იმის თაობაზეც, რომ ზოგიერთი ქრისტიანი არაბი იღებდა ისლამს და მუჰამადის მომხრე ხდებოდა. თანამედროვე იორდანის ქალაქ ამანის არაბმა მმართველმა ფარვა იბნ 'ამრ ალ-ჯუზამიმ, რომელიც

<sup>1</sup> იქვე, 121, 123-124.

<sup>2</sup> Watt, W.M. *Muhammad at Medina*, 37.

<sup>3</sup> იქვე, 106-107.

ბიზანტიის მიერ იყო დანიშნული, აღიარა ისლამი და ისლამის ფუძემდებელს დიპლომატიური ურთიერთობების დაწყებისა და კეთილგანწყობის ნიშნად საჩუქრად გაუგზავნა ცხენი, რბილი ტანისამოსი და მოოქროვილი თავთის ხიფთანი,<sup>1</sup> ხოლო ალაჰის მოციქულმა მას წერილი გაუგზავნა, სადაც ვკითხულობთ:

*„ალაჰის მოციქული მუჰამადისგან ფარვა იბნ ‘ამრუს. ხოლო შემდგომ, მოვიდა ჩვენთან შენი დესპანი და გადმოგვცა ის, რითაც გამოგზავნე და მამცნო თქვენს შესახებ, მოვიდა რა [ცნობით] შენი ისლამის [აღიარების] შესახებ და რომ ალაჰმა გიწინამძღვრა მის სწორ გზაზე. ჭეშმარიტად, შენ გამოსწორდი და დაემორჩილე ალაჰსა და მის მოციქულს, შეასრულე ლოცვა და გაეცი მოწყალება (ზაქათი)“.*<sup>2</sup> იქვე წყაროში ვკითხულობთ, რომ მუჰამადმა ფარვას დესპან მას‘უდ იბნ სა‘დს უბოძა 12 უკია (1 უკია 40 დირჰამს უდრიდა) და ნაში (წონის ერთეული, საზომი, რომელიც 20 დირჰამს უდრიდა). ხოლო როდესაც რუმის მეფემ (ანუ ბიზანტიის იმპერატორმა) შეიტყო ამბავი ფარვას მიერ ისლამის აღიარების თაობაზე, მოუწოდა მას დაბრუნებოდა ქრისტიანულ რელიგიასა და რწმენას. თუმცა, ფარვამ უარი თქვა, რის გამოც ის მოკლეს და ჯვრას აცვეს.<sup>3</sup>

მუჰამადს სიცოცხლის ბოლოს უკვე მრავალრიცხოვანი, არაერთ ბრძოლაში გამოწვრთნილი ჯარი ჰყავდა, რომელსაც შეეძლო შორეული რეგიონების დამორჩილება. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ შემუშავებულ იქნა საერთო ხედვა და იდეოლოგია, რომელთაგანაც ზოგიერთი შემდეგია: ა) ღმერთი ერთია; ბ) ღმერთმა რეგიონის არაბებს მოციქული გაუგზავნა, ანუ ისინი ღვთისგან რჩეულნი არიან; გ) ქრისტიანები და იუდეველები ამახინჯებენ თავიანთი მოციქულების სწავლებებს; დ) ისლამი ის ჭეშმარიტი რელიგიაა, რომელიც აბრაამის, მოსეს და ისას დროსაც არსებობდა. მხოლოდ მათ მიმდევარმა იუდეველებმა და ქრისტიანებმა გააყალბეს და სახე უცვალეს დიდი მოციქულების სწავლა-დარიგებებსა და მოძღვრებებს; ე) საჭიროა ჯიჰადის წარმოება და მრავალღმერთიანების ან გამუსლიმება და ან განადგურება, (რასაც, შესაბამისად, მათი ქონების ხელში ჩაგდება მოსდევდა). ვ) არაბული ენა გამორჩეულია.

<sup>1</sup> ابن سعد. الطبقات الكبرى, 243.

<sup>2</sup> ابن سعد. الطبقات الكبرى, 243.

<sup>3</sup> ابن سعد. الطبقات الكبرى, 243.

როგორც ჩანს, ისლამის მოციქულმა როგორც პოლიტიკოსმა, იგრძნო ისლამის მოახლოებული საყოველთაო გამარჯვება. ისლამურ სახელმწიფოს მუჰამადის დროს უკვე ჰქონდა ასე თუ ისე გამოკვეთილი გეოპოლიტიკური სივრცე, ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობები რეგიონში მცხოვრებ თითქმის ყველა ტომთან და არა მხოლოდ გამაერთიანებელი, არამედ (რეგიონის არაბებისთვის) სამართლიანი იდეოლოგია. ისლამის რწმენამ უზარმაზარი როლი შეასრულა არაბთა დაპყრობით ომებში.<sup>1</sup> და ნაფზიგერის აზრით, რომ არა ისლამი, ძალიან მაღალი ალბათობით, არ მოხდებოდა სირიისა და ერაყის დაპყრობა.<sup>2</sup>

მუჰამადს ჰყავდა ძლიერი ჯარი (სამხედრო ქვედანაყოფები), რომელიც ამავდროულად ამ იდეოლოგიის აღსრულების გარანტორიც იყო. ეს ჯარი ტომების მიხედვით დანაყოფებად იყო დანაწევრებული. მუჰამადის დანაყოფი ე.წ „მწვანე არმია“ მუჰაჯირებისგან და ანსარებისგან შედგებოდა და მთლიანად რკინის აბჯარში იჯდა, რომელთა მხოლოდ თვალები მოჩანდა.<sup>3</sup> ასევე მის უახლოეს წრეს მკაფიოდ, ხოლო დანარჩენებს მეტნაკლებად გაცნობიერებული და ჩამოყალიბებული მიზანი ჰქონდათ - გაევრცელებინათ ისლამის იდეა მომიჯნავე რეგიონებში და დაეხარკათ სხვა მონოთეისტები, რომლებიც მუსლიმთა აზრით, აცდენილები იყვნენ ჭეშმარიტების გზას.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ალბათ თავისუფლად შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ მუჰამადს არაბეთის ნახევარკუნძულის მომიჯნავე რეგიონების მმართველებისთვისაც მიეწერა წერილები, რისი მთავარი მიზანი, როგორც უოტი აღინიშნავდა, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება უნდა ყოფილიყო და არა ისლამის მიღების კატეგორიული მოთხოვნა.

მუჰამადის დამოკიდებულება ქრისტიანებთან ცვალებადი იყო და სხვადასხვა მოვლენაზე იყო დამოკიდებული. მუჰამადზე, რა თქმა უნდა, დადებითად იმოქმედებდა ფაქტი, რომ მისი თანამოაზრეები ქრისტიანმა ეთიოპელებმა შეიფარეს, თუმცა, ამავდროულად, იგი კარგად აანალიზებდა, რომ თავად წარმოადგენდა მნიშვნელოვან დასაყრდენ პოლიტიკურ და სამხედრო ძალას რეგიონში

---

<sup>1</sup> Nafziger, G. F and Walton, M.W. *Islam at War: A History*. Westport, Conn: Praeger. Chicago 2003, 208.

<sup>2</sup> იქვე, 208.

<sup>3</sup> Ибн Хишам. *Жизнеописание Пророка Мухаммада*, 487. *The History of al-Tabari. Volume VIII. The Victory of Islam*, 174.



ბიზანტიელებისა და ეთიოპელებისთვის. ამიტომ, ისლამის ფუძემდებელი ამ ორი ქრისტიანული იმპერიის დახმარებას უყოყმანოდ იღებდა და იყენებდა მათ კეთილგანწყობას. ამით, იგი პირველყოვლისა საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობდა, თუმცა, ამავდროულად ბიზანტიელების ინტერესებსაც ითვალისწინებდა.

მუჰამადი აყალიბებდა მედინის ახალ თეოკრატიულ თემს, რომელშიც მონოთეისტები იცხოვრებდნენ და რომელიც ამავდროულად აქტიურად იქნებოდა ჩართული რეგიონალურ პოლიტიკაშიც. მედინის მონოთეისტური გაერთიანება არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში ებრძოდა ირანის პოლიტიკის დასაყდენ იუდევეურ ძლიერ სამხედრო ტომებს და ასე აბალანსებდა ირანის პოლიტიკურ გავლენას არაბეთის ნახევარკუნძულის ამ მხარეში. ამას გარდა, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ისლამის მოციქულის დროს იუდეველებიცა და ქრისტიანებიც იწოდებოდნენ „მართლმორწმუნეებად“, რაც იმაზე მიგვითითებს, თუ რაოდენ ახლობლებად მიიჩნევა მუჰამადი სხვა მონოთეისტებს.

ალაჰის მოციქული აფასებდა, რომ მისი სავაჭრო მოგზაურობებისას ქრისტიანი ბერები, რომლებსაც იგი საკმაოდ ხშირად უნდა შეხვედროდა, თავმდაბლობით გამოირჩეოდნენ. იგი აფასებდა ქრისტიანების მხარში დგომას პოლითეისტების წინააღმდეგ გაჩაღებულ მძიმე ბრძოლაში, მაგრამ იგი ვერ შეეგუა მისთვის მტკივნეულ რეალობას, რომ იგი არაბეთის ნახევარკუნძულზე მცხოვრებმა ქრისტიანებმა არ მიიღეს როგორც მოციქული და პოლიტიკური ლიდერი.

მუჰამადს სწამდა, რომ იუდეველები და ქრისტიანები ამახინჯებენ საკუთარ მოძღვრებებს. მას სჯეროდა, რომ იგი იმ ნამდვილი „აბრაჰამის სჯულის“ ამაღორძინებელი იყო, რომელიც მხოლოდ ერთ, უხილავ და ჭეშმარიტ ღმერთს სცემდა თაყვანს.<sup>1</sup> საბოლოოდ კი როგორც ჭკვიანმა პოლიტიკოსმა, ისლამის ფუძემდებელმა ქრისტიანულ თემებთან დაამყარა პრაგმატული დიპლომატიური ურთიერთობები, რაც ყურანის 109-ე სურათი შეიძლება გამოიხატოს: „თქვი: ო, ურწმუნონო, არ ვემონო იმას, რასაც თქვენ ემონებით; არც თქვენა ხართ მონანი იმისა, რასაც მე ვემონები; და

<sup>1</sup> Пиотровский, М.Б. “Ибрахим,” *Ислам. Энциклопедический Словарь*, 87-88.

არც მე ვარ მონა იმისა, რასაც თქვენ მონობდით; და არც თქვენ ხართ მონანი იმისა, რასაც მე ვემონები; თქვენ თქვენი სჯული გაქვთ, მე ჩემი სჯული!“ [სურა 109, 369].

მუჰამადის მედინური პერიოდის ბოლოს დასრულდა მედინის მუსლიმური თემის ქრისტიანებისა და იუდეველების რელიგიური თემებისგან გამოყოფის საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი. თუ იოჰან არნასონს დავესესხებით, სწორედ ამ დროს „კულტურულად გამოკრისტალიზდა“ მუჰამადის თემი თვითმყოფადი ნიშნებითა და საკუთარი რწმენა-წარმოდგენებით.<sup>1</sup> ამ თემის კულტურულ-რელიგიურმა „კრისტალიზაციამ“ კი საფუძველი დაუდო ახალ ცივილიზაციას,<sup>2</sup> რომელმაც გააერთიანა იემენური უძველესი ცივილიზაცია, არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ რეგიონების სამოქალაქო ყოფა-ცხოვრება და ბედუინური ცხოვრების სტილი.<sup>3</sup>

როგორც ცნობილია, ამ ახალმა რელიგიურ-პოლიტიკურმა თემმა მისი ფუძემდებლის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის განმავლობაში სრული სამხედრო და პოლიტიკური დომინაცია მოიპოვა მახლობელი აღმოსავლეთის ყველა ქრისტიანულ რეგიონზე და მეტწილად მედინის ქარტიის შემუშავების შედეგად და მედინის მონოთეისტური თემისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბებით სრულიად ახალი გეოპოლიტიკური და სოციალურ-კულტურული კლიმატი შექმნა რეგიონში.<sup>4</sup> ამას გარდა, შეიქმნა ახალი ცივილიზაცია, რომელსაც ი. არნასონი თანამედროვე გლობალიზებული ეპოქის პროტომოდელსა და წინარე საფეხურსაც კი უწოდებს.<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> Arnason Johann P. “The Emergence of Islam as a Case of Cultural Crystallization: Historical and Comparative Reflections,” chapter 4, *Yearbook of the Sociology of Islam, vol. 7: Islam in Process – Historical and Civilizational Perspectives*, Bielefeld: Transcript Verlag, 2006, 95-99.

<sup>2</sup> იქვე, 98.

<sup>3</sup> იქვე, 105-106.

<sup>4</sup> Галиуллина, С. Д. “Мединское Соглашение как один из важнейших нормативных документов мусульманского права,” *Вестник КГУ им Н.А. Некрасова*, №6, 2015, 189; Ahmad Shboul. “Christians and Muslims in Syria and Upper Mesopotamia in the Early Arab Islamic Period: Cultural Change and Continuity,” *Religious Change, Conversion and Culture*, ed. Lynette Olson, Leichhardt: Sydney Association for Studies in Society and Culture, 1996, 75.

<sup>5</sup> Arnason, J.P. “The Emergence of Islam as a Case of Cultural Crystallization: Historical and Comparative Reflections,” 98.

## 2.4. დუმათ ალ-ჯანდალის ზავისა და შეუვალობის სიგელი

ხაიბარის, დუმათ-ალ-ჯანდალის და ვადი ალ-კურა-ს თემებზე მუსლიმების გამარჯვება და განსაკუთრებულად ნაჯრანელებთან გაფორმებული სიგელი მიჩნეულია ერთ-ერთ კლასიკურ მაგალითად სამომავლო დაპყრობით ომებში თუ როგორი პირობები უნდა წაეყენებინათ მუსლიმ არაბებს დამორჩილებულთათვის.<sup>1</sup> ამ მაგალითებით ვასკვნით, რომ მუჰამადმა გააგრძელა ისლამამდელი ტრადიცია, როცა მონოთეისტთა თემები, ვისაც მუსლიმებთან ზავისა და შეუვალობის სიგელები ჰქონდათ გაფორმებული, ხშირ შემთხვევაში გადასახადების გადახდას მუსლიმი არაბებისთვის არა ფულის, არამედ ნატურით კისრულობდნენ.<sup>2</sup>

მუსლიმ ისტორიკოსებთან შემონახულია არაერთი ძალიან საინტერესო ცნობა იმის თაობაზე, თუ რა ტიპის პროდუქტებით უხდიდნენ ხარკს ისლამის ფუძემდებელს დამარცხებული თემები. ალ-ვაკიდის მიხედვით ირკვევა, რომ მუჰამადმა 627 წელს ჩაატარა პირველი სამხედრო ოპერაცია დუმათ ალ-ჯანდალის წინააღმდეგ, რომელიც ისლამის მოციქულის დროს ბიზანტიის გავლენის სფეროდ მოიაზრებოდა და ფრიად მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული დატვირთვა ჰქონდა, რადგანაც წარმოადგენდა ბუფერულ რეგიონს ბიზანტიის სირიასა და ახლდაჩამოყალიბებულ მედინის ქალაქ-სახელმწიფოს შორის.<sup>3</sup> რეგიონის ადგილობრივი არაბი მმართველი იყო 'უქაიდირ იბნ 'აბდ ალ-მალიქი, რომელიც ას-საქუნის ტომიდან იყო.

დუმათ ალ-ჯანდალი, რომელიც ჯავფის რეგიონში მდებარეობს, უძველესი ხანიდან ასრულებდა უმნიშვნელოვანეს როლს რეგიონალურ პოლიტიკაში, ძირითადად მასზე გამავალი სავაჭრო გზების გამო.<sup>4</sup> ირკვევა, რომ ასურეთ-ბაბილონის დაპირისპირებაშიც ძვ.წ. VII-VI სს-ში არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთში მდებარე ამ რეგიონის ადგილობრივ არაბ მმართველებს, რომლებიც ამავე დროს აკონტროლებდნენ არაბეთის ნახ-ზე სამხრეთ რეგიონებსა და ჩრდილოეთს შორის გამავალ სავაჭრო გზებს, როგორც წესი, ბაბილონელთა მხარე ეკავათ, რის გამოც ისინი

<sup>1</sup> ჯაფარიძე, გ., ნასარა“. *ისლამის ენციკლოპედიური ცნობარი*, 154.

<sup>2</sup> Большаков, О.Г. *История Халифата, Т 1, Ислам в Аравии*, 149-150.

<sup>3</sup> Al-Waqidi Muhammad ibn 'Umar. *The Life of Muhammad. Kitab al-tarikh wa al-Maghazi*, 402-404.

<sup>4</sup> Abdo, A.S. *A geographical study of transport in Saudi Arabia, with special reference to road transport*, University of Durham, PhD thesis, 1969, 17, 18. Peters, F.E. "Roman and Bedouin in Southern Syria," *Journal of Near Eastern Studies*, # 37, 1978, 315-326.

არაერთხელ დასჯილან ასურელთა მიერ. ასურელების მთავარი მიზანიც ამ სავაჭრო გზებზე კონტროლის დამყარება იყო.<sup>1</sup>

ნაბატეველთა ხანაშიც ძვ.წ IV- ახ.წ. I სს. ეს მხარე ეკონომიკურად ყვაოდა. რაც შეეხება რომაელთა დომინაციის პერიოდს, (ძვ.წ. I- ახ.წ. I) რეგიონი, როგორც ჩანს, აგრძელებდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების გადაკვეთის ადგილის ფუნქციის შესრულებას, ხოლო ნაბატეურ და ლათინურ ენაზე შესრულებული წარწერების აღმოჩენა იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ჯავფისა და ნეჯდის რეგიონებში, ნაბატეველები და რომაელებიც საფუძვლიანად იყვნენ გამაგრებულნი. მათ არაბეთის ნახევარკუნძულის ამ რეგიონში სამხედრო ბლოგ-პოსტებიც უნდა ჰქონოდათ განთავსებული, რომელიც სადაზვერვო და უდაბნოს ბედუინების შემაკავებელ ფუნქციასაც ითავსებდა.<sup>2</sup>

ძლიერი პოლიტიკური გავლენის გარდა, რეგიონში აღმოჩენილი კერამიკული მასალისა და მოზაიკური ტიპის იატაკის აღმოჩენა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ახ.წ. V- VII სს-ში ბიზანტიური კულტურის გავლენა რეგიონზე საკმაოდ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო.<sup>3</sup>

ალ-ვაკიდის მიხედვით, მუჰამადის სამხედრო ლაშქრობის მიზეზი დუმათ ალ-ჯანდალში ის გახდა, რომ თითქოს, უქაიდირი იმ ქარავნებს ავიწროებდა და აბრკოლებდა, რომლებიც მედინისკენ მიემართებოდნენ. ეს სამხედრო ექსპედიცია დაიწყო ჰიჯრით 5/627 წლის 25 რაბი' ალ-ავვალს/24 აგვისტოს და დასრულდა 20 რაბი' ას-სანის/18 სექტემბერს. ეს რეგიონი სირიისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა და ისლამის ფუძემდებელს ამ ექსპედიციით იმპერატორის შეშინება სურდა. სამხედრო ლაშქრობის უშუალო მიზეზი კი, ალ-ვაკიდის ცნობით, იყო ის, რომ დუმათ ალ-ჯანდალში მუჰამადის ქარავნები გამარცხეს და იქ მრავალრიცხოვანი ჯარი შეკრებილიყო, რომელიც მედინის წინააღმდეგ აპირებდა შეტევას. როგორც კი მუჰამადის ჯარები ქალაქს მიუახლოვდნენ, მოსახლეობა გაიხიზნა და იქ მათ არავინ დახვდათ მუჰამად იზნ მასლამას გარდა, რომელმაც ისლამი მიიღო, ხოლო მუსლიმები

<sup>1</sup> Lawlor, J. I, *The Nabateans in historical perspective (Baker Studies in Biblical Archeology)*, Grand Rapids : Baker Book House, 1974, 68.

<sup>2</sup> al-Muaikel, Khaleel Ibrahim. *A Crytical study of the archeology of the jawf region of Saudi Arabia with additional material on its history and early Arabic epigraphy*, thesis (Doctoral), Durham University, 1988, 22, 319.

<sup>3</sup> იქვე, 98-101.

მალე მედინაში დაბრუნდნენ.<sup>1</sup> მსგავსი ცნობებია დაცული იბნ სა'დის ნაშრომშიც.<sup>2</sup> ალ-მას'უდიც აღნიშნავდა, რომ როგორც კი მუჰამადი დასახლებას მიუახლოვდა, მისმა გამგებელმა მოსახლეობასთან ერთად დატოვა ქალაქი.<sup>3</sup>

ალ-ვაკიდის მიხედვით, ჰიჯრით 6/628 წელს ალაჰის მოციქულმა დუმათ ალ-ჯანდალის წინააღმდეგ მეორე სამხედრო ექსპედიცია გააგზავნა 'აბდ არ-რაჰმან იბნ-ავფის თაოსნობით. მან დაიმორჩილა ქალაქი, ხოლო ალ-ასბალ იბნ 'ამრმა, რომელიც მმლავრი ქალბის ქრისტიანული ტომიდან იყო, ისლამი მიიღო. გადმოცემის მიხედვით, მუჰამადმა საპასუხო წერილში 'აბდ არ-რაჰმანს ურჩია ცოლად მოეყვანა ალ-ასბალ იბნ 'ამრის ქალიშვილი თუმადირი.<sup>4</sup> ბუნებრივია, 'აბდ არ-რაჰმანი დაემორჩილა ისლამის ფუძემდებლის მოთხოვნას.

ეს სამხედრო ექსპედიცია მიმართული იყო არა ქალაქ-ოაზის დუმათ ალ-ჯანდალის, არამედ მის სიახლოვეს მცხოვრები ტომების, განსაკუთრებით კი ძლიერი და გავლენიანი ქალბის ტომის წინააღმდეგ, რომელიც ქალაქ-ოაზისის სიახლოვეს ცხოვრობდა. მკვლევრის მოსაზრება იმას ეფუძნებოდა, რომ ალ-ვაკიდი არსად ახსენებს დუმათ ალ-ჯანდალს.

ხ.ი. ალ-მუაიკალი ასკვნის, რომ მუსლიმების დუმათ ალ-ჯანდალში მეორე ექსპედიციის უმთავრესი მიზნები იყო შემდეგი: ა) მედინისთვის უმნიშვნელოვანეს გეოსტრატეგიული მნიშვნელობის მქონე რეგიონზე სამხედრო-პოლიტიკური ძალაუფლების გავრცელება. ბ) იმ არაბთა ისლამზე მოქცევა, რომლებიც მედინის ჩრდილოეთ რეგიონში ცხოვრობდნენ და დამორჩილებული ტომების მოკავშირედ ქცევა.<sup>5</sup>

დუმათ ალ-ჯანდალის მეორე სამხედრო ექსპედიცია იმ საერთო სტრატეგიის ნაწილი უნდა ყოფილიყო, როდესაც ძალამოკრეფილი ჰიჯაზის პოლიტიკური ერთეული (მედინით სათავეში) ჩრდილოეთ რეგიონების მიმართულებით აგრესიული სამხედრო პოლიტიკის პარალელურად დაბალანსებულ დიპლომატიასაც მიმართავდა და ისლამს, როგორც პოლიტიკურ იდეოლოგიას საკმაოდ აქტიურად ავრცელებდა. ამ

<sup>1</sup> Al-Waqidi Muhammad ibn 'Umar. *The Life of Muhammad. Kitab al-tarikh wa al-Maghazi*, 402-404.

<sup>2</sup> Ibn Sa'd, Abu 'Abd Allah Muhammad Ibn Mani' al-Zuhri al-Basri, *Kitab al-Tabaqat al-Kabir*, II, 62, 63.

<sup>3</sup> Al-Mas'udi, *al-Tanbih wa 'l-Ishraf*, 248.

<sup>4</sup> Ibn Sa'd, *Tabaqat*, II, 62-63.

<sup>5</sup> Khaleel Ibrahim al-Muaiikel. *A Critical study of the archeology of the jawf region*, 29.

გზით დამორჩილებულ რეგიონში ყოფილი მოწინააღმდეგის დადებითი ნეიტრალიტეტის მოპოვებას ან კი გადაბირებას ცდილობდა, რითაც ბიზანტიასა და ჰიჯაზს შორის არსებულ ბუფერულ რეგიონებს „შთანთქავდა“ და უშუალოდ უმეზობლდებოდა ბიზანტიის იმპერიას. ისიც საყურადღებოა, რომ ალაჰის მოციქული ყოფილ მმართველებს ადგილზე ტოვებდა. ეს პოლიტიკა, მისი გარდაცვალების შემდეგ, არაბთა დაპყრობით ომებში მისმა თანამოაზრეებმა გააგრძელეს.

629 წლის ნოემბერში მუჰამადმა თაბუკიდან მესამე სამხედრო ექსპედიცია დაიწყო დუმათ ალ-ჯანდალის წინააღმდეგ, რომლის მეთაურადაც გამოჩენილი მხედართმთავარი, მოგვიანებით „ალაჰის მახვილად“ წოდებული ხალიდ იბნ ალ-ვალიდი დანიშნა. მუჰამადმა 420 ცხენოსანი გააგზავნა უქაიდირის წინააღმდეგ, რომელიც ხალიდ იბნ ალ-ვალიდის ჯარების ქალაქთან მიახლოების დროს საკუთარი ქალიშვილების სიმღერას უსმენდა ცოლთან ერთად.<sup>1</sup> მუსლიმებმა შეიპყრეს იგი და დაუყოვნებლივ 2000 აქლემის, 800 მონის, 400 აბჯრისა და 400 ლახვარის გადახდა დააკისრეს.<sup>2</sup> ‘უქაიდირ იბნ ‘აბდ ალ-მალიქი ხალიდს მიჰგვარეს, რომელმაც მასთან ხელშეკრულებაც გააფორმა. უქაიდირმა, გავრცელებული ვერსიის თანახმად, ისლამი მიიღო. ამ აზრს არ იზიარებს მ. უოტი, რომელიც ფიქრობდა, რომ უქაიდირი ქრისტიანად დარჩა და მუსლიმებმა ზიზმა ქრისტიან მმართველთან გააფორმეს.<sup>3</sup> ზაქათისა და სალათის სპეციფიკური ტერმინოლოგიის შესახებ კი მ. უოტი აღნიშნავდა, რომ ეს შეიძლებოდა ქრისტიანებსაც შეესრულებინათ.

იბნ სა‘დთან და ალ-ბალაზურისთან დაცულია ხელშეკრულების ტექსტი:

*„ეს არის ზავისა და შეუვალობის სიგელი მუჰამადისგან, ალაჰის მოციქულისგან ‘უქაიდირს, როდესაც აღიარა ისლამი და მიატოვა თაყვანისცემის საგნები და კერპები<sup>4</sup> და დუმათ ალ-ჯანდალის ხალხს და მის საზღვრებთან მცხოვრებ მოსახლეობას; ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს ქალაქის ფარგლებს გარეთ მდებარე წყალმცირე, დაუმუშავებელი, ნახევრად უდაბური და არავის კუთვნილებაში არსებული მიწები, ამას გარდა [ჩვენს საკუთრებაში გადადის] იარაღის არსენალი, იარაღი, აქლემები და*

<sup>1</sup> Al-Waqidi, *kitab al-Maghazi*, III, 1025-1028.

<sup>2</sup> Большаков, О.Г. *История Халифата, Т 1, Ислам в Аравии*, 173.

<sup>3</sup> Watt, W.M. *Muhammad at Medina*, 364-365.

<sup>4</sup> ‘უქაიდირი ქრისტიანი იყო და არა კერპთაყვანისმცემელი, ამიტომ, შესაძლოა აქ იგულისხმებოდეს ხატები და სამება (ღვთაებები?).

ციხე-სიმაგრე, ხოლო თქვენს განკარგულებაში რჩება ქალაქში მომდინარე წყლები და არსებული პალმები ხუმსის გადახდის შემდეგ. ნებაყოფლობით გადასახადს (სადაკას) არ ექვემდებარება ის პირუტყვი, რომელიც თავისუფლად ძოვს (და არ შედის ნახირში), ასევე ცალკეული ცხოველები (რომლებიც სახლში მყოფობენ და არ შედიან ნახირში) ასევე არ ექვემდებარება (სადაკას გადახდას).<sup>1</sup> თქვენ არ გეკრძალებათ მიწათმოქმედება. და არ აიღება 'უშირი (მეთაუდის ბეგარა) იმ ნივთებისგან, რომლებისგანაც ზაქათის აღება არ არის გათვალისწინებული. შენ ილოცებ დადგენილ დროს და გადაიხდი ზაქათს, როგორც საჭიროა. ამ პირობით, შენ გეკუთვნის ღმერთის შეუვალობა და მისი პირობა და ამას გარდა, თქვენ ამისთვის გულწრფელობა და ერთგულება [ჩვენგან]. მოწმეა ალაჰი და ის მუსლიმები, ვინც ადგილზე იყვნენ“<sup>2</sup>

ისლამის ფუძემდებლის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო განდგომის პერიოდი, ე.წ. „რიდა“, როდესაც გარკვეულმა ტომებმა და რეგიონებმა, რომლებსაც მუჰამადთან ზავისა და შეუვალობის ხელშეკრულებები ჰქონდათ დადებული, უარი განაცხადეს სავალდებულო მოწყალების გადახდაზე. ამავე გზას დაადგა 'უქაიდრიც, რომელმაც უარი თქვა ზაქათის გაცემაზე და ისლამიც უარჰყო. ხალიდ იბნ ალ-ვალიდი აჯანყებული მმართველისკენ ერაყიდან, 'აინ ალ-თამრიდან გაეშურა, ხოლო 'უქაიდრმა დახმარება სხვა რეგიონის მმართველებს სთხოვა. მუსლიმებმა დამაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს, ხოლო 'უქაიდრი მოკლეს.<sup>3</sup> დუმათ ალ-ჯანდალი ერაყსა და სირიას შორის მდებარეობდა და, დიდი ალბათობით, მის წინააღმდეგ მეოთხე სამხედრო ექსპედიციის უმთავრესი მიზანი მისი სრული კონტროლქვეშ მოქცევა და განეიტრალება იყო, რადგანაც პოტენციურად, მის მმართველებს შესწევდათ ძალა გაეწყვიტათ კომუნიკაცია მუსლიმთა ჯარებს შორის, რომლებიც ერთბაშად ერაყისა და სირიის ფრონტებზე იბრძოდნენ, ხოლო საბოლოოდ, მუსლიმებიც დაემარცხებინათ ბრძოლაში, რაც მედინასა და სირიას და მედინასა და ჰირას შორის სავაჭრო კავშირებს უზარმაზარ ზიანს მიაყენებდა.<sup>4</sup>

<sup>1</sup> Чомаев, З.А. *Мусульманская дипломатия в раннеисламскую эпоху*, 118.

<sup>2</sup> ابن سعد. *الطبقات الكبرى*, 249-250. W. Montgomery Watt. *Muhammad at Medina*, 362-363.

<sup>3</sup> Al-Baladhuri. *Kitab Futuh al-Buldan*, 68-70.

<sup>4</sup> Musil, Alois. "Arabia Deserta," *American Geographical Society, Oriental Explorations and Studies*, No. 2 Edited by J.K. Wright, New York: Horace Liveright, 1927, 549.

ადრეული მუსლიმური თემის პოლიტიკური და სამხედრო სტრატეგიის განსაზღვრაში აშკარად მნიშვნელოვანი როლი ეკავა ისლამურ ექსპანსიონიზმს და ასევე ორმხრივი დიპლომატიური კავშირების დამყარებას. დიდია იმის ალბათობა, რომ არაბთა კონსოლიდაცია და დარაზმვა მოხერხდა სწორედ ისლამის იდეოლოგიისა და ჯიჰადის ირგვლივ, რომელიც სხვა მონოთეისტების დამორჩილებას და მათთვის ისლამის ქადაგებას უწყობდა ხელს, ხოლო ისლამის არმიების შემთხვევაში მოითხოვდა მათგან ჯიზიის აღებას.

## 2.5. ეილათის დაცვის სიგელი

ალ-ბალაზურის თანახმად, მუჰამადმა ისლამის ისტორიაში პირველი 'კდ აზ-ზიმმა გააფორმა ეილათის (აილას) ქრისტიანებთან,<sup>1</sup> რომლებსაც ჯიზიის გადახდა დაეკისრათ.<sup>2</sup> როგორც მ. უოტმა მართებულად შენიშნა, ამ პერიოდში მუჰამადი დამდგარი იყო იმ პოლიტიკურ გზაზე, რომელიც ყურანის მე-9 სურაშია ასახული, სადაც ალაჰი მოუწოდებს მუსლიმებს ებრძოლონ იუდეველებსა და ქრისტიანებს, სანამ ისინი დამცირებულნი, ჯიზიას არ გადაიხდიან<sup>3</sup> [9:29].

ქალაქი ეილათი V-VI საუკუნეებში ბიზანტიის იმპერიის მნიშვნელოვან საპორტო ქალაქს წარმოადგენდა. ის ნაბატეველთა მიერ იყო დაარსებული და მხოლოდ II საუკუნიდან მოხდა მისი რომის იმპერიაში ინკორპორაცია. მე-4 საუკუნეში ბიზანტიელებმა იქ ეკლესია ააშენეს, რომელიც 363 წელს მიწისძვრის შედეგად დაინგრა.<sup>4</sup> IV-V საუკუნეებში ეილათი ასევე იქცა ძლიერ ეკონომიკურ ზონად, სადაც ბიზანტიელები სპილენძს დიდი რაოდენობით ადნობდნენ და სხვადასხვა დანიშნულებისთვის, პირველ ყოვლისა, კერამიკული მასალისთვის იყენებდნენ.<sup>5</sup> აქედან მომდინარეობს „ეილათური ამფორის“ საკმაოდ ცნობილი სახელიც. ამავე პერიოდში (მე-4 ს.) სინას ნახევარკუნძულის სხვა მხარეებშიც (თიმნა), ისევე როგორც

<sup>1</sup> Al-Imam abu-l 'Abbas Ahmad ibn-Jabir al-Baladhuri. *Kitab Futuh al-Buldan*, 92.

<sup>2</sup> Ибн Хишам. *Жизнеописание Пророка Мухаммада*, 537.

<sup>3</sup> Watt, W.M. *Muhammad at Medina*, 116.

<sup>4</sup> Power, T. *The Red Sea from Byzantium to the Caliphate: AD 500-1000*. Cairo: American University in Cairo, 2012, 28-29.

<sup>5</sup> Parker, S.T. "The Roman 'Aqaba Project: The 1994 Campaign." *Annual of the Department of Antiquities of Jordan* 40, 1996, 252-253.



ეილათში, ბრინჯაოსა და სპილენძის ექსპლოატაცია აქტიურად მიმდინარეობდა.<sup>1</sup> ეილათი ვაჭრობდა რეგიონის მეზობელ მხარეებთანაც (ეგვიპტესთან და პალესტინასთან). ქალაქში მე-4 საუკუნით დათარიღებული „ღაზური“ ამფორების აღმოჩენა ამ რეგიონებს შორის ზეთისხილის და შირბასიტის ზეთის ვაჭრობაზე, ხოლო ეგვიპტური ამფორები - ღვინის აქტიურ ვაჭრობაზე ნათლად მიგვანიშნებენ.<sup>2</sup> ეილათური ამფორები (IV-VII სს) აღმოჩენილია ბიზანტიის, აქსუმისა და იემენის პორტებში,<sup>3</sup> რაც ამ ქალაქის დიდ სავაჭრო პოტენციალსა და წითელ ზღვაში ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ და დომინანტ როლზე მეტყველებს.

არაბთა დაპყრობითი ომების მსვლელობისას ეილათის და ზოგადად ლევანტის მიმართულებით იემენელების სამხედრო აქტივობა იმაზე მეტყველებს, რომ მათ გაცნობიერებული ჰქონდათ ამ რეგიონის ეკონომიკური მნიშვნელობა და პოტენციალი და ჯერ კიდევ ისლამამდელ ხანაში „სამხრეთის არაბები“ ამ რეგიონთან აქტიურად ვაჭრობდნენ.<sup>4</sup>

მე-6 საუკუნეში იუსტინიანეს მიერ ჯარების რეორგანიზაციის შედეგად ეილათი ბიზანტიის ჯარმა დატოვა, რასაც სპილენძისა და მინერალების ექსპლოატაციის დასრულებაც მოჰყვა შედეგად. თუმცა, ეს არ ნიშნავდა, რომ ეილათი მისი მოსახლეობისგანაც დაიცალა. ქალაქი აქტიურად იყო დასახლებული როგორც მე-6 ს-ის ბოლოს, ასევე ადრეისლამურ პერიოდშიც.<sup>5</sup> აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში ეილათის სიახლოვეს „ნაჰალ როდედში“ მოიპოვებდნენ ოქროსშემცვლელ კვარცს. ამას არქეოლოგების მიერ რეგიონში ნაპოვნი ჩაქურჩები და სხვა სამუშაო მასალებიც ადასტურებს.<sup>6</sup> სამხრეთ და აღმოსავლეთ სინას სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობიდან გამომდინარე, მუჰამადს სურდა მისი ხელში ჩაგდება და ისლამურ სახელმწიფოში ინკორპორირება.

მუჰამადსა და იოანეს შორის დიპლომატიური აქტის, ე.წ. დაცვის სიგელის გაფორმებამდე, ისლამის ფუძემდებელმა „როცა თაბუქს მიაღწია“<sup>7</sup> იოანეს გაუგზავნა

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> Power, T. *The Red Sea from Byzantium to the Caliphate: AD 500-1000*, 29.

<sup>3</sup> იქვე, 30.

<sup>4</sup> Al-Waqidi, *Futuh al-Sham*, 1,155.

<sup>5</sup> Parker, S.T. "The Roman 'Aqaba Project: the 1994 Campaign," 253.

<sup>6</sup> Power, T. *The Red Sea from Byzantium to the Caliphate: AD 500-1000*, 108-109.

<sup>7</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 1702; *The History of al-Tabari. Volume 9. The Last Years of the*

დესპანები და წერილი, რომელიც დაცულია იბნ სა'დის ნაშრომში. მასში ვკითხულობთ:

„იოანე (იუჰანა) იბნ რუ'ბასა და ეილათის დიდებულებს (سروات), მშვიდობა თქვენდა! და მე თქვენთან ვადიდებ ალაჰს, არ არს ღმერთი თვინიერ მისი. ჭეშმარიტად, მე არ შეგებრძოლებოდით თქვენ მანამ, სანამ წერილს არ მოგწერდით. მიიღეთ ისლამი, ან კი გადაიხადეთ ჯიზია, დაემორჩილეთ ალაჰს, მის მოციქულსა და ალაჰის მოციქულის დესპანებს, პატივი მიაგეთ მათ და ძვირფას სამოსელში შემოსეთ, სამხედრო სამოსის გარდა.<sup>1</sup>

ჩააცვით ზაიდს ძვირფასი მანტია. რამდენადაც ნასიამოვნები იქნებიან ჩემი დესპანები, ასევე ნასიამოვნები ვიქნები მე. ნამდვილად, ჯიზიის რაოდენობა (თქვენთვის) ცნობილია. ასე რომ, თუ თქვენ გინდათ დაცულნი იყოთ ხმელეთსა და ზღვაზე, დაემორჩილეთ ალაჰსა და მის მოციქულს და თქვენ (ჩა)მოგეხსნებათ ყველა ის გადასახადი (ბეგარა),<sup>2</sup> რაც თქვენ არაბებისა და არაარაბების მიმართ გმართებდათ,<sup>3</sup> გარდა ალაჰისთვის კუთვნილი ბეგარისა და მისი მოციქულის ბეგარისა.<sup>4</sup>

მაგრამ, თუ შენ მათ (დესპანებს, ემისრებს) არ დააკმაყოფილებ და ისე დააბრუნებ, მე არაფერს მივიღებ შენგან, სანამ არ შეგებრძოლები და დავატყვევებ ახალგაზრდებს და დავხოცავ ზრდასრულებს. რამეთუ მე, ჭეშმარიტად, ვარ მოციქული ალაჰისა; მე მწამს ალაჰის, მისი წიგნების, მისი მოციქულებისა და მესიის, მარიამის ძის, რამეთუ ის არის ალაჰის სიტყვა და მწამს, რომ იგია ალაჰის მოციქული. და მოვა იგი მანამ, სანამ თქვენ ბოროტება შეგეხებათ.<sup>5</sup> მე თქვენ მოგაზარეთ ჩემი დესპანები.<sup>6</sup>

მიეცით ჰარმალას 3 ვასკი ქერისა (1 ვასკი იყო 60 სა'ა, 1 სა'ა იყო 4 მუდი, 1 მუდი კი იყო იმდენი ქერი, რამდენიც 1 ადამიანს შეეძლო პეშვით დაეჭირა), რადგან ჰარმალამ გიშუამდგომლათ თქვენ, რამეთუ რომ არა ალაჰი და ეს (ჰარმალას შუამდგომლობა), მე

---

*Prophet. The Formation of the State.* Said Amir Arjomand, Editor. Translated and annotated by Ismail K. Poonawala. Albany, New York : State University of New York Press, 1990, 58.

<sup>1</sup> ابن سعد، الطبقات الكبرى 1, 240

<sup>2</sup> აქ ბეგარას, გადასახადს ნიშნავს. ის ჯიზიის სინონიმია. ადრეული ისლამის პერიოდში ჯიზიის/ბეგარის ნაცვლად, მუჰამადი და მართლმორწმუნე ხალიფები ზოგჯერ ამ ტერმინს იყენებდნენ.

<sup>3</sup> ვფიქრობთ „არაბებში“ იგულისხმებოდნენ დასავლეთის და არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ-დასავლეთში მკვიდრი თავისუფალი ბედუინები, ხოლო არაარაბებში - ბიზანტიელები.

<sup>4</sup> ابن سعد، الطبقات الكبرى 1, 240.

<sup>5</sup> ისლამური მრწამსის დოგმა, რომლის მიხედვითაც ისა იბნ მარიამი მეორედ მოვა ქვეყნიერების აღსასრულამდე.

<sup>6</sup> ابن سعد، الطبقات الكبرى 1, 240.

არ მოგწერდი არაფერს, ვიდრე (ჩემს) ჯარებს იხილავდით. ასე რომ, თუ თქვენ დაემორჩილებით ჩემს დესპანებს, ალაჰი იქნება თქვენი მფარველი (أج) და ასევე მუჰამადი და ყველანი, ვინც მისგან არიან.

ჩემი დესპანები არიან: შურაჰბილი, უბაი, ჰარმალა და ჰურაის იბნ ზაიდ ათ-თაიი. და როგორც არ უნდა განგსაჯონ შენ, მე კმაყოფილი ვიქნები და თქვენ გექნებათ ალაჰის ზიმი და ალაჰის მოციქულ მუჰამადის ზიმი და თქვენზე იქნება მშვიდობა, თუკი მე დამემორჩილებით და მოამზადეთ მაკნას მოსახლეობა თავიანთ მიწებზე გასაბრუნებლად“.<sup>1</sup>

საინტერესოა, რომ ეს დაცვის სიგელი გაფორმდა თაბუქის კამპანიის შემდეგ, რისი მიზეზიც უნდა იყოს დიპლომატიური წერილისთვის უჩვეულო მუქარის ტონიც. („დავატყვევებ ახალგაზრდებს და დავხოცავ ზრდასრულებს“). ამასთან, მართალია, ბიზანტიელებთან მუსლიმების ბრძოლა არ შედგა, მაგრამ, როგორც ჩანს, მუსლიმებმა მოახერხეს გადამწყვეტი სამხედრო-სტრატეგიული უპირატესობის მოპოვება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ისლამის ფუძემდებელმა დაცვის სიგელი გააფორმა ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფ ქალაქის მმართველთან - ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ბიზანტიამ ეილათი დე იურე აღიარა მედინის ისლამური თეოკრატიული სახელმწიფოს გავლენის სფეროდ, რითაც მედინის სამხედრო-პოლიტიკურმა ერთეულმა გააფართოვა გავლენა ჩრდილოეთით და მაქსიმალურად მიუახლოვდა ბიზანტიის საზღვრებს.

სხვა საკითხია, გაფორმდებოდა თუ არა ეს ზავისა და შეუვალობის სიგელი, ჰერაკლეს რომ გაეხედა და გადაეწყვიტა ბრძოლის გამართვა თაბუქში მუსლიმების წინააღმდეგ. მაღალი ალბათობით, ამ შემთხვევაში, იოანესა და ‘უქაიდირსაც ბიზანტიელთა ჯარების რიგებში ვიხილავდით მუჰამადის წინააღმდეგ. მაგრამ, ჰერაკლეს [ე.ი. მათი სიუზერენის] არმისვლამ და ბრძოლის არ გამართვამ იმ ხანად უკვე ძალიან ძლიერ მედინის ქალაქ-სახელმწიფოს ჯარებთან, ორივეს უბიძგა ამ ნაბიჯის გადადგმისკენ.<sup>2</sup> იოანესა და ‘უქაიდირსაც დაცვის სიგელის გაფორმების გარდა, სხვა გზა, რეალურად, არ ჰქონდათ დარჩენილი. იოანესთან გაფორმებულ ზავისა და შეუვალობის სიგელში ვკითხულობთ:

<sup>1</sup> ابن سعد. الطبقات الكبرى, 240

<sup>2</sup> Abdalrahman Abulmajd. “The Prophet Muhammad’s Covenant with Yūḥannah Ibn Ru’bah and the Christians of Aylah,” *Religions*, 12(6), 2021, 9.

„სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. ეს არის ზავისა და შეუვალობის სიგელი ალაჰისაგან და წინასწარმეტყველ მუჰამადისგან, ღმერთის მოციქულისაგან, იოანე იბნ რუჰასა და ელათის მოსახლეობას. მათ მოსახლეობას, გემებსა და ქარავნებს (ამიერიდან) როგორც ხმელეთზე, აგრეთვე ზღვაზე ექნებათ ალაჰისა და მისი მოციქულის შეუვალობა (ზიმმა). ასევე შეუვალობა აქვს ყველას, ვინც მათთან არიან - შამელებს, იემენელებსა და ვინც ზღვასთან ცხოვრობს. ვინც ამ ხელშეკრულებას დაარღვევს, ქონება ვერ გადაარჩენს და მისი ქონება ნებადართული გახდება მათთვის, ვინც მის აღებას განიზრახავს. კანონგარეშე ცხადდება (ამიერიდან) ელათის მოსახლეობისათვის წყლის შეგროვების აკრძალვა, ანდა ნებისმიერი გზის - სახმელეთო თუ საზღვაოთი გადაადგილებისთვის ხელის შეშლა“<sup>1</sup>

ალ-ბალაზურის არ მოჰყავს დაცვის სიგელის ტექსტი, თუმცა წერს, რომ ელათელებს წელიწადში 1 დინარის გადახდა დაეკისრათ, რაც ჯამში 300 დინარი იყო.<sup>2</sup> ისევე როგორც არაბთა დიდი დაპყრობითი ომების პერიოდის დაცვისა და შეუვალობის წიგნები (სიგელები) „გვიამბობენ“ დამორჩილებული რელიგიური თემების პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ, ელათის და ნაჯრანის სიგელების მიხედვითაც ვიგებთ საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. დაცვის სიგელის მიხედვით ვადგენთ, რომ მათ ჰქონდათ განვითარებული ნავიგაცია, სავაჭროდ განკუთვნილი გემები და განვითარებული სახმელეთო ვაჭრობა. ასევე ისლამის ფუძემდებელი შეუვალობას (ზიმმა) ჰპირდებოდა ყველას, ვინც კი ელათელებთან ზღვითა და ხმელეთით ვაჭრობდა. ესენი კი იყვნენ შამელები, (ანუ თანამედროვე სირია-იორდანელები). ქალაქს სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა იემენტანაც, რომელთანაც ელათელებს, როგორც ჩანს, ვაჭრობა თავისუფლად შეეძლოთ როგორც ზღვით, ასევე ხმელეთით (წითელი ზღვის სანაპიროს გასწვრივ).

როგორც ელათის, ასევე სხვა რეგიონებთან მიმართებითაც, კარგად ჩანს, რომ მუჰამადის დროს ბიზანტიის იმპერია მკაცრად ვერ აკონტროლებდა მის დაქვემდებარებაში მყოფ არაბულ მიწებსაც (თანამედროვე იორდანის სამხრეთში, საუდის არაბეთის ჩრდილოეთ რეგიონებს, სინას ნახევარკუნძულის სამხრეთ

<sup>1</sup> ابن سعد، الطبقات الكبرى 250.

<sup>2</sup> البلاذري، فتوح البلدان، ص 71

რეგიონებს) და იქ ქაოსი და ტომთა შორის ბუნებრივი რესურსებისთვის საკმაოდ დაუნდობელი დაპირისპირება იყო. ასე მაგალითად, როდესაც ეილათის მოსახლეობა წყლებზე გადიოდა, მათ გზას ბედუინი არაბები უღობავდნენ, რაც მუჰამადმა აკრძალა. ეს, სხვათა შორის, იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ მუჰამადის გავლენა დაცვის სიგელის გაფორმების მომენტში ვრცელდებოდა მედინის ჩრდილოეთ-დასავლეთ რეგიონებში მცხოვრებ ბედუინებზეც. ეილათელებისთვის გაგზავნილი წერილი კი იმაზეც უნდა მიგვითითებდეს, რომ ისლამის მოციქულს ამ ქალაქთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება ჰქონდა განზრახული და სურდა მისი ახალ არაბულ-ისლამურ სამხედრო-თეოკრატიულ სახელმწიფოში ინკორპორირება. ბიზანტიის გავლენა აქ საკმაოდ სუსტი იყო, მაგრამ რეგიონი ბიზანტიის გავლენის სფეროდ მოიაზრებოდა. ეს ფაქტი კი კონსტანტინოპოლთან ღია დაპირისპირებაზე და, ფაქტობრივად, მისთვის ომის გამოცხადებაზე მეტყველებს.

## 2.6. ნაჯრანის დაცვის სიგელი

ქრისტიანებისა და მუსლიმების ურთიერთობის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ნაჯრანის სიგელი. 630-631 წწ. ე.წ. „ელჩობის წლებში“ მუჰამადთან არაბეთის ნახევარკუნძულის სხვადასხვა რეგიონიდან დელეგაციები მიემართებოდნენ, რათა ისლამის მოციქულთან სავაჭრო, პოლიტიკური თუ დიპლომატიური ხელშეკრულებები გაეფორმებინათ. მაგალითად, ქინდას ტომი, რომელთა მეთაური იყო ალ-აშ'ას იბნ კაისი, 80 წარმომადგენლით მივიდა მუჰამადთან. მათ მდიდრულად და გამორჩეულად ეცვათ.<sup>1</sup>

მუჰამადსა და იემენელ დელეგატებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები ძირითადად ეხებოდა ფინიკისა და პალმის მოსავლით და მიწის გაფხვიერების შემდეგ მოწეული ნაყოფებით ჯიზიის გადახდის ვალდებულებას, ასევე ხელოვნურად და ბუნებრივად მოწეული მიწებით მოწეული ნაყოფებით (სადაკის) გადახდასა და ცხოველების სახით სადაკის გაცემის აუცილებლობას.<sup>2</sup> თავის მხრივ კი, ეს დელეგაციები მუჰამადისგან რჩევას ელოდებოდნენ და ეკითხებოდნენ ქონების

<sup>1</sup> Ибн Хишам. *Жизнеописание Пророка Мухаммада*, 578.

<sup>2</sup> იქვე, 580-582.

გაყოფასთან და სხვა საჭირობოროტო საკითხებთან დაკავშირებულ რჩევებს.<sup>1</sup> ისლამის პოლიტიკური გამარჯვება იემენის ტერიტორიაზე მუჰამადის მიერ ადგილობრივ ტომებს შორის დავებში წარმატებულად ჩართვის შედეგი აღმოჩნდა.<sup>2</sup>

ტ. ფაუერსის დასკვნით, მუჰამადი ამ დელეგაციებს არ სთხოვდა ისლამის მიღებას, რადგანაც ამ შეხვედრების მთავარი მიზანი არ ყოფილა რელიგიური დისკურსი და რელიგიური საკითხების განხილვა.<sup>3</sup> თუმცა, ამ მოსაზრებას არ ეთანხმებიან სხვა მკვლევრები. მუჰამად მირზა მიიჩნევს, რომ ნაჯრანის დელეგაციის მუჰამადთან შეხვედრა ეს იყო არა პოლიტიკური დიალოგი, არამედ თეოლოგიური დისკურსი, რასაც მკვლევართა წრეები დიდი ხნის განმავლობაში უარყოფდნენ.<sup>4</sup> ამავე აზრს იზიარებდა ს. გრიფიტიც.<sup>5</sup>

მართალია, ამ ტომების წარმომადგენლები მუჰამადთან სოციალურ-პოლიტიკური საკითხების განსახილველად უნდა ჩასულიყვნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, შედარებით სუსტ ტომებს მუჰამადი ისლამის აღიარებას თხოვდა, ანდა ისეთ პირობებს სთავაზობდა, რომ ისინი იძულებულები იყვნენ ისლამი მიეღოთ.<sup>6</sup> ამას გარდა, ისლამის ფუძემდებელი მათ ხელშეკრულებაში უწერდა, რომ არ მოენათლათ ბავშვები, ან არ შეესრულებინათ მათ ბავშვებს ზოროასტრული რელიგიური რიტუალები, რაც მუჰამადის შორსმჭვრეტელობაზე მიგვითითებს. ამით ისლამის ფუძემდებელი სამომავლოდ გარანტიას იღებდა, რომ ისლამი იქ თანდათან მოიკიდებდა ფეხს, რაც მოხდა კიდეც.

ასეთი ტიპის მოლაპარაკებები და „საქმეთა მომგვარებელი ინსტიტუცია“ ისლამამდელ ხანაშიც არსებობდა, როცა პოლიტიკურ და სამხედრო ასპარეზზე დაწინაურებულ ფიგურებთან საკმაოდ დაშორებული რეგიონებიდანაც კი ჩადიოდნენ პატივისცემის გამოსახატავად და რჩევის საკითხად. სწორედ ამ ტრადიციის გაგრძელების მაგალითს ხედავდა მ. პიოტროვსკი მუჰამადთან მისული დელეგაციების სახით,<sup>7</sup> რომლებმაც ისლამის ფუძემდებელთან ჩასვლა მხოლოდ მას

<sup>1</sup> Пиотровский, М.Б. *Южная Аравия в раннее средневековье*, 127.

<sup>2</sup> Watt, W.M. *Muhammad at Medina*, 118-120.

<sup>3</sup> Power, T. *The Red Sea from Byzantium to the Caliphate: AD 500-1000*, 89-90.

<sup>4</sup> Maham H. Mirza. "A delegation of Christians from Najran Visits the Prophet Muhammad: Contemporary English Sirah Literature for a Western Audience," *Islamic Studies*, vol. 50, N 2, 2011, 159-170.

<sup>5</sup> Griffith, S.H. "Christians and Christianity," 309.

<sup>6</sup> Ибн Хишам. *Жизнеописание Пророка Мухаммада*, 575-590.

<sup>7</sup> Пиотровский, М.Б. *Южная Аравия в раннее средневековье*, 127.

შემდეგ დაიწყეს, რაც მან მექა დაიმორჩილა და რეგიონში პოლიტიკური პოზიციები საბოლოოდ გაიმყარა.<sup>1</sup> ფაქტი, რომ ყურანის აიები მუჰამადის ისტორიებსა და გარემოებებს გადმოგვცემს, დიდი ხანია ცნობილია. ამის ერთ-ერთი ყველაზე კარგი მაგალითია ნაჯრანელებისა და მუჰამადის გაბაასება, რომელიც ალბათ ერთ-ერთი, თუ არა ყველაზე გრძელი და ვრცელი პასაჟია ყურანში მუჰამადის რეალური ცხოვრებიდან. ნაჯრანის დელეგაციასთან ისლამის ფუძემდებელმა რელიგიური დისკურსი და დიალოგი გამართა, რაც ყურანის მე-2 სურის 107-147 აიებსა და მე-3 სურის 1-80 აიებშია გადმოცემული.

ვინ იყვნენ ნაჯრანელები და რატომ უკავიათ მათ ასეთი მნიშვნელოვანი ადგილი ადრეული ისლამისა და ქრისტიანების ურთიერთობებში? ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მუჰამადამდე ქალაქ ნაჯრანში მონოფიზიტობა იყო გავრცელებული. ნაჯრანზე მძაფრად აისახა რეგიონში ეთიოპიის, ბიზანტიისა და ირანის დაპირისპირება, ისლამის მოციქულის სიცოცხლეში, მთელი იემენი დაქსაქსული და ერთმანეთთან გადამტერებული იყო. იქ არ არსებობდა ცენტრალური მმართველობის აპარატი და ერთი მმართველი, რასაც სპარსელების მიერ (სამხრეთ) იემენის ოკუპაცია და ჩრდილოეთიდან ბედუინების გამუდმებული თავდასხმებიც ემატებოდა.<sup>2</sup>

იემენის სამხრეთ რეგიონები ალაჰის მოციქულის დროს სასანიანთა ირანს ექვემდებარებოდა და უშუალოდ მის ტერიტორიაში შედიოდა.<sup>3</sup> ირანელების მიერ იემენის ოკუპაცია უმთავრესად იქ არსებული ვერცხლის და ოქროს საბადოების არსებობით იყო განპირობებული.<sup>4</sup> ირანელების მიერ 598-599 წლებში ჰიმარის სამეფოს ოკუპაციით წერტილი დაესვა ჰიმარის მრავალსაუკუნოვან ისტორიას.<sup>5</sup>

მუჰამადის დროს სამხრეთ იემენში გამაგრებული აბნა'ს თემები სასანიანთა ირანის ხელში მარიონეტებად იყვნენ გადაქცეულნი.<sup>6</sup> V-VI საუკუნეებში აბნა'ს მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობები ეკავათ და სპარსელთა სასარგებლოდ

---

<sup>1</sup> Watt, W.M. *Muhammad at Medina*, 117.

<sup>2</sup> იქვე, 25-26.

<sup>3</sup> Негря, Л.В. *Общественный Строй Северной и Центральной Аравии в V-VII вв.* Москва: Наука, 1981, 49-50.

<sup>4</sup> Dunlop, D.M. "Sources of Gold and Silver in Islam according to al-Hamdani," *Studia Islamica*, No. 8, 1957, 41-43. Morony, M.G. "The Late Sasanian Economic Impact on the Arabian Peninsula." *Name-ye Iran-e Bastan*, 2/1, 2002, 34.

<sup>5</sup> Лундин, А.Г. *Южная Аравия в VI веке. Автореферат диссертации*, Ленинград, Институт востоковедения академии наук СССР, 1957, 12.

<sup>6</sup> Пиотровский, М.Б. *Южная Аравия в раннее средневековье*, 150-151.

აგროვებდნენ საშემოსავლო გადასახადებსაც. ისინი აგრეთვე გახდნენ წარმატებული ვაჭრები და მიწის მფლობელებიც. გარდა ზემოჩამოთვლილი სიკეთეებისა, აზნა' იემენში სათავეში ედგა ვერცხლის მოპოვებას და მთავარ ვერცხლის საბადოებსაც ფლობდა.<sup>1</sup> თუმცა, მუჰამადის სამოციქულო ასპარეზზე გამოსვლამდე და მოციქულობის დროს სპარსელთა გავლენა ძირითადად სამხრეთ იემენზე ვრცელდებოდა, ხოლო სხვა რეგიონებზე, განსაკუთრებით ჩრდილოეთ იემენზე - შესუსტებული იყო.

იემენტან მიმართებით მუჰამადის პოლიტიკისა და ურთიერთობების ანალიზისას, გასათვალისწინებელია, რომ შაჰინშაჰ ხოსრო ფარვიზის მკვლელობის შემდეგ, 628 წლიდან ვიდრე 632 წლამდე, ირანში დიდი არეულობის ხანა დაიწყო ტახტის ხელში ჩასაგდებად და ბევრი შაჰინშაჰი შეეწირა ამ ბრძოლას. იმ დროისათვის მექაზე გამარჯვებულ და გაძლიერებულ „მედინის სამხედრო-თეოკრატიულ გაერთიანებას“ მუჰამადით სათავეში შეეძლო კონტროლი დაემყარებინა არაბეთის ნახევარკუნძულის სასანიანთა ირანის იმ ხანად უკვე ყოფილ გავლენის სფეროებზე. ამის დასტური უნდა იყოს ნაჯრანის, ეილათის, დუმათ ალ-ჯანდალისა და ბაჰრეინის სიგელები, რომელთა მიხედვითაც ისინი პროჰიჯაზურ პოლიტიკურ გზას დაადგნენ და ზურგი აქციეს ბიზანტიასა და ირანს, რომელთაც იმ დროს არაბეთის ნახევარკუნძულზე მდებარე (ყოფილი) გავლენის სფეროებისთვის უკვე აღარ ეცალათ. ქალაქი ნაჯრანიც, რომელიც იემენის რეგიონის ჩრდილოეთ პერიფერიაზე მდებარეობდა და რომლის სოციალური ცხოვრების საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ბედუინი მაზჰიჯელები ასრულებდნენ,<sup>2</sup> მთლიანად გამოსული იყო ირანის გავლენიდან<sup>3</sup> და წარმოადგენდა იემენში მცხოვრები ირანელი ჯარისკაცების - აზნა'ს წინააღმდეგ გაერთიანებულ არაბთა მძლავრ კოალიციაში შემავალ ერთ-ერთ ქალაქს.<sup>4</sup> არადა, მუჰამადის სიცოცხლის პირველ ნახევარში ეს ქალაქი ირანის ძლიერ პოლიტიკური გავლენის ქვეშ რჩებოდა.

მუჰამადის მოღვაწეობის დაწყების მომენტში კი სასანიანთა ირანის დასუსტების ფონზე, აზნა' ბუნებრივია, რომ სუსტ პოზიციებს იკავებდა.<sup>5</sup> ერთ დროს იემენის

<sup>1</sup> Пиотровский, М.Б. *Южная Аравия в раннее средневековье*, 102.

<sup>2</sup> იქვე, 62-63.

<sup>3</sup> Robin, C.J. "Arabia and Ethiopia," *The Oxford Handbook of Late Antiquity*, Oxford: Oxford University Press, 2012, 298.

<sup>4</sup> Пиотровский, М.Б. *Южная Аравия в раннее средневековье*, 24.

<sup>5</sup> Al-Baladhuri. *Kitab Futuh al-Buldan*, 161.



წამყვანი ძალა აზნა' მუჰამადის დროს პოლიტიკურად ძალიან შევიწროვებული იყო და თავის გადასარჩენად სტაბილური პოლიტიკური მოკავშირისა და ლიდერის გავლენის ქვეშ ყოფნას ამჯობინებდა,<sup>1</sup> ამიტომაც იემენის უკანასკნელ მარზჰან ბადანს, ისლამის აღიარებისა და მუჰამადის პოლიტიკის მორჩილების გარდა სხვა გზა, როგორც ჩანს, არ ჰქონდა დარჩენილი.<sup>2</sup>

ისლამამდელი პერიოდის ნაჯრანი ცნობილი იყო წყლების სიუხვით, წარმატებული სოფლის მეურნეობითა და ინდუსტრიით. ქალაქში დაწინაურებული იყო იარაღის, ტყავისა და ტანსაცმლის წარმოება და ვაჭრობა. ნაჯრანი III-ე საუკუნიდან ჰიმიარის პოლიტიკური და კულტურული გავლენის ქვეშ მოექცა. V საუკუნიდან კი მონოფიზიტური ეკლესიის ცენტრი გახდა რეგიონში,<sup>3</sup> მჭიდრო კონტაქტი დაამყარა სირია-პალესტინის ეკლესიასთან და ქალაქში საეპისკოპოსო ეპარქიაც დაარსდა.

ნაჯრანი სავაჭრო-საქარავნო უმდიდრესი ქალაქი იყო. სწორედ ნაჯრანში იყოფოდა ორად იემენის ნელსაცხებლების გზა: ერთი ჰიჯაზის გავლით სირია-პალესტინისკენ, ხოლო მეორე იამამას რეგიონის გავლით - ერაყისკენ. ყურანში ქალაქის შესახებ ალეგორიული სახით ვკითხულობთ ალუზიას, რომ ის „ალაჰის მიერ ნაკურთხი, საჩინო სოფელია“ [34:18]. მუჰამადის დროს ქალაქში დომინირებული ტომი იყო ბალჰარისი, რომელშიც გამორჩეული გვარი ბანუ 'აბდ ალ-მადანი იყო.<sup>4</sup>

მუჰამადსა და ნაჯრანელებს შორის კონტაქტი ჯერ კიდევ მექურ პერიოდში დამყარდა. იბნ ისჰაკის თანახმად, დაახლ. 20 ქრისტიანი ჩავიდა მუჰამადთან მექაში აბუ ტალიბის გარდაცვალებამდე (619 წ.). იბნ ისჰაკს სჯერა, რომ ქრისტიანთა დელეგაცია იყო ეთიოპიიდან, მაგრამ შემდეგ ამატებს: „ამბობენ, რომ ეს ქრისტიანები ჩამოვიდნენ ნაჯრანიდან, მაგრამ ღმერთმა უწყის, იყო თუ არა ეს ასე“.<sup>5</sup> იბნ ისჰაკის ცნობითვე, ნაჯრანის ქრისტიანთა დელეგაცია მედინაში ჩავიდა ბადრთან ბრძოლამდე, დაახლ. ჰიჯრის 2/ 623 წელს.<sup>6</sup> თუმცა, იბნ ქასირის თანახმად, ნაჯრანის

<sup>1</sup> Watt, W.M. *Muhammad at Medina*, 129.

<sup>2</sup> Power, T. *The Red Sea from Byzantium to the Caliphate: AD 500-1000*, 83.

<sup>3</sup> Yule, P.A. "Archeology of the Arabian Peninsula in the late Pre-Islamic and the Early Islamic Periods," 1718.

<sup>4</sup> Irfan A. Shahid. "Najran." *Encyclopedia of the Qur'an*, 500-501.

<sup>5</sup> Guillaume, Alfred. *The Life of Muhammad: A Translation of Ibn Ishaq's Sīrat Rasūl Allāh*. Karachi: Oxford University Press, 2006, §259, 179.

<sup>6</sup> Ibn Ishaq; *The Life of Muhammad*, 179; Guillaume, Alfred. *The Life of Muhammad*, §401-11, 270-277.

ქრისტიანები ორჯერ ჩავიდნენ მედინაში ჰიჯრის 9/631 და 10/632 წელს.<sup>1</sup> IX საუკუნის უცნობი ნესტორიანელი ისტორიკოსის „სიერტის ქრონიკაში“ ვკითხულობთ დელეგაციის წევრთა სახელებსაც: ას-საიიდ ღასსანი, ‘აბდუ იაშუ [აბდიშუ], იბნ ჰიჯრა, ბერი იბრაჰიმი და ეპისკოპოსი ‘ისა.<sup>2</sup>

როგორც აღინიშნა, ამ შეხვედრის პერიპეტიები ყურანში აისახა.<sup>3</sup> ნაჯრანელები პირდაპირ იყვნენ დაკავშირებულები ეთიოპიასთან, რომელთანაც მუჰამადს კარგი ურთიერთობები ჰქონდა და ამდენად, მათთან მოლაპარაკება მეტნაკლებად დადებით ატმოსფეროში ჩატარდა. როგორც ირკვევა, მუჰამადმა ნაჯრანელებთან ერთად ილოცა მისივე მეჩეთში,<sup>4</sup> რაც ისლამის ფუძემდებლის დიპლომატიურ ნიჭზე მეტყველებს. თუმცა, თავდაპირველად მუჰამადი ხმას არ იღებდა სტუმრების ძვირფასი ტანისამოსის დანახვის გამო.<sup>5</sup> ხოლო როდესაც მეორე დღეს ნაჯრანელები მღვდლის სადა ტანისამოსით ეახლნენ მუჰამადს, ალაჰის მოციქულმა მათ ისლამის მიღებისკენ მოუწოდა, [ყურანი, 3:31-32, 126], სახელდობრ კი, იმ რწმენისკენ, რომელიც მუჰამადმა მედინაში დააფუძნა და არა ზოგადად ღმერთის აღიარებისკენ.<sup>6</sup> ნაჯრანელებმა უარჰყვეს ეს შემოთავაზება და მაშინ „გამრავლდა საუბარი და დავა მათ შორის“.<sup>7</sup> [كُلُّ كَلَامٍ وَ الْحِجَابِ بَيْنَهُمْ]. ნაჯრანელებმა მიუგეს მუჰამადს, რომ ისინი მუჰამადამდე ადრე იყვნენ მუსლიმები (სიტყვასიტყვით: „მინდობილები ღმერთს“).

ამ შეხვედრის ერთ-ერთი უძველესი აღმწერი, მე-8 ს-ში მცხოვრები ყურანის კომენტატორი მუკათილ იბნ სულაიმანიც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ყურანის 5:72-77 და 4:171-172 აიებიც ნაჯრანელებთან მიმართებით იქნა გარდმოვლენილი.<sup>8</sup>

მესამე სურაში ჩანს, რომ მუჰამადმა ნაჯრანელებს მარიამის შობა, ზაქარიასთვის ანგელოზის მიერ მის - იოანეს დაბადების ხარება, რომელიც ალაჰის სიტყვის,<sup>9</sup> ანუ

<sup>1</sup> Ibn Kathīr. *The Life of the Prophet Muhammad: al-Sīra al-nabawiyya*, 73-5.

<sup>2</sup> Scher, A. *Historie Nestorienne Inedite (Chronique de Seert)*, Seconde Partie, *Patrologia Orientalis*, Paris: Firmin-Dibot, 1919, 605.

<sup>3</sup> *ყურანი*, გიორგი ლობჯანიძის თარგმანი, განმარტებანი, 464.

<sup>4</sup> ابن سعد. *الطبقات الكبرى*, 307.

<sup>5</sup> ابن سعد. *الطبقات الكبرى*, 307.

<sup>6</sup> Nickel, G. “We Will Make Peace with You: The Christians of Najran in Muqatil’s Tafsir,” An extract from *Collectanea Christiana Orientalia*, 3, 2006, 187.

<sup>7</sup> ابن سعد. *الطبقات الكبرى*, 307.

<sup>8</sup> Tafsīr’ of Muqātil b. Sulaymān al-Balkhī, Tafsīr, hadīth no. 13, online: [https://library.islamweb.net/hadith/display\\_hbook.php?bk\\_no=1736&hid=13&pid](https://library.islamweb.net/hadith/display_hbook.php?bk_no=1736&hid=13&pid).

Gordon Nickel. “We Will Make Peace with You: The Christians of Najran in Muqatil’s Tafsir,” 177.

<sup>9</sup> „ალაჰის სიტყვის“ შესახებ იხ. *ყურანი*. არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო გიორგი ლობჯანიძემ, 467-472.

იესოს წინამორბედი და მახარობელი იქნებოდა და ზაქარიას დამუნჯების ამბავი უამბო, [3:40-41, 126], ასევე მარიამის ხარება (იესოთი) და მის მიერ იესოს უბიწოდ ჩასახვისა და ყრმა იესოს აკვნიდან საუბარზეც გაამახვილა ნაჯრანელების ყურადღება [3:42,126]. მუჰამადმა ნაჯრანელებს იესოს მიერ თიხისგან ჩიტების გამოძერწვის და გაცოცხლების ამბავი მოუტანა და იესოს სხვადასხვა ჩადენილი სასწაულისა და ცოცხლად ზეცაში აყვანის შესახებაც ელაპარაკა [3:48, 126]. მუჰამადმა ნაჯრანელებს აგრეთვე შეახსენა, რომ ისინი გაყოფილები იყვნენ რწმენაში და უთანხმოებდნენ ერთმანეთს შორის: „თქვენ ხომ სწორედ ისინი ხართ, ვინც კამათობთ იმის თაობაზე, რა ცოდნაც გაბადიათ“. უთხარი: ო, წიგნის მქონენო, მოდით თანასწორობის სიტყვასთან, ჩვენსა და თქვენს შორის: ნუ დავემონებით სხვას, თვინიერ ალაჰისა, ნუ ჩავუზიარებთ მას რაიმეს და არ ამოვირჩიოთ ერთმანეთი მეუფეებად, თვინიერ ალაჰისა!“ [3:59/66, 3:57/64, 3:101/105].

მუჰამადი მზადი იყო მიეღო ნაჯრანელების შემოთავაზება - ალაჰის წყევლა გარდმოსულიყო იმათზე, ვინც მუსლიმებსა და ნაჯრანელებს შორის ცდებოდა.<sup>1</sup> ეს წყევლა ისლამურ ისტორიოგრაფიაში „მუბაჰალას“ სახელით არის ცნობილი [3:54/61]. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაჯრანელების ინიციატივა იყო, მათ უარი თქვეს წყევლის გამოყენებაზე და დაბრუნდნენ ნაჯრანში.

ტ. კ. იბრაჰიმი მიიჩნევს, რომ ნაჯრანში დაბრუნების შემდგომ დელეგაციის ხელმძღვანელები ას-საიიდ დასსანი (ბანუ ალ-ჰარის იბნ ქა'ბ-ის წინამძღოლი. ეს ტომი ნაჯრანის ყველაზე დაწინაურებული საგვარეულოს მიეკუთვნებოდა V-VII სს-ში) და 'აბდ ალ-მასიჰი (ნაჯრანელთა პოლიტიკური ლიდერი - ალ-'აკიბ) მოექცნენ ისლამზე, თუმცა, მათმა ქვეშევრდომებმა შეინარჩუნეს ქრისტიანობა.<sup>2</sup> შეიძლება დავასკვნათ, რომ მუჰამადის დროს დაწყებული უნდა ყოფილიყო იემენის ისლამიზაციის პროცესი, მაგრამ გაცილებით ნელი ტემპებით, ვიდრე ეს ხდებოდა ჰიჯაზსა და ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ პერიფერიებზე. როდესაც მუჰამადმა ვერ დაარწმუნა ნაჯრანელები, მაშინ მათ შორის გაფორმდა დაცვის სიგელი, რომელმაც ფაქტობრივად განსაზღვრა ურთიერთობების სტილი, რაც შემდგომ ათწლეულებში საფუძვლად დაედო არაბი მხედართმთავრების მიერ ქრისტიან თემებთან გაფორმებულ

<sup>1</sup> Al-Baladhuri. *Kitab Futuh al-Buldan*, 99.

<sup>2</sup> Ибрагим, Т.К., “Об Историчности Наджранской Депутации: Содержательный анализ преданий о составе.” *Ислам в современном мире*, 16/2, 2020, 27-42.

ხელშეკრულებებს.<sup>1</sup> ამ შეუვალობის სიგელის აღმომჩენი - ადდაი შერი (ფრანგულ ორიგინალში, რომელიც ჯ. მოროუმ თარგმნა) წერდა, რომ დოკუმენტი ადრეულ შუა საუკუნეებში ქრისტიანებმა გააყალბეს და მუსლიმებმა გაავრცელეს და რომ ამგვარი ტიპის სიგელს თითქმის ყველა ქრისტიანული თემი ფლობდა რეგიონში.<sup>2</sup> თუმცა, ნაჯრანელებთან გაფორმებული დაცვის სიგელი მუჰამადსა და ქრისტიანებს შორის იყო ერთ-ერთი პირველი უტყუარი დოკუმენტი, რომლის რეალურობასაც ეჭვქვეშ არ აყენებს პიოტროვსკი<sup>3</sup> და დღეს ფართოდ მიღებული და აღიარებული დოკუმენტია.<sup>4</sup>

ისლამის მოციქულთან მოლაპარაკებების შემდეგ ნაჯრანელებს მუსლიმებისთვის 2000 ნაჯრანული ძვირფასი სამოსის **حله** ხარკის სახით გადახდა დაევალათ. თითო სამოსის ფასი 40 დირჰამი უნდა ყოფილიყო.<sup>5</sup> თუ 40 დირჰამზე მეტი იქნებოდა, ამას მუსლიმები სამომავლოდ გაითვალისწინებდნენ,<sup>6</sup> ხოლო თუ ნაკლები - მაშინ ნაჯრანელებს მუსლიმებისთვის დამატებით იარაღი, ცხენები, უზანგები და სხვა საქონელი უნდა გაეგზავნათ. ხოლო [იემენტან] საომარი ვითარების შექმნის შემთხვევაში - ნაჯრანელებს მუსლიმებისთვის ცხენები, აქლემები და უზანგები უკან დაბრუნების გარანტიით უპროცენტოდ უნდა ესესხებინათ.<sup>7</sup>

მუსლიმებისთვის ხარკის სახით სამოსის მიწოდების ფაქტი ნაჯრანში ამ სამოსის დამზადების განვითარებულ ტექნიკასა და მაღალ ხარისხზე მეტყველებს.<sup>8</sup> ალ-ბალაზურის მიერ ჩაწერილი ნაჯრანის დაცვის სიგელი<sup>9</sup> ლ. ნადირაძესა და მ.

<sup>1</sup> ჯაფარიძე, გ. „ნასარა“. *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*, 154.

<sup>2</sup> Morrow, J.A. *The Covenants of the prophet Muhammad*, 109; ეს შეთანხმება პირველად დაიბეჭდა კრებულში - "Patrologia Orientalis" Rod Letchford. "Patrologia Orientalis." Roger-pearse.com. <http://www.roger-pearse.com/weblog/patrologia-orientalis-po-pdfs/>.

<sup>3</sup> Пиотровский, М.Б. *Южная Аравия в раннее средневековье*, 179.

<sup>4</sup> ხელშეკრულების ავთენტურობასთან დაკავშირებით იხ.: Scher, A. *Histoire Nestorienne inédite*. Paris: Firmin-Didot, 1907; Hamidullah, M. *Majmū'at al-Wathā'iq al-Siyāsiyah lil-'ahd al-Nabawī wa-al-Khilāfah al-Rāshidah*. Al-Qāhirah: Maṭba'at Lajnat al-Ta'lif wa-al-Tarjamah, 1956; Goddard, H. *A history of Christian-Muslim relations*. Edinburgh: Edinburgh University Press, 2000; Wood, P. *The Chronicle of Seert: Christian Historical Imagination in Late Antique Iraq*. Oxford: Oxford University Press, 2013; Al-Nahee, Owed Abdullah S. *The religious structure of Najrān in late pre-Islamic and early Islamic history: from the end of the Ḥimyarite Kingdom until the end of the Rashidun Caliphate (525-661 CE)*. A thesis submitted to the University of Birmingham for the degree of Doctor of Philosophy. University of Birmingham, 2017.

<sup>5</sup> Al-Baladhuri. *Kitab Futuh al-Buldan*, 98.

<sup>6</sup> იქვე, 98.

<sup>7</sup> Надирадзе, Л.И. *Хрестоматия по Истории Халифата*, 24-25.

<sup>8</sup> Muhammed Reza-Ur-Rahim. "Textiles in Pre-Islamic Arabia," *Islamic Studies*, vol. 11/1, 1972, 61.

<sup>9</sup> فتوح البلدان. البلاذري, 85-89.

პიოტროვსკისაც აქვთ თარგმნილი რუსულ ენაზე და გაანალიზებული.<sup>1</sup> ქვემოთ კი ალ-ბალაზურის ვერსიაა წარმოდგენილი:

„სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. აი ის, რაც დაუწერა ალაჰის წინასწარმეტყველმა და მოციქულმა მუჰამადმა ნაჯრანელებს, მაშინ, როცა მუჰამადს ძალაუფლება ჰქონდა აელო მათი ხილის თეთრი ნაყოფის (ვერცხლის), ყვითელი ნაყოფის (ოქროს) და შავის წილი, ისევე როგორც ჰქონდა ძალაუფლება მათ მონებზე,<sup>2</sup> მაგრამ მან მოწყალება გამოიჩინა ნაჯრანელებზე და დაუტოვა მათ ეს ყველაფერი, ყოველ წელს 2000 ძვირფასი სამოსელის (ჰულას) გადახდის (პირობით) სანაცვლოდ, რომელთაგანაც თითოეულის ფასი 1 უკიაზე (= 40 დირჰამზე) ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.<sup>3</sup> მათ შეუძლიათ, რომ 1000 ძვირფასი სამოსელის ოდენობა საფარის თვეში გადა(გვ)იხადონ, ხოლო მეორე ათასის ოდენობა - რაჯაბის თვეში. თუკი სამოსელის ფასი, რომლითაც ხარაჯას იხდიან 1 უკიაზე ნაკლები ან მეტი აღმოჩნდება, ჩვენ ამას გადავთვლით და გავითვალისწინებთ. ხოლო თუ ისინი აბჯრებით, ცხენებითა და უზანგებით გადაიხდიან, ეს მათ ჩაეთვლებათ (ბეგარაში).<sup>4</sup> ნაჯრანელებს ევალებათ ერთი თვის განმავლობაში მოციქულის ემისრებისთვის [ელჩებისთვის] საცხოვრებლით უზრუნველყოფა და მათ ერთ თვეზე მეტხანს არ უნდა დააყოვნონ [ნაჯრანში] ჩემი ემისრები. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იემენიდან მზაკვრული შეთქმულების საფრთხე გაჩნდება, მაშინ ნაჯრანელებმა 30 აბჯარი და უზანგი, 30 ცხენი და 30 აქლემი დროებით სარგებლობაში [უპროცენტო დაბრუნების პირობის გარეშე] უნდა გვასესხონ. და რაც დაილუპება ან დაიკარგება იმ ცხენებიდან, აქლემებიდან და უზანგირებიდან, რასაც კი დროებით სარგებლობაში გვასესხებენ, ეს მათი [ემისრების] პასუხისმგებლობა იქნება და მათ მიერ დაზღვეული იქნება, ისე რომ [ზარალი] ნაჯრანელებს [მთლიანად] აუნაზღაურდებათ.<sup>5</sup>

ნაჯრანელებს და ნაჯრანის შემოგარენ მოსახლეობას მათ სიცოცხლეზე, მათ რელიგიურ თემზე, მათ მიწებზე, მათ ქონებაზე ალაჰის მფარველობა {جوار = امان} და მისი მოციქულისა და წინასწარმეტყველის მფარველობის გარანტია [ذمة] აქვთ.<sup>6</sup>

<sup>1</sup> Надирадзе, Л.И. *Хрестоматия по Истории Халифата*, 24-25 და 84-85.

<sup>2</sup> Большаков, О.Г. *История Халифата, Т 1, Ислам в Аравии*, 178-179.

<sup>3</sup> Al-Baladhuri. *Kitab Futuh al-Buldan*, 100.

<sup>4</sup> Колесников, А.И. “Две Версии Договора Мухаммада с Христианами Наджрана,” 25.

<sup>5</sup> وما هلك مما اعاروا رسلي من خيل او ركاب فهم ضمن حتى يردوه Al-Imam abu-l 'Abbas Ahmad ibn-Jabir al-Baladhuri. *Kitab Futuh al-Buldan*, 98.

<sup>6</sup> جوار الله و ذمة محمد

[დაცვისა სიგელის პირობები ვრცელდება] მათზე, ვინც არ ესწრება და ვინც ესწრება [შეუვალობის სიგელის წაკითხვას], მათ ქარავნებზე და მათ რელიგიურ დღესასწაულებზე [აღდგომაზე] და არაფერი ემუქრება მათ ხატებს.

მათი ვითარება [და საზოგადოებრივი ყოფა] არ შეიცვლება<sup>1</sup> [ისევე როგორც] მათი ხატების ფლობის უფლება და ასევე საზოგადოებრივი უფლებები არ შეიცვლება, არც ერთი ეპისკოპოსი არ დაკარგავს მის სასულიერო წოდებას, არც ბერი დატოვებს [ბერობას], არც მღვდელი დატოვებს სამღვდლო ჩინს. მათ ყველაფერი შეუნარჩუნდებათ, რაც კი აქვთ. [ნაჯრანელებს] არ მოეთხოვებათ პასუხი ბოროტებაზე<sup>2</sup> (რაც ძველად ჩაუდენიათ) და არც სისხლზე, რაც ჯაჰილიის ხანაში დაუღვრიათ.<sup>3</sup> მათ არ ევალებათ [მუსლიმებისთვის] სამხედრო დახმარების აღმოჩენა [ანუ მუსლიმებთან ერთად ბრძოლებში მონაწილეობა] და არც [შემოსავლის] „მეათედის“ გადახდა ევალებათ. მათ მიწაზე ფეხს არ დაადგამს [მუსლიმების] ჯარი.

მათგან ვინც სამართალს ეძებს [ითხოვს], სამართლიანობა უნდა მონახოს, რათა მათ შორის არც მჩაგვრელი და არც დაჩაგრული არ აღმოჩნდეს.<sup>4</sup> ვინც წინა წლის ვალის უწესო სარგებელს აიღებს, მას აღარ ექნება ჩემი ზავისა და შეუვალობის გარანტია.<sup>5</sup> ამიერიდან არავინ იქნება პასუხისმგებელი სხვის მიერ ჩადენილ დანაშაულზე.<sup>6</sup> მათ ყოველთვის აქვთ ალაჰის [დაცვა] და წინასწარმეტყველ მუჰამადის მფარველობის გარანტია<sup>7</sup> იმაზე, რაც ამ დოკუმენტშია, სანამ ალაჰის [ახალი] ბრძანება არ გარდმოვა.<sup>8</sup>

რაზედაც ამ საბუთში შეთანხმდნენ და დაზავდნენ, მათი მოვალეობებია, ისე, რომ მხარეები უსამართლობით არ არიან შეთანხმებულები. აბუ-სუფიან იბნ ჰარბი, დილან იბნ 'ამრი, მალიქ იბნ-'ავფი ბანუ ნასრის ტომიდან, აკრა' იბნ ჰაბის ალ-ჰანზალი და მულირა იბნ შუ'ბა მოწმეები არიან ამ დოკუმენტის გაფორმებისა. ეს დოკუმენტი ნაჯრანელებისთვის დაწერა 'აბდალაჰ იბნ აბუ ბაქრმა'<sup>9</sup>

<sup>1</sup> მიუხედავად ამისა, წყაროში ვკითხულობთ, რომ მუჰამადმა ნაჯრანის გამგებლად დანიშნა 'ამრ იბნ-ჰაზმ ალ-ანსარი, ხოლო მას შემდეგ აბუ-სუფიან იბნ-ჰარბი. იხ. Al-Baladhuri. Kitab Futuh al-Buldan, 107.

<sup>2</sup> و ليس عليهم رهن

<sup>3</sup> Колесников, А.И. “Две Версии Договора Мухаммада с Христианами Наджрана,” 25.

<sup>4</sup> ანუ ნაჯრანელების საკანონმდებლო საქმეებიც მათსავე ხელში რჩებოდა და მუსლიმები არ ერეოდნენ მასში.

<sup>5</sup> al-Baladhuri. Kitab Futuh al-Buldan, 101.

<sup>6</sup> ეს ადგილი გვარ-ტომობრივი საზოგადოების დაშლის ერთ-ერთ მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

<sup>7</sup> ذمة محمد

<sup>8</sup> Watt, W.M. Muhammad at Medina, 359-360.

<sup>9</sup> ابن سعد. الطبقات الكبرى, 249. 85-89. البلادري. فتوح البلدان

„ელჩობის წლებში“ უნდა გამხდარიყო მუჰამადისთვის საბოლოოდ ნათელი, რომ რეგიონში ქრისტიანების უდიდესი ნაწილი მისი მოძღვრების მიმართ მეგობრულად არ იყო განწყობილი. ამ პერიოდიდან მოყოლებული მუჰამადს ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური ანტიქრისტიანული აიები გარდმოევიღინა [5:63/58 და 9:10-12, 9:29-35].

მუსლიმების ჰიჯრა ეთიოპიაში და მუჰამადის მიერ დამყარებული ახლო კონტაქტი ნაჯრანელებთან იმაზე მიუთითებს, რომ მუჰამადი ქრისტიანობის შესახებ ინფორმაციას ეთიოპიიდან და ნაჯრანის წარმომადგენლებიდანაც იღებდა ისლამამდე თავისი სავაჭრო მოგზაურობების დროს.<sup>1</sup>

მუჰამადის ნაჯრანელებთან გაფორმებული ზავისა და შეუვალობის სიგელი ეს იყო მუჰამადსა და ქრისტიანებს შორის გაფორმებული უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი. მასში ვხედავთ როგორც ნაჯრანელების, ასევე მუსლიმების უფლებებსა და ვალდებულებებს. ამ დოკუმენტში განსაზღვრულია ქრისტიანების უფლებრივი მდგომარეობა.

დაცვის სიგელის თანახმად, ნაჯრანელებს, ძვირფასი ტანისამოსის „ჰულას“ ფასი 40 დირჰამზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ეს კი ნიშნავს, რომ მხოლოდ ტანისამოსის ფასი 80.000 დირჰამს შეადგენდა, რაც საკმაოდ დიდი თანხა იყო.

ტ. კ. იბრაჰიმი ფიქრობს, რომ ნაჯრანელებთან გაფორმებულ სიგელში ქრისტიანებისგან მოთხოვნილი ნატურით გადასახადი (ამ შემთხვევაში ძვირფასი ტანისამოსი) არ იყო კლასიკური ჯიზია, რომელიც ყურანის 9:29 აიაში გვხვდება და სადაც მონოთეისტებისგან „დამამცირებელი“ ჯიზიის აღებაზეა საუბარი. მკვლევარი ვარაუდობს, რომ მუჰამადს საფუძველი არ ჩაუყრია ისლამში კლასიკური ჯიზიის აღებისათვის და ეს მოგვიანო ხანებში მოხდა.<sup>2</sup> ყურანის აიები (2:256), „არანაირი იძულება - სარწმუნოებაში“ და (9:29), „...ებრძოლეთ იმას, ვისაც არა სწამს ალაჰი..“ - ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავია. თუმცა, მკვლევარი მიიჩნევს, რომ მუსლიმმა ღვთისმეტყველებმა მათი არასწორი ინტერპრეტაცია მოახდინეს. ამასთან, რადგანაც ყურანი გმობს ძალდატანებას რწმენაში და „აგრესიული ბრძოლის“ წარმოებას, ბრძოლა, რომლის შესახებაც საუბარია ზემომოტანილ აიაში, უნდა წარიმართოს მხოლოდ იმათ წინააღმდეგ, ვინც მტრობს მუსლიმებს და ებრძვის მათ;

<sup>1</sup> Пиотровский, М.Б. *Южная Аравия в раннее средневековье*, 127.

<sup>2</sup> Ибрагим, Т.К. „Джизья как Постпророческий Институт: хадисоведческий анализ преданий о договоре христианами Наджрана.“ *Ислам в Современном мире*, 4, 2019, 117-135.

და მხოლოდ და მხოლოდ ამ აგრესორმა უნდა გადაიხადოს ჯიზია, ე.წ. სამხედრო რეპარაცია. მკვლევრის აზრით, მხოლოდ ამგვარი განმარტების შემთხვევაში ხდება გასაგები ყურანის აია, სადაც წერია „ვიდრე თავისი ხელით გაიღებდნენ ჯიზიას, იმ დროს, როცა იქნებიან დაკნინებულნი“. სხვა მხრივ კი, გამოდის, რომ მუსლიმთა წმინდა წიგნში ნაბრძანები იყო ბრძოლა ნახევარი კაცობრიობის წინააღმდეგ.<sup>1</sup>

მ. პიოტროვსკი ამ აქტში მუჰამადის ტოლერანტულ ნაბიჯს ვერ ხედავს. მისთვის ნაჯრანელების ასეთი ტიპის დახარკვა და მათთვის მევახშეობის აკრძალვა იემენისა და ჰიჯაზის რეგიონებს შორის სავაჭრო პაექრობის მანიშნებელია. დოკუმენტი ერთის მხრივ მექის მზარდ სავაჭრო ინტერესების წისქვილზე ასხამდა წყალს, ხოლო მეორეს მხრივ აბრკოლებდა იემენელების ვაჭრობის განვითარებას.<sup>2</sup>

ნაჯრანის სიგელში ხაზგასმული იყო, რომ მუჰამადის დროს, თუ ნაჯრანელები ნაკლებ ბეგარას (ტანისამოსის სახით) მისცემდნენ მუსლიმებს, მაშინ ნაჯრანელებს მუსლიმებისთვის ცხენების, აქლემებისა და უზანგების გაგზავნაც ევალებოდათ, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ნაჯრანში ტექსტილის გადამამუშავება და ასევე მჭედელობაც საკმაოდ განვითარებული უნდა ყოფილიყო. ამ მუხლის თანახმად ირკვევა, რომ იემენი ნახევარკუნძულის სხვა რეგიონებს უზანგებითა და აბჯრებით ამარაგებდა მუჰამადამდელ ეპოქაშიც.<sup>3</sup>

ნაჯრანელებს ევალებოდათ ტანისამოსი ისლამის მოციქულის ემისრებისთვის გამოეტანათ, რომელთაც ნაჯრანში დაყოვნება 1 თვეზე მეტ ხანს ეკრძალებოდათ. ნაჯრანელებს ევალებოდათ ემისრებისთვის თავშესაფრითა და საკვებით უზრუნველყოფაც. საბოლოოდ, ნაჯრანელები ქალაქიდან ‘უმარმა გააძევა, რადგანაც მათ დაარღვიეს შეთანხმება და ისევ უწესო სარგებლის აღება დაიწყეს.<sup>4</sup> მოგვიანებით, ხალიფა აბუ ბაქრმა განუახლა ეს პირობები ნაჯრანელებს.<sup>5</sup> მათი თხოვნა ქალაქში დაბრუნების თაობაზე მართლმორწმუნე ხალიფებმა არ დააკმაყოფილეს. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთმა ნაჯრანელმა ისლამი აღიარა, მათ 200 ჰილამდე

<sup>1</sup> Ибрагим, Т.К. “Об историчности Наджранского договора о джизйе,” 41-43.

<sup>2</sup> Пиотровский, М.Б. *Южная Аравия в раннее средневековье*, 48-49.

<sup>3</sup> იქვე, 46.

<sup>4</sup> Al-Baladhuri. *Kitab Futuh al-Buldan*, 102.

<sup>5</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 1988-1989; *The History of al-Tabari. Volume 10. The Conquest of Arabia. The Riddah Wars*. Translated and annotated by Fred M. Donner. Albany: State University of New York Press, 1993, 163-164.



და შესაბამისად 8000 დირჰამამდე შეუმცირდათ გადასახადი. საბოლოოდ კი, ისინი ძალიან შეავიწროეს და მათი მოსახლეობა 10-ჯერ შემცირდა.<sup>1</sup>

საინტერესოა, რა ფაქტორებმა გადააწყვეტინა მუჰამადს ზავისა და შეუვალობის სიგელების დადება ქალაქებთან, რომლებიც ირანის და ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეული? არსებობს 4 შესაძლებლობა: 1. ეილათისა და ნაჯრანის სიგელები გაყალბებულია. 2. ეს ქალაქები შედიოდნენ ამ იმპერიების შემადგენლობაში, მაგრამ გარკვეული ავტონომიური უფლებები ჰქონდათ. 3. ეს ქალაქები გამოსულები იყვნენ ამ იმპერიების შემადგენლობიდან და დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდნენ. 4 მუჰამადმა კარგად იცოდა, რომ ორივე ქალაქში საკმაოდ ბევრი არაბი ცხოვრობდა, რომლებიც შესაძლო იყო გვერდში დადგომოდნენ მას. ეილათთან დაკავშირებით. მუჰამადი ღიად დაუპირისპირდა ორივე იმპერიას. მან მოსინჯა, შესწევდათ თუ არა უნარი იმპერიებს ამ ტერიტორიების დაცვისა. და რაც მთავარია, თაბუკის კამპანიის შემდეგ, ნათელი გახდა, რომ საკუთრივ ბიზანტიამ აღიარა ეილათი და ღუმათ ალ-ჯანდალი მუჰამადის გავლენის სფეროებად, ხოლო პოლიტიკურ შიდაარეულობაში გახვეულ ირანს აღარ ეცალა ყოფილი გავლენის სფეროებისათვის, სახელდობრ ნაჯრანისათვის და ბაჰრეინისთვის.

არაერთი მკვლევარი ამტკიცებდა, რომ ნაჯრანელებთან და ეილათელებთან გაფორმებული სიგელები გაყალბებულია და მას მუჰამადი ვერ შეადგენდა, რადგანაც ალაჰის მოციქულის პერიოდში არაბეთის ნახევარკუნძული ბიზანტიის, ირანისა და ეთიოპიის გავლენების სფეროებად იყო დაყოფილი.<sup>2</sup> VI ს-ის შუა ხანებამდე ქალაქ მედინას ირანის მარზბანი აკონტროლებდა,<sup>3</sup> ხოლო ისლამის გამოჩენის წინარე პერიოდში იემენის სამხრეთ რეგიონები ირანის კონტროლქვეშ იყო მოქცეული.<sup>4</sup> ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ სანაპირო რეგიონებიც სასანიანთა პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის ქვეშ იყო მოქცეული.<sup>5</sup> არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეები კი, 628 წლის ჰერაკლეს ირანელებისგან გამათავისუფლებელი ბრძოლების შემდეგ როგორც ჩანს, ბიზანტიის გავლენის ქვეშ

<sup>1</sup> Al-Baladhuri. *Kitab Futuh al-Buldan*, 104.

<sup>2</sup> Crone, P. "Meccan Trade and the Rise of Islam," 48-50.

<sup>3</sup> Dignas, B. Winter, E. *Rome and Persia in Late Antiquity. Neighbours and Rivals*. Cambridge: Cambridge University Press, 2007, 113.

<sup>4</sup> Lecker, M. "Pre Islamic Arabia." *The New Cambridge History of Islam, volume 1*, 164.

<sup>5</sup> Toutaj Daryae. "The Persian Gulf Trade in Late Antiquity," 1-16. *Journal of World History*, vol 14, No 1, 2003, 2, 6.

უნდა ყოფილიყო მოქცეული. ჩვენი აზრით, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მუჰამადის დროს, კონკრეტულად კი მისი ცხოვრების უკანასკნელი 2-3 წელიწადის განმავლობაში მუსლიმური თემი რეალურად იქცა ანაგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალად რეგიონში. ირკვევა, რომ მუჰამადის მოღვაწეობის დროს იემენი პოლიტიკურად ძალიან რთულ მდგომარეობაში იყო, ხოლო ქალაქ ნაჯრანზე ირანის გავლენა აღარ ვრცელდებოდა. სპარსელთა გავლენა ძირითადად კონცენტრირებული იყო სანასა და ადენში. ნაჯრანი კი ირანთან მტრულ პოზიციაში იმყოფებოდა და მის წინააღმდეგ გაერთიანებული კოალიციის სათავეშიც იყო სხვა ქალაქებთან ერთად.<sup>1</sup> ნაჯრანის პაქტის შედგენით ქალაქი ნაჯრანი პრო-მედიუნურ კოალიციაში გაერთიანდა და ირანს ღიად დაუპირისპირდა. ნაჯრანის დაცვის სიგელში ვკითხულობთ, რომ მუჰამადს გათვალისწინებული ჰქონდა პოტენციური საფრთხე, რომელიც შესაძლოა იემენიდან გაჩენილიყო.

ნაჯრანის, დუმათ ალ-ჯანდალის, ბაჰრეინისა და ეილათის სიგელების გაფორმებით ისლამის მოციქული ღიად დაუპირისპირდა ირანსა და ბიზანტიას. იგი მზად უნდა ყოფილიყო ამ იმპერიებთან პირდაპირ კონფრონტაციაში ჩასაბმელად. თუმცა, ისლამის ფუძემდებელი ალბათ ხვდებოდა, რომ ბიზანტიელები და ირანელები ვერ გაბედავდნენ არაბეთის ნახევარკუნძულის ტერიტორიების სიღრმეებში შეჭრას და ეილათის, დუმათ ალ-ჯანდალის, ბაჰრეინისა და ნაჯრანის „პრო-მედიუნურ“ პოლიტიკურ კურსზე გადასვლას ურეაქციოდ დატოვებდნენ. მ. უოტიც წერდა, რომ მუჰამადის დროს ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლა მუჰამადის დროს უკვე დაწყებული იყო.<sup>2</sup> ჩვენი მხრივ კი დავამატებდით, რომ მართალია არა სამხედრო, მაგრამ პოლიტიკურ-ეკონომიკური და დიპლომატიური ომი დაწყებული იყო ირანთანაც, რასაც ზემოთ განხილული ზავისა და შეუვალობის სიგელები ადასტურებს.

როგორც ჩანს, მუჰამადმა არაბეთის ნახევარკუნძულის ტერიტორიების პოლიტიკური, სამხედრო და იდეოლოგიური კონსოლიდაციითა და გაერთიანებით, უცხო ძალებისგან გათავისუფლების პოლიტიკაც გაატარა. ამ სიგელის გაფორმებისას, დიდი ალბათობით, სამხრეთ იემენში გამაგრებული სპარსელი ჯარისკაცები - აბნა' -

<sup>1</sup> Пиотровский. М.Б. *Южная Аравия в раннее средневековье*, 24.

<sup>2</sup> Watt, W.M. *Muhammad at Medina*, 117.

უკვე ემხრობოდნენ მედინის პოლიტიკას. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ აზნა' ერთ-ერთი პირველები იყვნენ, ვინც ისლამი მიიღეს და არაბულ დაპყრობით ომებში ჩაერთნენ.

ნაჯრანელებთან გაფორმებულ სიგელში გათვალისწინებული იყო, რომ იემენტან ომის შემთხვევაში, ნაჯრანელებს მუსლიმებისთვის დახმარება უნდა აღმოეჩინათ 30 უზანგის, 30 ცხენისა და 30 აქლემის გაგზავნით. იემენტის სანაპირო რეგიონები კი ირანის დაქვემდებარებაში იყო. ნაჯრანელები მუჰამადს ამ საქონელს დროებით სარგებლობის პირობით უთმობდნენ. სიგელში ასევე დაფიქსირებული იყო, რომ თუ ნათხოვარი, უპროცენტოდ გასესხებული საქონლის ნაწილი ან დაიღუპებოდა, ან დაზიანდებოდა, - მუსლიმები ნაჯრანელებს ზარალს სრულად აუნაზღაურებდნენ და უკან მთელ საქონელს დაუბრუნებდნენ.

ნაჯრანის სიგელით განსაზღვრული მუსლიმთა ვალდებულებები გვხვდება მოგვიანო პერიოდის სიგელებშიც. ისლამის ფუძემდებელმა ნაჯრანელებს შეუვალობის სიგელში მათი სიცოცხლის, ქონების ხელშეუხებლობა აღუთქვა, ხოლო მათი მიწები ალაჰის მფარველობის ქვეშ დატოვა, რაც სიტყვა „ჯივართ“ იყო გადმოცემული. *ჯივარ* მოგვიანო ხანაში *ამან* და *ზიმმა-თი* იცვლება. სიგელში ასევე ეწერა, რომ ნაჯრანელებს თავად მუჰამადის მფარველობაც ჰქონდათ, რომელიც სიტყვა „ზიმმათი“ იყო გადმოცემული. ამას გარდა, ყურადღებას იქცევს ფრაზა, რომელიც მუჰამადამდე გაფორმებულ სიგელებშიც გვხვდება, რომელთაგან ერთ-ერთს ქვემოთ განვიხილავთ. ეს ფრაზა იყო: შეუვალობის სიგელის პირობები ვრცელდება მათზე, ვინც არ ესწრება და ვინც ესწრება [შეუვალობის სიგელის წაკითხვას]. ზავისა და შეუვალობის სიგელები ვრცელდებოდა მთელს ნაჯრანის მოსახლეობაზე და მათ ქარავნებზე, რომლებზე თავდასხმასაც იმიერიდან ვერავინ გაბედავდა. ნაჯრანელებს რელიგიური აღმსარებლობისა და მათი რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნის სრული თავისუფლებაც მიენიჭათ, რაც ასევე მეორდება ადრედაპყრობით ხანაში გაფორმებულ შეუვალობის სიგელებში. ნაჯრანის სიგელში აღნიშნული იყო, რომ ნაჯრანელების ჯვრებსა და ხატებს, მათ საზოგადოებრივ უფლებებსა და კანონებს არაფერი ემუქრებოდა. მათ უწინდებურად შეეძლოთ ჯვრებსა და ხატებზე ლოცვა. სტატუს-ქვოს შენარჩუნება ნიშნავდა, რომ ნაჯრანელების ეპისკოპოსი, მათი ბერები და მნათეები ადგილზე რჩებოდნენ და მათი ქონებაც

ხელუხლებელი რჩებოდა. მნიშვნელოვანია, რომ მუჰამადმა ნაჯრანელებს არ დააკისრა ჯაჰილის ეპოქაში ჩადენილ დანაშაულებზე პასუხისმგებლობა, რითაც, „ცარიელი ფურცლიდან“ დაიწყო მათთან ურთიერთობა. მნიშვნელოვანია, რომ ისლამის მოციქულმა ნაჯრანელებს არ მოსთხოვა და არც შესთავაზა მუსლიმების სამხედრო კამპანიებში მონაწილეობა. ისლამის მოციქულმა მათ არც [‘უმრის გადასახადის] ანუ შემოსავლის „მეთედის“ გადახდა დაავალა და ამით ნაჯრანელები ზედმეტად არ დაბეგრა, განსხვავებით ბაჰრეინელი ზოროასტრელებისგან, რომლებსაც მუჰამადმა კატეგორიულად მოსთხოვა ‘უმრი ფინიკებზე და მარცვლეულის ‘უმრის ნახევარი.<sup>1</sup> [ანუ მოსავლის 1/10-ის ნახევარი]. მუჰამადი წერილობით დოკუმენტში პირდებოდა ნაჯრანელებს, რომ მათ მიწაზე მუსლიმების რაზმები არ ჩადგებოდნენ. ამასთანავე, ალაჰის მოციქული ნაჯრანელებს საკანონმდებლო სფეროში დამოუკიდებლობას უნარჩუნებდა.

ისლამის ფუძემდებელმა ნაჯრანელებს მევახშეობა აუკრძალა, ხოლო ვინც ამ აკრძალვის მიუხედავად გააგრძელებდა ამ საქმეს, მას აღარ ექნებოდა ზავისა და შეუვალობის სიგელის მიხედვით გარანტირებული ხელშეუხებლობა.

---

<sup>1</sup> بلاذري. فتوح البلدان, 107-108

## თავი III. ქრისტიანების სტატუსი არაბთა სახალიფოში/არაბული დაცვის სიგელები

### 3.1. ისლამის ექსპანსია და ჯიჰადის დოქტრინა

მუჰამადის პერიოდში არაბეთის ნახევარკუნძულზე ტომები ერთმანეთს გამუდმებით ებრძოდნენ. სისხლისღვრა, შურისძიება და მტრობა ისლამამდელი პერიოდის ყოველდღიურობას წარმოადგენდა; ამიტომ, ლოგიკურია, რომ ყურანში, რომელიც ისლამამდელი პერიოდის გვარ-ტომობრივი სისტემის წიაღში წარმოიშვა - ბრძოლის, რბევისა და სამხედრო თავდასხმების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია საკმაოდ მრავლად მოიპოვება.<sup>1</sup>

ტერმინი „ჯიჰადი“ (არაბ. ჯიჰად) არის არაბული ჯ-ჰ-დ ძირიდან მომდინარე და განიმარტება როგორც „გულმოდგინება“, „ძალისხმევა“. ამ ძირის დერივატივები გვხვდება 41 აიაში. ისლამამდელ ხანაში არ მოგვეპოვება ამ სიტყვის სამხედრო კონოტაცია.<sup>2</sup> ყურანში ის საკმაოდ ბუნდოვანი ტერმინია და სრულიად სხვადასხვა შინაარსით არის გამოყენებული. ხშირ შემთხვევაში გაუგებარია, თუ რა ტიპის ძალისხმევაზეა საუბარი „ჯ-ჰ-დ“ ფუძის ხმარების დროს. ყურანში სიტყვა *ჯიჰად*, როგორც სამხედრო მოქმედების აღმნიშვნელი ტერმინი 36-დან მხოლოდ 10-ჯერ არის გამოყენებული. მიუხედავად ამისა, სწორედ ჯიჰადის სამხედრო, ბრძოლის მოწოდების შინაარსის შემცველი ე.წ. „მახვილის აიები“ იქნა მიჩნეული ყველაზე ჭეშმარიტ და უცდომელ აიებად, რომლებმაც გააუქმეს თითქმის ყველა დანარჩენი აიები, სადაც „ჯიჰადი“ განსხვავებული დატვირთვითა და შინაარსით იყო მოტანილი ყურანში. ფაქტობრივად, ჯიჰადისა და ომის სუბიექტები ყოველთვის ერთად განიხილება. თუმცა, არსებობს ორი მიზეზი მათი ცალ-ცალკე განხილვისთვის. ჯერ ერთი, ჯიჰადი უფრო ფართო კონცეფციაა, ვიდრე ომი. მეორეც, ომის შესახებ დოქტრინა შეიძლება მომდინარეობდეს ყურანიდან ტერმინი ჯიჰადის გამოყენების გარეშე.<sup>3</sup> ტერმინი *ჰარბ* (ჰ-რ-ბ), რომელიც შეესატყვისება ომს და შესაძლოა, მოწმობდეს ისლამისა და მისი დოგმატების სამხედრო ხასიათზე, ყურანში გვხვდება მხოლოდ 6-

<sup>1</sup> Faizer, R. “Expeditions and Battles,” *Encyclopedia of the Qur’an*, volume II, Leiden, Boston: E. J. Brill, 2002, 144-145.

<sup>2</sup> Tasserion, E.L “Jihad.” *Encyclopedia of the Qur’an*, volume III, 36.

<sup>3</sup> იქვე, 35-36.

ჯერ [2:279; 5:33,64; 8:57; 9:107; 47:4], ხოლო ტერმინი კითაღ/კათაღა (კ-თ-ღ) – „ბრძოლა“, „მკვლელობა“ – 78-ჯერ (ყველაზე გავრცელებული აიებია: 2:154, 190-194, 216; 3: 157-158, 169; 4: 74; 9: 5, 12-13, 29; 22: 39-40, 58).<sup>1</sup>

ჯიჰადი გულისხმობს ნებისმიერ ძალისხმევას რელიგიის სახელით. ძირითადად, „ჯიჰად“ გამოიყენება როგორც „საღვთო ომი“-ს სინონიმი, მაგრამ მუსლიმურ სამართალში არ არის მისი შესატყვისი ტერმინი - *ჰარბ ალ-კუდდუს*. საღვთო ომის მნიშვნელობით გამოიყენებოდა კიდევ ერთი ტერმინი – ღაზავათი (სიტყვიდან „ღაზვა“), რომლის მონაწილეებს – ღაზიებს, (მრ.რ. ღუზათ) უწოდებდნენ. ტერმინი ღაზვა – „შემოსევა“/„დარბევა“ ხშირად გამოიყენება ჰადისებში, როდესაც სურთ გადმოსცენ მოციქულის ეპოქის სამხედრო ლაშქრობების ხასიათი და სპეციფიკა. ყურანში ეს ტერმინი გვხვდება მხოლოდ ერთხელ სურაში – „იმრანის ოჯახი“. ღაზავათს და ჯიჰადს განსხვავებული ეტიმოლოგიური წარმოშობა აქვთ. ისლამამდელ პერიოდში არაბული ტომები თავდასხმებს აწყობდნენ ერთმანეთზე ქონების მიტაცების მიზნით და ამ თავდასხმებს არანაირი კავშირი არ ჰქონდა რელიგიასთან. მოგვიანებით, ისლამის გავრცელებისა და განმტკიცების პერიოდში ღაზავათი ტრანსფორმირდა „ბრძოლაში ალაჰის გზაზე“.

მექური პერიოდის სურებში ტერმინს - *ჯიჰად* ჰქონდა მხოლოდ ლექსიკოლოგიური დატვირთვა. მაგ., „ის, ვინც ბეჯითობს (ალაჰის გზაზე), ბეჯითობს თავისი თავისთვის“[29:5/6], ან „იმათ კი, ვინც იღწვის ჩვენი გულისათვის, ვუწინამძღვრებთ ჩვენი გზებით და ჭეშმარიტად, ალაჰი კეთილთა თანაა“[29:69]. რაც შეეხება მექური სურის „ფუტკარი“ ე.წ. „აიას ჯიჰადზე“, ყურანის კომენტატორების თანახმად, მასში მოხსენიებულია ჰიჯრა, რაც მიუთითებს მის მედინურ წარმომავლობაზე. „მერმე, ჭეშმარიტად, შენი უფალი იმათ, ვინც ჰიჯრაში წავიდა, შემდგომად იმისა, რაც გამოიცადნენ, მერე კი იბრძოდნენ და მოითმინეს ... ჭეშმარიტად, უფალი შენი ამის შემდგომ მიმტევებელია, მწყალობელი“[16:111/110]. ზმნა *ჯაჰაჰადა* მედინური პერიოდის სურებში 26-ჯერ იხსენიება. მოძღვრება ჯიჰადის შესახებ თანდათან ჩამოყალიბდა, უკვე მედინის სურებში. მუსლიმებს თავდაპირველად თავი უნდა შეეკავებინათ „ურწმუნოებთან“ კონფრონტაციისაგან

<sup>1</sup> Marco Demichelis. *Violence in Early Islam: Religious Narratives, the Arab Conquests and the Canonization of Jihad*. London: I.B. Tauris, 2021, 112.

[4:79/75], შემდეგ მათთვის ნებადართული გახდა ბრძოლა [22:40/39], შემდეგ მიეთითათ: „და ებრძოდეთ ალაჰის გზაზე მათ, რომლებიც გებრძვიან თქვენ“ [2:186/190]. ამის შემდეგ კი უკვე არის მითითება - „მათგან, რომელთაც ებოძათ წიგნი, ებრძოლეთ იმათ, ვისაც არა სწამს ალაჰი და დღე უკანასკნელი, არ იკრძალავენ იმას, რაც აკრძალა ალაჰმა და მისმა მოციქულმა, და არ აღიარებენ სჯულს ჭეშმარიტებისას, ვიდრე თავისი ხელით გაიღებდნენ ჯიზიას, იმ დროს, როცა იქნებიან დაკნინებულნი“ [9:29]. ყურანის 4:97/95 აიას თანახმად, „თანასწორნი არ არიან მორწმუნეთაგან (შინ) მსხდომნი, ზარალუნახავნი და ალაჰის გზაზე მებრძოლნი თავიანთი ქონებითა და სულეებით. გამოარჩია ალაჰმა მებრძოლნი თავიანთი ქონებითა და სულეებით და აღამალა ისინი (შინ) მსხდომებზე ერთი საფეხურით. ყველაფერი, რასაც გვპირდება ალაჰი, უმშვენიერესია. გამოარჩია ალაჰმა მებრძოლნი (შინ) მსხდომებზე უდიდესი საზღაურით“. ამ აიაში ხაზგასმულია ალაჰის გზაზე მებრძოლთა (*ალ-მუჯაჰიდიუნა ჭი საბილი ლლაჰი*) უპირატესობა. ასევე არის მითითება: „გამოდით მსუბუქნი თუ მძიმენი და გაისარჯეთ თქვენი ქონებითა და სიცოცხლით ალაჰის გზაზე (ჯაჰიდიუ ბი'ამვალიჰიმ ვა 'ანფუსიჰიმ); ეს უკეთესია თქვენთვის, რომ იცოდეთ“ [9:41]. ამ შემთხვევაში არის მოწოდება ბრძოლისაკენ, მაგრამ ჯიზადის რეალიზებისათვის აუცილებელია მატერიალური საკუთრება (ოქრო, ვერცხლი და სხვ.) და სიცოცხლის გაწირვაც კი, რისთვისაც მორწმუნეს ელოდება დიდი ჯილდო [61:12].<sup>1</sup>

ისლამის ფუძემდებლის მიერ გადატანილმა ისტორიულმა ბრძოლებმა, თავდასხმებმა და მისი ცხოვრების პერიპეტიებმა საფუძველი ჩაუყარეს ბრძოლების შემდეგ ნადავლის გადანაწილების წესს (სურა ალ-'ანფალ), 1/5-ის მუჰამადისთვის გადაცემას, ბრძოლებში მოკლულთა გვამების დასახიჩრების აკრძალვასა და სხვა არაერთ წესსა და დამოკიდებულებას საბრძოლო ოპერაციებისა თუ მათი დასრულების შემდეგ სწორი თუ არასწორი ქმედებების შესახებ. სწორედ ამ პრინციპითაც ხელმძღვანელობდნენ მომდევნო ათწლეულებსა და საუკუნეებში მუსლიმი მმართველები და მხედართმთავრები.

ყურანში საბოლოოდ ჩამოყალიბდა მრავალმერტიანებთან (მუშრიქებთან) და არამუსლიმ მონოთეისტებთან ბრძოლის მიზანიც: პირველებთან ბრძოლის მიზანი

---

<sup>1</sup> Marco Demichelis. *Violence in Early Islam: Religious Narratives, the Arab Conquests and the Canonization of Jihad*, 113-118.

მათი ისლამზე მოქცევა იყო, ხოლო მეორესთან - მათზე გაბატონება.<sup>1</sup> ზოგიერთი მუსლიმი ღვთისმეტყველი, ჰადისებზე დაყრდნობით, ჯიჰადს ყოფს დიდ ჯიჰადად (სულიერი ბრძოლა საკუთარ ნაკლოვანებებთან) და მცირე ჯიჰადად (მაღისმიერი ბრძოლა ქაფირებთან).

მუჰამადის სიტყვებით, ალაჰს მისი საქმისათვის მეზრძოლი მუჯაჰიდისათვის სამოთხის ასი კარი აქვს ღია. ჰადისების მიხედვით, ჯიჰადის მეომარს ალაჰი სამოთხეს უმზადებს: „სამოთხის კარი მახვილთა ჩრდილქვეშ იმყოფება“. სამოთხეში ნებადართულია ყველა ის სიამოვნება, რაც ეკრძალება მუსლიმს ამ ცხოვრებაში (მაგ. ღვინო) და რაც მთავარია, მას ოლოდება სამოთხის ლამაზი ასულები, ჰურიები.<sup>2</sup>

გადმოცემის თანახმად, მუჰამადი თვლიდა, რომ „ჯიჰადი ალაჰის გზაზე ისლამის მწვერვალია; მხოლოდ საუკეთესონი აღწევენ მას“. ჯიჰადი მიჩნეულია „უმჯობესად, ვიდრე მთელი სამყარო“.<sup>3</sup> ამავე დროს, ყურანი მოითხოვს მუსლიმებისგან არ გადაამეტონ და დაიცვან ზომიერება (2:186/190). როცა მოწინააღმდეგე შეწყვეტს წინააღმდეგობას, მისი სურვილი მშვიდობაზე უნდა დაკმაყოფილდეს (8:63/61; 4:92/90).

ჯიჰადმა იდეოლოგიური ნიადაგი მოუმზადა და გამართლება მოუძებნა მომთაბარე მუსლიმი არაბების გამუდმებულ თავდასხმებს ქრისტიანულ მიწებზე და შუა საუკუნეებში „მორალურ-ეთიკური და რელიგიური მოვალეობის“ ელფერი შესძინა სხვადასხვა ისლამური სახელმწიფოს ექსპანსიონისტურ პრეტენზიებს.<sup>4</sup>

არაბ მუსლიმთა დაპყრობითი ომების უკან, ისევე როგორც საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა სახალიფოსა და სასულტნოში ქრისტიანების დარბევების, გადასახადების უკონტროლოდ გაზრდისა და მათი დეპორტაციების უკან იდგა ჯიჰადის იდეოლოგია – არსი წმინდა ბრძოლისა არა მხოლოდ მრავალმერტიანებთან, არამედ ქრისტიან, ზოროასტრულ და იუდეველ ურწმუნოთა წინააღმდეგ.

შარიათის მიხედვით ჯიჰადი გრძელდება დროისა და სივრცის უსასრულო პერიოდში. ‘აბასიანთა სახალიფოს დაშლის მიუხედავად, ჯიჰადის მოვალეობა იმდენად წმინდა იყო, რომ მასზე აღმოცენებული საამიროები მაინც განაგრძობდნენ

<sup>1</sup> Tasseran, E.L. “Jihad.” *Encyclopedia of the Qur’an*, 41.

<sup>2</sup> წურჭუმია, მ. *ომის იდეოლოგია საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთში*, 35.

<sup>3</sup> იქვე, 34.

<sup>4</sup> Ибрагим, Т.И., Сагадеев, А.В. “Джихад.” *Ислам. Энциклопедический Словарь*, 67.



ქრისტიანების წინააღმდეგ ბრძოლასა და „დაზიებს“ დოვლათის ასაღებად ხალიფას სახელით. 'უმაიანთა და 'აბასიანთა ხანაში ჯიჰადის დროს ხშირი იყო ადგილობრივი ხალხების მიმართ სისასტიკე, სისხლისღვრა და მასობრივი მკვლევლობები.<sup>1</sup>

ისტორიკოსების ჩანაწერები მოწმობენ, რომ ჯიჰადის წარმოების, ალაფის ალებისა და გადანაწილების წესები VII-XII სს-ში ყველა ტერიტორიაზე, რომელიც მუსლიმებმა ძალის გამოყენებით დაიმორჩილეს, თითქმის უცვლელი იყო. ანუ, ჯიჰადი იყო მუსლიმი თეოლოგების მიერ დაკანონებული წესი და არა სპონტანურად მიღებული ნორმატივების ერთობლიობა. ჯიჰადის იდეოლოგია და შარიათი იყო დაპყრობითი ომების მთავარი მამოძრავებელი ძალა.<sup>2</sup> ალ-ბალაზურისთან ვკითხულობთ, რომ რიდა-ს შემდგომ, აბუ ბაქრმა მედინაში თავი მოუყარა ჯარს ტა'ფიდან, იემენიდან და ჰიჯაზიდან და მათ წმინდა ომისაკენ მოუწოდა. ამას გარდა, მან არაბების სურვილი გააღვივა, რათა ბერძნებისგან ნადავლი აეღოთ.<sup>3</sup>

ჯიჰადის მოტივის გარდა, კ. ბორი არაბული დაპყრობითი ომების მიზეზად სხვა რელიგიურ მოტივსაც ასახელებს და წერს, რომ მუსლიმ არაბთა დაპყრობითი ომების გააზრება, როგორც არაბთა „გადასახლება“ ანუ „ჰიჯრა“ არაბეთის ნახევარკუნძულიდან წმინდა მიწაზე, სადაც იერუსალიმი მდებარეობს და რომლის ფლობაზეც მათ მუჰამადამდეც კოლექტიური „ისტორიული პრეტენზია“ ჰქონდათ, როგორც მათი მამის - აბრაამის სამშობლოსი, - ნათელს ხდის იმ გარემოებას, თუ როდენ დიდი ძალა შეიძლება ჰქონდეს იდეოლოგიას და რწმენას.

მართებულია მ. წურწუმისა შენიშვნა, რომელიც აღნიშნავს: „მუსლიმები ისლამის ექსპანსიას განიხილავდნენ არა როგორც დაპყრობას, არამედ ისლამისათვის ახალი მიწების „აღმოჩენას“. ისინი არ თვლიდნენ, რომ ამ ქვეყნებისათვის მიჰქონდათ რაღაც უცხო ან თუნდაც მიწიერი და მატერიალური, არამედ - ღვთის საჩუქარი. ისინი ადამიანებს აბრუნებდნენ შემოქმედთან, ღმერთთან სწორ ურთიერთობაში“.<sup>4</sup>

ამასთანავე, არ შეიძლება არ აღინიშნოს საკმაოდ პოპულარული მოსაზრებაც, რომ არაბ მუსლიმთა გასაოცარი სამხედრო წარმატებების მიზეზი, რელიგიური ენთუზიაზმის გარდა, ისიც უნდა ყოფილიყო, რომ სირია-პალესტინის მიწებზე

<sup>1</sup> Bat Ye'or. *The Decline of Eastern Christianity under Islam*, 49-50.

<sup>2</sup> იქვე, 52, 55-56.

<sup>3</sup> Abu-l 'Abbas Ahmad ibn-Jabir al-Baladhuri. *Kitab Futuf- al-Buldan*, 165.

<sup>4</sup> წურწუმია, მ. *ომის იდეოლოგია საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთში*, 33.

ბიზანტიელებს არ ჰყავდათ დისლოცირებული დიდი რაოდენობის ჯარები (ზოგი მიიჩნევს, რომ ჯარების რაოდენობა თითქმის ნულამდე იყო დაყვანილი). რეგიონში დარჩენილი ბიზანტიის ჯარი დეორგანიზებული იყო, ხოლო იმპერატორის ყურადღება უფრო ავარებზე და სლავებზე იყო კონცენტრირებული.<sup>1</sup>

უომრად დამორჩილებულ ქრისტიანულ თემებს მუსლიმები იწყებდნენ და მფარველობის ქვეშ იყვანდნენ *ზიმმა*-ს სტატუსით. ასეთი ტიპის რეგიონებში კატეგორიულად იკრძალებოდა ჯიჰადის წარმოება ან ზიმმის ისლამზე მოქცევა.<sup>2</sup>

ყურანის და ჰადისების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ ტერმინი *ზიმმა* ნიშნავდა „ადამიანის ურთიერთობას ღმერთთან და ადამიანის პასუხისმგებლობას ღმერთთან ურთიერთობაში“.<sup>3</sup> ეს ტერმინი აგრეთვე აღნიშნავდა „უსაფრთხოების გარანტიას“ და „მფარველობას“. *ზიმმა* ნიშნავს ასევე „ხელშეკრულებას“ იმავე ‘აჰდ-ს და „ხელშეკრულების სიწმინდეს, მის ხელშეუხებლობას“.

„ზიმმა“ გახდა არამუსლიმი ხალხების მუსლიმებთან სოციალურ-კულტურული ურთიერთობების აღმნიშვნელი ტერმინი.<sup>4</sup> როგორც მილკა ლევი-რუბინი აღნიშნავს, საინტერესოა ის არის, რომ ტერმინი „ამან“ არ გვხვდება ყურანში და ის დაპყრობების ხანის დროინდელია. „ამან“-ის სახით მუსლიმებმა ჯერ კიდევ ისლამამდელი „ჯივარის“ და ზიმმას ტრადიცია გააგრძელეს, რომელიც გულისხმობდა, რომ თუ ადამიანი უცხო იყო და საკუთარი თემიდან იყო განდევნილი, „ჯივარის“ საშუალებით შეეძლო სიცოცხლისა და მისი ქონების შეუვალობის გარანტია მიეღო. ჯივარი ადრეისლამურ პოლიტიკურ რეალიებში გვხვდება, ხოლო მოგვიანებით ის „ამანმა“ ჩაანაცვლა. ნაჯრანელებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ვხედავთ ჯივარს და არა ზიმმას.<sup>5</sup>

ზიმმა კი იყო მუსლიმების არამუსლიმებთან გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება ურთიერთსარგებლიანობის თაობაზე, როცა ორივე მხარე

<sup>1</sup> Wilkin, S. “Arab Islam War on Byzantium,” 2020, 10. [https://www.researchgate.net/publication/344750489\\_Arab\\_Islam\\_War\\_on\\_Byzantium?channel=doi&linkId=5f8d9f7ea6fdccfd7b6c245f&showFulltext=true](https://www.researchgate.net/publication/344750489_Arab_Islam_War_on_Byzantium?channel=doi&linkId=5f8d9f7ea6fdccfd7b6c245f&showFulltext=true)

<sup>2</sup> Hutchings, R. *Non-Muslim Integration into the Early Islamic Caliphate through the Use of Surrender Agreements*, BA thesis, University of Arkansas, Fayetteville, 2020, 12.

<sup>3</sup> Penn M, P. *Envisioning Islam. Syriac Christians and the Early Muslim World*. Philadelphia: University of Pennsylvania press, 2015, 25.

<sup>4</sup> Rubin, Milka-Levy. *Non-Muslims in the Early Islamic Empire. From Surrender to Coexistence*, Cambridge: Cambridge University Press, 2011, 31.

<sup>5</sup> იქვე, 32-33.

კისრულობდა ვალდებულებას არ მიეყენებინათ ზიანი ერთმანეთისთვის და საჭიროების შემთხვევაში დახმარებოდნენ ერთმანეთს.

ზიმიები იყვნენ შუასაუკუნეების მუსლიმურ ქვეყნებში უცხო სარწმუნოების აღმსარებელი (ქრისტიანები, იუდეველები, საბაელები, ზოროასტრელები) ჯგუფები, რომლებიც დაპყრობის დროს დაემორჩილნენ მუსლიმებს, აღიარებდნენ მუსლიმი მმართველის ხელისუფლებას, იხდიდნენ უცხო სარწმუნოების აღმსარებელზე დაკისრებულ სულად გადასახადს - ჯიზიას და აგრეთვე მიწაზე დაწესებულ გადასახადს - ხარაჯას.

ზიმიები მათთან დადებული ხელშეკრულების - 'აკდ აზ-ზიმმა (عقد الذمة) საფუძველზე ინარჩუნებდნენ სარწმუნოებას, გარკვეული შეზღუდვებით ასრულებდნენ რელიგიურ წესებს, ჰქონდათ პიროვნებისა და ქონების შეუვალობის გარანტია. ზიმიების თემები სარგებლობდნენ გარკვეული თვითმმართველობით საკუთარი რელიგიური კანონების საფუძველზე.<sup>1</sup> თემთა რელიგიური ლიდერები კი იცავდნენ თემის წევრთა ინტერესებს მუსლიმ ხელისუფალთა წინაშე. მათ ჰქონდათ უფლება თავიანთი რელიგიური კანონებით გაესამართლებინათ თემის წევრები, დაესაჯათ სჯულგანდგომილნი და ერეტიკოსები. მუსლიმისა და ზიმის სასამართლო დავა წყდებოდა მუსლიმი სამართლის საფუძველზე ყადის მიერ“.<sup>2</sup>

ზიმიები სარგებლობდნენ გარკვეული თვითმმართველობით საკუთარი რელიგიური კანონების საფუძველზე. თემთა სასულიერო მეთაურები (პატრიარქი, კათოლიკოსი და მიტროპოლიტი - ქრისტიანებთან, რაბინი - იუდეველებთან, მობედი - ზოროასტრელებთან) იცავდნენ თემის წევრთა ინტერესებს მუსლიმ ხელისუფალთა წინაშე. ხელშეკრულება მფარველობაზე დარღვეულად ითვლებოდა, თუ ზიმში გაკიცხავდა ყურანს, აძაგებდა მუჰამადს და ისლამს, იმრუშებდა და იქორწინებდა მუსლიმ ქალთან, მოაქცევდა მუსლიმს სხვა სარწმუნოებაზე, არ გადაიხდიდა გადასახადებს, გამარცხავდა მუსლიმს გზაზე, ომის დროს დაეხმარებოდა მუსლიმთა წინააღმდეგ მებრძოლ მხარეს.<sup>3</sup>

თუ ზიმის ჰყავდა შთამომავალი, მისი სიკვდილის შემდეგ ქონება შვილის ან ნათესავის ხელში გადადიოდა, ხოლო თუ არ ჰყავდა მას ახლო ნათესავი, მაშინ ის

<sup>1</sup> ჯაფარიძე, გ. „ზიმიები“. *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*, 65-66.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, 66.

მუსლიმთა საერთო ქონება {ზაით ალ-მალ} ხდებოდა.<sup>1</sup>ამასთან, თუ ზიმი იპოვნოდა მკირფას ბუნებრივ წიაღისეულს, (ოქროს, ვერცხლს), ისევე როგორც მუსლიმისგან, მისგანაც უნდა აედოთ 1/5, ხოლო 4/5 მას რჩებოდა.<sup>2</sup>

ისლამის მოციქულისა და 'ალის დროს ზიმიებს შედარებით ტოლერანტულად ეპყრობოდნენ. სიფჟინის ბრძოლის შემდგომ 'ალის ხარიჯიტებისათვის შეუთვლია არ დაეღვარათ უდანაშაულო კაცის სისხლი, თავს არ დაესხმოდნენ მოგზაურს და ზიანი არ მიეყენებინათ ზიმიისთვის. ხოლო ალ-ბაქირს განუცხადებია: „ნებისმიერი ადამიანი, ვინც ხელშეკრულებას დადებს უცხოელთან და „ზიმმას“ მისცემს და ამის შემდეგ უსამართლოდ მოექცევა მას, უკანასკნელ დღეს ცოდვით წარსდგება სამსჯავროზე“.<sup>3</sup> მუსლიმს არ ჰქონდათ უფლება მიზანმიმართულად ზიანი მიეყენებინა ზიმიის მიწისთვის (დაეტბორა), რომელსაც ეს უკანასკნელი სხვადასხვა პროდუქტის მოსაყვანად ანდა სათესად იყენებდა, რადგანაც ჰადისებში მუჰამადი ამბობს: „წყეულიმც იყოს, ვინც ზიანს მიაყენებს მუსლიმს ან სხვას, წყეულიმც იყოს ის!“<sup>4</sup> ასევე ჰადისებში მუჰამადი მიმართავს ჯარს: „იბრძოლეთ უფლის სახელით და უფლის გზაზე! ებრძოლეთ მათ, ვისაც არ სწამს ალაჰი, შეასრულეთ თავდასხმები, მაგრამ ნუ გადააჭარბებთ და ნუ აწამებთ ხალხს და არ მოკლათ ქალები და ბავშვები“.<sup>5</sup> იქვე, აბუ იუსუფთან ვკითხულობთ: ზიმიების კუთვნილი პირუტყვისაგან არ აიღება ზაქათი, არც აქლემებიდან, არც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისაგან და არც ცხვრის ფარისგან... არცერთი ზიმი არ შეიძლება დაექვემდებაროს ცემას სულადობრივი გადასახადის [ჯიზიის] აკრეფის მიზნით. არ შეიძლება მათი მზეზე ძალით გაჩერება, ან სხვა ფორმით წამება, [ჯიზიის გადახდის მიზნით] ისევე როგორც არ შეიძლება მათზე ზიზლის გამომწვევი საგნების ჩამოკიდება, არამედ პირიქით - მათ უნდა მოეპყრან ლმობიერად, მაგრამ შეიძლება მათი დილეგში გამომწვევდევა, იქამდე, სანამ მათზე დაკისრებულ ბეგარას [ჯიზიას] სრულად არ გადაიხდიან.“<sup>6</sup>

<sup>1</sup>Абу Йусуф. Йа'куб Ибрахим ал-Куфи. *Китаб ал-Харадж. (Мусульманское налогообложение)*, 232-233.

<sup>2</sup> იქვე, 38.

<sup>3</sup> Mahmoud Ayoub. "Dhimmah in Quran and Hadith," 25-37; Hoyland, Robert G. (editor). *Muslims and others in early Islamic Society*, Burlington, VT : Ashgate, 2004, 30.

<sup>4</sup> Абу Йусуф Йа'куб Ибрахим ал-Куфи. *Китаб ал-Харадж*, 176.

<sup>5</sup> იქვე, 335.

<sup>6</sup> იქვე, 219.

ზომიების მიერ გადახდილი ყოველწლიური ჯიზია შეადგენდა სახალიფოს შემოსავლის უმნიშვნელოვანეს წყაროს. ამიტომ, სახალიფოს ინტერესებში იყო ზომიას ხელშეკრულების პირობების დაცვა და ისლამზე გადასვლის ხელისშეშლა. უმაიანთა ბატონობის მეორე ნახევრიდან მთელ რიგ შემთხვევებში აღარ იყო მიზანშეწონილი არამუსლიმის ისლამზე მოქცევა, რადგანაც მუსლიმები ამით ეკონომიკურ მოგებას და პრივილეგიურ სტატუსს კარგავდნენ.<sup>1</sup>

ტერმინი *ჯიზია* ყურანში მხოლოდ ორჯერ არის ნახსენები. იშვიათად გვხვდება ის მუჰამადის მიერ გაფორმებულ სიგელებშიც, რაც იმის მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ ის მუჰამადის გარდაცვალების შემდგომ პერიოდში უფრო მეტად გავრცელდა და დამკვიდრდა. ყურანი მოუწოდებს მუსლიმებს ებრძოლონ „საღვთო წერილის“ ხალხებს, ვიდრე ისინი არ გადაიხდიან ჯიზიას.

სერჟენტი მიიჩნევდა, რომ ყურანში მოხსენიებულ ჯიზიას არაფერი აქვს საერთო მუჰამადის შემდეგ შემოღებულ სულადობრივ გადასახადთან.<sup>2</sup> როგორც ჩანს, ისლამის ადრეულ ეტაპზე, ხარაჯა და ჯიზია ერთმანეთის სინონიმებიც უნდა ყოფილიყო. სახალიფოს პირველ ათწლეულში ხარაჯა არამუსლიმებისგან აიღებოდა, ხოლო მუსლიმები იხდიდნენ ‘უმრს. ხარაჯა და ჯიზია ერთმანეთს გაემიჯნა მხოლოდ VII-VIII საუკუნეთა მიჯნაზე.<sup>3</sup>

იბნ ჰანბალთან ვკითხულობთ ხალიფა ‘უმარის სიტყვებს: „გიბრძანებთ კარგად მოეპყრათ თქვენს ზომიებს, რადგანაც ისინი თქვენივე შვილების შემოსავლის და კეთილდღეობის წყაროს წარმოადგენენ“.<sup>4</sup> მუჰამადს უთქვამს: „ვინც უსამართლოა ხელშეკრულების მქონე ადამიანთან, იგი მის შესაძლებლობაზე მეტს ითხოვს მისგან და აღდგომის დღეს მე ვიქნები მის წინააღმდეგ მოწმე“.<sup>5</sup> ჰადისების თანახმად კი მუჰამადი ფეხზე ადგა, როცა იუდეველის გასვენებას შეესწრო, ხოლო კითხვაზე, თუ რატომ წამოუდგა ფეხზე იუდეველს, ისლამის მოციქულს მიუგია: „განა მას სული არ აქვს?“<sup>6</sup> სიკვდილის წინ კი ‘უმარ იბნ ალ-ხატტაბს უთქვამს: „ჩემს შემდეგ ხალიფას ვუტოვებ ბრძანებას, გაუფრთხილდეს და მისდიოს ალაჰის მოციქულის მიერ

<sup>1</sup> Bat Ye'or. *The Decline of Eastern Christianity under Islam*, 136.

<sup>2</sup> Serjeant, R.B. "Early Arabic Prose," 58.

<sup>3</sup> ჯაფარიძე, გ. „ხარაჯი“. *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*, 215.

<sup>4</sup> Mahmoud Ayoub. "Dhimmah in Quran and Hadith," 32.

<sup>5</sup> Абу Йусуф Йа'куб Ибрахим ал-Куфи. *Китаб ал-Харадж*, 222-3.

<sup>6</sup> Mahmoud Ayoub. "Dhimmah in Quran and Hadith," 32.

მინიჭებულ ზავისა და შეუვალობის სიგელებს და შეასრულოს მოვალეობები მათ მიმართ, ვისთანაც გაფორმებულ იქნა შეუვალობის სიგელები, რათა [მუსლიმებმა] ისინი (ზიმეები) შეიარაღებული ხელით დაიცვან და არ დაუწესონ ისეთი ბეგარა, რომელიც მათ ძალებს აღემატება.“<sup>1</sup>

### 3.2. ქრისტიანების როლი არაბთა დაპყრობით ომებში

არსებობდა მოსაზრება, რომ არაბთა დაპყრობით ომებში თითქოს მხოლოდ მუსლიმები იბრძოდნენ და ომების მთავარი მიზანი მხოლოდ და მხოლოდ ისლამის გავრცელება იყო. თუმცა, ბ. ლუისი წერდა: „არაბები არ ცდილობდნენ ადგილობრივი სირიელებისა და ეგვიპტელების რეკრუტირებას, რომლებმაც ბიზანტიელებისა და ირანელების მმართველობის პერიოდში დაკარგეს ყოველგვარი სურვილი გამხდარიყვნენ პროფესიონალი სამხედროები“.<sup>2</sup> არაერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მათ დაპყრობით ომებში მხოლოდ მუსლიმები არ მონაწილეობდნენ<sup>3</sup> და არაბთა უმთავრესი მიზანი არ ყოფილა ისლამის გავრცელება.<sup>4</sup>

მუსლიმების მხარეს ქრისტიანების სხვადასხვა ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის შედეგად მუსლიმებმა მოახერხეს იუდეველების, კურაიშიტებისა და პოლითეისტების დამარცხება.<sup>5</sup> მართლმორწმუნე ხალიფათა და ‘უმაიანთა მმართველობის ადრეულ პერიოდში მუსლიმების უმთავრესი პოლიტიკური მიზანი დამორჩილებულ მიწებზე მათი ძალაუფლებისა და ბატონობის დამყარება და განმტკიცება იყო.<sup>6</sup> ვადად ალ-კადი გვთავაზობს 10 ჰადისს, სადაც 5-ში დასტურდება, რომ არამუსლიმებიც მონაწილეობდნენ არაბულ ომებში მუჰამადის გვერდით, 5-ში კი ეს აზრი უარყოფილია.<sup>7</sup>

<sup>1</sup> Абу Йусуф Йа'куб Ибрахим ал-Куфи. *Китаб ал-Харадж*, 222.

<sup>2</sup> Lewis, B. *The Middle East. A Brief History of the Last 2000 Years*, New York: Scribner, 1997, 196.

<sup>3</sup> Watt, W.M. Muhammad at Medina, 246; Akram, A.I. *The Muslim Conquest of Persia. Islamic Military History Series*. Birmingham - England, UK: Maktabah Publications, 2009, 294.

<sup>4</sup> Ahmed Mohsen Al-Dawoody. *War in Islamic War: Justifications and Regulations*. A thesis submitted to The University of Birmingham for the degree of Doctor of Philosophy, August 2009, 68-74.

<sup>5</sup> Morrow, J.A. *The Covenants of the prophet Muhammad with the Christians of the World*, 130.

<sup>6</sup> Ed Lykens. *Eastern Christianity and the Rise of Islam: Seventh to Twelfth Centuries*, A Thesis Submitted to the Faculty of George Fox Evangelical Seminary in Candidacy for the Degree of Master of Arts (Theological Studies), George Fox University. Tigard, Oregon, April, 2004, 49; Чомаев, З.А. *Мусульманская дипломатия в раннеисламскую эпоху*, 76.

<sup>7</sup> დაწვრ. იხ. Wadad al-Qadi. “Non-Muslims in the Muslim Conquest Army in Early Islam,” 84-85.

ვადად ალ-კადი წერს, რომ საერთო სურათი, წყაროების შეჯერება და მუსლიმი სამართლისმცოდნეების მონაცემები ცხადყოფენ, რომ ქრისტიანები, იუდეველები და პოლითეისტებიც კი აქტიურად იბრძოდნენ არაბთა დაპყრობით ომებში როგორც ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას დროს, ასევე უმაიანთა ადრეული მმართველობის პერიოდშიც.<sup>1</sup> 630 წელს მუჰამადის ჯარში ბაქრ იბნ ალ-ვაილისა და თაღლიბის ქრისტიანი ტომები იბრძოდნენ. სირაში ვკითხულობთ ცნობას იუდეველი მუხაირიკის შესახებ, რომელიც მუჰამადის გვერდით იბრძოდა უჰუდის ბრძოლაში (625წ.).<sup>2</sup> ამ ცნობებზე დაყრდნობით აჰმედ მოჰსინ ალ-დაუდი მიიჩნევს, რომ არც ისლამის მოციქულის დროს და არც არაბთა დაპყრობითი ომების განმავლობაში მუსლიმების მიზანი არ ყოფილა ისლამის გავრცელება.<sup>3</sup>

არაბ მუსლიმთა სამხედრო შეტევების დროს მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით დიდი როლი იმ ქრისტიანულმა არაბულმა ტომებმა ითამაშეს, რომლებიც თანამედროვე იორდანია-სირიის და ერაყის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ.<sup>4</sup> მაგალითად დასანიანები, რომლებიც არაბეთის ნახევარკუნძულსა და ბიზანტიას შორის მოქცეულ რეგიონში ცხოვრობდნენ, თავდაპირველად მუსლიმთა წინააღმდეგ იბრძოდნენ, თუმცა მას შემდეგ, რაც მუსლიმებმა მათი წინააღმდეგობა დაძლიეს, ისინი მუსლიმების მხარეზე გადავიდნენ და სხვადასხვა სარგებლის მიღების მიზნით მუსლიმების სასარგებლოდ დაიწყეს ჯაშუშობა.<sup>5</sup>

გიბის აზრით, სირიის ტერიტორიაზე ბიზანტიის ინიციატივით ჩაყენებულმა არაბულმა სადივიზიო auxiliar-მა ტომებმა საკმაოდ მნიშვნელოვანი, თუ არა გადამწყვეტი როლი შეასრულეს მუსლიმ არაბთა სასარგებლოდ დაპყრობითი ომების დროს. ისინი ისლამამდელ პერიოდში ბიზანტიის ჯარების რიგებში სპარსელების წინააღმდეგ იბრძოდნენ და მათი უხუცესები საკმაოდ ხშირ შემთხვევებში ბიზანტიურ

---

<sup>1</sup> იქვე, 88 და Glubb, J.B. *The Great Arab Conquests*, London: Hodder and Stoughton, 1966, 168. იხ. Чомаев, З.А. *Мусульманская дипломатия в раннеисламскую эпоху*, 54-55.

<sup>2</sup> Ибн Хишам. *Жизнеописание Пророка Мухаммада*, 351.

<sup>3</sup> Ahmed Mohsen Al-Dawoody. *War in Islamic War: Justifications and Regulations*, 70-71.

<sup>4</sup> Wadad al-Qadi. "Non-Muslims in the Muslim Conquest Army in Early Islam," 89.

<sup>5</sup> იქვე, 90-91. Ahmad Shboul, Alan Walmsley. "Identity and Self-Image in Syria-Palestine in the Transition from Byzantine to early Islamic Rule: Arab Christians and Muslims," 267.

(სამხედრო) ტიტულებს ატარებდნენ და კარგად იცნობდნენ ბიზანტიურ სამხედრო და სამოქალაქო მმართველობის სტილს.<sup>1</sup>

აბუ იუსუფი წერდა, რომ არაარაბების წინააღმდეგ ომის მიზეზი მათგან ან ჯიზიის აღება იყო, ან მათი ისლამზე მოქცევა, ხოლო წარმართი არაბების წინააღმდეგ ომის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ მათი ისლამზე მოქცევა იყო, უარის შემთხვევაში კი - მოკვლა.<sup>2</sup> ქრისტიანმა არაბებმა და ასირიელებმა, რომლებიც მესოპოტამიის დაპყრობის დროს მუსლიმ არაბებს ნებაყოფლობით ეხმარებოდნენ და მონაწილეობას იღებდნენ მუსლიმთა სამხედრო კამპანიებში, მოახერხეს მნიშვნელოვანი მატერიალური დოვლათის დაგროვება.<sup>3</sup> ამას გარდა, ერაყის დაპყრობის დროს მუსლიმებს ადგილობრივი არაბი (და ასირიელი) ტომები სასანიანთა სამხედრო ქვედანაყოფების წინააღმდეგ ბრძოლებშიც ეხმარებოდნენ.<sup>4</sup> თუმცა „ალ-ვალაჯას“ ბრძოლისას 633 წელს სპარსელებს გვერდში ედგნენ მოკავშირე ქრისტიანი არაბები.<sup>5</sup> ამავდროულად, „ალ-ბუვაიბის“ ბრძოლაში ბანუ თალიბის ქრისტიანი არაბები მუსლიმების მხარდამხარ ებრძოდნენ სპარსელებს.<sup>6</sup> ასევე მდ. იარმუქის ველზე ბიზანტიელებისა და არაბების გადამწყვეტ ბრძოლაში 636 წელს, სირიის ქრისტიანი არაბები (დასანიანები), დაახლ. 12.000 მეომარი მუსლიმთა მხარეს გადავიდა, ხოლო დასანიანთა უკანასკნელი მეფე ჯაბალა იბნ ალ-აიჰამმა მოგვიანებით (დაახლ. 638 წელს) ისლამი მიიღო.<sup>7</sup>

ქრისტიანი არაბების მონაწილეობა როგორც ბიზანტიელების, ასევე მუსლიმ დამპყრობელთა მხარეს ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ რეგიონში, არაბთა შორის არსებობდა იდენტობის კრიზისი.<sup>8</sup> სირია-პალესტინისა და ზემო მესოპოტამიის ქრისტიანი არაბები, რომლებიც მუსლიმებს ეხმარებოდნენ (კუდა'ას დანაყოფები -

<sup>1</sup> Gibb, H. "Arab-Byzantine Relations under the Umayyad Caliphate," *Arab-Byzantine Relations in Early Islamic Times*. Edited by Michael Bonner, London and New York: Routledge, 2004, 67; Lewis, B. *The Middle East. A Brief History of the Last 2000 Years*, 193.

<sup>2</sup> Абу Йусуф Йа'куб Ибрахим ал-Куфи. *Китаб ал-Харадж*, 115-116.

<sup>3</sup> Glubb, J. *The Great Arab Conquests*, 200

<sup>4</sup> Wadad al-Qadi. "Non-Muslims in the Muslim Conquest Army in Early Islam," 91.

<sup>5</sup> იქვე, 89.

<sup>6</sup> *Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 2193; The History of al-Tabari. Volume 11. The Challenge of the Empires*, Translated by Khalid Yahya Blankinship, Temple University. Albany: State University of New York Press, 1993, 206.

<sup>7</sup> Wadad al-Qadi. "Non-Muslims in the Muslim Conquest Army in Early Islam," 90.

<sup>8</sup> Ahmad Shboul. "Christians and Muslims in Syria and Upper Mesopotamia in the Early Arab Islamic Period," 84-85.



ბანუ ქინდა და ბანუ ქალბ და ასევე ჰიმირიელები), უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ უმაიანთა დინასტიის დროს სირიის კულტურულ და პოლიტიკურ ყოფაში.<sup>1</sup> ადგილობრივი სირიელი და ერაყელი ქრისტიანი არაბების მიერ დახმარების აღმოჩენა მუსლიმებისთვის 634 წლიდან განსაკუთრებით გაიზარდა.<sup>2</sup> ამავე პერიოდიდან არაბი ქრისტიანები ერთვებიან ბიზანტიისა და ირანის წინააღმდეგ ომებში მუსლიმთა მხარეს.<sup>3</sup>

იაჰია იბნ ადამის მიხედვით ირკვევა, რომ სავადის მოსახლეობის ნაწილი არ ებრძოდა არაბებს, ამიტომ, დასახლებები, რომლებიც ებრძოდნენ მუსლიმებს, მუსლიმების ხელში „საომარი ტერიტორიის“ სტატუსით გადადიოდა, ხოლო ვინც ხელშეკრულება გააფორმა მათთან, დარჩა მათ მფლობელობაში<sup>4</sup> და „ხელშეკრულების ტერიტორიის“ (‘აჰდის, ამანის, სულჰის) ან ზიმმას სტატუსი მიიღო. ასევე, როგორც ეგვიპტეში, ისე სირია-პალესტინაში ადგილობრივი მოსახლეობა არაბთა გამოჩენას დროებით ფაქტორად აღიქვამდა და არავინ ვარაუდობდა, რომ არაბები იქ საუკუნეების განმავლობაში დარჩებოდნენ.

ვინ იყვნენ ის უცხო სარწმუნოებისა და ეროვნების ხალხი, ვინც მუსლიმი არაბების მხარეს იბრძოდნენ დაპყრობით ომებში და რატომ იბრძოდნენ ქრისტიანები მუსლიმების მხარეს? სირია-პალესტინისა და ზემო მესოპოტამიის ადგილობრივი არამეელი ქრისტიანები მოიხსენიებიან ზოგადად, როგორც ნაბათ/ანბათ.<sup>5</sup> მათ მიერ მუსლიმი მხარისათვის სამხედრო თუ სამოქალაქო დახმარების აღმოჩენის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ დაპყრობითი ომების დროს, ნებაყოფლობით დამორჩილებულ ქრისტიან თემებს მუსლიმები ზავისა და შეუვალობის სიგელებს აძლევდნენ, და მუსლიმების სასარგებლოდ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობას სთავაზობდნენ. თუ ისინი ამ შემოთავაზებას დათანხმდებოდნენ, მაშინ, იმ წელს ისინი ჯიზიას არ გადაიხდიდნენ.<sup>6</sup> ჯიზია იყო ერთგვარი კომპენსაცია, რომელსაც

---

<sup>1</sup> Ahmad Shboul, Alan Walmsley. “Identity and Self-Image in Syria-Palestine in the Transition from Byzantine to early Islamic Rule: Arab Christians and Muslims,” 267.

<sup>2</sup> Wadad al-Qadi. “Non-Muslims in the Muslim Conquest Army in Early Islam,” 91.

<sup>3</sup> იქვე, 91; Glubb, J. *The Great Arab Conquests*, 168

<sup>4</sup> Надирадзе, Л.И. *Хрестоматия по Истории Халифата*, М.: Издательство Московского Университета, 1968, 114-115.

<sup>5</sup> Ahmad Shboul, Alan Walmsley. “Identity and Self-Image in Syria-Palestine in the Transition from Byzantine to early Islamic Rule: Arab Christians and Muslims,” *Mediterranean Archaeology*, 11, 268.

<sup>6</sup> Wadad al-Qadi. “Non-Muslims in the Muslim Conquest Army in Early Islam,” 96.

დამორჩილებული იუდეველები და ქრისტიანები უხდიდნენ ისლამურ სახელმწიფოს მფარველობისთვის და სამხედრო ოპერაციებში არ მონაწილეობისათვის.<sup>1</sup> არაბთა დაპყობითი ომების დროს ერთ-ერთი ჯგუფი, რომელიც დათანხმდა სამხედრო ბრძოლებში მონაწილეობას იყო „ასავირა“ - ირანის არმიის ელიტარული დანაყოფი,<sup>2</sup> რომელთა გამოცდილებაც არაბებმა თავის სასარგებლოდ გამოიყენეს (asavira გაარაბიზებული სპარსული სიტყვაا اسواران).<sup>3</sup> ასავირა კადისიის ბრძოლის შემდეგ 638 წელს ჩანან არაბთა მხარეზე ქტეზიფონის დაპყრობისას. 683 წელს ასავირას ლიდერს სპარსული სახელი მაჰ-აფრიდონი ერქვა,<sup>4</sup> რაც იმას ნიშნავს, რომ ასავირა ინარჩუნებდა მაზდეანურ რწმენას.<sup>5</sup> თუმცა, ალ-ბალაზური წერს, რომ მათ ისლამი მიიღეს.<sup>6</sup> ასავირა, მთელი რიგი პრივილეგიებისა და სტატუს-ქვოს შენარჩუნების მიზნით, არაბი მუსლიმების ბატონობას აღიარებდა. მათ თავისი სიმდიდრისა და სტატუსის შენარჩუნება სურდათ.<sup>7</sup> ეს კარგი მაგალითია, თუ როგორ გადადიოდნენ სოციალურად პრივილეგირებული კლასები მუსლიმების მხარეს, რათა მათ პოზიციებს და ქონებას საფრთხე არ დამუქრებოდა.<sup>8</sup>

მუსლიმებს სხვადასხვა რელიგიური თემები, ელიტარული სამხედრო დანაყოფები და რიგითი ადამიანები ნებაყოფლობითაც ეხმარებოდნენ. მუსლიმები მათ იყენებდნენ 1. კურიერებად 2. ჯაშუშებად 3. გზის გამყოლებად 4. (სამხედრო-სტრატეგიულ) მრჩევლებად.<sup>9</sup> 5. სასაზღვრო პოსტების დამცველებად 6. თანამებრძოლებად, მომუშავე ძალად. ანბათის ქრისტიანული ტომი არაბების სასარგებლოდ ჯაშუშობდა, რადგანაც ბიზანტიელები მათზე ეჭვს ვერ აიღებდნენ. მუსლიმების მხარეზე ჯაშუშობდნენ იორდანელი და პალესტინელი სამარიტელებიც

---

<sup>1</sup> Maher Younes Abu-Munshar. "A Historical Study of Muslim Treatment of Christians in Islamic Jerusalem," 59.

<sup>2</sup> Saeid Jalalipour. "The Arab Conquest of Persia: The Khuzistan Province before and after the Muslims' Triumph," *e-Sasanika. Graduate paper 11*, 2014, 12.

<sup>3</sup> Milka Levy-Rubin. *Non-Muslims in the Early Islamic Empire. From Surrender to Coexistence*, 49.

<sup>4</sup> Wadad al-Qadi. "Non-Muslims in the Muslim Conquest Army in Early Islam," 94.

<sup>5</sup> იქვე, 94

<sup>6</sup> Al-Baladhuri. *Futuh al-Buldan*, 441-442.

<sup>7</sup> Saeid Jalalipour. "The Arab Conquest of Persia: The Khuzistan Province before and after the Muslims' Triumph," 12.

<sup>8</sup> იქვე, 12-13

<sup>9</sup> განსაკუთრებით აღსანიშნავია კოპტების მიერ მიცემული სამხედრო რჩევები მუსლიმებისთვის და წარმატების შემდეგ მათთვის გაუქმებული ჯიზია. თუმცა, წარმატებების და სასარგებლო რჩევების პარალელურად, მთელ რიგ შემთხვევებში, არაარაბი არამუსლიმების მიერ მიცემული სამხედრო რჩევები წარუმატებელი და არანაყოფიერი აღმოჩნდებოდა ხოლმე. იხ: Wadad al-Qadi. "Non-Muslims in the Muslim Conquest Army in Early Islam," 104-106.

და არაბებს ბიზანტიელების სამხედრო პოზიციებისა და რაოდენობის შესახებ ინფორმაციას აწვდიდნენ.<sup>1</sup>

ჯარაჯიმას (იმავე მარდაიტების, რომლებიც ცხოვრობდნენ თანამედროვე თურქეთის ჰათაის პროვინციაში, ნურის მთის რეგიონში) და კვიპროსელების მაგალითზე ვხედავთ, რომ დამორჩილებულ ქრისტიან ადგილობრივ მოსახლეობას, გაფორმებული დაცვის სიგელის საფუძველზე, როგორც წესი, ევალეზოდა მუსლიმებისთვის სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება.<sup>2</sup>

ჯარაჯიმას მოსახლეობა დაიმორჩილა ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ფიჰრიმ. მათ მოსახლეობას დაევალა ბიზანტიელების პოზიციების დაზვერვა და არაბებისთვის ინფორმაციის გადაცემა: <sup>3</sup>فصالحوه على ان يكونوا اعوانا للمسلمين و عيوننا<sup>3</sup> „და დაუზავდნენ მათ იმაზე, რომ იქნებოდნენ მუსლიმების ჯაშუშები“... საჭიროების შემთხვევაში ჯარაჯიმას მამაკაცებს ევალეზოდათ სამხედრო დახმარების აღმოჩენა მუსლიმების სამხედრო კამპანიებსა და ბრძოლებში:<sup>4</sup>على ان يغزوا مع المسلمين و اذا حاربوا معهم حربا في مغازهم<sup>4</sup> „და რომ თავს დაესხმოდნენ მუსლიმებთან ერთად და რომ იბრძოლებდნენ მათთან თავდასხმებში“.

ჯარაჯიმას/მარდაიტებს წელიწადში ერთხელ მუსლიმებისთვის ხორბლისა და ზეთის მიცემა დაეკისრათ. მუსლიმები მათ ქრისტიანობაზე დარჩენისა და მათი ბავშვებისა და ქალების შეუვალობის პირობას აძლევდნენ.<sup>5</sup> მუსლიმები მათ პირდებოდნენ, რომ არ დაუწესებდნენ ჯარაჯიმას მამაკაცებს, ქალებსა და ბავშვებს ჯიზიას.<sup>6</sup> ამ გამარჯვების შემდეგ ჰაბიბ იბნ მასლამა ანტიოქიის რეგიონის მმართველიც გახდა.<sup>7</sup> ჩრდილოეთ სირიაში დულუქისა და რაზანის ტომების დამორჩილების პირობებში ხაზგასმული იყო, რომ მათ ბიზანტიელებზე უნდა შეეგროვებინათ ინფორმაცია და წერილობითი სახით გადაეცათ მუსლიმებისათვის.<sup>8</sup>

დამორჩილებულებსა და მუსლიმებს შორის შეთანხმებები, როგორც ჩანს, მთელს სახალიფოში სხვადასხვაგვარი იყო. როდესაც მასლამა იბნ ‘აბდ ალ-მალიქ იბნ-

<sup>1</sup> Wadad al-Qadi. “Non-Muslims in the Muslim Conquest Army in Early Islam,” 103.

<sup>2</sup> იქვე, 104

<sup>3</sup> البلاذري. فتوح البلدان, 159

<sup>4</sup> البلاذري. فتوح البلدان, 159 106

<sup>5</sup> البلاذري. فتوح البلدان, 161

<sup>6</sup> البلاذري. فتوح البلدان, 159

<sup>7</sup> იქვე, 159.

<sup>8</sup> იქვე, 105.

მარვანმა ჩრდილოეთ სირიაში - ბალისში (ლათ. Barbalissos) ჯარები ჩააყენა, ბალისის ქრისტიანებმა ჯიზიას გადახდა აიღეს თავზე და მასლამას ევფრატიდან არხის გაყვანაც სთხოვეს, რათა საკუთარი მიწები მოერწყათ, რის სანაცვლოდაც ისინი არაბთა მხედართმთავარს მიწის მოსავლის 1/3-ს პირდებოდნენ. მანაც შეასრულა ეს თხოვნა და ქალაქის კედლებიც გაამაგრა.<sup>1</sup> ასევე, როდესაც იაზიდ იბნ ალ-მუჰალაბი ტაბარისთანს იპყრობდა, მას გვერდში ხეების მჭრელი და გზების შემკეთებელი სამხედრო ტყვეები ჰყავდა, რომლებიც არც მუსლიმები იყვნენ და არც არაბები.<sup>2</sup> ეს არც არის მოულოდნელი, თუ გავიხსენებთ მუსლიმებსა და ისფაჰანელებს შორის გაფორმებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელიც ამ უკანასკნელთ, საჭიროების შემთხვევაში, გზების შეკეთებას და მუსლიმებისთვის საჭირო ტრანსპორტის გამოყოფას ავალდებულებდა.<sup>3</sup> ხშირ შემთხვევაში, მთიან და მიუვალ ადგილებშიც დამორჩილებულ მოსახლეობას მუსლიმები ცხენებით, სახედრებითა და ჯორებით მომარაგებას ავალდებუდნენ.<sup>4</sup> ქალაქ რუჰას ხალხს ხელშეკრულება ავალდებულებდა ხიდების შეკეთებას. მდიდარი ქრისტიანები მუსლიმებს საზღვაო ტრანსპორტითაც უზრუნველყოფდნენ, რათა არაბებს მძიმე შეიარაღება გადაეტანათ მდინარეებზე და ზღვებზე. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ტექნიკური ასისტენტობის გაწევას (მაგალითად კატაკულტების აწყობა, ბერძნულად „მანგანიკუს“) მუსლიმების მიერ ამა თუ იმ ციხე-სიმაგრის აღებისას და არამუსლიმების საქმიანობას საზღვაო ფლოტში. ხალიფა ‘აბდ ალ-მალიქმა საკუთარ ძმას - ‘აბდ ალ-აზიზ იბნ მარვანს დაავალა 1000 კოპტის გადაყვანა ეგვიპტიდან თუნისში, რათა მათთვის ადგილობრივ ბერბერებს ხეები მიეტანათ, ხოლო კოპტებს გემები აეშენებინათ. მუსლიმები ქრისტიანებს ხისმთლელებად არსენალშიც ასაქმებდნენ და ავალდებუდნენ საკვებით და იარაღით იმ მუსლიმების მომარაგებას, რომლებიც გემებზე იმყოფებოდნენ. ადგილობრივი ქრისტიანი ეგვიპტელები მუსლიმების ფლოტში მეზღვაურებადაც მსახურობდნენ.<sup>5</sup> მე-8 საუკუნის დასაწყისიდან უმაიანთა სამხედრო ფლოტში ათასობით კოპტი მსახურობდა მეზღვაურად. კოპტი რიგითი მეზღვაურის სამსახურის პერიოდი 1-დან 7 თვემდე მერყეობდა. ამ მეზღვაურებს მუსლიმები გასამსჯელოს უხდიდნენ და

<sup>1</sup> Al-Baladhuri. *Kitab Futuh al-Buldan*, 231-232.

<sup>2</sup> البلاذري. فتوح البلدان 108.

<sup>3</sup> Wadad al-Qadi. "Non-Muslims in the Muslim Conquest Army in Early Islam," 108.

<sup>4</sup> იქვე, 108.

<sup>5</sup> იქვე, 110-116.

საკვებითაც უზრუნველყოფილი ჰყავდათ. მათ ნახევარ ან ერთ ოქროს სოლიდს უხდიდნენ. ეგვიპტელი ქრისტიანი მეზღვაურები ასევე მენიჩბეებად, მომსახურე პერსონებად და გემების მესაჭეებად მსახურობდნენ.<sup>1</sup> ისინი მოხსენებული არიან როგორც *نواطي ج نواطي* რაც „მეზღვაურს“ აღნიშნავს, ხოლო *مخاض* „მომსახურე პერსონას“ ნიშნავს. ეგვიპტელ კოპტებს ასევე ამუშავებდნენ ხმელეთზე მდგარ გემებზე მუშებად, დურგლებად, წყლის ხვრელებიდან ამომღებებად, მჭედელებად, მეტალურგებად, დამლაგებლებად.<sup>2</sup>

ეგვიპტელი ბერებიც ზუსტად ისეთივე გადასახადებს იხდიდნენ, როგორსაც დანარჩენი მოსახლეობა მე-8 ს-ის დასაწყისამდე. ისიც აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში ღაზაში ზუსტად იმდენ გადასახადს იხდიდნენ ქრისტიანები, რამდენსაც ეგვიპტეში.<sup>3</sup> ამას გარდა საინტერესოა, რომ ისლამური მმართველობის პირველ ხანებში ეგვიპტეში „რიზკს“ *رزيق* ბერძნულად „rouzikon“ ეძახდნენ. რიზკი იყო სამოქალაქო საჭიროებებისათვის აკრეფილი გადასახადი და მას კრეფდა ადგილობრივი (მაიზონი). ქალაქ აფროდიტოს დოკუმენტებში მას *dapane*-ითაც მოიხსენიებენ. რიზკის ოდენობაც არ იყო ერთნაირი და არ იყო დაზუსტებული. რიზკი შესაძლოა ყოფილიყო ნატურით ან ფულით გადახდილი.<sup>4</sup>

ქრისტიან გლეხებს არ სურდათ ომებში ჩაბმა და ყოველმხრივ ერიდებოდნენ საომარ მოქმედებებს. მათ ერჩივნათ ყოფილიყვნენ გამარჯვებულების მხარეს, მითუმეტეს, რომ ეს უკანასკნელები მათ სტატუს-ქვოს შენარჩუნებას პირდებოდნენ და არ ცვლიდნენ საზოგადოებრივ წეს-წყობილებას, ნებას აძლევდნენ თემებს ისე ეცხოვრათ, როგორც ეს მათ სურდათ<sup>5</sup> და ზუსტად იმავე რაოდენობის გადასახადებს უწესებდნენ ადგილობრივ თემებს, რასაც ისინი მანამდე სასანიანებსა და ბიზანტიელებს უხდიდნენ.<sup>6</sup> არაბებსაც ერჩივნათ, რომ თუ რომელიმე თემი ნებაყოფლობით, ან რომელიმე ერთი ადამიანის მიერ მიწოდებული ძვირფასი ინფორმაციის მიღების შედეგად უომრად აიღებდნენ ქალაქს, ხელი არ ეხლოთ მათთვის, რათა მოსახლეობას ჯიზია ეხადა.<sup>7</sup>

<sup>1</sup> იქვე, 116-118.

<sup>2</sup> Simonsen, J.B. *Studies in the Genesis and Early Development of the Caliphal Taxation System*, 120.

<sup>3</sup> იქვე, 99.

<sup>4</sup> იქვე, 111.

<sup>5</sup> იქვე, 10, 12.

<sup>6</sup> Большаков, О.Г. *История Халифата*. Т 1, Ислам в Аравии, 27.

<sup>7</sup> Saeid Jalalipour. "The Arab Conquest of Persia," 11.

როდესაც არაბები დაინახავდნენ, რომ ქალაქი არ უწყევდა მათ წინააღმდეგობას, გაყავდათ ჯარი, აკრეფდნენ ჯიზიას და მომავალ წლამდე, ანუ გადასახადის ხელმეორედ გადახდამდე თავს ანებებდნენ ქალაქს.<sup>1</sup>

არაბთა მიერ ეგვიპტის დაპყრობის დროს მელქიტებს და კოპტებს შორის ურთიერთობა უკიდურესად დამაბული იყო. პატრიარქი კიროსი დიპლომატიური ნიჭით გამოირჩეოდა და არა მხოლოდ ამჯობინებდა მშვიდობის ნაცვლად ხარკის გადახდას არაბებისთვის, არამედ იგი იმპერატორს ურჩევდა ქალიშვილი მიეთხოვებინა 'ამრ იბნ ალ-'ასისთვის. ამ გზით მას იმედი ჰქონდა, რომ 'ამრი აღიარებდა ქრისტიანობას.<sup>2</sup> მაგედ მიხაილი მიიჩნევს, რომ კოპტების პატრიარქი (ბენიამინი) თავიდანვე ჩართული იყო არაბებთან დიპლომატიურ მოლაპარაკებებში.<sup>3</sup>

როგორც ა. ტრიტონი, ასევე მ. მიხაილიც აღნიშნავენ, რომ ეგვიპტეში შესვლის დროს და დაპყრობის შემდგომ პერიოდში არაბებს არ აინტერესებდათ თუ ვინ იყო ანტიქალკედონელი და ვინ ქალკედონელი. მათ ინტერესებში გამართული ბიუროკრატიული აპარატის ჩამოყალიბება შედიოდა, რომელიც საბოლოოდ, ბიზანტიურ მოდელზე „დაშენდა“ და არ შეცვლილა.<sup>4</sup> ასე რომ, მე-20 საუკუნეში გავრცელებული მოსაზრება, თითქოს არაბებმა (ერთბაშად) ყველა მელქიტი გააძევეს ეგვიპტიდან, ხოლო კოპტები ეკონომიკურად და სოციალურად უცბად დაწინაურდნენ - გაზვიადებულია.

არსებობს მოსაზრება, რომ ადრეისლამურ ეგვიპტეში უფრო მეტად გაიზარდა კოპტების ჩაგვრა, ვიდრე ეს ბიზანტიურ პერიოდში ხდებოდა, რადგანაც ის მელქიტები, რომელთა უმრავლესობამაც შეინარჩუნა მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობები, გამოიყენეს გავლენები და შეავიწროვეს კოპტური მოსახლეობა და ეკლესიებიც კი ჩამოართვეს.<sup>5</sup> ამ ჩაგვრას თავად ბერძენი მელქიტები ახორციელებდნენ, ხოლო არაბი მუსლიმები მე-7 საუკუნის თითქმის ბოლომდე ინდიფერენტულები იყვნენ საეკლესიო საქმეების მიმართ.

---

<sup>1</sup> იქვე, 12, 14.

<sup>2</sup> Hoylnad, R. *In God's Path. The Arab Conquests and the Creation of an Islamic Empire*, Oxford: Oxford University Press, 2015, 74.

<sup>3</sup> Maged S.A. Mikhail. *From Christian Egypt to Islamic Egypt. Religion, Identity and Politics after the Arab Conquest*, 21.

<sup>4</sup> Tritton, A.S. *The Caliphs and Their Non-Muslim Subjects, A critical study of the Covenant of 'Umar*, London, Bombay, Calcutta, Madras: Oxford University Press, 1930, 19.

<sup>5</sup> Maged S.A. Mikhail. *From Christian Egypt to Islamic Egypt*, 39

მელქიტებს ეგვიპტეში მონოპოლიზირებული ჰქონდათ ადმინისტრაციული თანამდებობები, ხოლო ალექსანდრიაში მათ განსაკუთრებულად მყარი პოზიციები ეკავათ 685 წლამდე და ფლობდნენ ძვირფას საეკლესიო ქონებასაც.<sup>1</sup> მხოლოდ 680-იანი წლების ბოლოს, მას შემდეგ, რაც სახალიფომ ცნო და აღიარა ეგვიპტეში ანტიქალკედონელთა რიცხოვრივი უპირატესობა - დაიწყო კოპტური ეკლესიის აღორძინების პერიოდი.<sup>2</sup>

მ. მიხაილმა, იბნ ალ-ჰაქამისა და ალ-ბალაზურის ცნობებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ არაერთი ქრისტიანული თემი ებრძოდა მუსლიმებს პირველივე დღეებიდან,<sup>3</sup> თუმცა, კოპტური მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ეხმარებოდა მუსლიმებს.<sup>4</sup> ამავსე მიუთითებდნენ ლ. ნადირაძე, ფ. პენი და ფ. ასტრენი, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ არასწორია მოსაზრება, თითქოს სირია-პალესტინის და ეგვიპტის დამორჩილების დროს ადგილობრივი ქრისტიანებისა და იუდეველების უმრავლესობა კოლაბორაციონობდა არაბებთან და წინააღმდეგობას არ უწევდა არაბებს იმიტომ, რომ მათ არ უნდოდათ ბიზანტიისადმი მორჩილება. მუსლიმებს განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევდა ეგვიპტური ელიტა, რომელმაც ადრეისლამური პერიოდის ეგვიპტეში შეინარჩუნა გავლენა და პოზიციები.<sup>5</sup> მეტიც, დაპყრობის შემდეგ არაბები კიდევ უფრო მეტად აწინაურებდნენ მათ, ვინც არაბებს ეხმარებოდა განურჩევლად მათი რელიგიური კუთვნილებისა.<sup>6</sup>

ადრეისლამურ დაპყრობით ომებში არაბთა სასარგებლოდ გადამწყვეტი აღმოჩნდა ეგვიპტის ელიტის მხრიდან აღმოჩენილი დახმარება (პირველ ყოვლისა, მატერიალური და ასევე გზების ჩვენება და გაკვლევა), ხოლო ეგვიპტის კოპტური ეკლესიის სასულიერო პირების დახმარება და ჩართულობა არაბებთან მოლაპარაკებებში, როგორც ეს მიღებული აზრი იყო - გადაჭარბებული და მცდარია.<sup>7</sup> ეგვიპტის ელიტა შედგებოდა სამი ფენისგან: 1. მსხვილი ფეოდალებისგან, 2. ხელისუფლების უმაღლესი მოხელეებისგან, რომლებიც ასევე მდიდრულ ქონებას

<sup>1</sup> იქვე, 225

<sup>2</sup> იქვე, 264.

<sup>3</sup> Надирадзе, Л.И., *Хрестоматия по Истории Халифата*, 98-99.

<sup>4</sup> *The History of the Conquest of Egypt, North Africa and Spain, known as the Futūḥ Miṣr of Ibn 'Abd Al-Ḥakam*, 73. John of Nikiou, *Chronicle*, 113.2.

<sup>5</sup> Wadad al-Qadi. "Non-Muslims in the Muslim Conquest Army in Early Islam," 105.

<sup>6</sup> იქვე, 28.

<sup>7</sup> იქვე, 27.

ფლობდნენ, 3. სოფლის ელიტარული წარმომადგენლებისაგან და დიდკაცებისაგან ე.წ. „ლაშანესგან“. პირველი ორისგან განსხვავებით „ლაშანე“ არ ფლობდა დიდ ქონებას, თუმცა, ისინი გავლენიანი პირები იყვნენ სოფლებში. ეგვიპტის სოფლების ამ ფენას უმეტესწილად ქრისტიანები წარმოადგენდნენ და ისინი თავიანთ პოზიციებზე არაბთა დაპყრობის შემდეგაც დაახლოებით 70-80 წლის განმავლობაში ინარჩუნდებდნენ პოზიციებს. ბიზანტიელები მათ ეძახდნენ *meizon*, არაბულად კი მათ „მაზუთ“-ად მოიხსენიებდნენ. ისინი იყვნენ სოფლის უხუცესები, რომლებიც წვეტდნენ ადგილობრივ საზოგადოებრივ ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხს. მათი ძირითადი ფუნქცია იყო კი ბეგარის აკრეფა.<sup>1</sup> მას შემდეგ, რაც არაბებმა ეგვიპტეში პოზიციები გაიმყარეს, სოფლის წარჩინებულები მუსლიმ მოხელეებთან ერთად აკვირდებოდნენ, ვის რა რაოდენობის ბეგარის შეტანა შეეძლო ხაზინაში და იმის მიხედვით უწესებდნენ გადასახადს ეგვიპტის ქრისტიანულ თემებს.<sup>2</sup> ეს კი იმით იყო განპირობებული, რომ ყურანში მკაფიოდ არ არის დადგენილი ხარაჯის რა რაოდენობა უნდა გადაეხადა დამორჩილებულ თემს. ამიტომ, ამ საკითხს საკუთარი ნებითა და რაციონალური განსჯით, როგორც წესი, ან უშუალოდ ხალიფები, ან კი რეგიონის მუსლიმი გამგებლები წვეტდნენ. მუსლიმი არაბები „ამანის“ და „ზიმმას“ ხელშეკრულების საფუძველზე დამორჩილებულ ტერიტორიებზე ხელუხლებლად ტოვებდნენ იუდეველების, ქრისტიანებისა და ზოროასტრელების ადგილობრივ ადმინისტრაციას, ქონებას, რელიგიას და ადათებს. VII-VIII საუკუნის პირველ მეოთხედში უცვლელი რჩებოდა ადმინისტრაციული ენებიც: არამეული, ფალაური და კოპტური.<sup>3</sup>

ადმინისტრაციის ხელუხლებლად დატოვება პრაგმატული ინტერესებითაც იყო განპირობებული. არაბებს გაცილებით იაფი უჯდებოდათ არსებული ადმინისტრაციის გაძღოლა, რომელიც დახელოვნებული იყო სხვადასხვა საქმიანობაში, ვიდრე ახალი კლასის გამოზრდა და განათლება, რომელიც ფინანსურ

---

<sup>1</sup> Maged S.A. Mikhail. *From Christian Egypt to Islamic Egypt*, 146; Frank R. Trombley. “Fiscal Documents from the Muslim Conquest of Egypt: military supplies and administrative dislocation, ca 639-644,” *Revue des Etudes Byzantines*, 71, 2013, 27.

<sup>2</sup> Надирадзе, Л.И. *Хрестоматия по Истории Халифата*, 127.

<sup>3</sup> Bat Ye'or. *The Decline of Eastern Christianity under Islam*, 56-58.



თუ სხვა ადმინისტრაციულ საქმეებს გაუძღვებოდა.<sup>1</sup> ამგვარი იყო პირველი უმაიანი ხალიფების რეალპოლიტიკა.<sup>2</sup>

ბიზანტიის მმართველობის ხანაში ლაშანე მაგისტრებთან და ადგილობრივ გამგებლებთან იყო ანგარიშვალდებული, თუმცა, 718 წლიდან არაბებმა მუსლიმი არაბების დანიშვნა დაიწყეს „ლაშანეს“ ნაცვლად. სახალიფოში დაიწყო არაბიზაციის პროცესი. ამ დროიდან ლაშანეს ფუნქციები შეიზღუდა და მუსლიმთა ხელში გადავიდა, რის შედეგადაც, ბუნებრივია, უფრო გამკაცრდა დამასკოს მიერ ადმინისტრაციული ერთეულების მიმართებით როგორც ფისკალური პოლიტიკა, ასევე ადმინისტრაციული კონტროლი.<sup>3</sup> ის ადამიანები, ვინც ეგვიპტელებისგან იღებდნენ გადასახადებს, თვითონვე იყვნენ იმავე საზოგადოების წევრები და იცავდნენ მათ ინტერესებს. როცა ეს თანამდებობები მუსლიმების ხელში გადავიდა, აპარატი უფრო ცენტრალიზებული გახდა.<sup>4</sup>

თუ გვიანბიზანტიურ და ადრეისლამურ ეგვიპტეში ადგილობრივი ეგვიპტელი მაღალჩინოსნები მკაცრად არ ასრულებდნენ ვალდებულებას და თვალს ხუჭავდნენ მთელ რიგ დარღვევებზე, მუსლიმების დანიშვნით ხალიფა მუ'ავიას დროიდან მკაცრი ბიუროკრატიული აპარატი ჩამოყალიბდა,<sup>5</sup> სადაც მუ'ავიასა და ადგილობრივ ქრისტიანებს შორის შუამავალი პირი აღარ არსებობდა.<sup>6</sup> ამან კი კოპტური ეკლესიას შუამავლის ფუნქციაც დააკარგვინა და საზოგადოებაში ეკლესიის როლისა და გავლენის შესუსტება გამოიწვია.

---

<sup>1</sup> Tareq Ramadan. *Inscribed Administrative Material Culture and the Development of the Umayyad State in Syria-Palestine, 661-750 Ce. Dissertation.* Wayne State University, Detroit, Michigan, 2017, 292.

<sup>2</sup> იქვე, 292.

<sup>3</sup> იქვე, 153

<sup>4</sup> Glayds Frantz-Murphy. "Conversion in Early Islamic Egypt: The Economic Factor," Hoyland, R. G. (editor). *Muslims and others in early Islamic Society*, Aldershot, Hants.: Ashgate, 2004, 326.

<sup>5</sup> Tareq Ramadan. *Inscribed Administrative Material Culture and the Development of the Umayyad State in Syria-Palestine*, 61.

<sup>6</sup> Glayds Frantz-Murphy. "Conversion in Early Islamic Egypt: The Economic Factor," 325.

### 3.3. ეგვიპტის ზავისა და შეუვალობის სიგელი

არაბ ისტორიკოსთა შორის მუდამ მიმდინარეობდა მსჯელობა იმის თაობაზე, ეგვიპტე ომით თუ სამშვიდობო ხელშეკრულებით დამორჩილებული რეგიონი იყო.<sup>1</sup> აბუ 'უბაიდი წერდა, რომ ეგვიპტე ძალის გამოყენებით დაიპყრეს არაბებმა. მუჰამად იბნ სა'დი სამშვიდობო ხელშეკრულების ვერსიას ემხრობოდა.<sup>2</sup> იბნ 'აბდ ალ-ჰაქამი წერდა, რომ მისრი, საბოლოო ჯამში შეთანხმებით, ზავით დაემორჩილა არაბებს და მის თითოეულ მამაკაცს, ბავშვებისა და მოხუცების გარდა, ბეგარის სახით წელიწადში 2 დინარის გადახდა დაევალა. კოპტებს დაევალათ მუსლიმების მიღება-გამასპინძლება 3 დღით. მათ განკარგულებაში რჩებოდა მიწა და ქონება, საიდანაც ისინი არაფერს გადაიხდიდნენ. არაბებმა დათვალეს კოპტები, ვინც ჯიზიას გადაიხდიდა და ვინ - 2 დინარს.<sup>3</sup> იქვე ვკითხულობთ, რომ მუსლიმებმა ალექსანდრია იარაღით დაიმორჩილეს და ამიტომ ალექსანდრიელებს არ ჰქონდათ არც ზიმა და არც სულჰი.<sup>4</sup> არაერთი ისტორიკოსი ერთხმად აღნიშნავდა, რომ ეგვიპტეში მოსახლეობა სამხედრო წინააღმდეგობას უწევდა არაბებს და მუსლიმებს არაერთი დასახლების ბრძოლით აღება მოუწიათ,<sup>5</sup> რომ არ ვისაუბროთ ბიზანტიელებზე, რომლებიც ებრძოდნენ მუსლიმებს.<sup>6</sup> გვაქვს ცნობა, რომელიც გვეხმარება ამ ინფორმაციის დაზუსტებაში, სახელდობრ, თუ რა ბედი ეწიათ ეგვიპტელ სამხედრო ტყვეებს. იბნ 'აბდ ალ-ჰაქამი იუწყება, რომ ეგვიპტის დასახლებების - ბალჰიზის, ალ-ჰაისისა და სულთაისის მოსახლეობა ებრძოდა არაბებს. არაბებმა ისინი ტყვედ აიყვანეს, რის შემდეგაც ისინი მედინაში აღმოჩნდნენ. თუმცა, ხალიფა 'უმარმა ისინი დააბრუნა ეგვიპტეში და ყველა კოპტი ზიმიად აქცია.<sup>7</sup>

641 წლის 8 ნოემბერს ალექსანდრიის პატრიარქმა კიროსმა (არაბ. მუკავკის)<sup>8</sup>, სახალხო დღესასწაულზე წირვის შემდეგ, არაბ მხედართმთავართან 'ამრ იბნ ალ-

<sup>1</sup> Al-Baladhuri. *Futuh al-Buldan*, 338. Л.И. Надирадзе. *Хрестоматия по истории халифата*, 97-100.

<sup>2</sup> იქვე, 100.

<sup>3</sup> Абд ар-Рахман ибн Абд ал-Хакам. *Завоевание Египта, ал-Магриба и ал-Андалуса*, 90-91; 105.

<sup>4</sup> იქვე, 90, 105.

<sup>5</sup> Al-Baladhuri. *Futuh al-Buldan*, 338. Абу Йусуф Йа'куб Ибрахим ал-Куфи. *Китаб ал-Харадж*, 120.

<sup>6</sup> Charles, R. H. Trans., *The Chronicle of John (c. 690) Coptic Bishop of Nikiu*, London 1916, 184. / Абд ар-Рахман ибн Абд ал-Хакам. *Завоевание Египта, ал-Магриба и ал-Андалуса*, 79-80.

<sup>7</sup> იქვე, 103.

<sup>8</sup> ცნობილია, რომ პატრიარქი კიროსი ცდილობდა ბიზანტიაში ოფიციალურად მიღებული მართლმადიდებლობის (დიოფიზიტობის) დამკვიდრებას.

‘ასთან (გარდ. 664წ.) მოლაპარაკებები გამართა. ნათელია, რომ სწორედ იგი იყო არაბებთან მთავარი მომლაპარაკებელი.<sup>1</sup> იოანე ნიკიუსი აღწერს ე.წ. კაპიტულაციის შეთანხმების პირობებს: „ისინი შეთანხმდნენ ყოველწლიური გადასახადის ოდენობაზე და არაბები არ ჩაეროდნენ ეგვიპტის შიდა საქმეებში, ხოლო ბიზანტიის ჯარებს მიეცემოდათ ქვეყნის მშვიდობიანად დატოვების უფლება. ამას გარდა, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამ ჯარებს არასდროს არცერთი ბიზანტიური გარნიზონი არ ჩაანაცვლებდა, ხოლო არაბები ხელს არ ახლებდნენ ქრისტიანულ ტაძრებს და არ ჩაეროდნენ ეკლესიის შიდა საქმეებში. მხარეები შეთანხმდნენ, რომ იუდეველებს მიეცემოდათ ალექსანდრიაში დარჩენის უფლება. ყოველწლიურად გადასახდელი ჯიზიას გარდა, სრულწლოვან ეგვიპტელ მამაკაცებს დაევალოთ არაბი ჯარისკაცებისთვის ხორბლის, ზეთისხილის და ტანისამოსის გადახდა.<sup>2</sup> შეთანხმებაში ისიც კი იყო გათვალისწინებული, რომ თუ ნილოსის წყალი რომელიმე სეზონზე არ იქნებოდა საკმარისად ადიდებული, რათა ეგვიპტელებს კარგი მოსავალი აეღოთ, მაშინ იმ სეზონზე დაკისრებული გადასახადი მოსახლეობისთვის აუცილებლად შემცირებულად აიღებოდა.<sup>3</sup> იბნ ‘აბდ ალ-ჰაქამი ავსებს ინფორმაციას და აღნიშნავს, რომ თავდაპირველ ხანებში მუსლიმები ჯიზიას ნატურით ახდევინებდნენ ეგვიპტელებს, რადგანაც საბრძოლო მოქმედებების შემდეგ მათ სხვადასხვა ტიპის ტანსაცმელი თუ აღჭურვილობა სჭირდებოდათ. ეს იყო თითოეულ ზრდასრულ მამაკაცზე ყოველ თვე 1 ირდაბი ხორბალი, ცხიმი, თაფლი<sup>4</sup> და ტანსაცმელი, რომელსაც ‘აბრ იბნ ალ-‘ასი მუსლიმებს ჩააცმევდა. ასევე, ეგვიპტელებს მუსლიმები 3 დღე-ღამით უნდა მიეღოთ.<sup>5</sup> იბნ ‘აბდ ალ-ჰაქამი ალექსანდრიის აღებას ათარიღებს ჰიჯრის 20 წლის 1 მუჰარამით/ 640 წლის 21 დეკემბრით.<sup>6</sup>

ატ-ტაბარის მიერ ჩაწერილი მისრის ზავისა და შეუვალობის სიგელი კი ასეთი იყო:

<sup>1</sup> Абд ар-Рахман ибн Абд ал-Хакам. *Завоевание Египта, ал-Магриба и ал-Андалуса*, 87-90.

<sup>2</sup> Charles, R. H., trans., *The Chronicle of John (c. 690) Coptic Bishop of Nikiu*, London: Williams & Norgate, 1916, 192-194; Glubb, John Bagot. *The Great Arab Conquests*, 244.

<sup>3</sup> Jill Kamill. *Christianity in the Land of the Pharaohs*. London: Routledge, 2002, 224; Frank R. Trombley. “Fiscal Documents from the Muslim Conquest of Egypt,” 37-38.

<sup>4</sup> ცხიმისა და თაფლის რაოდენობა არ ვიცით ზუსტად იყო თუ არა განსაზღვრული.

<sup>5</sup> *The History of the Conquest of Egypt, North Africa and Spain, known as the Futūh Miṣr of Ibn ‘Abd Al-Ḥakam*, 152.

<sup>6</sup> იქვე, 80.

სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. ეს არის ზავისა და შეუვალობის სიგელი, რაც 'ამრ იბნ ალ-'ასმა გადასცა მისრის მაცხოვრებლებს მათ სიცოცხლეზე და მათ რწმენაზე, მათ ქონებასა და ეკლესიებზე, მათ ჯვრებზე, ხმელეთსა და ზღვაზე. არავითარი საფრთხე არ ემუქრებათ მათ და არც არაფერი დააკლდებათ. (ბიზანტიელების) გარნიზონები მათთან არ უნდა ჩადგნენ. [و لا يساكنهم النوب]

თუ ეგვიპტელები ამ ხელშეკრულებას დაეთანხმებიან, ჯიზია უნდა გვიხადონ, მაშინ, როდესაც მათი მდინარის [ნილოსის] ადიდება დასრულდება, [და მოსავლის ალების პერიოდი დადგება] 50 000 000 (დინარის) სახით. [خمسين الف الف] და მათი პასუხისმგებლობაა, რასაც მათი ქურდები ჩაიდენენ.

თუ რომელიმე მათგანი ამ ხელშეკრულების პირობებს არ ეთანხმება, მაშინ მათთვის ბეგარის რაოდენობა შემცირდება იმის პროპორციულად, რისი გადახდაც შეუძლიათ მათ, თუმცა მათ აღარ ექნებათ შეუვალობა. ხოლო თუ მდინარე საკმარისად არ ადიდდა [და შესაბამისად, ცუდმა მოსავალა მოიწია] და ვინმე (ეგვიპტელთაგან) არ ეთანხმება [იმავე რაოდენობის ჯიზიის გადახდას, რასაც კარგი მოსავლის ალების პერიოდში იხდიდა], მაშინ, მან შეძლებისდაგვარად გადაიხადოს ჯიზია.

თუ ბერძენთაგან და გარნიზონებიდან [الروم و النوب] ვინმემ გადაწყვიტა ზავისა და შეუვალობის სიგელი ჰქონდეს - მასაც იგივე პირობები და უფლებები ექნება, რაც დანარჩენ ეგვიპტელებს აქვთ, მაგრამ თუ მათ (ბიზანტიის მიწაზე) წასვლა გადაწყვიტეს, ისინი დაცულები იქნებიან მანამ, სანამ უსაფრთხო ტერიტორიას არ მიაღწევენ ან არ გავლენ ჩვენი საბრძანებლოს ტერიტორიიდან.

მათზეა ჯიზიის სამ შენატანად გადახდა - წლის ყოველ მესამედ პერიოდში, ხოლო თითოეული შენატანი უნდა იყოს მთელი ჯიზიის მოსაკრეფავიდან ერთი მესამედი. რაც ამ წიგნშია, არის ალაჰის ხელშეკრულება და შეუვალობა, მოციქულის შეუვალობა და მართმორწმუნე ხალიფასა და მართლმორწმუნეთა ზიმა.

გარნიზონებიდან, ვინც დათანხმდა ბეგარის გაღებას, მათზეა [ბეგარის!] ამდენი და ამდენი მონის [სახით] დადგენა-განსაზღვრა (და ჩვენთვის მოცემა) და ამდენი და ამდენი - ცხენის სახით [დადგენა-განსაზღვრა] და მოცემა. მათ [ე.ი. ბერძნებიდან და ბიზანტიელთა გარნიზონებიდან, ვინც დარჩენას გადაწყვეტენ] წინააღმდეგ არ ჩატარდება სამხედრო ოპერაციები და არ შეუშლიან მათ ხელს ვაჭრობაში, ექსპორტსა და იმპორტში.

დაამოწმეს ეს ზავისა და შეუვალობის სიგელი ზუბაირმა და მისმა ვაჟებმა - 'აბდულაჰმა და მუჰამადმა, ხოლო ჩაწერა - ვარდანმა.<sup>1</sup>

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ „მისრის“ დაცვის სიგელი თავის დროზე აგრეთვე დააფიქსირეს XIV-XV სს. არაბმა ავტორმა და ენციკლოპედისტმა ალ-კალკაშანდიმ და იმავე პერიოდის არაბმა ფილოსოფოსმა და ისტორიკოსმა იბნ ხალდუნმა. ტექსტუალური თვალსაზრისით, ატ-ტაბარისა და ამ ორი ისტორიკოსის მიერ დაფიქსირებულ ტექსტებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ იძებნება, ამიტომ, მათი მოყვანა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. დაცვის სიგელის ეს ნაკლებად ცნობილი ტექსტები დამოწმებული აქვს ვადად ალ-კადის, შესაბამისად.<sup>2</sup>

სტენლი-პული ამ პაქტს 640 წლის ოქტომბრის თვით ათარიღებს<sup>3</sup> და მას უწოდებს „მისრის ხელშეკრულებას“, რადგანაც *მისრ* ნიშნავს ეგვიპტეს და ასევე „ეგვიპტის შუა დედაქალაქს“ ანუ მემფისს, ფუსტატს და კაიროს. ამასთან, არაბთა დაპყრობების დროს არსებობდა ქალაქი მისრი, რომელიც ბერძენი ისტორიკოსებისთვის ცნობილი იყო ბაბილონის (ბაბალიუნ იმავე ბაბლიუნ) სახელით. 'აბდ ალ-ჰაქამის ცნობით, ბაბლიუნს, სადაც ბერძნები იყვნენ გამაგრებულები, 'ამრ იბნ ალ-'ასი თავს ესხმოდა დილითაც და საღამოსაც. და როდესაც მათზე გამარჯვება დროში გაიწელა, მან დახმარებისთვის 'უმარ იბნ ალ-ხატტაბს მიმართა, რომელმაც დამატებით 4000 მებრძოლი გაუგზავნა 'ამრ იბნ ალ 'ასს.<sup>4</sup>

ლოგიკურად გვეჩვენება სტენლი-პულის მოსაზრება, რომელიც წერდა, რომ არაბებს ახასიათებდათ სიგელის ცალკეულ ქალაქებთან თუ რეგიონებთან და არა მთელ ქვეყანასთან ზიმმას და ამანის გაფორმება. მკვლევრის აზრით, 'ამრ იბნ ალ-'ასმა ხელშეკრულება გააფორმა კოპტების დედაქალაქ მისრთან, ხოლო მოგვიანებით მათ დაცვის სიგელი გააფორმეს ბერძენთა მთავარ ქალაქ ალექსანდრიასთან, რომელიც მისრთან ზიმმას გაფორმების დროს 'ამრ იბნ ალ-'ასს ჯერ არ ჰქონდა დამორჩილებული.<sup>5</sup> სტენლი პული გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებას, რომ *მისრის*

<sup>1</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 2588-2589.

<sup>2</sup> 254-255. وداد القادي. مدخل الى دراسة عهود الصلح الاسلامية زمن الفتوح, محمد عدنان و احسان عباس. بلاد الشام في صدر الاسلام م

<sup>3</sup> Stanley Lane-Poole. "The First Mohammadan Treaties with Christians," *Proceedings of the Royal Irish Academy: Archeology, Culture, History, Literature*, Volume 24, 1902-1904, 245.

<sup>4</sup> Абд ар-Рахман ибн Абд ал-Хакам. *Завоевание Египта, ал-Магриба и ал-Андалуса*, 81.

<sup>5</sup> Stanley Lane-Poole. "The First Mohammadan Treaties with Christians," 238-239.

ხელშეკრულება, შესაძლოა, არაბებისა და კოპტების დიპლომატიური პაქტი ყოფილიყო, რომელიც ბერძნების წინააღმდეგ იყო მიმართული.<sup>1</sup>

ფ. ტრომბლის თანახმად, 640 წლის ოქტომბერში არაბებმა ქალაქ მისრს, კაიროს, ბაბილონს, მემფისსა და ფუსტატს ცალკე ხელშეკრულება გაუფორმეს, რომელიც 'ამრ იბნ ალ-'ასსა და პატრიარქ კიროსს შორის გაფორმდა, ხოლო ალექსანდრიასთან 641 წლის 8 ნოემბერს - ცალკე, სადაც ასევე კიროსი იყო ჩართული მოლაპარაკებებში.<sup>2</sup> ამავდროულად, იბნ 'აბდ ალ-ჰაქამი აღნიშნავდა, რომ ალექსანდრიის პაქტი არ არსებობდა, რადგანაც ის ბრძოლით აღებული ქალაქი იყო, შესაბამისად, ამ ქალაქის მცხოვრებლები არ გამხდარან ზიმიები.<sup>3</sup> მიუხედავად ამ ცნობისა, ტრადიცია გვამცნობს, რომ ბიზანტიელებსა და არაბებს შორის გაფორმდა *კაპიტულაციის აქტი*, რომლის მთავარი მონაწილენიც იყვნენ პატრიარქი კიროსი, იმპერატორი ჰერაკლე და 'ამრ იბნ ალ-'ასი. დოკუმენტში შეთანხმებული იყო, რომ ქალაქის მცხოვრებლებს ევალებოდათ მუსლიმების საკვებით უზრუნველყოფა.<sup>4</sup>

ქალაქის ჩაბარების აქტი 8 პუნქტისგან შედგებოდა. ამ ხელშეკრულებით ქალაქის მოსახლეობა, მათ შორის იუდეველებიც, ხელშეუხებლობით სარგებლობდნენ.<sup>5</sup> აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პატრიარქი კიროსი გარდაიცვალა 643 წლის ბოლოს ან 644 წლის დასაწყისში, ხოლო 642 წლის 17 სექტემბერს ბერძნებმა დატოვეს ალექსანდრია და ქალაქის მშვიდობიანად ჩაბარდა არაბებს.<sup>6</sup>

ალ-ბალაზურისთან ვკითხულობთ, რომ 'ამრ იბნ ალ-'ასმა 13000 დინარი დაუწესა ალექსანდრიელ კოპტებს (თითოეულ ზრდასრულ მამაკაცზე 2 დინარი).<sup>7</sup> ბიზანტია არ ეგუებოდა ალექსანდრიის დაკარგვას და დიდი ფლოტი გაგზავნა ქალაქის დასაბრუნებლად ხალიფა 'უსმანის მმართველობის დროს.<sup>8</sup> ბიზანტიელები ბრძოლაში დამარცხდნენ, კაპიტულაცია გამოაცხადეს<sup>9</sup> და საბოლოოდ დათმეს პოზიციები. ალ-ბალაზურის თანახმად, ეს მოვლენა ჰიჯრის 23/643-44 ან 25/645-46 წელს უნდა

<sup>1</sup> იქვე, 248.

<sup>2</sup> Trombley, F.R. "Fiscal Documents from the Muslim Conquest of Egypt," 20-21.

<sup>3</sup> *The History of the Conquest of Egypt, North Africa and Spain, known as the Futūh Miṣr of Ibn 'Abd Al-Ḥakam*, 162-165. Абд ар-Рахман ибн Абд ал-Хакам. *Завоевание Египта, ал-Магриба и ал-Андалуса*, 101, 103.

<sup>4</sup> Al-Baladhuri. *Futuh al-Buldan*, 347.

<sup>5</sup> ტიკაძე, მ. *არაბთა ისტორია (V-XV სს.)*, 36.

<sup>6</sup> იქვე, 36. Frank R. Trombley. "Fiscal Documents from the Muslim Conquest of Egypt," 22.

<sup>7</sup> Al-Baladhuri. *Futuh al-Buldan*, 347.

<sup>8</sup> Абд ар-Рахман ибн Абд ал-Хакам. *Завоевание Египта, ал-Магриба и ал-Андалуса*, 196.

<sup>9</sup> Al-Baladhuri. *Futuh al-Buldan*, 349.

მომხდარიყო.<sup>1</sup> 'ამრ იბნ ალ-'ასმა ბიზანტიელები ალექსანდრიიდან საბოლოოდ 646 წელს განდევნა.<sup>2</sup> გამარჯვებულმა მუსლიმებმა ქალაქი გამარცხეს და დამცავი გალავანი მიწასთან გაასწორეს, როს შემდეგაც ეგვიპტე მთლიანად შევიდა სახალიფოს შემადგენლობაში.<sup>3</sup>

### 3.4. სირია-პალესტინის დამორჩილება ზავისა და შეუვალობის (დაცვის) სიგელებით

#### ა) რაჰას ზავისა და შეუვალობის (დაცვის) სიგელი

აბუ უბაიდის რაჰას სიგელში ვკითხულობთ:

ეს არის 'იად იბნ ლანამის და იმ მუსლიმების, ვინც მასთან ერთად იმყოფებიან ზავისა და შეუვალობის სიგელი, ქალაქ რაჰას მოსახლეობს: მე მივეცი მათ შეუვალობა მათ სიცოცხლესა და მათ ქონებაზე, ბავშვებზე და ქალებზე, მათ ქალაქსა და მათ წისქვილებზე, იმ შემთხვევაში, თუ გადაიხდიან ბეგარას, რომელიც მათზეა. ალაჰი და მისი ანგელოზები არიან მოწმეები.<sup>4</sup>

იბნ ზანჯუვაიჰის მიერ დაფიქსირებული სიგელი ზუსტად იგივეა, თუმცა უშიშროების სიგელში (الحق)- ით არის გადმოცემული.<sup>5</sup>

ალ-ბალაზურის მიერ ჩაწერილ ქალაქ რაჰას დაცვის სიგელში კი ვკითხულობთ: *ეს არის 'იად იბნ ლანამის და იმ მუსლიმების ზავისა და შეუვალობის სიგელი, ვინც მასთან ერთად არიან ქალაქ რაჰას მოსახლეობისათვის: მე გადავეცი მათ ზავისა და შეუვალობის სიგელი მათ სიცოცხლეზე და მათ ქონებაზე, მათ ბავშვებსა და მათ ქალებზე, მათ ქალაქსა და მათ წისქვილებზე, (იმ შემთხვევაში), თუ შეასრულებენ, რაც სამშვიდობო ხელშეკრულებაშია,<sup>6</sup> რომელიც მათ ეკისრებათ. მათ ევალებათ ჩვენთვის შეაკეთონ ჩვენი ხიდები და გზა გაუკვალონ/აჩვენონ დაკარგულ ჩვენთაგანს*

<sup>1</sup> იქვე, 347-348.

<sup>2</sup> ტიკამე, მ. *არაბთა ისტორია (V-XV სს.)*, 37.

<sup>3</sup> იქვე, 37.

<sup>4</sup> 251. وداد القادي. مدخل الى دراسة عهود الصلح الاسلامية زمن الفتوح, محمد عدنان و احسان عباس. بلاد الشام في صدر الاسلام.

<sup>5</sup> وداد القادي. مدخل الى دراسة عهود الصلح الاسلامية زمن الفتوح

<sup>6</sup> აქაც, სამშვიდობო ხელშეკრულება, ე.ი. ზავისა და შეუვალობის სიგელი მოხსენიებულია როგორც الحق - ალ-ჰაკუ

(იგულისხმება ჯარისკაცს, მეომარს).<sup>1</sup> დაამოწმა ეს ალაჰმა და მისმა ანგელოზებმა და მუსლიმებმა.<sup>2</sup>

## ბ) დამასკოს დაცვის სიგელი

გადმოცემის თანახმად, დამასკოს ოთხი გამორჩეული მხედართმთავარი უტევდა: 'ამრ იბნ ალ-'ასი ტუმას კარიბჭეს უტევდა, შურაჰბილი - ფარადის კარიბჭეს, აბუ უბაიდა ჯაზიას კარიბჭეს, ხოლო იაზიდ იბნ აბი სუფიანი – საღირის, იმავე კაისანის კარიბჭეს.<sup>3</sup> ქალაქის ზოგი კარიბჭე და ნაწილი მუსლიმებმა ძალით ('ანვათან) აიღეს, მაგრამ, როგორც კი ბერძნებმა იხილეს მუსლიმების დიდი უპირატესობა, დამასკოელებმა შეწყვიტეს წინააღმდეგობის გაწევა და ზავი სთხოვეს მუსლიმებს.<sup>4</sup> ასე რომ, ხალიდ იბნ ალ-ვალიდი ქალაქში ძალის გამოყენებით შევიდა, ხოლო აბუ უბაიდა - კაპიტულაციით.<sup>5</sup>

აბუ უბაიდის მიერ ჩაწერილ დაცვის სიგელში, რომელიც დამასკოელებს მისცეს, ვკითხულობთ: *ეს არის ხალიდ იბნ ალ-ვალიდის ზავისა და შეუვალობის სიგელი, რომელიც მან დამასკოს მაცხოვრებლებს მისცა. ჭეშმარიტად, მე მივეცი მათ შეუვალობა სიცოცხლეზე და მათ ქონებაზე, მათ ეკლესიებზე [თქვა აბუ 'უბაიდმა: და ახსენა მასში სიტყვა, რომელიც არ მახსოვს]; ამით მათ აქვთ ალაჰის ხელშეკრულება და მისი მოციქულის, ხალიფებისა და მართლმორწმუნეების შეუვალობა. მათ სიკეთის გარდა არაფერი შეემთხვევათ, მანამ, სანამ ჯიზიას გადაიხდიან.*<sup>6</sup>

დაამოწმა აბუ 'უბაიდა იბნ ალ-ჯარაჰმა, შურაჰბილ იბნ ჰასანამ, კადა'ი იბნ 'ამირმა და დაიწერა მე-13 წელს.

ამას გარდა, ალ-ბალაზური გადმოგვცემს, რომ 1 დინარის გარდა, მუსლიმებმა დამასკოს მაცხოვრებელ მამაკაცებს დამატებით დაუწესეს სისტემატურად 1 ჯარიბი

<sup>1</sup> ვადად ალ-კადი განმარტავს, რომ სამშვიდობო ხელშეკრულებებში ხშირად იყო მოთხოვნა, დამორჩილებულ თემებს რჩევა მიეცათ და გზა ეჩვენებინათ მუსლიმი ჯარისკაცისათვის, რის შემდეგაც მათ თავისუფლად შეეძლოთ სახლში დაბრუნება. იხ: Wadad al-Qadi. "Non-Muslims in the Muslim Conquest Army in Early Islam," 105.

<sup>2</sup> مدخل الى دراسة عهود الصلح الاسلامية زمن الفتوح 251 و داد القادي. იქვე, 251

<sup>3</sup> Al-Baladhuri. *Kitab Futuh al-buldan*, 186.

<sup>4</sup> იქვე, 187-188.

<sup>5</sup> იქვე, 189.

<sup>6</sup> و داد القادي. مدخل الى دراسة عهود الصلح الاسلامية زمن الفتوح, 252



ხორბლით, ძმრითა და ზეთისხილით, გადამდნარი ქონითა და თაფლით ნატურის გადახდაც.<sup>1</sup>

კუდამა იბნ ჯა'ფარი (873-948) დამასკოს დაცვის სიგელის შესახებ გვაუწყებს:

*ეს არის, რაც ხალიდ იბნ ალ-ვალიდმა მისცა დამასკოს მცხოვრებლებს, როცა ქალაქში შევიდა. მან მათ მისცა შეუვალობა მათ სიცოცხლეზე, მათ ქონებაზე, მათ ეკლესიებზე და მათი ქალაქის გალავანზე, (მისცა პირობა), რომ არავინ დაანგრევდა მას და არავინ იცხოვრებდა მათ სახლებში. მათ აქვთ ზავისა და შეუვალობის სიგელი და ალაჰისა და მისი მოციქულის ზიმა და ხალიფების და მორწმუნეების შეუვალობა. მათ სიკეთის გარდა არაფერი შეემთხვევათ, თუ ჯიზიას გადაიხდიან.<sup>2</sup>*

ქალაქ დამასკოს ისტორიაში იბნ ასაქირი (1106-1175 წწ) [ქვეთავში „ავზა'ის შესახებ“] წერს დამასკოს ალების შესახებ:

*სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა.*

*ეს არის ხალიდ იბნ ალ-ვალიდის შეუვალობის სიგელი დამასკოს მაცხოვრებლებს. ჭეშმარიტად, მე მივეცი მათ შეუვალობა მათ სიცოცხლეზე და მათ ქონებაზე, მათ ეკლესიებზე და (დავპირდი), რომ არავინ იცხოვრებდა მათ სახლებში და არავინ დაანგრევდა (მათ სახლებს).*

*დაამოწმა ეს სიგელი იაზიდ იბნ აბი სუფიანმა და შარაჰბილ იბნ ჰასანამ და კადაი იბნ 'ამირმა და დაიწერა რაჯაბის თვეში, მე-14 წელს.<sup>3</sup>*

### **გ) ბა'ალბაქის (ბაალბექის) დაცვის სიგელი**

ეს დაცვის სიგელი ალ-ბალაზურის აქვს ჩაწერილი:

*სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა.*

*ეს არის ბა'ალბაქის მაცხოვრებლების დაცვის სიგელი ქალაქში მცხოვრები ბერძნებისთვის, სპარსელთათვის და არაბთათვის.<sup>4</sup> ეს არის ზავისა და შეუვალობის სიგელი მათ სიცოცხლეზე და ქონებაზე და მათ ეკლესიებზე და კელიებზე ქალაქში და*

<sup>1</sup> Al-Baladhuri. *Kitab Futuh al-buldan*, 191.

<sup>2</sup> وداد القادي. منخل الى دراسة عهود الصلح الاسلامية زمن الفتوح 252

<sup>3</sup> იქვე, 253

<sup>4</sup> როგორც ვხედავთ, მე-7 საუკუნის ქალაქ ბაალბექში სხვადასხვა ეთნოსისა და რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. ბერძნები - ქრისტიანი დიოფიზიტები, არაბები - ალბათ უფრო მეტად მონოფიზიტები და მიაფიზიტები და სპარსელები - ზოროასტრელები და სავარაუდოთ ქრისტიანი ნესტორიანელებიც.

ქალაქს გარეთ და მათ წისქვილებზე.<sup>1</sup> ბერძნებს შეუძლიათ აძოვონ ცხვრის ფარა (ქალაქიდან) 15 მილის რადიუსში და არ უნდა გაჩერდნენ დასახლებულ თემში. როდესაც ჩაივლის რაბი'ასა და ჯუმად ალ-ავვალის თვეები, მაშინ შეუძლიათ წავიდნენ, სადაც ინებებენ. და თუკი ვინმე ისლამს მიიღებს, მასაც ის უფლებები და მოვალეობები ექნებათ, რაც ჩვენ გვაქვს.

მათ ვაჭრებს შეუძლიათ გამგზავრება, სადაც ნებავთ იმ მხარეებში, რომლებთანაც ჩვენ ხელშეკრულება დავდეთ და ვისაც ჯიზია და ხარაჯა დავუნიშნეთ.<sup>2</sup> და თუ ვაჭრები გადაწყვიტენ იქ მუდმივად დასახლებას, მათაც უნდა იხადონ (იქ) ჯიზია და ხარაჯა. დაამოწმა ეს ხელშეკრულება ალაჰმა და საკმარისია ალაჰი მოწმედ.<sup>3</sup>

#### დ) რაკკას დაცვის სიგელი

ხელშეკრულების შესახებ ალ-ბალაზური გვამცნობს:

სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. ეს არის, რაც 'იად იბნ ლანმიმ მისცა რაკკას მცხოვრებლებს იმ დღეს, როცა ქალაქში შევიდა და გადასცა ზავისა და შეუვალობის სიგელი მათ სიცოცხლეზე, მათ ქონებაზე, მათ ეკლესიებზე და (პირობა) რომ არავინ დაანგრევდა მათ და არავინ ჩასახლდებოდა მათ ეკლესიებში, თუკი ჯიზიას გადაიხდიდნენ, რომელიც მათზეა და (მოქმედია), სანამ მზაკვრობას არ განიზრახავდნენ. მათ არ უნდა ააშენონ ახლი ეკლესიები<sup>4</sup> და კელიები და ხმამაღლა არ დარეკონ ეკლესიის ზარები და არ იზეიმონ პასეჟის მეორე დღე და არ გამოაჩინონ ჯვრები. დაამოწმა ეს ალაჰმა და საკმარისია ალაჰი მოწმედ. და დაასვა ბეჭედი 'იადმა თავისი ბეჭდით.<sup>5</sup>

<sup>1</sup> Al-Baladhuri. *Kitab Futuh al-buldan*, 198-199.

<sup>2</sup> ამ პუნქტის მიხედვითაც კარგად ჩანს, რომ არაბების დროს სავაჭრო ქსელები არ დარღვეულა და პირიქით, არაბები ხელს უწყობდნენ ვაჭრობის განვითარებას.

<sup>3</sup> 259. وداد القادي. مدخل الى دراسة عهود الصلح الاسلامية زمن الفتوح, محمد عدنان و احسان عباس. بلاد الشام في صدر الاسلام.

<sup>4</sup> გამოდის, რომ არაბები თანახმანი იყვნენ ე.წ. სტაუს-ქვოზე. მათ მიაჩნდათ, რომ ნებაყოფლობით, უომრად დამორჩილებულ ქრისტიანულ თემებს შეეძლოთ თავისუფლად ელოცათ თავიანთ სამლოცველოებში, ოღონდ არ აეშენებინათ ახალი სამლოცველოები.

<sup>5</sup> Al-Baladhuri. *Kitab Futuh al-buldan*, 271-272.

### ე) ლუდასა და პალესტინის სიგელი

ლუდა და პალესტინა იმავე წელს (ჰ. მე-15) დაიმორჩილეს არაბებმა ზავისა და შეუვალობის სიგელით, როდესაც იერუსალიმში შევიდნენ.

ატ-ტაბარის მიერ ჩაწერილ ქალაქ ლუდასა და პალესტინის ხელშეკრულებაში ვკითხულობთ:

*სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა.*

*ეს არის ზავისა და შეუვალობის სიგელი, რაც ალაჰის მონა 'უმარ იბნ ალ-ხატაბმა, მართმორჩმუნეთა ხალიფამ მისცა ლუდას მოსახლეობას და ყველას, ვინც პალესტინელებიდან შეუერთდა ამ ხელშეკრულებას. მიანიჭა მათ შეუვალობა მათ სიცოცხლეზე, მათ ქონებაზე, მათ ეკლესიებზე, მათ ჯვრებზე და რომ არავინ იცხოვრებდა მათ ეკლესიებში და არ დაანგრევდა მათ, არავინ გააძევებდა მათ საცხოვრებლებიდან, არავინ წაართმევდა ჯვრებს და ქონებას, რომ არაბები მათ არ შეავიწროებენ რწმენაში. ქალაქ ლუდას მოსახლეობას და სხვა პალესტინელებს, ვინც ამ ხელშეკრულებას შეუერთდა, ჯიზიის გადახდა ევალებათ ისევე, როგორც სირიის ქალაქები იხდიან.<sup>1</sup>*

### 3.5. იერუსალიმის (ილიას) დაცვის სიგელი

VI-VII სს-ში „ილიაში“ საკმაოდ ბევრი არაბი ცხოვრობდა. საერთოდ, სირია-პალესტინაში მცხოვრები ჯუდჰამის, 'ამილას და ლახმის არაბი ქრისტიანები სხვადასხვა ქრისტიანულ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ და არა მხოლოდ ქალაქში, არამედ რეგიონშიც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ.<sup>2</sup>

დაცვის სიგელის შესახებ სრულ ინფორმაციას გვაწვდიან ატ-ტაბარი და მუჯირ ად-დინ ალ-ჰანბალი, ხოლო ალ-იაკუბი, იბნ ალ-ჯაუზი, იბნ ალ-ბატრიკი და ალ-ჰიმარი დაცვის სიგელის შემოკლებულ ვარიანტს გვთავაზობენ. ნათელი ხდება, რომ ქალაქ ილიას მოსახლეობამ მიიღო ზავისა და შეუვალობის სიგელი ჯიზიის გადახდის

<sup>1</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 2406-2407.

<sup>2</sup> Maher Younes Abu-Munshar. "A Historical Study of Muslim Treatment of Christians in Islamic Jerusalem," 124-125.

სანაცვლოდ, ისევე როგორც სირია-პალესტინის სხვა დანარჩენი ქალაქების მაცხოვრებლებმა.<sup>1</sup>

ბერძნებს მოლაპარაკებების დროს წარმოადგენდა პატრიარქი სოფრონი. სწორედ ეს არის ის სიგელი, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი უწოდებდა ‘უმარის პაქტს (სიგელს). ეჭვგარეშეა, რომ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი დაცვის სიგელი, რომელიც ‘უმარ იბნ ალ-ხატაბმა გაუფორმა ქალაქში მცხოვრებ (იუდეველ და ქრისტიანულ) მოსახლეობას. თუმცა, ჩვენ ვერ დავეთანხმებით დანიელ მილერს, რომელიც წერს, რომ იერუსალიმს იმ ხანად მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობა ჰქონდა.<sup>2</sup> ფაქტია, რომ მუჰამადისათვის ამ ქალაქს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ყურანშიც დასტურდება კიბლას შეცვლით [2:142-144], თუმცა, მაღალი უნდა იყოს იმის ალბათობაც, რომ მართლმორწმუნე ხალიფათა პერიოდში, ის რიგით ქალაქად რჩებოდა. ქალაქის დამორჩილების დროს ზავისა და შეუვალობის სიგელში ის „ილიად“ [აელიად] და არა „ბაით ალ-კუდსად“ არის მოხსენებული. არსებობს ცნობები, რომ ქალაქის რომაული (წარმართული) ეს სახელი, რომელიც ბიზანტიის ხანაშიც რჩებოდა აქტიურ ხმარებაში, მე-10 საუკუნეშიც კი გამოიყენებოდა.

როგორც ჩანს, ‘უმაიანთა ხანაში მას ჯერ არ ჰქონდა ის უზარმაზარი იდეოლოგიური დატვირთვა, რომელიც მან ‘აბასიანთა პერიოდიდან მოყოლებული თანდათან შეიძინა, ძირითადად პოლიტიკური მოსაზრებების გამო, როდესაც ხალიფებმა მისთვის მეტი პოლიტიკური წონის მიცემა გადაწყვიტეს ქალაქის რელიგიური დატვირთვისა და მნიშვნელობის ხაზგასმით, რისთვისაც მირაჯი და ‘ისრა იქნა გამოყენებული.<sup>3</sup>

არც ის უნდა იყოს გამორიცხული, რომ სწორედ ამ დაცვის სიგელს უმატებდნენ ხალიფები ახალ და ახალ დამამძიმებელ კანონებსა და კოდექსებს. სწორედ ზავისა და შეუვალობის ეს სიგელი უნდა გამხდარიყო ‘უმარის პაქტის პროტომოდელი (თუ შეიძლება ასე ითქვას) და ამიტომაც უწოდებს ზოგი მკვლევარი მას ‘უმარის პაქტს.<sup>4</sup>

<sup>1</sup> زكريا القضاة. معاهدة فتح بيت المقدس – العهد العمرية. 273

<sup>2</sup> Miller, D. “The Rise of the Petition to ‘Umar among Legal Traditions Governing non-Muslims in Medieval Islamic Societies,” 37.

<sup>3</sup> Jacobson, D.M. “The Enigma of the Name Ilia (=Aelia) for Jerusalem in Early Islam.” King’s College, London, WC2R 2LS, 4-5; 14-15.

<sup>4</sup> Miller, D. *From catalogue to codes to canon: The Rise of the Petition to ‘Umar among Legal Traditions Governing non-Muslims in Medieval Islamic Societies, dissertation*, PhD. Dept. of Religious Studies and Dept. of history, University of Missouri-Kansas city, 2000, 36.

ჩვენ ლოგიკურად მივიჩნევთ სტილმანის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ 'უმარის პაქტი უნდა შემუშავებულიყო იერუსალიმის ზავისა და შეუვალობის სიგელის საფუძველზე'<sup>1</sup> და რომ მისი საბაზისო, საკვანძო პოსტულატები და სამართლებრივი ნორმები ისლამური სახელმწიფოს ადრეულ ეტაპზევე ჩამოყალიბდა (დაცვის სიგელების საფუძველსა და ბაზაზე) და ისინი მოგვიანებით აღადგინეს და განავრცეს.<sup>2</sup>

*ატ-ტაბარის მიერ გადმოცემულ იერუსალიმის სიგელში ვკითხულობთ:*

*„სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა.*

*ეს არის ზავისა და შეუვალობის სიგელი, რომელიც ალაჰის მონა 'უმარმა, მართლმორწმუნეთა ამირამ მისცა ილიას მკვიდრ მოსახლეობას. გადასცა მათ შეუვალობა სიცოცხლესა და მათ ქონებაზე, აგრეთვე მისცა მათი ეკლესია-მონასტრების და ჯვრების, მათი ავადყოფებისა და ჯანმრთელებს და სხვა რელიგიური თემის წარმომადგენლების შეუვალობა და [პირობა], რომ არავინ შევიდოდა საცხოვრებლად მათ ეკლესიებში<sup>3</sup> და არ დაანგრევინ (ეკლესიებს) და არც შეამცირებინ მათ საცხოვრებელ ფართობს, არც მათ ადგილებს, არც ჯვრებსა და სხვა ქონებიდან რაიმეს და [მუსლიმები მათ] რწმენის გამო არ შეავიწროვებინ; არ დაზიანდება მათგან არავინ და მათთან [ქრისტიანებთან] ერთ უბანში არ იცხოვრებს არცერთი იუდეველი.*

*ილიას ქრისტიანებს ევალებათ ჯიზიის გადახდა (მოცემა) ზუსტად ისე, როგორც სხვა ქალაქები იხდიან. ასევე ილიას ხალხს ევალება, რომ ქალაქიდან რომაელები [ანუ ბერძნები] და ქურდები გამოაგდონ. ბერძნებიდან, ვინც ქალაქს დატოვებენ, სიცოცხლისა და ქონების შეუვალობის გარანტია ექნებათ მანამ, სანამ უსაფრთხო ადგილს არ მიაღწევენ, ხოლო ვინც დარჩენას მოინდომებს - მას აქვს შეუვალობა და მანაც ილიას სხვა მაცხოვრებელთა მსგავსად ჯიზია უნდა იხადოს. და ილიას მაცხოვრებლებიდან ვინც თავისი ქონებითურთ ბერძნებთან ერთად წასვლას მოინდომებს და დატოვებს საკუთარ ეკლესიებსა და ჯვრებს - ისინი დაცულები არიან*

<sup>1</sup> Stillmann, N. *The Jews of Arab Lands: A History and Source Book*, Philadelphia : Jewish Publication Society of America, 1979, 25.

<sup>2</sup> იქვე, 26.

<sup>3</sup> აქ იგულისხმება, რომ არაბები პირობას აძლევდნენ იერუსალიმის ქრისტიანებს, რომ არაბი ჯარისკაცები ეკლესიებს ღამის გასათევად, თავშესაფრად და დროებით „საცხოვრებლად“ არ გამოიყენებდნენ. ანუ, რომ არაბი ჯარისკაცები არ ჩასახლდებოდნენ (დროებითაც კი) მათ ეკლესიებში.

თავად და მათი ეკლესიებიცა და ჯვრებიც, მანამ, სანამ უსაფრთხო ადგილს არ მიაღწევენ.

ხოლო ვინც ილიაში (მავანის) მოკვლამდე დასახლდა, მათზეც ვრცელდება შეუვალობა, მაგრამ მათ უნდა იხადონ ჯიზია, როგორც ილიას სხვა მაცხოვრებლებმა.<sup>1</sup>

ვინც ბიზანტიელებთან გაყოლა მოინდომოს - (დაე) გაჰყვეს და ვინც ოჯახებთან დაბრუნება მოინდომოს - მუსლიმები არ აიღებენ მათგან ბეგარას, სანამ ისინი [დაბრუნებულები] მოსავალს არ აიღებენ.

რაც ამ წიგნშია, არის ალაჰის ხელშეკრულება და მისი მოციქულის ზავისა და შეუვალობის პირობა და ხალიფებისა და მართლმორწმუნეების შეუვალობის შესახებ შეთანხმება, იმ პირობით, თუ ილიას მოსახლეობა გადაიხდის ბეგარას.

ეს ზავისა და შეუვალობის სიგელი დაამოწმეს ხალიფ იბნ ალ-ვალიდმა, 'ამრუ იბნ ალ-ასმა, 'აბდ არ-რაჰმან იბნ-ავფმა და მუ'ავია იბნ აბი სუფიანმა. დაიწერა ჰიჯრის მე-15 წელს.<sup>2</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ ატ-ტაბარის გარდა, იერუსალიმის ზავისა და შეუვალობის სიგელის ტექსტის შემოკლებული ვარიანტები მოტანილი აქვთ ალ-ია'კუბის (გარდ. 904 წ.), ცნობილ ნაშრომში *إبن وارض تاريخ*-ში<sup>3</sup> და იბნ ალ-ასირს (1160-1233 წწ), სადაც არაბ ისტორიკოსს ერთი წინადადებით აქვს მოხსენებული ჩვენთვის საინტერესო სიგელი<sup>4</sup> და იბნ ალ-ჯავზის (1116-1201 წწ), წიგნში *فضائل القدس*. თუმცა, ტექსტები ძალიან მოკლეა და ფაქტობრივად ატ-ტაბარის მინაბადებს წარმოადგენს. ამის გამო მათი მოყვანა არ მივიჩნიეთ მიზანშეწონილად.

თანამედროვე მკვლევარი და ისლამის ისტორიის პროფესორი მაჰერ აბუ-მუნშარი არ ემხრობა აზრს, რომ ქალაქის დამორჩილების შემდეგ მუსლიმებმა ილიადან იუდეველები გააძევეს. მკვლევარი იშველიებს ყურანის 60:8-9 აიებს და წერს, რომ ეს ქმედება ეწინააღმდეგებოდა ყურანის და მუჰამადის სწავლების პრინციპებს.<sup>5</sup> ამავე

<sup>1</sup> ვვარაუდობთ, რომ აქ იგულისხმება, რომ მუსლიმები მკვლელებსაც კი პატიობდნენ დანაშაულსა და შეუვალობის გარანტიას პირდებოდნენ იმ შემთხვევაში, თუკი ისინიც გადაიხდიდნენ ჯიზიას. ბოლშაკოვს არასწორად აქვს თარგმანი.

<sup>2</sup> *Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 2405-2406.*

<sup>3</sup> *التاريخ, ج 2, طبعة دار صادر, وادار بيروت, بيروت, 1960, 46. اليعقوبي, احمد ابن واضح*

<sup>4</sup> *ابن الاثير, الكامل في التاريخ, ج 2, ص 349.*

<sup>5</sup> *Maher Younes Abu-Munshar. "A Historical Study of Muslim Treatment of Christians in Islamic Jerusalem", 146-147.*

აზრს ემხრობა ელიზერ ბაშანი, რომელიც წერს, რომ ეს მოსაზრება არ არის მეცნიერულად დამტკიცებული.<sup>1</sup> მეტიც, 'უმარ I-ს იუდეური ტრადიცია *ისრაელის მეგობარს* და *კეთილისმოსურნეს* უწოდებს.<sup>2</sup>

ფაქტი, რომ არაბებმა ბიზანტიელები და ქურდები ერთ კატეგორიაში მოაქციეს, იმაზე მეტყველებს, რომ ბიზანტიელები დაპატრონებულები იყვნენ ადგილობრივების ქონებას და ქურდებივით იქცეოდნენ.<sup>3</sup> მაჰერ აბუ-მუნშარი აგრეთვე წერს, რომ *ფულან* იყო კონკრეტული ადამიანი, რომლის იდენტიფიცირებაც ახლა შეუძლებელია. მკვლევარი ასევე მიუთითებს, რომ ამ პაქტში მოცემულია ყველა პირობა, თუ როგორ უნდა მოექცნენ მუსლიმები ქრისტიანებს ყველა დროსა და ადგილას, ხოლო „ნებისმიერი გადახვევა ამ პირობებიდან საწყისი შეთანხმების დარღვევა იქნება“.<sup>4</sup>

იმავე აზრს იზიარებს ზაქარია ალკადა, რომელიც აღნიშნავს, რომ ატ-ტაბარის ტექსტში იუდეველების ქალაქიდან გაძევების ისტორია მოგვიანებითი ჩაამატეს. 'უმარ იბნ ალ-ხატაბი გამოირჩეოდა ტოლერანტობით და სრულიად ამოვარდნილია ეს ადგილი მის მიერ გატარებული პოლიტიკისა და იდეოლოგიის კონტექსტიდან სხვა ქალაქების მიმართ, რომელიც მუსლიმებმა სულჰით აიღეს.<sup>5</sup> ასევე, დიდი ალბათობით, მართალი უნდა იყოს მაჰერ აბუ მუნშარი, რომელიც აღნიშნავს, რომ ილიას დაცვის სიგელის საფუძველზე (არაბმა) ქრისტიანებმა გაცილებით მეტი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები და პოზიციები მოიპოვეს, ვიდრე ეს ბიზანტიელთა ბატონობის ხანაში ჰქონდათ.<sup>6</sup>

მართალია, ეს პირობები 'უმარმა შეადგინა, მაგრამ ხალიფები მუჰამადის პრინციპებითა და მაგალითით ხელმძღვანელობდნენ. ასე რომ, იერუსალიმის მოსახლეობისათვის მიცემული და დანარჩენი შეუვალობის სიგელებიც ისლამის მოციქულის მიერ გაფორმებული შეუვალობის სიგელებისა და წერილების მაგალითით ფორმდებოდა.

<sup>1</sup> Elizer Bashan. "Omar ibn al-Khattab," *Encyclopedia Judaica*. Second edition, volume 15, 419.

<sup>2</sup> იქვე, 419.

<sup>3</sup> Maher Younes Abu-Munshar. "A Historical Study of Muslim Treatment," 149-152.

<sup>4</sup> იქვე, 266.

<sup>5</sup> زكريا القضاة. معاهدة فتح بيت المقدس - العهد العمرية, 276

<sup>6</sup> Maher Younes Abu-Munshar. "A Historical Study of Muslim Treatment of Christians in Islamic Jerusalem," 269.

მას შემდეგ, რაც 'უმარ იბნ ალ-ხატაბი დაესწრო ლოცვას, სადაც წაიკითხეს სურა „სადისა“ და „ღამეული გადაყვანა“ (ისრაელის ძენის) სურის დასაწყისი. შემდეგ კი მან დატოვა იერუსალიმი (ილია).<sup>1</sup>

ჯ. მოროუს აზრით, არსებობდა სხვა ხელშეკრულებაც, რომელიც 'უმარ იბნ ალ-ხატაბმა თითქოს იერუსალიმის სომეხ ქრისტიანებს გადასცა და სადაც ქართველებიც არიან მოხსენებულები.<sup>2</sup> ეს სიგელი იერუსალიმის მართლმადიდებლურმა საპატრიარქომ 1952 წელს გამოაქვეყნა. მკვლევარი დარწმუნებულია, რომ ეს სიგელი ჰიჯრის მე-15 წელს დაიწერა, სადაც თავდაპირველად ვკითხულობთ ალაჰის განდიდებას და მუჰამადის ქებას. პაქტში მოხსენებულია პატრიარქი სოფრონი და იერუსალიმის ზეთისხილის მთა.

ხელშეკრულებაში 'უმარი ქრისტიანებს ჰპირდება სრულ შეუვალობას სიცოცხლეზე, ეკლესიებზე, რწმენაზე და ყველა წმინდა ადგილზე ქალაქში და ქალაქის ფარგლებს გარეთ, კერძოდ აღდგომისა და ბეთლეჰემის ეკლესიებზე. შეუვალობა შეეხება ყველას ერთად, რომლებიც აქ სახლობენ: ქართველებს, ეთიოპელებს, ფრანკებს, კოპტებს, სირიელებს, სომხებს, ნესტორიანელებს, იაკობიანელებსა და მარონიტებს, რომლებიც აქ სალოცავად მოვლენ. ამასთანავე, სიგელის თანახმად, ყველა ქრისტიან მომლოცველს პატრიარქისათვის უნდა მიეცა 1 დრაჰმა და 1/3 ვერცხლის დრაჰმა.<sup>3</sup> არის მოსაზრება, რომ ეს პაქტი განავრცო 'ალიმ, რომელმაც ასევე მისცა შეუვალობა იერუსალიმის სომეხ ქრისტიანებს და იქვე დასძენს, რომ ამაში არაფერია უცნაური, რადგანაც მართლმორწმუნე ხალიფები მოქმედებდნენ მუჰამადის მსგავსად, რომელიც პირადად უფორმებდა ზავისა და შეუვალობის სიგელებს ქრისტიანებს.<sup>4</sup>

ზაქარია ალკადას აზრით, ეს არის გაყალბებული და ჩამატებული ტექსტის კლასიკური მაგალითი დაცვის სიგელში.<sup>5</sup>

<sup>1</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 2408; *The History of al-Tabari. Volume 12. The Battle of al-Qadisiyyah and the Conquest of Syria and Palestine*, Translated by Yohanan Friedmann. Albany: State University of New York Press, 1992, 194.

<sup>2</sup> Morrow, J.A. *The Covenants of the Prophet Muhammad with the Christians of the World*, 191-193.

<sup>3</sup> იქვე, 191-202.

<sup>4</sup> زكريا القضاة. معاهدة فتح بيت المقدس – العهد العمرية, 277

<sup>5</sup> زكريا القضاة. معاهدة فتح بيت المقدس – العهد العمرية, 277-276



გ. ჯაფარიძე ეყრდნობა ნ.ა. მედნიკოვისა და ალ-‘არიფის ნაშრომებს და დამაჯერებლად ასაბუთებს მეორე შეუვალობის სიგელის არარეალურობას, სადაც იმ ხანისთვის არალოგიკური/არარსებული ტერმინოლოგია არის მოყვანილი. გ. ჯაფარიძე გამორიცხავს მე-7 საუკუნეში ქართველთა ძლიერ პოზიციებს იერუსალიმში და ასაბუთებს ამ დოკუმენტის ნაყალბეობას.<sup>1</sup> მკვლევარი აქარწყლებს ჯ. მოროუს ერთი შეხედვით ლოგიკურ არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ თუ დოკუმენტი ყალბია, მაშინ რატომ მიიჩნევადა მას სალაჰ ად-დინი მუჰამადის და ‘ალის მიერ შედგენილად.<sup>2</sup> გ. ჯაფარიძე წერს: „მსგავსება არის ‘უმარის ვერსიის მეორე ვარიანტში იერუსალიმის ქრისტიანი ერების ჩამონათვალში, რომელთა შორის დასახელებულია ქართველებიც, რაც სალაჰ ად-დინის დროს უჩვეულო ამბავი არ იქნებოდა. აგრეთვე ისიც, რომ ისინი კუმამას/აღდგომის ეკლესიაში სალოცავად წასვლის დროს არ იხდიდნენ გადასახადებს“.<sup>3</sup>

ჩვენ ვიზიარებთ გ. ჯაფარიძის მოსაზრებას და უკანასკნელ სიგელს ნაყალბევად მივიჩნევთ, ისევე როგორც წერილს ნაჯრანელებისთვის, სინას მონასტრის ბერების დაცვის სიგელს, სპარსელი ქრისტიანების დაცვის სიგელებს, ასირიელებისა და მსოფლიო ქრისტიანებისთვის ვითომ და მუჰამადის მიერ გაგზავნილ სიგელებს, რომელიც, როგორც ავღნიშნეთ, თავად ქრისტიანების მიერ უნდა ყოფილიყო დაწერილი IX-XI საუკუნეებში. ეს ნაყალბევი საბუთები წესითა და რიგით უნდა გამოხატავდნენ ქრისტიანების დამძიმებულ სოციალურ და ეკონომიკურ ყოფაცხოვრებას და სურვილს, შეემსუბუქებინათ საკუთარი ცხოვრება და ვითარება.

---

<sup>1</sup> ჯაფარიძე, გ. *ქართველთა სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII საუკუნეებში (არაბული ნარატიული და დოკუმენტური წყაროების მიხედვით)*, 153-158.

<sup>2</sup> Morrow, J.A. *The Covenants of the Prophet Muhammad with the Christians of the World*, 200.

<sup>3</sup> ჯაფარიძე, გ. *ქართველთა სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII საუკუნეებში (არაბული ნარატიული და დოკუმენტური წყაროების მიხედვით)*, 158-159.

### 3.6. ირანის მაზდეანური და ქრისტიანული თემების დამორჩილება დაცვის სიგელებით

#### ა) დეჰესთანის სიგელი

ატ-ტაბარისთან ვკითხულობთ გურგანის დაცვის სიგელის შესახებ:

*სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა.*

*ეს არის სუვაიდ იბნ მუკრანის ზავისა და შეუვალობის სიგელი რაზპან სულ იბნ რაზპანს და დეჰესთანის და გურგანის მაცხოვრებლებს: (ჭეშმარიტად), თქვენ გაქვთ ზიმი. ჩვენ თქვენი დაცვა გვევალება. თქვენმა ზრდასრულმა მამაკაცებმა ყოველწლიური ჯიზია თქვენი შესაძლებლობის მიხედვით უნდა გადაგვიხადონ.*

*ვისაც თქვენგან სამხედრო დახმარების აღმოჩენას ვთხოვთ, მას ეს დახმარება ჯიზიაში ჩაეთვლება,<sup>1</sup> ჩვენთვის სამხედრო დახმარების სანაცვლოდ.<sup>2</sup> და მათ აქვთ შეუვალობა მათ სიცოცხლეზე და მათ ქონებაზე, რწმენაზე და სამოქალაქო კანონმდებლობაზე. არაფერი შეიცვლება მათთან რაც ჩამოთვლილია (ზემოთ), მანამ, სანამ ჯიზიას იხდიან და გზას უჩვენებენ მუსლიმებს და რჩევას მისცემენ მათ, მიიღებენ, დააპურებენ და მათ მიმართ არც სიძულვილს და არც ღვარძლს არ გამოხატავენ.<sup>3</sup>*

*ვინც მათთან დროებით ცხოვრობს, მასაც იგივე უფლებები ექნება (რაც დანარჩენ გურგანელებს აქვთ) და ვინც ტერიტორიის დატოვებას მოინდომებს, მას შეუნარჩუნდება შეუვალობა, სანამ სამშვიდობო ადგილს არ მიაღწევს.<sup>4</sup>*

*ის, ვინც მუსლიმს შეურაცხჰყოფს - მკაცრად დაისჯება და ვინც დაარტყამს მუსლიმს - ნებადართულია მისი სისხლის დაღვრა. დაამოწმა სუ'აიდ იბნ კატაბამ და ჰინდ იბნ 'ამრმა და სამაქ იბნ მახრამამ და 'უთაიბა იბნ ან-ნაჰასმა და დაიწერა მე-18 წელს.<sup>5</sup>*

#### ბ) ალ-ჰირას სიგელი

სასანურ ირანსა და არაბულ მიწებს შორის მდებარე ეს ქალაქი, რომელიც ძლიერი ნესტორიანული ცენტრი და სასანიანთა ირანისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან

<sup>1</sup> Надирадзе, Л.И. *Хрестоматия по истории халифата*, 106.

<sup>2</sup> 263-264. وداد القادي. مدخل الى دراسة عهود الصلح الاسلامية زمن الفتوح. სამხედრო დახმარებაში იგულისხმება ან უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებში ჩართვა, ან უადრესად საჭირო სამხედრო-სტრატეგიული რჩევა.

<sup>3</sup> Надирадзе, Л.И. *Хрестоматия по истории халифата*, 106.

<sup>4</sup> იქვე, 106.

<sup>5</sup> 263-264. وداد القادي. مدخل الى دراسة عهود الصلح الاسلامية زمن الفتوح, محمد عدنان و احسان عباس. بلاد الشام في صدر الاسلام.

ქალაქს წარმოადგენდა, ხალიდ იბნ ალ-ვალიდის დროს დაემოჩილა არაბებს. ატ-ტაბარის მიხედვით, ალ-ჰირა იყო პირველი ქალაქი ერაყში, რომელიც მუსლიმებმა ჯიზიით დახარკეს.<sup>1</sup> ალ-ჰირას მაცხოვრებლებს დაევალიათ 100.000 დირჰამის გადახდა ყოველწლიურად და ასევე ჯაშუშობა და ინფორმაციის მიწოდება მუსლიმების სასარგებლოდ სპარსელების შესახებ, მათ ეკლესია-მონასტრების ზავისა და შეუვალობის გარანტიის პირობით. ატ-ტაბარის მიერ ჩაწერილ ქალაქ ალ-ჰირას ზავისა და შეუვალობის პირობის ხელშეკრულებაში ვკითხულობთ:

*„სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა.*

*ეს არის, რაზეც დაეზავა ხალიდ იბნ ალ-ვალიდი ‘ადის და ‘უმარს - ‘ადის ორ შვილს და ასევე ‘ამრუ იბნ ‘აბდ ალ-მასიჰს და აიას იბნ კუბაიდას და ჰირი იბნ-აქალს - (და თქვა ‘უბაიდალაჰ ჯაბარიმ) - რომლებიც ქალაქ ჰირას მეთაურები და უხუცესები არიან და დაეთანხმა ამას ქალაქ ჰირას ხალხი და დაეზავა (ხალიდი) მათ 190.000 დირჰამზე, რომელსაც მიიღებს ყოველ წელს ჯიზიის სახით მათი ხელიდან და ჯიზია უნდა იხადონ ასევე მათ მღვდლებმა და ბერებმა, იმათ გარდა, ვინც ამათ შორის განდევილია და დატოვა ამქვეყნიური ცხოვრება ან კი მოხეტიალე განდევილია... თუ ჰირელებმა უღალატეს (არაბებს და მათ შეთანხმებას) საქმით ან სიტყვით, მაშინ მათი შეუვალობა გაუქმებულად ჩაითვლება“.*

*დაიწერა ეს ხელშეკრულება „რაბი‘ ალ-ავვალის თვეში, ჰიჯრის 12-ე წელს.“<sup>2</sup>*

მოგვიანებით ალ-ჰირას მაცხოვრებლებს დაევალიათ სპარსელთა წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებაც.<sup>3</sup>

როგორც ჩანს, მუსლიმებს კოორდინირებული და გამართული საკომუნიკაციო სისტემა ჰქონდათ. ასე მაგალითად, ჰირას ალების შემდეგ ხალიდ იბნ ალ-ვალიდი გაემართა ‘აინ ათ-თამრში, სადაც იგი შეებრძოლა ქრისტიან არაბებს. მან აიღო ქალაქი და იმავე დროს მას დახმარება სთხოვა აიაზ ბინ დანამმა, რომელიც იმავე პერიოდში

<sup>1</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 2018; *The History of al-Tabari*. Volume 11. *The Challenge to the Empires*, transl. by Khalid Blankinship, 4.

<sup>2</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 2044-2045.

<sup>3</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 2057; *The History of al-Tabari*. Volume 11. *The Challenge to the Empires*, transl. by Khalid Blankinship, 48.

უტევდა დუმათ ალ-ჯანდალს. ხალიდი მიეშველა 'აიაზ იბნ ღანამს, მათ ერთად აიღეს დუმათ ალ-ჯანდალი და შემდეგ დაბრუნდნენ ჰირაში.<sup>1</sup>

**გ) მაჰ-დინარის შეუვალობის სიგელი**

ეს სიგელი ალ-ტაბარის მიერ არის ჩაწერილი:

*„სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა.*

*ეს არის, რაც ჰუზაიფა იბნ ალ-იამანმა გადასცა მაჰ-დინარის მოსახლეობას: მისცა მათ შეუვალობა მათ სიცოცხლეზე, მათ ქონებაზე, მათ მიწებზე და რომ არავინ აიძულებდა მათ რწმენის შეცვლას და არ ჩაერეოდნენ არაბები (და არ შეცვლიდნენ) მათ სამოქალაქო კანონმდებლობას.*

*მათ მუსლიმთა ვალის ყოველ წელიწადს ჯიზია უნდა უხადონ მას, ვინც მუსლიმებიდან მართავს მათ - ყოველ ახალგაზრდა კაცზე მისი შესაძლებლობის მიხედვით. მათ გზა უნდა უჩვენონ არაბ ჯარისკაცს და შეაკეთონ გზები და უმასპინძლონ მუსლიმთა რაზმებს, რომლებიც მათი სახლების გვედრით ჩაივლიან დღისითა და ღამით და კეთილი რჩევა მისცენ მათ.*

*და თუ უღალატებენ მუსლიმებს და დაარღვევენ ხელშეკრულების პირობებს, მაშინ შეუვალობის სიგელი გაუქმებულად ჩაითვლება.*

*დაამოწმა ეს ალკა 'კა' იბნ 'ამრუმ და ნუ'აიმ მუკარანმა და სუ(ვ)აიდ იბნ მუკარანმა. და დაიწერა მუჰარამის თვეში ჰიჯრის მე-19 წ.*<sup>2</sup>

**დ) ისფაჰანის ზავისა და შეუვალობის სიგელი.**

ეს სიგელი ატ-ტაბარიმ ჩაწერა:

*„სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. ეს არის 'აბდალაჰის ზავისა და შეუვალობის სიგელი ფადუსფანსა (ისფაჰანის გამგებელის თანამდებობას ერქვა. არაბული დაპყრობითი ომების დროს ქალაქის ფადუსფანი იყო ვინმე ნიმრუზი) და ისფაჰანისა და მისი შემოგარენის მოსახლეობას: თქვენ ხართ დაცულები, სანამ ყოველ წელს იხდით ჯიზიას თქვენი შესაძლებლობის მიხედვით. თქვენ ჯიზიას მას გადაუხდით, ვინც თქვენს მხარეს მართავს. თქვენ გევალებათ მუსლიმის გაძლოლა (ინფორმაციის მიწოდება, დაკვალიანება) და გზის შეკეთება და მუსლიმის გამოკვება*

<sup>1</sup> Akram, A.I. *The Muslim Conquest of Persia*, 14-15.

<sup>2</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 2633.

[გამასპინძლება] ერთი დღითა და ღამით და ფეხოსანი ჯარისკაცი (მუსლიმის) ტრანსპორტირება (გადაყვანა) ერთი დღის სავალზე.

თქვენ არ უნდა იბრძანებლოთ გზააბნეულ მუსლიმზე, [თქვენ ტყვედ არ უნდა აიყვანოთ გზააბნეული მუსლიმი], არამედ კეთილი რჩევა უნდა მისცეთ მას და შეასრულოთ (მისთვის) ყველაფერი, რაც გევალებათ სიგელის მიხედვით და (ამის შესრულების შემთხვევაში), თქვენ გექნებათ შეუვალობის გარანტია. და თუ რაიმეს მეცვლით და არ დაემორჩილებით ამ პირობებს, აღარ გექნებათ შეუვალობა. ვინც შეურაცხჰყოფს მუსლიმს, აღარ ექნება შეუვალობის სიგელი და თუ ვინმე მუსლიმს დაარტყამს, ჩვენს მას მოვკლავთ.

დაწერა და დაამოწმა ეს სიგელი 'აბდალაჰ იბნ კაისმა და 'აბდალაჰ იბნ ვარკა'მა და 'ისმა იბნ 'აბდალაჰმა.<sup>1</sup> ტაბარის მიხედვით მოხდა ეს ჰიჯრის 21-ე წელს.

#### ე) გურგანის ზავისა და შეუვალობის სიგელი

ეს სიგელი ყველაზე გვიანდელი უნდა იყოს, რადგანაც ისტორიული დოკუმენტების თანახმად, გურგანის ოლქი მუსლიმებმა დაიმორჩილეს 716-717 წწ. იაზიდ იბნ მუჰალაბის მთავარსარდლობით.<sup>2</sup> იაზიდმა სიგელში მოხსენებული გამგებელი სული დაამარცხა, რომელმაც მანამდე შიდა ომებში თანამდებობა გამოსტაცა მარზჰან ფირუზ იბნ კულს და ქალაქი გურგანი ააშენა.

ატ-ტაბარი:

„სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. ეს არის სუაიდ (სუეიდ) იბნ მუკარანის ზავისა და შეუვალობის სიგელი მარზჰან სულ იბნ ლარზანისათვის და დეჰესთანისა და გურგანის მაცხოვრებლებისთვის.

თქვენ გაქვთ ზიმმა, ხოლო თქვენმა თითოეულმა ზრდასრულმა მამაკაცმა ჩვენ უნდა გვიხადოთ ყოველწლიური ჯიზია თქვენი შესაძლებლობის მიხედვით. და ვინც სამხედრო დახმარებას აღმოგვიჩენს, მას იმ წლის ჯიზია მოეხსნება.<sup>3</sup>

და მათ აქვთ შეუვალობის სიგელი მათ სიცოცხლეზე, მათ ქონებაზე, მათ რელიგიაზე და სამოქალაქო კანონმდებლობაზე. დაე, არაფერი შეიცვალოს მათი

<sup>1</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 2641.

<sup>2</sup> Hoyland, R. *In God's Path, The Arab Conquests and the Creation of an Islamic Empire*, Oxford: Oxford University Press, 2015, 118.

<sup>3</sup> Wadad al-Qadi. "Non-Muslims in the Muslim Conquest Army in Early Islam," 96-97.

(შეუვალობის სიგელის პირობებიდან). მათზეა გზადაკარგული ფეხოსანი ჯარისკაცი (მუსლიმის) დაკვალიანება და კეთილი რჩევის მიცემა მისთვის და საკვების მიცემა. ვინც ამ პირობებს შეასრულებს, მასაც იმავე რაოდენობის ბეგარის გადახდა ეკისრება და ვინც გასვლას მოინდომებს (რეგიონიდან) - ისიც დაცული იქნება მანამ, სანამ უსაფრთხო ტერიტორიას არ მიაღწევს. ვინც მუსლიმს შეურაცხყოფს, იმავე ხარისხით მიეზღვება, ხოლო ვინც დაარტყამს მუსლიმს - ნებადართულია მისი სისხლის დაღვრა.

დაამოწმეს ეს საბუთი სუაიდ იბნ კუტბამ და ჰინდ იბნ 'ამრმა და სიმაქ იბნ მახრამამ, 'უთაიბა იბნ ან-ნაჰასმა. დაიწერა ჰიჯრის მე-18 წელს (640 წ.).<sup>1</sup>

უმაიანებმა ირანის კასპიისპირა მიწები საკმაოდ გვიან, მე-7 საუკუნის 70-იან წლებში დაიმორჩილეს (ნომინალურად, მასქალა იბნ ჰუბაირას თაოსნობით), ხოლო საბოლოოდ, ის მხოლოდ 'აბასიანებმა დაიპყრეს და de jure სახალიფოს შემადგენელ ნაწილად აქციეს იმიტომ, რომ მისი უკანასკნელი მმართველი ხუარშიდი (ხორშიდი) მხარს უჭერდა ანტიაბასურ პოლიტიკურ მოძრაობებს და ცდილობდა ახლო პოლიტიკური კავშირი დაემყარებინა ჩინეთის ტანგის დინასტიასთან.<sup>2</sup> სწორედ მან შეიფარა ხალიფა ალ-მანსურის წინააღმდეგ მებრძოლი აბუ-მუსლიმი, რის გამოც, საბოლოოდ, მისი რეგიონი 'აბასელებმა შეიერთეს, მან კი თავი მოიკლა.

فرخان بزرگ - დიდი ფარუხანი, რომელსაც შეუვალობის სიგელში სუვაიდ იბნ მუკარანი მიმართვას, გაუბარიანთა, იმავე დაბუიანთა ზოროასტრული დინასტიის ფუძემდებელი იყო, რომელიც კასპიის ზღვის სამხრეთ ზოლში, ჩრდილოეთ ირანის ეკონომიკურად საკმაოდ განვითარებული სამთავროს (დედაქალაქით სარი) ისფაჰადი, ანუ სპასპეტი, მთავარსარდალი იყო.

სასანიანთა შემდეგ პერიოდში, არაბები მის რეგიონში შევიდნენ და უომრად, შეუვალობის სიგელით დაიმორჩილეს იგი. ფარუხანის დროს უმაიანთა სახალიფოსთან მეტნაკლებად მშვიდობიანი პოლიტიკური დამოკიდებულება სუფევდა. მისი სამთავრო მოიცავდა გილანის, ტაბარისტანისა და დასავლეთ ხორასნის ტერიტორიებს. საინტერესოა, რომ მან, ისევე როგორც მისმა ტახტის მემკვიდრემ, შვილმა და შვილიშვილმა - რეგიონის უკანასკნელმა სპარსელმა მმართველმა, თავიანთი სამთავროს დამოუკიდებლობის და 'უმაიანებზე მხოლოდ

<sup>1</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 2658-2659.

<sup>2</sup> Hoyland, R. *In God's Path, The Arab Conquests and the Creation of an Islamic Empire*, 117.

ნომინალური მმართველობის აღსანიშნავად, ვერცხლის მონეტები - დირჰამები მოჭრეს. ხუარშიდის დროს მისი სამთავრო დაიმორჩილა ხალიფა ალ-მანსურმა (მთავარსარდალმა იაზიდ იბნ მუჰალაბმა). როდესაც მან გაიგო, რომ მთელი მისი ოჯახი 'აბასელებმა ტყვედ აიყვანეს 761 წელს, მან საწამლავი დალია და თავი მოიკლა

**ვ) ტაბარისტანისა და გილგილანის [ხორასნის] ზავისა და შეუვალობის სიგელი**

ატ-ტაბარისტან ვკითხულობთ:

*სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. ეს არის სუაიდ იბნ მუკარანის ზავისა და შეუვალობის სიგელი ფარუხანს, ხორასნის ისფაჰბაზს, მოწინააღმდეგე [أبي العاصم] ტაბარისტანისა და გილგილანის მოსახლეობის- შეუვალობაზე.*

*შენ ყოვლისშემძლე და უდიდებულესთაგანი ალაჰის შეუვალობით ხარ დაცული. თქვენი მოსახლეობა და ქურდები უნდა შეაკავოთ და არ უნდა შეგვავეწროვოთ (თავს არ უნდა დაგვესხეთ).*

*თქვენ უნდა იხადოთ 500.000 დირჰამი მიწაზე და შენი მიწის „ფარაჯია“. (ფარაჯია მამაკაცის სპეციფიკური გრძელი ტანისამოსი იყო, რომელიც სასანიანთა ირანის ამ რეგიონში როგორც ჩანს ძვირფასი ქსოვილისაგან იკერებოდა) და თუ ამას შეასრულებთ, არცერთი ჩვენგანი არ შეცვლის (თქვენი შეუვალობის სიგელის) პირობებს და არ შემოიპარება (მტრულად) თქვენს მიწაზე და არ შემოვა შენი ნებართვის გარეშე. ჩვენი დამოკიდებულება თქვენდამი მშვიდობიანია და ასეთივე უნდა იყოს თქვენი დამოკიდებულება. არ შეგვიყვანოთ შეცდომაში, არ მიგვიყვანოთ მტრებთან (გზა-კვალის აბნევით) და არ დაგვატყვევოთ. და თუ ამას იზამთ, აღარ იქნება თქვენსა და ჩვენს შორის სამშვიდობო შეთანხმება.*

*დაამოწმა ეს სამშვიდობო ხელშეკრულება სავად იბნ კატაბა ათ-თამიმიმ, ჰინდ იბნ 'ამრუ ალ-მურადიმ, სიმაქ იბნ მახრამა ალ-ასადიმ, სიმაქ იბნ 'უბაიდ ალ-'აბასმა, 'უთაიბა იბნ ან-ნაჰას ალ-ბაქრიმ.*

*დაიწერა ჰიჯრის მე-18 წელს.<sup>1</sup>*

<sup>1</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 2659-2660. თაბარისტანი და გილანი 674 წელს მასქალა იბნ ჰუბაირამ სამშვიდობო ხელშეკრულება გაუფორმა ფარუხანს [Robert G. Hoyland. In God's Path, 117].

## ზ) ირანის აზერბაიჯანის ზავისა და შეუვალობის სიგელი

ნეჰავენდის ბრძოლაში გამარჯვების შედეგად, არაბებს ირანის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიების დამორჩილების შესაძლებლობა მიეცათ. არაბებმა ირანის აზერბაიჯანიც დაიმორჩილეს და სამშვიდობო ხელშეკრულება გაუფორმეს:

*სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. ეს არის, რაც ('უთბა) იბნ ფარკადმა, მართლმორწმუნეთა ამირამ - 'უმარ იბნ ალ-ხატაბის გამგებელმა [خاتم] მისცა აზერბაიჯანის მთისა და ბარის მოსახლეობას და ყველა სარწმუნოების წარმომადგენელს. მისცა მათ ზავისა და შეუვალობის სიგელი მათ სიცოცხლეზე, მათ ქონებაზე, რწმენაზე და (სამოქალაქო) კანონმდებლობაზე, იმ პირობით, რომ გადაიხდიან ჯიზიას მათი შესაძლებლობის მიხედვით.*

*ჯიზია არ ეკისრება მცირეწლოვან ვაჟებს, ქალებსა და ავადმყოფებს, რომლებსაც არაფერი გააჩნიათ. ასევე არ ეხებათ ბერებს, [كهنة] რომლებსაც ამა ქვეყნის არაფერი გააჩნიათ. ზავისა და შეუვალობის სიგელი ეხება მათ, ვინც მათ შორის ცხოვრობენ. მათზეა მუსლიმი ჯარისკაცის გამოკვება დღისითა და ღამით და მისი დაკვალაიანება. მოსახლეობიდან ვინც იმ წელს სამხედრო დახმარებას აღმოუჩენს (არაბებს)- მოეხსნება მას იმ წლის ჯიზია,<sup>1</sup> ხოლო ვინც დარჩა, (ანუ ბრძოლაში არ დაეხმარა არაბ მუსლიმებს), - მას ევალება (ჯიზიის გადახდა) ისევე, როგორც სხვა დარჩენილებს ევალებათ, ხოლო ვინც (საკუთარი) ადგილის დატოვება მოისურვა და წავიდა - მასზე ვრცელდება შეუვალობის სიგელის პირობები მანამ, სანამ უსაფრთხო ადგილს არ შეაფარებს თავს.*

*დაწერა ჯუნდუბმა. დაამოწმა ბუჟაირ იბნ 'აბდალაჰ ალლისიმ, სიმაქ იბნ ხარმა ალ-ანსარიმ. დაიწერა მე-18 წელს.<sup>2</sup>*

ო. ბოლშაკოვი იმოწმებს ალ-ბალაზურის, სადაც ირანის აზერბაიჯანის მარზპანს ისფანდიარს არაბებმა დააკისრეს ყოველწლიურად 800.000 დირჰამის ოდენობის გადახდა, რის სანაცვლოდაც მოსახლეობამ მიიღო პირადი ხელშეუხებლობისა და

<sup>1</sup> Wadad al-Qadi. "Non-Muslims in the Muslim Conquest Army in Early Islam," 96-97.

<sup>2</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 2662. ბოლშაკოვის აზრით, მე-18 წელი სრულიად არასწორი ინფორმაციაა და აქ შეცდომაა. იხ. Большаков, О.Г. *История Халифата, (том 2), Эпоха великих завоеваний, 633-656.* Москва: Восточная литература, 2002, 111.



ზოროასტრული ტაძრების ხელშეუხებლობის გარანტია.<sup>1</sup> განსაკუთრებულად აღინიშნა „შიზას“ ტაძარში ზოროასტრული რიტუალების თავისუფლად ჩატარების მნიშვნელობა. აღ-ბალაზური აღნიშნავდა, რომ ისფანდიარი რეის პროვინციას ეხმარებოდა არაბთა წინააღმდეგ. ამიტომაც ხელშეკრულება არაბებმა ბათილად სცნეს და მის დასამორჩილებლად გააგზავნეს ‘უთბა იბნ ფარკადი, რომელმაც ხელახლა გააფორმა დაცვის სიგელი სხვა პირობებით, რომელიც ატ-ტაბარიმ ჩაწერა, ხოლო ‘აბდალ იბნ შუბაილმა განაახლა ეს ხელშეკრულება ჰიჯრის 28-ე წელს (ანუ 650 წ).

### თ) მერვე-რუდის ზავისა და შეუვალობის სიგელი

ქალაქი მერვე-რუდი მდებარეობდა თანამედროვე ავღანეთის ტერიტორიაზე, ახლანდელ ქალაქ მურღაბის სიახლოვეს. ეს ზავისა და შეუვალობის სიგელი ატ-ტაბარის მეფეთა და მოციქულთა ისტორიიდან არის:

*„სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. ჯარის ხელმძღვანელი [امير الجيش] სახრ იბნ კაისისაგან მერვე-რუდის მარზჰან ბადანს და მასთან ერთად მყოფ ცხენოსანთა რაზმსა (اساوس) და (სხვა) სპარსელებს. სალამი მას, ვინც სწორ გზაზე დგას, სწამს და ეშინია! [ალაჰის]. [ამგვარი ფორმით, როგორც წესი, მუსლიმები არამუსლიმებს ესალმებოდნენ (ჩვენს შემთხვევაში, ზოროასტრულ სპარსელ მარზჰანს)].*

*შენი ძმისშვილი მაჰაქი ჩემს წინაშე წარსდგა და გულწრფელად ეცადა შენთვის სასარგებლო ყოფილიყო<sup>2</sup> და შენი საქმეების შესახებ მიაშბო.<sup>3</sup> და მე ეს ჩემთან ერთად მყოფ მუსლიმებს გავაცანი. მე და ისინიც შენს ვალდებულებებთან დაკავშირებით ერთ აზრზე ვართ.<sup>4</sup> ჩვენ თანახმანი ვართ იმაზე, რასაც შენ ჩვენ გვთავაზობ და გვთხოვ, რომ შენი მიწათმოქმედებისგან (გლეხებისგან) და მიწის მხვნელებისგან 60.000 დირჰამს მომცემ მე (ხარაჯას სახით) და მას, ვინც ჩემს შემდეგ იქნება მუსლიმთა გამგებლებიდან, გარდა იმ ორი მიწის მონაკვეთისა, რომელიც შენ მოიხსენიე და რომელიც უსამართლო/ტირანმა ხოსრომ წაართვა მამაშენის ბაბუას, რომელმაც*

<sup>1</sup> Большаков, О.Г. *История Халифата, том 2, Эпоха великих завоеваний, 633-656*, 111.

<sup>2</sup> Надирадзе, Л.И. *Хрестоматия по истории Халифата*, 108.

<sup>3</sup> ვფიქრობთ, რომ ამ ფრაზით პარალელის გავლება შეიძლება თბილისის დაცვის სიგელთან, როდესაც პატრიკიოსმა სტეფანოზმა თეოფილეს პირით შეუთვალა ზავის დადების სურვილის შესახებ ჰაბიბ იბნ მასლამას, ხოლო მერვე-რუდის შემთხვევაში, სიტყვები „შენს შესახებ მიაშბო“, უნდა გავიგოთ, როგორც „გადმომცა, შენი განზრახვის სურვილი, რომ ზავის დადება გასურს“.

<sup>4</sup> Надирадзе, Л.И. *Хрестоматия по истории Халифата*, 108.

(თავისმხრივ,) ეს მიწა გველის მოკვლის გამო დაიშახურა (მიიღო), იმ გველისა, რომელიც აცამტვერებდა მიწას (ჭამდა ხალხს) და გზებს კეტავდა.<sup>1</sup>

ქვეყანა ალაჰისაა და მემკვიდრეობად უბოძებს იმას, ვისაც ინებებს თავისი მონათაგან. [7:125].

შენ გვეალება მუსლიმების დახმარება და მათი მტრების მოკვლა შენთან ერთად მყოფ ცხენოსნებთან ერთად, თუ ეს მუსლიმებმა მოისურვეს. და შენ ამ დახმარების სანაცვლოდ მუსლიმების დახმარება გექნება (მათ წინააღმდეგ), ვინც შენ და შენს თანამორწმუნეებს, რომლებსაც შენ იცავ და მფარველობ, შეგებრძოლებათ.

შენ ჩემგან ზავისა და შეუვალობის სიგელი გაქვს, რომელიც ჩემს შემდეგაც გექნება. არც შენ, არც შენი ოჯახისგან ვინმეს და არც შენს ნათესავებს არ შეგებებათ ხარაჯა (სამხედრო დახმარების აღმოჩენისთვის).<sup>2</sup> და თუ ისლამზე მოიქცევი და მოციქულის მიმდევარი გახდები, მუსლიმებისგან შენ გექნება ანაზღაურება (ათა'), წილი (ნაალაფარიდან) და სტატუსი და შენ მუსლიმების ძმა იქნები. და შენ გექნება ჩემი მფარველობის, შეუვალობის ხელშეკრულება, ისევე როგორც მამაჩემია მფარველობის ქვეშ და მუსლიმების მამები არიან მფარველობის ქვეშ.

დაამოწმეს რაც ამ შეუვალობის სიგელშია: ჯაზ' იბნ მუ'ავიამ - ანდა მუ'ავია იბნ ჯაზ'მა - ალ-სა'დიმ. ჰამზა იბნ ალ-ჰარმასმა, ჰამიდ იბნ ალ-ხიარ ალ-მაზანიანმა და 'იად იბნ ვარაკა ალასიდიმ.

დაწერა ქისან მული ბანი სა'ლაბმა კვირა დღეს, მუჰარამის თვეში.<sup>3</sup> [გაფორმდა 652 წელს].

კოლესნიკოვმა სწორად აღნიშნა, რომ მუსლიმები მაქსიმალურად ზღუდავდნენ ირანელი გამგებლების უფლებებს. ეს კარგად ჩანს ზემოხსენებულ მერვე-რუდის სიგელშიც, სადაც ვხედავთ, რომ მიწა გამგებელს რჩებოდა სიცოცხლის ბოლომდე მფლობელობაში, თუმცა, მისი გარდაცვალების შემდეგ ის არაბთა ხელში გადადიოდა.<sup>4</sup>

<sup>1</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 2897-2898.

<sup>2</sup> Milka Levy-Rubin. *Non-Muslims in the Early Islamic Empire. From Surrender to Coexistence*, 96-97.

<sup>3</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 2897-2898.

<sup>4</sup> Колесников, А.И. “Договоры между мусульманами и Покорённым Населением в Годы Завоевания Ирана Арабами,” *Писменные памятники и проблемы истории культуры народов востока*. XII годичная научная сессия ЛО ИВ АН СССР (краткие сообщения) часть 1. Москва: Главная редакция восточной литературы, 1977, 29.

### ი) მოკანის დაცვის სიგელი

ატ-ტაბარის ისტორიაში ვკითხულობთ:

*სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა.*

*ეს არის, რაც ბუქაირ იბნ 'აბდალაჰმა გადასცა მოკანის მოსახლეობას ალ-კაბჯის მთიანეთიდან. მიანიჭა მათ შეუვალობა მათ ქონებაზე, მათ სიცოცხლეზე, რწმენასა და სამოქალაქო კანონმდებლობაზე თითოეული ზრდასრული მამაკაცის მიერ ჯიზიის გადახდის სანაცვლოდ, რომელიც 1 დინარს ან მის ექვივალენტს (ნატურალური პროდუქტით) უდრის. ასევე (ჩვენთვის) კეთილი რჩევის მოცემის, მუსლიმისთვის გზის ჩვენების / დაკვალიანებისა და (გზააბნეული მუსლიმი ჯარისკაცისთვის) დღისითა და ღამით საკვებით უზრუნველყოფის სანაცვლოდ.*

*მათ აქვთ შეუვალობა (ჯიზიის) აღიარებისა და რჩევის მიცემის სანაცვლოდ, ხოლო ჩვენ (მუსლიმებს) (მათი დაცვის) ჩვენი დაპირების ერთგულად შესრულება გვევალება. ალაჰიმც იყოს მათი დამხმარე.*

*და თუ მიატოვებს ეს (შეუვალობის ხელშეკრულება და არ შეასრულებს მისი პირობები) და გაირკვა, რომ ისინი იტყუებიან, მაშინ, აღარ ექნებათ მათ შეუვალობის სიგელი, (და ტყულის თქმის შემთხვევაში) მათ მხოლოდ ისლამზე (მთელი ქალაქის) მოქცევა თუ უშველით.*

*დაამოწმა აშ-შამახ იბნ დარარმა, ალ-რასარის იბნ ჯანადიბმა და ჰამლა იბნ ჯუვაიჰმა.*

*დაიწერა ჰიჯრის 21-ე წელს.<sup>1</sup>*

### კ) კუმისის დაცვის სიგელი

ატ-ტაბარიმ ჩაწერა ქალაქ კუმისის ზავისა და შეუვალობის (დაცვის) სიგელი:

*სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა.*

*ეს არის, რაც სუვაიდ იბნ მუკარანმა მისცა ქალაქ კუმისის მაცხოვრებლებს და ვინც თიბავს.<sup>2</sup> გადასცა მათ ზავისა და შეუვალობის სიგელი მათ სიცოცხლეზე, მათ სარწმუნოებაზე, მათ ქონებაზე, იმ პირობით, რომ ისინი გადაიხდიან ჯიზიას ყოველი ზრდასრული მამაკაცის ხელით, (მათი) შესაძლებლობების მიხედვით.*

<sup>1</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 2666-2667.

<sup>2</sup> اهل قومنس و من حشوا<sup>2</sup>

მათ ევალებათ კეთილი რჩევის მოცემა ჩვენთვის და არ უნდა მოგვატყუონ. ისინი უნდა დახვდნენ მათთან მისულ მუსლიმებს დღისით თუ ღამით და გაუმასპინძლდნენ საჭმლით. და თუ ზურგი აქციეს და აბუჩად აიგდეს შეთანხმება, მაშინ შეუვალობის სიგელი მათთვის გაუქმებულად ჩაითვლება.<sup>1</sup>

დაიწერა ჰიჯრის 22-ე წელს [642/43].

### ლ) ნუბიის დიპლომატიური ხელშეკრულება (ჰუდნა)

ალ-ბალაზურის თანახმად, ნუბიელებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს 'უკბა იბნ ნაფი' ალ-ფიჰრის და მუსლიმთა არმიას, რომელთა უმეტესობა დაიჭრა ან დაბრმავდა დაშენილი ისრებით,<sup>2</sup> რის გამოც ნუბიელებს მუსლიმებმა „თვალებში მსროლელები“ უწოდეს.<sup>3</sup> ამის შემდეგ კი, ნუბიელებმა გამოთქვეს ინიციატივა შემდგარიყო სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც გადმოცემულია იბნ აბდ ალ-ჰაქამის მიერ<sup>4</sup> და ჩაწერილი ალ-მაკრიზის<sup>5</sup> მიერ:

„სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა.<sup>6</sup> ეს არის ამირა 'აბდალაჰ იბნ სა'დ იბნ აბი-სარჰის შეუვალობის ხელშეკრულება ნუბიის მთავარს - და ნუბიის სამეფოს ყველა მაცხოვრებელს: გაუფორმა მათ ხელშეკრულება სამეფოს ახალგაზრდა და მხცოვან მოსახლეობას ასუანის მიწის საზღვრიდან 'ალვას მიწის საზღვრამდე. 'აბდალაჰ იბნ სა'დმა ადგილობრივებსა და მუსლიმებს შორის ზავი ﻫﻨﺪ შეადგინა. ეს ზავი შეეხებოდა ასევე ნუბიის მეზობელ ეგვიპტელ „სა'იდის“ მაცხოვრებლებს და სხვა მუსლიმებსა და ზიმეებსაც.

თქვენ, ნუბიის მოსახლეობა, დაცულები ხართ ალაჰის დაცვისა და შეუვალობის სიგელით და მისი მოციქულის და წინასწარმეტყველ მუჰამადის დაცვის სიგელით, ალაჰიმე გაუმარჯვებს მას. ჩვენ არ გებრძვით თქვენ და არ გესხმით თავს, სანამ ასრულებთ პირობებს, რომელიც თქვენსა და ჩვენს შორის არის შეთანხმებული.

<sup>1</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 2657.

<sup>2</sup> Al-Baladhuri. *Futuh al-Buldan*, 379-380.

<sup>3</sup> Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901], 2593.

<sup>4</sup> *The History of the Conquest of Egypt, North Africa and Spain, known as the Futuh Misr of Ibn 'Abd Al-Hakam*. Edited by Charles C. Torrey, 188-189.

<sup>5</sup> Al-Maqrīzī, Taqī al-Dīn Ahmad b. 'Alī. *Al-Mawā'iz wa-l-i'tibār fī dhikr al-khitat wa-l-āthār*. III, 290-292; Spaulding, J. "Medieval Christian Nubia and the Islamic World: A Reconsideration of the Baqt Treaty." *The International Journal of African Historical Studies*, Vol. 28, No. 3. 1995, 577-594.

<sup>6</sup> ამ სამშვიდობო ხელშეკრულების დეტალური ანალიზი იხილეთ მილკა ლევი-რუბინთან. Milka Levy-Rubin. Non-Muslims in the Early Islamic Empire. From Surrender to Coexistence.

(ჩვენ შევთანხმდით), რომ თქვენ ჩვენს ქვეყანაში შემოხვალთ მხოლოდ გავლით (სავაჭროთ ან სხვა საქმეზე მხოლოდ), ისე, რომ არ დარჩებით იქ (მუდმივად), ისევე როგორც ჩვენ მხოლოდ გავლით შემოვალთ თქვენს ქვეყანაში და არ დავრჩებით (იქ მუდმივად). და თქვენ გევალებათ მოუფრთხილდეთ მუსლიმს და ვისთანაც თქვენ ხელშეკრულება დადეთ, რომელიც თქვენ ქვეყანაში შემოვა და მიიღოს იგი, სანამ არ დატოვებს თქვენს ტერიტორიას.

თქვენ გევალებათ მუსლიმთა მიწებიდან ყველა გამოქცეული მონის ჩვენთვის დაბრუნება, სანამ ისლამის მიწაზე არ დააბრუნებთ. თქვენ არ დაეპატონებით მას და ხელს არ შეუშლით მუსლიმს მისი მიწის განხორციელებაში (დაიბრუნოს თქვენთან გამოქცეული) და არ შეეცდებით მუსლიმის მოტყუებას, რომ მან ხელი აიღოს მისგან გამოქცეულის მოძებნაზე.

თქვენ გევალებათ მოუფრთხილდეთ მეჩეთს, რომელიც ჩვენ თქვენს ქალაქში ავაშენეთ და არავის აუკრძალოთ მასში ლოცვა. თქვენ გევალებათ მისი დასუფთავება, მოვლა და მისი პატივისცემით მოპყრობა.

თქვენ ყოველ წელიწადს უნდა მოგვცეთ ჩვენ თქვენი ქვეყნიდან 360 ჯანმრთელი მამაკაცი და ქალი მონა. მათ შორის არ უნდა იყოს მოხუცი, ბავშვი, რომელსაც ზრდასრული ასაკისათვის არ მიუღწევია. თქვენ ისინი ასუანის ვალის უნდა გადაუხადოთ.

თუ თქვენ თავშესაფარს მისცემთ მუსლიმის მონას, ან მოკლავთ მუსლიმს ან კი მას, ვისაც მუსლიმთან ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, ანდა დაანგრევთ იმ მეჩეთს, რომელიც ჩვენ თქვენს ქალაქში ავაგეთ, ან კი რაიმეს დააკლებთ იმ 360 მონათაგანს, (იგულისხმება, რომ ნაკლებს მოგვცემთ, ანდა ამ 360-ს შორის უვარგისი, ავადმყოფი, სუსტი მონებიც გამოერევინ), მაშინ თქვენი მხრიდან ეს სამშვიდობო შეთანხმება დარღვეულად ჩაითვლება და ჩვენ გავსწორდებით ერთმანეთის წინაშე, სანამ ალაჰი არ განსჯის ჩვენს შორის (ვინ იქნება უძლიერესი) და იგი საუკეთესო მსაჯულთაგანია.<sup>1</sup>

ჩვენ ალაჰის ამ შეთანხმების, ხელშეკრულების და მოციქულის ზიმას აღსრულება გვმართებს. ჩვენ ამ ხელშეკრულებით გევალება (დავიცვათ) თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც კი თქვენ გწამთ, ეს არის ალ-მასიჰისა და მისი მიმდევრების რწმენის შეუვალობა და დაცვა და იმის მფარველობა, რასაც აღიდეგთ თქვენი

<sup>1</sup> იგულისხმებოდა, რომ არაბები ომს გამოუცხადებდნენ მათ.

რელიგიისა და თქვენი რელიგიური თემის (თანახმად და ადათად). ალაჰია მოწმე თქვენსა და ჩვენს შორის ამაზე.

დაწერა ეს (ხელშეკრულება) 'უმარ იბნ შარაჰბილმა რამადანის თვეში 31-ე წელს. (ანუ, 653 წელს)“.<sup>1</sup>

ამას გარდა, ალ-ბალაზურისთან დამატებით ინფორმაციას ვკითხულობთ, რომ 360 მონის გარდა მათ 1 ჟირაფიც უნდა მიეცათ მუსლიმებისთვის ყოველწლიურად, ხოლო მუსლიმები ნუბიელებს ძმარს, ხორბალს, ღვინოსა და ტანისამოსს ჰპირდებოდნენ.<sup>2</sup>

ეს ხელშეკრულება მოგვიანებით აისახა წერილში, რომელიც გაუგზავნა ეგვიპტის 'აბასიანთა ნაცვალმა ნუბიისა და მუკურის მეფეს 141/758 წელს.<sup>3</sup> ეს წერილი ადასტურებს არა მხოლოდ ხელშეკრულების უდავო არსებობას, არამედ იმასაც, რომ ხელშეკრულების პუნქტები ძალიან ჰგავს ისტორიკოსთა მონათხრობს.

---

<sup>1</sup> مدخل الى دراسة عهود الصلح الاسلامية زمن الفتوح , و داد القادي , 261-262

<sup>2</sup> Al-Baladhuri. *Futuh al-Buldan*, 380-381.

<sup>3</sup> Hinds, M, Sakkout, H. "A letter from the governor of Egypt to the King of Nubia and Muqurra concerning Egyptian-Nubian Relations in 141/758." *Studia Arabica et Islamica: Festschrift for Ihsān 'Abbās on his sixtieth birthday*. Edited by Wadād al-Qāḍī, Ramzi Baalbaki, Peter Bachmann... [et al.]. Beyrouth: American University of Beirut, 1981, 209-229; Plumley, J. Martin. "An Eighth-Century Arabic Letter to the King of Nubia." *The Journal of Egyptian Archaeology*, vol. 61, 1975, 241-45.

### 3.7. ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელი თბილისთან

სამხრეთ კავკასიისთვის ბრძოლა და დაპირისპირებები ათწლეულების განმავლობაში ბიზანტიელებს, ხაზარებს და არაბთა შორის გარდამავალი უპირატესობებით მიმდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ ქართლის საერისმთავრო არაბების უშუალო შემოსვლის წინარე ხანაში არა სასანიანთა ირანის, როგორც ამას რუბინი წერდა,<sup>1</sup> არამედ იმ ხანად უკვე ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. ჰერაკლემ, როგორც ცნობილია, ხაზარებთან ერთად 627 წელს გადაწვა თბილისი და ქართლიც კვლავ პრობიზანტიურ პოლიტიკურ ორბიტაზე დააბრუნა.

როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავდა, „არაბები ქართლს ბიზანტიას ეცილებოდნენ“ და არა ირანს.<sup>2</sup> გარდა ამისა, როგორც ცნობილია, ჰერაკლე კეისრის სამხედრო კამპანიის დროს ახლო აღმოსავლეთში იგი უმოწყალოდ უსწორდებოდა მონოფიზიტებს და დიოფიზიტებს მფარველობდა. ეს კი იმ ხანის ორი უძლიერესი იმპერიის სამხედრო-პოლიტიკურ დაპირისპირებაში იდეოლოგიური ბრძოლის გაგრძელებას წარმოადგენდა, რომელშიც მონოფიზიტები ირანის მოკავშირეები იყვნენ და ბიზანტიას მოწინააღმდეგე მხარედ აღიქვამდნენ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე პოლემიკის საგანს წარმოადგენს არაბი მხედართმთავრის ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ფიჰრის (614-662) მიერ „დაცვის სიგელის“ გაცემის თარიღი. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ზავისა და შეუვალობის (დაცვის) სიგელი გაიცა მე-7 საუკუნის 40-იან წლებში (644-645 წლები; 646-647 წლები;<sup>3</sup> 648 წელი<sup>4</sup>) ხოლო მეორე ნაწილის აზრით, ეს მოხდა 654-655 წელს.<sup>5</sup> ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია სწორედ ეს უკანასკნელი თვალსაზრისი.<sup>6</sup>

<sup>1</sup> Milka Levy-Rubin. *Non-Muslims in the Early Islamic Empire*, 42.

<sup>2</sup> ჯანაშია, ს. *არაბთა საქართველოში*, 360.

<sup>3</sup> ქასრაშვილი, დ. „ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის“ დათარიღებისათვის (საქართველო-არაბეთის ურთიერთობის ისტორიიდან)“, კრ. *მეგობრობა*, თბ., 1980, 129-140.

<sup>4</sup> სილაგაძე ბ. „ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელის დათარიღებისათვის“. *მაცნე*, ისტორიის სერია, 1, 1971, 68-85.

<sup>5</sup> ლორთქიფანიძე, მ. „არაბთა მფლობელობის ხასიათი საქართველოში“, 73-74; ჯანაშია, ს. *არაბთა საქართველოში*, 363-364. პროფ. გ. ჯაფარიძემ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ახალი წყარო ჰაბიბ იბნ მასლამას ლაშქრობასთან დაკავშირებით - ხალიფა იბნ ხაიატი (გარდ. 854წ.). თუმცა, გამოქვეყნდა მხოლოდ თეზისების სახით. ჯაფარიძე, გ. „ხალიფა იბნ ხაიატ ალ-‘უსფური ქართლში არაბთა პირველი ლაშქრობების შესახებ“, *სამეცნიერო კონფერენცია „საქართველო ისლამისა და ქრისტიანობის გზაჯვარედინზე“*, *თეზისები* (თბ., 2019);

<sup>6</sup> ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის“ შესახებ არსებობს ვრცელი ლიტერატურა ქართულ და დასავლურ ისტორიოგრაფიაში. იხ.: გელოვანი, ნ. *თბილისის მუსლიმური თემი (1801-1917)*. თბილისი: კოლორი, 2021, 284-285. ამ საკითხს მიემდვნა ჩემი ორი სტატია: პ. ჭანტურიშვილი, „ჰაბიბ იბნ

დაცვის სიგელის შინაარსი (დოკუმენტს ჩვენამდე არ მოუღწევია) მცირეოდენი სხვაობით დაცულია ხუთ არაბულენოვან ავტორთან: აბუ უბაიდი (770-838), ალ-ბალაზური (892), ატ-ტაბარი (838-923), იბნ ზანჯუვაიკი (796-861) და იაკუთ ალ-ჰამავი (1179-1229).

ბ. სილაგაძე აღნიშნავდა, რომ არაბთა პირველ ლაშქრობებს ქართლში შედეგი არ მოუტანია მათთვის.<sup>1</sup> მართლაც, შაგინიანი იმოწმებს სებეოსს, რომელიც წერდა, რომ 640 წლის 6 ოქტომბერს არაბებმა აიღეს სომხეთის დედაქალაქი დვინი,<sup>2</sup> თუმცა შაგინიანი იქვე აღნიშნავს, რომ ეს იყო სამხრეთ კავკასიის ძარცვა-რბევა და არა რეგიონის ოკუპაცია ან მითუმეტეს მისი სახალიფოში ინკორპორირება. იმ ხანად არაბთა ჯარს სარდლობდა ი'იად იბნ ღანმი ან 'აზდ არ-რაჰიმი, ხოლო სომხეთის მთავარი თეოდოროს რშტუნი იყო. ზუსტად ერთი წლის თავზე, 641 წლის შემოდგომაზე ბიზანტიელებმა საპასუხო სამხედრო ოპერაცია ჩაატარეს სომხებთან ერთად მუსლიმების სამხედრო ექსპანსიის შესაჩერებლად ზედა მესოპოტამიაში. მიუხედავად იმისა, რომ სომხებმა საკმაოდ მძიმე დანაკარგი მიაყენეს არაბებს, საბოლოოდ, ბერძნებიცა და სომხებიც არაბებმა დაამარცხეს და უკუაგდეს.<sup>3</sup>

ო. ცეციტიშვილი მიიჩნევდა, რომ სალმან იბნ რაბი'ა ალ-ბაჰილიმ ქართლი 644-646 წლებში დაიმორჩილა და ყოველწლიური ჯიზიაც კი დააკისრა ქართველებს:<sup>4</sup> ثم انه وجه سنة معلوم يعطونه في كل سنة (ბარდავის დამორჩილების შემდეგ) „სალმან იბნ რაბი'ა გაემართა თავის მხედრებთან ერთად ჯურზანს და დაუზავდა მის მაცხოვრებლებს გარკვეული გადასახდის პირობით, რომელსაც ისინი გადაუხდიდნენ მას ყოველწლიურად“.<sup>5</sup> სამწუხაროდ, უცნობია, რამდენ ხანს შენარჩუნდა ეს პირობები.

აჰმად იბნ 'ასამ ალ-ქუფის ცნობის თანახმად, სალმან იბნ რაბი'ა ქართლის დამორჩილების შემდეგ შირვანს გაემართა.<sup>6</sup> ხოლო ქართლში მალევე, როგორც ჩანს,

---

მასლამას მიერ ქართლის დაპყრობა VII საუკუნეში არაბული დაპყრობითი ომების ჭრილში“, *სპეკალი*, #12, 2018, 83-97; P. Tchanturishvili, “The Seventh Century Conquest of Kartli by Habib ibn Maslamah within the Context of the Arabic Wars,” *Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies University of Warsaw*, 26, 2016, 83-115.

<sup>1</sup> სილაგაძე, ბ. *არაბთა ბატონობა საქართველოში (არაბული ცნობების მიხედვით)*, 38.

<sup>2</sup> Шагинян, А. *Армения и Страны Южного Кавказа в Условиях Византийско-Иранской и Арабской Власти*, 95-99.

<sup>3</sup> იქვე, 100-101.

<sup>4</sup> ცეციტიშვილი, ო. „აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფი არაბთა პირველი ლაშქრობების შესახებ საქართველოში“, 100.

<sup>5</sup> იქვე, 102.

<sup>6</sup> იქვე, 100.



ანტიარაბული აჯანყება დაიწყო, რასაც არაბებისთვის ხარკის შეწყვეტა მოჰყვა. ო. ცეტიშვილი წერდა: „ჩანს, დაცვის სიგელის გაცემა ქართველთა სახელზე არ ყოფილა ერთიანი პოლიტიკური აქტი და არც ქართველები უნდა დამორჩილებოდნენ დამპყრობლებს ერთბაშად“. ფაქტია, რომ არაბებს ხელმეორედ დასჭირდათ ქართლის დამორჩილება.<sup>1</sup> თუმცა, 644-45 წლებში დაცვის სიგელი არაბებსა და ქართველებს შორის არ გაფორმებულა.

654 წელს ჰაბიბ იბნ მასლამამ მოაწყო დიდი სამხედრო კამპანია სომხეთსა და ქართლში.<sup>2</sup> ამ კამპანიის დროს ჰაბიბ იბნ მასლამა მიაღწა კალიკალას (ერზრუმს) და ხანგრძლივი წინააღმდეგობის შემდეგ კაპიტულაციისა და ზავის საფუძველზე დაიმორჩილა ქალაქი.<sup>3</sup> არაბებმა მისცეს ადგილობრივებსა და ბერძნებს ევაკუაციის საშუალება და დარჩენილებს ჯიზია დააკისრეს. ამას გარდა, ვანის ტბის სიახლოვეს განლაგებულ ქალაქებთანაც, სადაც მეტწილად სომხები ცხოვრობდნენ - არაერთი ზავისა და შეუვალობის სიგელი გააფორმა.<sup>4</sup> საბოლოოდ კი, ის დვინშიც შეიჭრა, თუმცა მას წინააღმდეგობა არ გაუწიეს და ამიტომ, იქაც დაცვის სიგელი გაუფორმა მოსახლეობას, რომლის ტექსტიც ალ-ბალაზურიმ შემოგვინახა:

*სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. ეს არის შეუვალობის ხელშეკრულება ჰაბიბ იბნ მასლამასაგან ქალაქ დაბილის (დვინის) ქრისტიანებს, ზოროასტრელებსა და იუდეველებს, ვინც დამსწრეა და ვინც არ არის დამსწრე მათგან ყველას: მე დაგიდეთ დაცვის სიგელი თქვენს სიცოცხლეზე, თქვენს ქონებაზე, თქვენს ეკლესიებზე, თქვენს სალოცავებზე (სინაგოგებსა და ათეშგაჰებზე), თქვენი ქალაქის გალავანზე. თქვენ ხართ უსაფრთხოდ და ჩვენ გპირდებით მფარველობას (ამ) ხელშეკრულების საფუძველზე, თუ ჯიზიასა და ხარაჯას გადაიხდით. დაამოწმა ალაჰმა და საკმარისია ალაჰი მოწმედ. და დაასვა ბეჭედი ჰაბიბ იბნ მასლამამ“<sup>5</sup>*

დვინის დამორჩილების შემდეგ, ჰაბიბ იბნ მასლამამ სომხური მხარეებისა და ქალაქების დასამორჩილებლად ჯარები გააგზავნა, თავად კი დვინში დარჩა.<sup>6</sup> შემდეგ

<sup>1</sup> იქვე, 98.

<sup>2</sup> იქვე, 118-119.

<sup>3</sup> Al-Baladhuri. *Futuh al-Buldan*, 310.

<sup>4</sup> Шагинян, А. *Армения и Страны Южного Кавказа в Условиях Византийско-Иранской и Арабской Власти*, 121-122.

<sup>5</sup> وداد القادي مدخل الى دراسة عهود الصلح الاسلامية زمن الفتوح محمد عدنان و احسان عباس. بلاد الشام في صدر الاسلام 260

<sup>6</sup> Шагинян, А. *Армения и Страны Южного Кавказа в Условиях Византийско-Иранской и Арабской Власти*, 122.

კი, როგორც ჩანს, გაზაფხულზე, ჰაბიბ იბნ მასლამა დაედევნა მავრიანეს, რომელმაც ქართლს შეაფარა თავი. გზად მან რთულად, მაგრამ მაინც აიღო ქალაქები ვაისი (ვაიოც დზორი) და სისაჯანი (სისაკანი/ცლუკი)<sup>1</sup> და ქართლისკენ გაემშურა.<sup>2</sup> როდესაც ქართლისა და სომხეთის მოსაზღვრე ადგილს - „ზათ ალ-ლუჯუმს“ მიაღწია, იქ მას ქართლის პატრიკოსის (ერისმთავრის) - სტეფანოზის მაცნე შეეგება.<sup>3</sup>

ე. სიხარულიძე იაკუთ ალ-ჰამავისა<sup>4</sup> და ალ-ბალაზურის ცნობების მიხედვით აღნიშნავდა, რომ არაბების ამ ლაშქრობის დროს (654 წ), თბილისთან ახლოს ლოჭინთან ქართველმა გლეხებმა არაბებს ბრძოლა გაუმართეს.<sup>5</sup> პავლე თოფურია კი კრიტიკულად უყურებდა ამ ცნობებს და მიიჩნევდა, რომ ტაბარის (და ბალაზურის) მოსაზრება გაცილებით ობიექტურია და რაც მთავარია, არაბული ომების სპეციფიკის გათვალისწინებით და მხედველობაში მიღებით უნდა ყოფილიყო დაწერილი.

ატ-ტაბარი აღნიშნავდა, რომ არაბებსა და ქართველებს შორის ბრძოლა არ მომხდარა და იაკუთ ალ-ჰამავის მიერ ქართლში მოხსენებული „ზათ ალ-ლუჯუმი“ ذات اللجوم გაურკვეველი და დაუდგენელი ტოპონიმი (და არა თბილისის ახლოს „ლოჭინი“, როგორც ე. სიხარულიძე ფიქრობდა)<sup>6</sup> უნდა ყოფილიყო, სავარაუდოდ სომხეთის მიწაზე. პ. თოფურიას მიაჩნდა, რომ ატ-ტაბარის ზუსტად ჰქონდა გადმოცემული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ როდესაც ჰაბიბ იბნ მასლამას გადაწყვეტილი ჰქონდა ქართლის (ანუ ჯურზანის) დამორჩილება, მან ჯერ სომხეთის ქალაქები დაიმორჩილა, ხოლო როდესაც *სომხეთის შუაგულს მიაღწია*, მას შეეგება ქართლის პატრიკოსის წარმომადგენელი (სომხეთის მიწაზე) (სხვა დიდებულებთან ერთად) და დაცვის სიგელი სთხოვა არაბებს.<sup>7</sup> თოფურიას მოსაზრება თითქმის სრულიად მართებული უნდა იყოს, თუმცა ზემოხსენებული დამატებითი ინფორმაციის წყალობით, ნათელია, რომ „ზათ ალ-ლუჯუმი“, დიდი ალბათობით,

<sup>1</sup> Al-Baladhuri. *Futuh al-Buldan*, 315.

<sup>2</sup> Шагинян, А. *Армения и Страны Южного Кавказа в Условиях Византийско-Иранской и Арабской Власти*, 123.

<sup>3</sup> იქვე, 124. Al-Baladhuri. *Futuh al-Buldan*, 315.

<sup>4</sup> სიხარულიძე, ე. *იაკუთის ცნობები საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის შესახებ*, 81.

<sup>5</sup> თოფურია, პ. „ქართველთა ეროვნული თვითშემეცნების ისტორიიდან. ტაბარის ერთი ცნობის ინტერპრეტაცია“, 189-191.

<sup>6</sup> სიხარულიძე, ე. „საქართველოში არაბთა პირველ ლაშქრობათა ზოგიერთი საკითხისათვის“, 85.

<sup>7</sup> თოფურია, პ. „ქართველთა ეროვნული თვითშემეცნების ისტორიიდან. ტაბარის ერთი ცნობის ინტერპრეტაცია“, 146.

ქართლისა და სომხეთის საზღვართან ახლოს (სომხური) დასახლება (და არა სომხეთის შუაგულში მდებარე) გეოგრაფიული ტოპონიმი უნდა ყოფილიყო.

ქართლის პატრიკოსის - სტეფანოზის წარმომადგენელს, რომელსაც تولى თეოფილე / نلقى ნიკალა ერქვა, თან დიდებულთა ჯგუფიც ახლდა და როგორც ჩანს, ქართლის პატრიკოსმა სტეფანოზმა არაბებს ძღვენის სახით 100 დინარიც მიართვა, ხოლო დიდებულებმა 80.000 დირჰამი გადასცეს მას.<sup>1</sup> აბუ 'უბაიდის ინფორმაციის თანახმად, ნათელი ხდება, რომ არაბებს არა ერთჯერადი გამოსასყიდი, არამედ სისტემური გადასახადი - ჯიზია, რომელსაც როგორც ჩანს, ხარაჯის დატვირთვაც ჰქონდა, სურდათ ქართველებისგან.<sup>2</sup> შემდეგ, ჰაბიბ იბნ მასლამა, როგორც ჩანს, ფამბაქისა და დებედას მდინარეების გზით შემოვიდა თბილისში და დაცვის სიგელიც გააფორმა.

**ბალაზურისთან ვკითხულობთ:** „სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა. ეს არის წიგნი ჰაბიბ იბნ მასლამასაგან თბილისის მოსახლეობისადმი მანგლისიდან,<sup>3</sup> კირმიზის ქართლიდან,<sup>4</sup> მათი პიროვნების, ეკლესიების, სენაკების, ლოცვისა და სარწმუნოების შეუვალობის პირობით,<sup>5</sup> დამცირებისა და ჯიზიის აღიარებით,<sup>6</sup> ყოველ კომლზე - დინარი.<sup>7</sup> თქვენ არ გაქვთ უფლება, რომ გააერთიანოთ კომლების ჯიზიას შესამცირებლად, და არც ჩვენ, რომ დავანაწილოთ ისინი მის გასადიდებლად.<sup>8</sup> ჩვენ გვექნება თქვენი კეთილი რჩევა<sup>9</sup> და თქვენი შეწევნა ალაჰისა და მისი მოციქულის, ალაჰიმც აკურთხებს მას და გაუმარჯვებს, მტრების წინააღმდეგ, რამდენადაც თქვენ

<sup>1</sup> ცქიტიშვილი, ო. „აჰმად იბნ ასამ ალ-ქუფი არაბთა პირველი ლაშქრობების შესახებ საქართველოში“, 98-99.

<sup>2</sup> სიხარულიძე, ე. „ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის“ აბუ უბაიდისეული ვარიანტი“, 8-9.

<sup>3</sup> ტაბარისთან არის „ჯურზანიდან“ [ე.ი. ქართლიდან].

<sup>4</sup> ატ-ტაბარისთან არის „არმაზის მიწიდან“. / აბუ 'უბაიდთან არის: „ეს არის წიგნი ჰაბიბ იბნ მასლამასი ალ-ჰირმინის (الحمير) (ეს სიტყვა - ალ-ჰირმინ - საგანგებოდაა გახმოვანებული აბუ 'უბაიდის თხზულების ორივე ნუსხაში) მიწის თბილისის მოსახლეობისადმი. / იბნ ზანჯუვაიჰთან: „ესაა ჰაბიბ იბნ მასლამას სიგელი ალ-ჰარმაზის ქვეყნის თაფლისის მცხოვრებთათვის. / იაკუთ ალ-ჰამავისთან: „ესაა წიგნი ჰაბიბ იბნ მასლამასაგან თბილისის მოსახლეობისადმი მანჯალისის რუსთაკიდან, ჰარმაზის ჯურზანიდან.“

<sup>5</sup> ატ-ტაბარისთან: „თქვენი პიროვნების, ქონების, სენაკების, ეკლესიების და ლოცვის შეუვალობის პირობით“. / აბუ 'უბაიდთან: თქვენი პიროვნების, შთამომავლობის, ოჯახების, ქონების, სენაკების, ეკლესიების, სარწმუნოებისა და სამლოცველოების შეუვალობის შესახებ.

<sup>6</sup> იბნ ზანჯუვაიჰთან: „დამამცირებელი ჯიზიის აღიარებით.“

<sup>7</sup> ტაბარისთან და იბნ ზანჯუვაიჰთან: „სრული დინარი“.

<sup>8</sup> ტაბარისთან ეს წინადადება საერთოდ არ ფიგურირებს, ხოლო აბუ 'უბაიდთან არის.

<sup>9</sup> იბნ ზანჯუვაიჰთან: „ჩვენ გვექნება თქვენი გულწრფელობა“.

შეგეძლებათ;<sup>1</sup> გამასპინძლება ღამით გაჭირვებული მუსლიმისა კეთილად, წიგნის ხალხთათვის, ჩვენთვის, ნებადართული საქმლით.<sup>2</sup> და თუ ჩამორჩება კაცი მუსლიმი თქვენთან, მაშინ თქვენზეა მისი მიყვანა მართლმორწმუნეთა უახლოეს რაზმამდე, თუ ეს თქვენთვის შეუძლებელი არ არის. და თუ თქვენ მოიქცევით და შეასრულებთ ლოცვას, მაშინ იქნებით თანამომენი სარწმუნოებაში.<sup>3</sup> თუ არა, მაშინ ჯიზიაა თქვენზე. და თუ შეემთხვათ მუსლიმებს რაიმე საქმე, ვერ მოიცალეს თქვენთვის და დაგიმორჩილათ მტერმა თქვენმა, ამის გამო თქვენ არ დაისჯებით და არ იქნება ეს დარღვევა თქვენი პირობისა.<sup>4</sup> ესაა თქვენი უფლებები და ესაა თქვენი მოვალეობები. მოწმეა ალლაჰი და ანგელოსნი მისნი. საკმარისია ალლაჰი მოწმედ“.<sup>5</sup>

როგორც ვხედავთ, ყველაზე ადრეული ავტორის აბუ ‘უბაიდის ცნობით, თბილისი არმენიის (ალ-ჰირმინ) რეგიონის ნაწილი იყო. ე. სიხარულიძის აზრით, თავდაპირველი ფორმა სწორედ ეს იყო და ამდენად, ამ სიგელებში ყველაზე სწორი ვარიანტიც უნდა იყოს არდ ალ-ჰირმინ, ხოლო ყველა დანარჩენი ვარიანტი, როგორცაა „(ჰ)არმაზის მიწა“ ارض الهمز ანდა „კირმიზის მიწა“ ارض القرمز ნამდვილი ვარიანტის, ანუ „ჰირმინის მიწის“ დამახინჯებული სახესხვაობაა.<sup>6</sup>

ამ მოსაზრებას არ იზიარებდა მ. ლორთქიფანიძე და მიიჩნევდა, რომ „იქ, სადაც თავდაპირველ ვარიანტში იყო „ჰარმაზი“, „მანგლისი“ („მანჯალისი“) რომელიმე არაბმა გადამწერმა მისთვის უცნობი „ჰარმაზი“ თავისთვის ცნობილ „არმინიად“ შეცვალა, ხოლო „მანჯალისი“ საეროდ გამოტოვა“.<sup>7</sup> თუმცა, საქმე ისაა, რომ „თბილისის მითითება ირმინიის {არმენიის} ქვეყანაში ბუნებრივია არაბული ტრადიციისთვის.

<sup>1</sup> ატ-ტაბარისთან: „ჩვენ გვექნება თქვენი კეთილი რჩევა და შეწევნა ალლაჰის მტრების, ჩვენი მტრების წინააღმდეგ.“ / აბუ ‘უბაიდთან: „ჩვენ გვექნება თქვენი კეთილი რჩევა და შეწევნა, ალლაჰის, მისი მოციქულისა და მორწმუნეთა მტრების წინააღმდეგ, რამდენადაც თქვენ შეგეძლებათ.“

<sup>2</sup> აბუ ‘უბაიდთან: „გამასპინძლება ღამით კეთილად გზად მიმავალი მუსლიმისა წიგნის ხალხთათვის ნებადართული საქმლითა და სასმელით“.

<sup>3</sup> ატ-ტაბარისთან არის: „და თუ მიიღებთ ისლამს, შეასრულებთ ლოცვას და გადაიხდით ზაქათს, მაშინ იქნებით ჩვენი თანამომენი სარწმუნოებაში და ჩვენი მავლები“. იბნ ზანჯუვაიჰთან: „და თუ თქვენ მოინანიებთ, შეასრულებთ ლოცვას და გადაიხდით ზაქათს, მაშინ ჩვენი ძმები ხართ სარწმუნოებით“.

<sup>4</sup> ატ-ტაბარისთან ეს წინადადება არ ფიგურირებს.

<sup>5</sup> თარგმანი ე. სიხარულიძის „ჰაზიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის“ აბუ უბაიდისეული ვარიანტი,“ ატ-ტაბარისთან არის: და ვინც განუდგება (მოქცევის შემდეგ) ალლაჰს და მის მოციქულს, წიგნს მისას და კრებულს მისას, გამოეცხადება ომი განურჩევლად, რამეთუ ალლაჰს არ უყვარს მოღალატენი. მოწმეა ყაბდ არრაჰმან იბნ ხალიდი, ჰაჯჯაჯი და ყიადი. მოწმეა ალლაჰი, ანგელოსნი მისნი და მართლმორწმუნენი. საკმარისია ალლაჰი მოწმედ“.

<sup>6</sup> სიხარულიძე, ე. ჰაზიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელის აბუ უბაიდისეული ვარიანტი, 9.

<sup>7</sup> ლორთქიფანიძე, მ. „არაბთა სახალიფოს გავლენის დამყარება ქართლში. ქართულ-არაბული ურთიერთობები VII-VIII საუკუნეებში“, 174.

სახალიფოს ადმინისტრაციული დაყოფის თანახმად, ქართლი, ანუ ჯურჯანი „მცირე არმინიაში“ იმავე II არმინიაში ერთიანდებოდა<sup>1</sup> და აზერბაიჯანთან და ალ-ჯაზირასთან ერთად შეადგენდა სახალიფოს ჩრდილოეთ ოლქს“.<sup>2</sup>

IX საუკუნეში მცხოვრები ჰუმაიდ იბნ ზანჯუვაიჰი აბუ ‘უბაიდის მოსწავლე იყო. მან „ქონების წიგნში“ კეთილსინდისიერად გადაწერა მასწავლებლის ცნობა და მცირე კომენტარებიც დაურთო შეუვალობის სიგელს.<sup>3</sup> თუმცა, უცნაური მაინც ის არის, რომ მან თბილისი, მასწავლებლისგან განსხვავებით, ერთ ადგილას „არმინიის ქვეყანაში“ შეიყვანა, ხოლო მეორე ადგილას – „ჰარმაზის ქვეყანაში“. ამის შესახებ ო. ცქიტიშვილი აღნიშნავდა: „ეჭვი არ არის, რომ „ალ-ჰარმაზი“, „ალ-ჰარმაზის ქვეყანა“ ცნობილი არმაზია და ეს ტოპონიმი სავსებით სწორად არის მოტანილი იბნ ზანჯუვაიჰთან, მაშინ როცა აბუ უბაიდთან იგი დამახინჯებული ფორმით „ალ-ჰარმან“ წერია. ამ ტოპონიმის აბუ უბაიდთან ასეთი არასწორი ფორმით მოტანა რამდენიმე გარემოებით შეიძლება აიხსნას: ან გადაწერის მიერ თავის დროზე დაშვებული შეცდომით, ან გამოცემაში დაშვებული კორექტურული შეცდომით, ანდა თვით აბუ უბაიდის უცოდინრობით არმაზის და არა ალ-ჰარმანის არსებობის შესახებ. იბნ ზანჯუვაიჰთან კი „არმაზ“ ტოპონიმის არაბულად სწორად გადმოცემა შეიძლება აიხსნას იმ ფართო ინფორმაციით, რომელიც, არ არის გამორიცხული, მას უნდა ჰქონოდა აღმოსავლეთ საქართველოს ტოპონიმიკაზე“.<sup>4</sup>

გ. წერეთელი ემხრობოდა აზრს, რომ თბილისის მანგლისის ოლქში ერთიანდებოდა და არაბები მას „კირმიზის ქართლს“ ემახდნენ ქართლში გავრცელებული სპეციფიკური მუხის ქერქის გამო, საიდანაც (თითქოს) საღებავს ამზადებდნენ.<sup>5</sup>

ლ. ნადირაძე ფიქრობდა, რომ მუსლიმმა არაბებმა თბილისელებს დაავალეს ქრისტიანებისთვის, როგორც „წიგნის ხალხისთვის“ ნებადართული საჭმლით მუსლიმთა გამასპინძლება. მკვლევარი წერდა, რომ მე-7 საუკუნეში ყურანის დოგმატიკიდან და ისლამის ფუნდამენტური პრინციპიდან გამომდინარე „წიგნის ხალხად“ მიიჩნეოდნენ არამუსლიმი მონოთეისტები, რომლებიც არაბთა აზროვნებისა

<sup>1</sup> Al-Baladhuri. *Futuh al-Buldan*, 305.

<sup>2</sup> სიხარულიძე, ე. *იაკუთის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ*, 12.

ცქიტიშვილი, ო. „ჰაზიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელი ჰუმაიდ იბნ ზანჯუვაიჰის ქონების წიგნში“, 104.

<sup>3</sup> იქვე, 104.

<sup>4</sup> ცქიტიშვილი, ო. „ჰაზიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელი ჰუმაიდ იბნ ზანჯუვაიჰის ქონების წიგნში“, 109.

<sup>5</sup> იხილეთ წერეთელი, გ. *არაბულ-ქართული ლექსიკონი*, 197.

და იმ პერიოდში გაბატონებული სოციალურ-ფსიქოლოგიური მენტალიტეტიდან გამომდინარე იხდიდნენ დამკვინებელ და ღირსების შემლახველ გადასახადს - ჯიზიას. მკვლევარს მოჰყავს არაერთი ისტორიული ფაქტი, რომელიც ამტკიცებდა იმას, თუ როგორ ეზიზღებოდათ ქრისტიან არაბებსა და სპარსელ ზოროასტრელებსაც კი ეს გადასახადი და როგორც ცდილობდნენ გვერდის ავლას მათთვის ამ შეურაცხმყოფელი გადასახადისაგან.<sup>1</sup> აქედან გამომდინარე, მუსლიმები ტერმინში „წიგნის ხალხი“ ყოველთვის არამუსლიმ მონოთეისტებს და არა საკუთარ თავს გულისხმობდნენ.<sup>2</sup>

ადრეულ სახალიფოს პერიოდში ჯიზია იყო ან მკაცრად განსაზღვრული თანხა (1 დინარი 1 კომლზე) ან ასევე მკაცრად დადგენილი და განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი (1 კომლზე გადასახადი ნატურით). თბილისელებისათვის გაცემულ დაცვის სიგელში ჯიზია საკომლო გადასახადი იყო. სანამ მუსლიმური სამართალი ჩამოყალიბდებოდა, არაბებმა ირანიდან გადმოიღეს ჯიზიის კომბინირებული, შერეული ვარიანტი, სადაც ხშირ შემთხვევაში, „ჯიზიით იბეგრებოდა პიროვნებაც და უძრავ-მოძრავი ქონებაც. ე.ი. ერთდროულად ჯიზიაც იყო და ხარაჯაც. გადასახადი იყო ყოველწლიური და აიღებოდა წელიწადში ერთხელ ფულით, ნატურით ან ფულითაც და ნატურითაც.<sup>3</sup> მისი ოდენობა განისაზღვრებოდა იმის მიხედვით, თუ ვინ რა შემდეგის იყო“.<sup>4</sup> ასეთი შემთხვევა უნდა ყოფილიყო ჰაბიბის მიერ თბილისელებისადმი გაცემულ დაცვის სიგელის პირობებშიც.<sup>5</sup>

მე-10 საუკუნის ირანელი ისტორიოგრაფსა და გეოგრაფ იბნ ალ-ფაკიჰს ჩამოთვლილი აქვს ყველა ის ადგილი, რომელიც ჰაბიბ იბნ მასლამამ სამშვიდობო მოლაპარაკებებით დაიმორჩილა თბილისის შემდეგ: *فتح حبيب بن مسلمة لعثمان بن عفان من ارمينيا* و كسفر و كسال و خنان و سمسخي و الجردمان و كسفر نس و شوشيت و بازلت صلحا على ان يؤدوا اتاوة عن جرزان و كسفر و كسال و خنان و سمسخي و الجردمان و كسفر نس و شوشيت و بازلت صلحا على ان يؤدوا اتاوة عن رؤسهم و اراضيهم و صالح الصنارية و اهل فلرجيت و الدودانية على اتاوة

„დაიპყრო ჰაბიბ იბნ მასლამამ ‘უსმან იბნ ‘აფფანისთვის არმენიის ნაწილები: ჯურზანი, ქასფარი, ქასალი, ხუნანი, სამსახი, ალ-ჯარდმანი, ქსფიბისი, შავშითი და ბაზალითი სულჰით, იმ პირობით, რომ გადაიხდიდნენ გადასახადს სულზე და

<sup>1</sup> Надирадзе, Л.И. “К интерпретации термина ахл ал-китаб,” 46-48.

<sup>2</sup> იქვე, 49.

<sup>3</sup> იქვე, 33-52 / 39-40.

<sup>4</sup> სილაგაძე, ბ. „არაბთა ბატონობა საქართველოში. არაბული ცნობების მიხედვით“, 77.

<sup>5</sup> იქვე, 77.

მიწაზე. და შეუთანხმდა სანარიელებს, კლარჯეთისა და დუდანის მცხოვრებლებს გადასახადზე.<sup>1</sup> ხუნანის დაპყრობას ასევე ადასტურებს იაკუთ ალ-ჰამავიც.<sup>2</sup>

ხოლო ბალაზურისთან ვკითხულობთ: وفتح حبيب حوارج و كسفر سي و كسال و خنان و سمسخي و الجرديمان و كستجي و شوشيت و بازليت صلحا علي حقن دماء اهلها و اقرار مصلياتهم و حيطانهم و علي ان يؤدوا اتاوة عن ارضهم و رؤسم و صالح اهل قلرجيت و اهل ثرياليت و خاخيت و خوخت و ارطهال و باب اللال و صالح الصنارية و الدوانية علي اتاوة

„და დაიპყრო ჰაბიბმა ჰვარჰ, ქასფრისი, ქასალ, ხუნანი, სამსახი, ალ-ჯარდმანი, ქსთსჯი, შვშით, ბაზლით ზავით, იმ პირობით, რომ (არაბები) არ დაღვრიდნენ მათი მცხოვრებლების სისხლს, არ დაანგრევდნენ მათ სალოცავებს და ქალაქის გალავნებს და რომ ისინი (დაპყრობილები) გადაიხდიდნენ გადასახადს მიწაზე და სულზე. და დაეზავა მოსახლეობას კლარჯით, სრიალით, ხახით, ხუხით, არტჰალ და ბაბ ალ-ლალისა. და დაეზავა სანარიელებსა და დუდანიელებს გადასახადის პირობით.“<sup>3</sup>

ე. სიხარულიძე არაბი ისტორიკოსების მიერ საკმაოდ სახეცვლილი ფორმით ჩაწერილი ტოპონიმების სახელწოდებებს ასე გადმოგვცემს: خنان - ხუნანი, سمسخي - სამცხე, الجرديمان - გარდაბანი,<sup>4</sup> شوشيت - შავშეთი, بازليت - ბაზალეთი, خوخت - კუხეთი, خاخيت - კახეთი, ارطهال - არტა(ა)ნი, باب اللال - დარიალანი, (დარიალის ხეობა), حوارج - ხერკი (?) (მცხეთასთან?), ان جاجახეთი, كسفر نس - ქსოვრისი, كسال - ქსანი,<sup>5</sup> ارطهال - არტანნი, كسفر - კასპი, الصنارية - წანარები, الدوانية - დიდოელები,<sup>6</sup> شوشيت - შავშეთი, قلرجيت - კლარჯეთი, ثرياليت - თრიალეთი.

ე. სიხარულიძის მიხედვით შეგვიძლია მხოლოდ სავარაუდოთ აღვადგინოთ ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ დამორჩილებული ტერიტორიების სახელწოდებები: „დაიპყრო ჰაბიბმა ხერკი, (თუ ჯავახეთი?) ქსოვრისი, ქსანი (ან ქასალი), ხუნანი, სამცხე, გარდაბანი, (ან გარდმანი. ორივე შესაძლებელია), კასპი, შავშეთი, ბაზალეთი ზავით, იმ პირობით, რომ [არაბები] არ დაღვრიდნენ სისხლს მათი მცხოვრებლისა, არ

<sup>1</sup> სიხარულიძე, ე. „საქართველოში არაბთა პირველ ლაშქრობათა ზოგიერთი საკითხისათვის“, 187, 189.

<sup>2</sup> სიხარულიძე, ე. *იაკუთის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ*, 52.

<sup>3</sup> სიხარულიძე, ე. „საქართველოში არაბთა პირველ ლაშქრობათა ზოგიერთი საკითხისათვის“, 189. Al-Baladhuri. *Futuh al-Buldan*, 318.

<sup>4</sup> ეს ასევე შესაძლებელია იყოს არა გარდაბანი, როგორც ეს ე. სიხარულიძეს აქვს, არამედ **გარდმანი**, როგორც არის ორიგინალში, არაბულად, რომელიც მე-7 საუკუნეში არანის სამთავროში შედიოდა. თუმცა, შესაძლოა გარდაბანიც ყოფილიყო რუსთავის სამხრეთით.

<sup>5</sup> ე. სიხარულიძესთან ქსანი, შესაძლოა, არაზუსტი იყოს და სწორი იყოს ქასალი. ეს იყო რეგიონი ხუნანსა და გარდაბანს შორის.

<sup>6</sup> სიხარულიძე, ე. „საქართველოში არაბთა პირველ ლაშქრობათა ზოგიერთი საკითხისათვის“, 191-194.

დაანგრევდნენ მათ სალოცავებს და ქალაქის გალავნებს და რომ ისინი (ქართველები) გადაიხდიდნენ გადასახადს მიწაზე და სულზე. და დაეზავა კლარჯეთის, თრიალეთის, კახეთის, კუხეთის, არტაანის, დარიალანის მოსახლეობას, წანარებსა და დიდოელებს გადასახადის პირობით“.<sup>1</sup> ამავე დროს ხალიფა ‘უსმანის ბრძანებით სალმან იბნ რაბი‘ა ალბანეთისკენ დაიძრა ჯარით. თუმცა, ამასთან დაკავშირებით, არაბული წყაროები ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას იძლევიან - ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ალბანეთის და ქართლის დაპყრობა პარალელურად მიმდინარეობდა, ზოგან კი ალბანეთში ჯარები ქართლის საერისმთავრომდე შევიდნენ.<sup>2</sup> ალბანეთის დაპყრობა სალმან იბნ რაბი‘ას მიერ გადმოცემული აქვს შაგინიანს.<sup>3</sup> სწორედ ამ პერიოდში სალმან იბნ რაბი‘ას მოუწია ხაზარებთან შებრძოლება, სადაც იგი 655 წელს შეტაკებაში მოკლა მოწინააღმდეგემ ბალანჯართან, მას შემდეგ, რაც მან ალბანეთის დამორჩილების შემდეგ დერბენდიც აიღო და ხაზართა მიწაზე გადავიდა.<sup>4</sup>

საერთო ჯამში, ჰაბიბ იბნ მასლამას და სალმან იბნ რაბი‘ას სამხედრო სვლები წარმატებით დასრულდა, რადგანაც ჰაბიბმა დააკისრა ყოველწლიური ჯიზია ქართველებსა და ალბანელებსაც, რის შემდეგაც იგი სირიაში დაბრუნდა; აგრეთვე სირიაში გაემართა თეოდოროს რშტუნიც, სადაც იგი მალევე გარდაიცვალა.<sup>5</sup>

როგორც ჩანს, ქართლის საერისმთავრო არაბებმა ცალ-ცალკე მხარეებად დაიმორჩილეს,<sup>6</sup> თუმცა, ვფიქრობთ, რომ არაბებს მოუწიათ ამის გაკეთება არა იმიტომ, რომ არაბები „დაყავი და იბატონეს“ პრინციპით ხელმძღვანელობდნენ. სავარაუდოდ, ქართლის ერისმთავრის ძალაუფლება არ ვრცელდებოდა ქართლის იმ ტერიტორიებზე, რომელიც ჩამოთვლილია ორ არაბ ისტორიკოსთან და არაბებიც იძულებული იყვნენ სათითაოდ დაემორჩილებინათ ქართლის მხარეები.

---

<sup>1</sup> იქვე, 193.

*ქსალისა და გარდმანის ტოპონიმები დავაზუსტეთ საქართველოს ისტორიის ატლასის მეშვეობით. იხ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. მთავარი რედაქტორი დავით მუსხელიშვილი, გამომცემლობა არტანუჯი, 2016.*

<sup>2</sup> Шагинян, А. *Армения и Страны Южного Кавказа в Условиях Византийско-Иранской и Арабской Власти*, 126.

<sup>3</sup> იქვე, 127-8.

<sup>4</sup> იქვე, 129.

<sup>5</sup> იქვე, 129-130.

<sup>6</sup> ლორთქიფანიძე, მ. „არაბთა სახალიფოს გავლენის დამყარება ქართლში. ქართულ-არაბული ურთიერთობები VII-VIII საუკუნეებში“, 176.



სანამ არაბები დაცვის სიგელს გააფორმებდნენ თბილისელებთან, ისინი როგორც ჩანს, 644-645 წლებში, სადაზვერვო ლაშქრობებს აწყობდნენ სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე და ასუსტებდნენ ბიზანტიის პოზიციებს ამ რეგიონში. არ არის გამორიცხული, რომ სალმან იბნ რაბი'ამ 644-645 წლებში მოახერხა და დაიმორჩილა თბილისი და ვერ გამოვრიცხავთ, რომ ბეგარაც კი დააკისრა მათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართლში ანტიარაბულმა მოძრაობამ იფეთქა და ქართლის საერისმთავრო მალევე გამოვიდა არაბთა გავლენის სფეროდან ბიზანტიის დახმარებით, მაგრამ 654-655 წლებში ჰაბიბ იბნ მასლამამ დაცვის სიგელი მაინც გააფორმა თბილისთან, რაც ბუნებრივია, თბილისისა და ქართლის საერისმთავროს არაბთა გავლენის ზონაში დატოვების ტოლფასი იყო.

ქართლის ერისმთავარმა ზუსტად შეაფასა იმ დროისთვის არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარება და რაციონალური გადაწყვეტილებაც მიიღო. სხვა შემთხვევაში, ქართლი, როგორც ბიზანტიის მოკავშირე, სავარაუდოდ, ვერ გადაურჩებოდა არაბთა აოხრებას და ძნელი წარმოსადგენია, ბიზანტიის დახმარების გარეშე ქართველებს რაიმე წინააღმდეგობა გაეწიათ არაბთათვის. ვფიქრობთ, რომ სხვა დაცვის სიგელები არაბებს ასევე ქართლის საერისმთავროს სხვა მხარეებისთვისაც სათითაოდ უნდა წარედგინათ, რაც კარგად დასტურდება ალ-ბალაზურისთან და იბნ ალ-ფაკიჰთან ქართლის მხარეების სათითაოდ ჩამოთვლისას და რაც შეესაბამება არაბთა დაპყრობების ხასიათს. რაც შეეხება ქართლის სხვა მხარეებისთვის გაცემულ დაცვის სიგელებს. მათ შესახებ ცნობები არ გვაქვს.

თავდაპირველ ხანებში ქართლის საერისმთავრო ის პოლიტიკური ერთეული იყო, რომელთანაც არაბებს მხოლოდ {დიპლომატიური} ხელშეკრულება, ე.წ. „ამან“ ჰქონდათ გაფორმებული - სიცოცხლის, ქონების, შიდაპოლიტიკური და სოციალურ-კულტურული წეს-წყობილების ხელშეუხებლობაზე იმ პირობით, თუ ქართველები შეასრულებდნენ დაცვის სიგელის პირობებს და გადაიხდიდნენ შერეულ ჯიზიას, რომელიც ამავდროულად მათი ერთწლიანი დაცვის გარანტი იყო.<sup>1</sup>

ჩვენ ვიცით, რომ თბილისის სამშვიდობო გზით დამორჩილების შემდეგ, არაბებმა ქართლის სხვა მხარეებიც - სამშვიდობო ხელშეკრულებების საფუძველზე დაიმორჩილეს. თუმცა, მაინც ბუნდოვანი რჩება საკითხი: ქართლს ჰყავდა მმართველი

<sup>1</sup> Ahmed Mohsen Al-Dawody. *War in Islamic War: Justifications and Regulations*, 245-246.

- პატრიკოსი, მაშინ, რაღატომ დასჭირდათ არაბებს ქართლის სხვა მხარეების დამორჩილება, თუ მისი ცენტრალური ქალაქი თბილისი პირველი იყო, რომელიც დაემორჩილა არაბებს? იქნებ, ქართლის ერისმთავრის ძალაუფლება არ ვრცელდებოდა ქართლის მთელ ტერიტორიაზე?

ჩვენ არ მოგვეპოვება არცერთი სხვა დოკუმენტი, გარდა თბილისის ზავისა და შეუვალობის სიგელისა, რომელიც არაბ ისტორიკოსებთან არის დაფიქსირებული. ამავდროულად, იბნ ალ-ფაკიჰ ალ-ჰამადანის და ალ-ბალაზურის დამახინჯებით, მაგრამ, არც თუ ისე რთულად გასარჩევი და წასაკითხი ქართული მხარეები (დაუდგენელი „ქუსთასჯის“ გარდა) აქვთ ჩამოთვლილი, რომელიც ჰაბიბ იბნ მასლამამ ასევე სამშვიდობო ხელშეკრულებების საფუძველზე დაიმორჩილა. რადგანაც ორი წყაროს დამთხვევის შემთხვევაში მცირეა ისტორიული უზუსტობის ალბათობა, უნდა ვიფიქროთ, რომ ორ ისტორიკოსს ობიექტური სურათი აქვთ აღწერილი.

ჩვენი მხრიდან გამოვთქვამდით ვარაუდს, რომ არაბებმა, თბილისის დამორჩილების შემდეგ, ალბათ, სათითაოდ გაუფორმეს დაცვის სიგელები წანარებს, კახელებს, კუხელებს, დიდოელებს, კასპელებს იმ მიზეზით, რომ ქართლის ერისმთავრის ძალაუფლება არ (ვერ) ვრცელდებოდა ქართლის მთლიან ტერიტორიაზე, ამიტომაც არაბებს მოუწიათ იმ მხარეების დამორჩილებაც. ეს არ უნდა იყოს გასაკვირი, თუკი ქართლის მთელი მე-6 ს-ის და მე-7 ს-ის დასაწყის ისტორიას გავიხსენებთ, როცა ქართლი ხან ბიზანტიის და ხანაც ირანის ძლიერი პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყო მოქცეული, რის გამოც ქართლის ერისმთავრის პოლიტიკური ძალაუფლება შესუსტებული და შეზღუდული უნდა ყოფილიყო.

## დასკვნა

დისერტაციაში განხილული მასალების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

ისლამამდელი ხანის წარმართი არაბები, ვაჭრების მეშვეობით, ქრისტიანობის სხვადასხვა მიმდინარეობას ეცნობოდნენ. ამავდროულად, მუჰამადამდელ პერიოდში რეგიონში საკმაოდ ბევრი ქრისტიანული თემი ცხოვრობდა, რომლებთანაც წარმართ არაბებს მუდმივი დიალოგი და კომუნიკაცია ჰქონდათ და ამიტომაც, მათთვის არ წარმოადგენდა სიახლეს მუჰამადის ქადაგებების ის ნაწილიც, სადაც ქრისტესა თუ მარიამის შესახებ იყო საუბარი. ამის შესახებ პირდაპირი ინფორმაცია მოგვეპოვება ყურანში, სადაც მუჰამადს საყვედურობენ „გარდასულთა ამბებისა“ და „წინაპართა ზმანებების“ გამეორებას. ამას გარდა, როგორც ჩანს, ისლამამდელი ხანის არაბები საკმაოდ კარგად იცნობდნენ ბერ-მონასტრულ ცხოვრების სტილსაც და ინფორმაცია ჰქონდათ ქრისტიანობის შიგნით არსებული განხეთქილებებისა და დაპირისპირებების შესახებაც.

არაბეთის ნახევარკუნძული ისლამამდელ და ადრეისლამურ პერიოდში ბიზანტიის, ირანისა და ეთიოპიის გეოპოლიტიკური დაპირისპირებების ასპარეზი იყო და ამ სამი რეგიონალური მოთამაშის გავლენის სფეროებად იყო დაყოფილი. შესაბამისად, არაბეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ რეგიონებში, ირანის ხელშეწყობის შედეგად, ქრისტიანობის ნესტორიანული მიმდინარეობა მძლავრობდა, ხოლო, ბიზანტიის დახმარებით, სამხრეთ და დასავლეთ მიწებზე - მონოფიზიტური. ისლამამდელი პერიოდის არაბები ამ დაპირისპირებული პოლიტიკური მოთამაშეების მხარეზე იბრძოდნენ და მათ ჩრდილქვეშ მეტნაკლები წარმატებით აყალიბებდნენ საკუთარ პოლიტიკურ გაერთიანებებს. ამათ შორის ყველაზე წარმატებულები იყვნენ ჰიმირიელთა, ღასანიანთა და ლახმიდიანთა პოლიტიკური ერთეულები.

ბიზანტია და ირანი ერთმანეთთან ბრძოლაში წარმატების მისაღწევად ყველა შესაძლო ხერხს მიმართავდა, რომელთა შორისაც უმნიშვნელოვანესი იყო არაბეთის ნახევარკუნძულზე არსებულ რეგიონებსა და სახელმწიფოებში საკუთარი რელიგიის, როგორც იდეოლოგიის გავრცელება და ამ გზით მათი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოქცევა და მათი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესების გატარება-

განხორციელება. შესაბამისად, ისლამამდელი და ადრეისლამური პერიოდის არაბეთის ნახევარკუნძულის პოლიტიკური, რელიგიური, სამხედრო და ასევე ეკონომიკური ვითარება ამ უძლიერესი რეგიონალური პოლიტიკური აქტორების სამხედრო-პოლიტიკური და იდეოლოგიური დაპირისპირებების პრიზმაში განვიხილეთ.

ალაჰის მოციქული ირან-ბიზანტიის დაპირისპირებაში ბიზანტიის მხარეზე იყო, რაც ყურანში არაორაზროვნად არის გამოხატული. მისი თანამოაზრეების ეთიოპიაში გახიზვნა და თბილად მიღებაც ბიზანტიელთა მხარდაჭერით და ნებართვით მოხდა, ისევე როგორც მუჰამადის მედინაში გადასვლის პროცესსაც ბიზანტია უჭერდა მხარს და აქტიურად ეხმარებოდა, როგორც მრავალმერთიანებთან მეზობლ პოლიტიკურ ფიგურას.

ბიზანტიას დიდი იმედები უნდა ჰქონოდა დამყარებული სამხედრო-პოლიტიკურ არენაზე გამოსულ მუჰამადზე და მის მიერ ჩამოყალიბებულ მედინის ქალაქ-სახელმწიფოს მრისხანე სამხედრო ძალაზე, რომელიც მრავალმერთიანებთან ბრძოლის პარალელურად, როგორც ჩანს, ირანელებთან პოტენციურ სამხედრო ესკალაციაში შესაძლო დამხმარე ძალად მოიაზრებოდა.

სახელმწიფოს შენების გზაზე კურაიშიტები და მტრულად განწყობილ იუდეველებთან საბრძოლო მოქმედებების პარალელურად, ალაჰის მოციქული აქტიურად იყენებდა დიპლომატიურ სტრატეგიასაც და არაერთ ტომს მედინის ქალაქ-სახელმწიფოს ერთიან პოლიტიკურ სისტემაში სთავაზობდა გაერთიანებას. ამ მიზნით იგი ან ისლამის მიღებას სთავაზობდა ზოგიერთ ტომს, ან კი კურაიშიტების წინააღმდეგ ერთობლივ სამხედრო თავდასხმებში აქტიურ მონაწილეობას და წილს ნაალაფარიდან. ამ გზით მედინა თანდათან იქცა ლიდერ სამხედრო-პოლიტიკურ ძალად და წარმატებით დაამარცხა მექელი წარმართები.

არა მხოლოდ არაბეთის ნახევარკუნძულზე, არამედ მთელ რიგ სხვა რეგიონებშიც დამკვიდრებული ნორმა და პრაქტიკა იყო დიპლომატიური კავშირების დამყარება. პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის შესახებ განცხადებისა და რეგიონალური აქტორების მხრიდან პოლიტიკური აღიარების მიზნით, ახლადშექმნილ მედინის ქალაქ-სახელმწიფოს ფუძემდებელმაც გადაწყვიტა დიპლომატიური კავშირების დამყარება. ამ აქტორებს შორის ბევრი ქრისტიანული პოლიტიკური ერთეულიც იყო.

მუჰამადის მიმოწერა ეთიოპიის ნეგუსებთან, ეგვიპტელი კოპტების პატრიარქ ჯურაიჯთან, ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლესთან, ბაჰრეინის მმართველ მუნზირთან და ირანის შაჰინშაჰთან - უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებია, რომელიც თავად ისლამის ფუძემდებლის მიერ არის შედგენილი და დისერტაციაში პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე. ხოლო იბნ სა'დის, ალ-ვაკიდის, ალ-ბალაზურისა და ატ-ტაბარის წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებით, ისტორიულ პერსპექტივაში დეტალურად იქნა შესწავლილი ეილათის, დუმათ ალ-ჯანდალისა (დუმათულ ჯანდალის) და ნაჯრანის ისტორია და დიპლომატიური ურთიერთობები ისლამის ფუძემდებელთან. ასევე არაბულიდან ქართულად პირველად ვთარგმნეთ და გავანალიზეთ ეილათელებთან, ბაჰრეინელებთან, დუმათ ალ-ჯანდალის რეგიონთან და ნაჯრანელების ქრისტიანულ თემებთან გაფორმებული დაცვის სიგელები, რომლებიც წარმოადგენენ ძალიან მნიშვნელოვან ისტორიულ საბუთებს.

ამ საბუთებში დაფიქსირებული იყო ქრისტიანების უფლებრივი მდგომარეობა. ეს დაცვის სიგელები მუსლიმი მხედართმთავრებისთვის ასრულებდა კლასიკური მაგალითის როლს მომავალ არაბთა დაპყრობით ომებში ქრისტიანებთან მიდგომისა და დამოკიდებულების სტრატეგიის განსაზღვრის დროს. ვფიქრობთ, ამ დიპლომატიური და ზავისა და შეუვალობის სიგელების გარჩევისას, ბევრი თანამედროვე მუსლიმი მკვლევრის მსჯელობა ალაჰის მოციქულის ტოლერანტულობასა და რელიგიურ პლურალიზმთან დაკავშირებით გაზვიადებული და გადაჭარბებულია.

მუჰამადი მოქმედებდა რეგიონში გაბატონებული ომისა და დიპლომატიის კანონებით, როდესაც რეგიონში არსებულ პოლიტიკურ ძალებთან აფორმებდა ზავისა და შეუვალობის სიგელებს და ამაში რაღაც უჩვეულო და ზებუნებრივი არაფერია. თუმცა, ამასთანავე, არ შეიძლება არ აღინიშნოს ისლამის ფუძემდებლის ნიჭი, გამჭრიახობა და წინდახედულობა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში, ძალასა და მახვილს დიპლომატიასა და მშვიდობიან მოლაპარაკებებს ამჯობინებდა. ეს კი უჩვეულო და გარკვეული თვალსაზრისით გასაოცარიც არის, რადგანაც ისლამის ფუძემდებელი გვარ-ტომობრივ საზოგადოებაში ცხოვრობდა, სადაც მოლაპარაკებებსა და დიპლომატიაზე მეტად, მკაცრი და დაუნდობელი სამხედრო პრინციპები ბატონობდა. მუჰამადმა გააგრძელა დაცვის სიგელების გაფორმების ტრადიცია,

რომელიც ისლამამდელი პერიოდიდან იღებდა სათავეს. დისერტაციაში გაანალიზებულ იქნა ისეთი ხელშეკრულებების ტიპები და მათი შინაარსობრივი ფუნქცია, რომლებსაც არც ადრეისლამურ ხანაში დაუკარგავთ მნიშვნელობა. ესენია ზიმმა, ამან-ი, ჯივარ-ი, ჰილფ-ი, 'აკდ-ი, ილაფ-ი და 'აჰდ-ი.

ამ ხელშეკრულებების გაფორმებით ალაჰის მოციქული ღიად დაუპირისპირდა ირანსა და ბიზანტიას, რომელთა გავლენის სფეროებადაც მოიაზრებოდა ეს რეგიონები. ნაჯრანთან, დუმათ ალ-ჯანდალთან, ეილათთან და ბაჰრეინთან პოლიტიკური ურთიერთობების დამყარებით და მათთან ზავისა და შეუვალობის სიგელების გაფორმებით მედინის თეოკრატიულმა თემმა ღიად განაცხადა საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე გამოსვლის შესახებ და ამავდროულად საკუთარ ბანაკში გადაიბირა ირანისა და ბიზანტიის იმ ხანად ჯერ კიდევ მოკავშირე რეგიონები და პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოაქცია ისინი.

ისლამის ფუძემდებელმა წარმატებით მიაღწია ამ მიზანს და მიუხედავად „განდგომის“ პერიოდისა (არ-რიდდა), რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ დაიწყო, აბუ ბაქრმა საბოლოოდ შემოიერთა ეს რეგიონები სახალიფოში.

ჰიჯაზის სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანების ღია დაპირისპირება ირანთან და ბიზანტიასთან თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მუჰამადის სიცოცხლეშივე იყო დაწყებული. ზემოხსენებული სიგელების გარდა, ამაზე თაბუკის კამპანიაც მოწმობს, რომელშიც მუჰამადისა და ჰერაკლეს ჯარები პირისპირ აღმოჩნდნენ. როგორც დისერტაციაში განვიხილეთ, ბიზანტიამ და ირანმა დე-იურე აღიარეს ზემოხსენებული რეგიონები (დუმათ ალ-ჯანდალი, ბაჰრეინი, ნაჯრანი და ეილათი) ისლამური სახელმწიფოს გავლენის სფეროებად. მათ იმ დროისათვის არ შეეძლოთ ამ რეგიონებზე სრულფასოვანი კონტროლის დამყარება, რასაც შიდაპოლიტიკური (ტახტისთვის ბრძოლა) თუ გლობალური პრობლემების (ავარები და სლავები) გარდა, დიდწილად მუჰამადი უშლიდა ხელს.

სოციალურ-პოლიტიკური საკითხების განხილვის პარალელურად, მუჰამადთან „ელჩობის წლებში“ ჩასული ნაჯრანელების 60-კაციანი დელეგაცია ისლამის ფუძემდებელს თეოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით ეკამათებოდა. ამ მოვლენას იმდენად დიდი მნიშვნელობა და გავლენა აღმოაჩნდა ადრეული ისლამის ისტორიაზე, რომ ეს რამდენიმედღიანი დიალოგი ყურანის ღვთაებრივ აიებშიც საკმაოდ ვრცლად

იქნა აღბეჭდილი. ნაჯრანელებთან დისკურსი ერთ-ერთი ყველაზე გრძელი აიებია ყურანში, რომელიც მუჰამადის ქრისტიანებთან დამოკიდებულების რეალურ პერიპეტეებს ასახავს. ის ისლამის პოლიტიკური თეოლოგიის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს.

ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, არაბთა დაპყრობითი ომების მიზეზი და ერთადერთი მამოძრავებელი მოტივი არ იყო მატერიალური დაინტერესება და სახალიფოს საზღვრების გაფართოვება. შესაძლოა არა თითოეულ მებრძოლს, მაგრამ მუსლიმთა ჯარების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს გულწრფელად უნდა ჰქონოდა ისლამის, როგორც ჭეშმარიტი რელიგიის რწმენა. არაბებს სჯეროდათ, რომ დამორჩილებულ მიწებზე ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთის - ალაჰის სიტყვა მიჰქონდათ, რომელსაც მოციქულის მეშვეობით ეზიარნენ. დისერტაციაში შევეცადეთ ხაზგასმით აღვვნიშნა ჯიჰადის, როგორც სამხედრო-პოლიტიკური და გეოპოლიტიკური მიზნების წარმატებით მიღწევის უმძლავრესი იარაღის მნიშვნელობა.

როგორც მუჰამადის ბრძოლებში, ასევე მართლმორწმუნე ხალიფებისა და უმაიანების პერიოდშიც, მუსლიმთა მხარეს ქრისტიანებიც იბრძოდნენ. ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ როგორც ქრისტიანები, ასევე იუდეველების ნაწილი დიდ პატივს სცემდნენ მუჰამადს, როგორც პოლითეისტებთან მებრძოლ პოლიტიკოსს და განსაკუთრებით საწყის ხანებში აქტიურად ეხმარებოდნენ მას. ასევე მხედველობაშია მისაღები დაცვის სიგელის პუნქტი, რომლის მიხედვითაც ყველას, ვინც მნიშვნელოვან დახმარებას აღმოუჩენდა მუსლიმებს - მოეხსნებოდათ იმ წლის ჯიზია. ამის გარდა, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ქრისტიან ჯარისკაცებს მუსლიმები უნარჩუნებდნენ სტატუსსა და პრივილეგიებს, რითაც ისინი ბიზანტიის მმართველობის პერიოდში სარგებლობდნენ. ეკონომიკურ ფაქტორებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ეგვიპტის დამორჩილება კლასიკური მაგალითია, თუ როგორ ეხმარებოდა დაწინაურებული, მდიდარი ქრისტიანების ფენა მუსლიმებს საკუთარი ქონების ხელშეუხებლობის გარანტიების სანაცვლოდ.

გავიზიარეთ მოსაზრება, რომ მუსლიმები, განსაკუთრებით საწყის ხანებში, ფაქტობრივად იმავე გადასახადს ითხოვდნენ დამორჩილებული ქრისტიანებისაგან, რასაც ეს უკანასკნელნი ბიზანტიელებს უხდიდნენ. ამასთანავე, მუსლიმები

ითვალისწინებდნენ გარემოებებს. მთელ რიგ დაცვის სიგელებში ვკითხულობთ, რომ უბრძოლველად დამორჩილებული ქრისტიანები მუსლიმებს „შესაძლებლობის ფარგლებში“ უხდიდნენ ჯიზიას, რომელიც ხშირად ნატურით აიღებოდა. ეს კარგად გამოჩნდა ეგვიპტის ზავისა და შეუვალობის სიგელშიც, სადაც გათვალისწინებული იყო ნილოსის ადიდების მასშტაბები, რაზეც დამოკიდებული იყო წლის მოსავალი.

მუსლიმებმა ეგვიპტეში 640 წლის ოქტომბერში დაცვის სიგელის საფუძველზე უბრძოლველად დაიმორჩილეს ქალაქი მისრი, კაიროსა და ფუსტატის რეგიონები, სადაც მეტწილად კოპტები ცხოვრობდნენ, ხოლო 641 წლის ნოემბერში - ალექსანდრია, რომელსაც იმ ხანად გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ის ორთოდოქსი ბიზანტიელების პლაცდარმსა და საზღვაო ქალაქს წარმოადგენდა. თუმცა, ასევე დამკვიდრებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, დადგინდა, რომ კოპტების უმრავლესობა არ ეხმარებოდა არაბებს (იმიტომ, რომ მათ აღარ სურდათ ბიზანტიელების უღელი), არამედ ებრძოდა მათ, მაშინ, როდესაც ორთოდოქსი ქრისტიანები, რომლებიც ეგვიპტის გაბატონებულ და ყველაზე შეძლებულ ფენას წარმოადგენდნენ - მაქსიმალურ დახმარებას უწევდნენ მომხდურებს, რათა შეენარჩუნებინათ ქონება, სტატუსი და პრვილეგიები.

მისრის დაცვის სიგელის საფუძველზე დგინდება, რომ ბიზანტიელების გარნიზონებს ეკრძალებოდათ არაბებთან ერთად ჩადგომა. ზავისა და შეუვალობის სიგელში გათვალისწინებული იყო ეგვიპტელების მიერ გადახდის ვადა, სახელდობრ, ნილოსის ადიდების დასრულების პერიოდი, რადგანაც სწორედ იმ დროს უწევდათ კოპტებს მოსავლის აღება. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ დოკუმენტში გათვალისწინებული იყო როგორც კონკრეტული კოპტების გადახდისუნარიანობის შესაძლებლობები, ასევე იმ ბიზანტიელი ჯარისკაცების ინტერესებიც, ვინც ეგვიპტეში დარჩენას გადაწყვეტდნენ. არაბები მათაც [შეღავათიანი ტიპის] ბეგარის გადახდის შემთხვევაში ზავისა და შეუვალობის სიგელის პირობებს სთავაზობდნენ. რაც არანაკლებ საინტერესოა, მუსლიმები ბიზანტიელ (ყოფილ) სამხედროებს გარანტიას აძლევდნენ, რომ მათ წინააღმდეგ არ ჩატარდებოდა სამხედრო ოპერაციები და არ შეუშლიდნენ ხელს ვაჭრობაში, რაც არა მხოლოდ მუსლიმთა ტოლერანტობით იყო გამოწვეული, არამედ ორმხრივი ინტერესებისა და მუსლიმთა პრაგმატული, ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებითაც იქნა დადგენილი.



უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების დროს ქრისტიანები, ზავისა და შეუვალობის სიგელების საფუძველზე, სხვადასხვა ფუნქციას ასრულებდნენ და მუსლიმებს ეხმარებოდნენ. ისინი გემებზე მეზღვაურებად, მენიჩბეებად, მესაჭეებად და დამლაგებლებად მუშაობდნენ. დაცვის სიგელების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ დამორჩილებული ქრისტიანები ხის მთელელებად, მედურგლებად, რთულ გზებზე გადამყვანებად და გზის გამკაფავებადაც მუშაობდნენ.

მართლმორწმუნე ხალიფების დროსა სახალიფოში უმრავლესობაში მყოფი ქრისტიანები ფართო სოციალურ-კულტურული უფლებებით სარგებლობდნენ და მათ წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციული ქმედებები იშვიათობას წარმოადგენდა.

მუჰამადი ტერიტორიული გაფართოების დროს აქტიურად იყენებდა დაცვის სიგელებს. მის მაგალითზე, მართლმორწმუნე ხალიფებიც ხშირად მიმართავდნენ ამ პრაქტიკას და უომრად დამორჩილებულ ქრისტიანებს დაცვის სიგელებს უფორმებდნენ. ეს კი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, თუ რომელი თანამდებობების ადამიანებთან უწევდათ მუსლიმებს საქმიანი ურთიერთობა. ეს თანამდებობებია: ფადუსფანი (გამგებელი) ისფაჰანში, მასმულანი (მთავარი მოგვი) - ლარიჯანისა და გურგანის ოლქში, მარზჰანი (სასაზღვრო რეგიონის გამგებელი) გურგანში, ირანის აზერბაიჯანსა და მერვე-რუდში, უხუცესთა საბჭო ჰირაში, ისფაჰადი, ანუ სპასპეტი, თაბარესთანსა და გილგილანში, მთავარი ჰერათის, ბუშანგისა და ბადლისის რეგიონში და ნუბიაში, აფშინი - სოგდიანას (მავერანაჰრის) გამგებელი, მმართველი, ხოლო ჯურზანში (ანუ ქართლში) - პატრიკოსი ანუ ერისთავთ-ერისთავი.

არაერთი მკვლევარი მიიჩნევდა, რომ რაც უფრო ჩამოყალიბებული და დეტალური იყო ზავისა და შეუვალობის სიგელები, მით უფრო საეჭვო იყო ამ დოკუმენტის ავთენტურობა. ეს მკვლევრები წერდნენ, რომ საომარ სიტუაციაში მყოფ მუსლიმებს არ უნდა ჰქონოდათ დრო დეტალური სიგელების შესადგენად.<sup>1</sup> ამიტომ, მე-20 საუკუნის არაერთი ისტორიკოსის მიიჩნევდა, რომ სიგელები გაყალბებული იყო შუასაუკუნეების მუსლიმი ისტორიკოსებისა და გადამწერების მიერ.

დღეს კი ვითარება შეცვლილია და მუსლიმთ მიერ საბრძოლო მოქმედებების დროს გაფორმებული ზავისა და შეუვალობის სიგელები ავთენტურადაა მიჩნეული. ირკვევა, რომ როდესაც არაბ მუსლიმთა ჯარები მიუახლოვდებოდნენ დასახლებას, ისინი

44, وداد القادي. مدخل الى دراسة عهود الصلح الإسلامية زمن الفتوح, محمد عدنان و احسان عباس. بلاد الشام في صدر الإسلام<sup>1</sup>

აგზავნიდნენ მოციქულს და სთავაზობდნენ უომრად დამორჩილებას. თანხმობის შემთხვევაში, ორ მხარეს შორის ორივე ენაზე ფორმდებოდა ზავისა და შეუვალობის სიგელი. საინტერესოა, რომ მუსლიმები ამ ხელშეკრულებების შედგენისას ღმერთსა და მოციქულს იმოწმებდნენ, რაც რეგიონში იმ ხანად უკვე დამკვიდრებული წესის გაგრძელებას წარმოადგენდა. ამ დოკუმენტებში ზიმიები ხშირ შემთხვევაში მოხსენებული არიან არა როგორც მუსლიმთა ზიმიები, არამედ „ალაჰის და მისი მოციქულის ზიმიები“.

რაც შეეხება დაცვის სიგელებში მოხსენიებულ ტერმინოლოგიას, აღსანიშნავია, რომ *الحج* „ჯივარ“ აღარ იხმარებოდა არამუსლიმებთან მიმართებით და ის მთლიანად *الامم* „ამანმა“ ჩაანაცვლა. ისეც ხდებოდა, რომ ზავისა და შეუვალობის სიგელების გაფორმებამდე დამორჩილებულები ძღვენს უგზავნიდნენ მუსლიმებს. ამ ჟესტით ისინი არაბებს აჩვენებდნენ, რომ არ აპირებდნენ წინააღმდეგობის გაწევას და მორჩილებას უცხადებდნენ მათ. ამგვარად იმოქმედა ქართლის ერისმთავრის წარმომადგენელმა ნიკალამაც თუ თეოფილემაც.

ირკვევა, რომ ზავისა და შეუვალობის სიგელი ფორმდებოდა იმ ქალაქთან, რომლის საზღვრები ისედაც ცნობილი იყო, ხოლო თუ უცნობი იყო ამა თუ იმ ქალაქის ზუსტი გეოგრაფიული საზღვრები, მაშინ ზავისა და შეუვალობის სიგელში ასეთი წინადადებები გვხვდება: „და დაუზავდა ჰერათს თავის დაბლობსა და მთებზე“. „დაუზავდა სამარყანდს და (მის გარშემო) სოფლებს: ქასსა და ნასაფს, თავიანთი მიწებით, სათესებითა და მთლიანი საზღვრებით“.

თუ ქალაქი მრავალეთნიკური იყო, სადაც სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ, როგორც იყო მაგალითად ბაალბექი, მაშინ შეუვალობის სიგელი: „ქალაქის ბერძენ, სპარსელ და არაბ მოსახლეობას“ უფორმდებოდა, ხოლო ქალაქ დაბილის ხელშეკრულება „მის ქრისტიან, ზოროასტრელ, იუდეველ და სხვა რელიგიების წარმომადგენელ მოსახლეობას“.

დამორჩილებული ქრისტიანული თემები, რომლებმაც დაცვის სიგელები გაუფორმეს არაბებს, ინარჩუნებდნენ მიწებს და კვლავინდებურად ამუშავებდნენ მათ და [შერეულ ჯიზიას] უხდიდნენ არაბებს, ხოლო სამეფო მიწები პირდაპირ სახალიფოს მფლობელობაში, ანუ ყველა მუსლიმის მფლობელობაში გადადიოდა. არაბებმა ხელუხლებლად დატოვეს მიწაზე კერძო საკუთრების ფორმები სახალიფოს

რეგიონებში და ფეოდალური წყობა. ისინი სამშვიდობო ხელშეკრულებების საფუძველზე დამორჩილებული ფეოდალების აგრარულ ურთიერთობებში არ ერეოდნენ.

აღსანიშნავია, რომ თითოეულ ამანით და ზიმმათი დამორჩილებულ ქალაქს განსხვავებული და სპეციფიკური პირობები ჰქონდა, მუსლიმთა იმ პერიოდის (მეისიერი) ინტერესებიდან გამომდინარე, რეგიონის ბუნებრივი მასალების, წიაღისეულის და ზოგადად შესაძლებლობების გათვალისწინებით.

მოსახლეობის ზომიერად ქცევა ყოველთვის არ ნიშნავდა ისლამურ სახალიფოში მშვიდად ცხოვრებას და მხოლოდ ჯიზიის გადახდას და სხვა ვალდებულებების შესრულებას.

არაბები გადასახადებს მხოლოდ ფულით არ იღებდნენ. განსაკუთრებით ისლამის ადრეულ ეტაპზე, ალაჰის მოციქული ხშირად ნატურით იღებდა ჯიზიას. პალესტინის მაგალითი გვაჩვენებს, რომ არაბები ზოგ შემთხვევაში დამორჩილებულ ქრისტიანულ თემს ხორბლის, ზეთისხილის და თაფლის სახით ითხოვდნენ. სამარყანდში, როგორც ჩანს, მე-7 ს-ში ტექსტილის და აბრეშუმის ტანისამოსის წარმოება იმდენად მაღალხარისხიანი იყო, რომ არაბებმა ადგილობრივ მოსახლეობას ჯიზიის გადახდა ამ ტანისამოსის სახით დაუწესეს.

ირკვევა, რომ ზავისა და შეუვალობის სიგელების მიხედვით, ზოგ შემთხვევაში, მონების მიცემა ევალეზოდან არაბებისთვის. მაგალითად, ნუბიის პაქტში ვხედავთ, რომ ნუბიელებს ყოველწლიურად 360 (ქალი და მამაკაცი) მონით უნდა უზრუნველყოთ არაბები, ოღონდ მონებს შორის არ უნდა ყოფილიყვნენ ბავშვები და მოხუცები.

ზავისა და შეუვალობის სიგელების უმრავლეს შემთხვევაში გამოყენებულია ტერმინი الجزية „ჯიზია“, თუმცა ზოგიერთში გვხვდება الجزء „ალ-ჯაზა'ი“. მაგალითად ჰირას, რეის, გურგანისა და მოკანის შეუვალობის სიგელებში, ხოლო რაჰას ზავისა და შეუვალობის სიგელში الحق ჯიზიის, ბეგარის სინონიმი უნდა იყოს. ყურანის მოწოდება, რომ დამორჩილებულებმა უნდა გადაიხადონ ჯიზია ნაცვალად მათი დამცირებისა, გვხვდება მხოლოდ თბილისის الجزية بصغار اقرار على და კუმსის სიგელებში الجزية على ان يؤدوا. ჯიზიის გადახდა მხოლოდ ზრდასრულ მამაკაცებს ევალეზოდან. შეძლებული

ადამიანი იხდიდა წელიწადში 48 დირჰამს, საშუალო შემოსავლის მქონე – 24 დირჰამს, ხოლო მიწათმოქმედები – 12 დირჰამს.

ირკვევა, რომ არაბები პარალიზებულებს, მძიმე ავადმყოფებს, უსინათლოებს, რომლებსაც არ ჰქონდათ პროფესია, ღარიბებსა და ჭკუასუსტებს არ ახდევინებდნენ ჯიზიას, ისევე როგორც ბერებსა და მღვდლებს, მაგრამ თუ სასულიერო პირები არ იყვნენ დამოკიდებულნი შემოწირულობაზე და შეძლებულები იყვნენ, ანუ თავისი მეურნეობა ან სხვა შემოსავლის წყარო ჰქონდათ, მაშინ, ისინიც ვალდებულები იყვნენ ყოველწლიური ჯიზია გადაეხადათ. ამათანავე, თუ უსინათლოები, პარალიზებულები და ქრონიკული ავადმყოფები საკმარის ქონებას ფლობდნენ, ისინიც ვალდებულები იყვნენ ეხადათ ჯიზია.

ზავისა და შეუვალობის სიგელების მიხედვით არაბები დამორჩილებულებს ერთგულებასა და მათთვის გზის ჩვენებას, სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებას, გზადაკარგული მუსლიმი ჯარისკაცის უახლოეს რაზმამდე მიყვანას, მისთვის საჭმლითა და სასმელით უზრუნველყოფას ავალდებულებდნენ.

დამორჩილებულებს პატივი უნდა ეცათ მუსლიმისთვის, არ ებრძანებლათ მასზე, არ მიეყენებინათ მისთვის შეურაცხყოფა, არ დაერტყათ მისთვის. თუ ჩაიდენდნენ ამას, მაშინ მფარველობის შესახებ სიგელი გაუქმებულად ჩაითვლებოდა და მათ წინააღმდეგ სადამსჯელო სანქციები ამოქმედდებოდა. ზოგ შემთხვევაში დამორჩილებულ თემს გზების და ხიდების შეკეთება ევალებოდა.

ზავისა და შეუვალობის სიგელებს ბოლოში, როგორც წესი, იმ მხედართმთავრების სახელების ჩამონათვალი ერთვის, რომლებსაც ესა თუ ის ქალაქი დაემორჩილა, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მათი სახელები არასწორად და არაზუსტად არის გადმოცემული.

საერთო ჯამში, მუსლიმ არაბთა მიერ ზავისა და შეუვალობის სიგელების გაფორმების სტრატეგია უნდა ჩაითვალოს სამხედრო დიპლომატიაში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მაგალითად ადრეულ შუა საკუნეებში.

თბილისის დაცვის სიგელიც სტრუქტურული თვალსაზრისით არ განსხვავდებოდა სხვა დაცვის სიგელებისგან, რომლებიც არაბებს ეგვიპტესთან, სირია-პალესტინისა და ირანის მთელ რიგ ქალაქებთან ჰქონდათ გაფორმებული. ეს კი იმ ფაქტზე მეტყველებს, რომ არაბებს შემუშავებული ჰქონდათ საერთო და ერთიანი სტრატეგია, თუ როგორ

უნდა ემოქმედათ უომრად დამორჩილებულ რეგიონებში მცხოვრებ ქრისტიანებთან, იუდეველებთან და მაზდეანებთან მიმართებით.

დისერტაციაში გავიზიარეთ მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ქართლი არაბთა შემოსვლამდე, როგორც ჩანს, არმენიის ადმინისტრაციულ ოლქში ერთიანდებოდა და არაბებმაც ხელუხლებლად დატოვეს სამხრეთ კავკასიის ამ ტიპის დაყოფა. ამ მიზეზით უნდა იყოს, რომ დაცვის სიგელში ქართლი „არმენიის მიწად“ არის მოხსენებული.

# ბიბლიოგრაფია

## წყაროები:

1. احمد بن يحيى بن جابر بن داود البلاذري. فتوح البلدان, بيروت, 1987.
2. بلاد الشام في الصدر الاسلام. الندوة الثانية من الاعمال للمؤتمر الدولي الرابع لتاريخ بلاد الشام. محمد عدنان و عباس حسان و داد القادي. مدخل الى دراسة عهود الصلح الاسلامية زمن الفتوح. (معاهدة فتح بيت المقدس), 1985.
3. Al-Imam abu-l 'Abbas Ahmad ibn-Jabir al-Baladhuri. *Kitab Futuh al-Buldan. The origins of the Islamic State*, being a translation from the Arabic accompanied with annotations, geographic and historic notes of the kitab futuh al-buldan by Philip Khuri Hitti. New York: Khayats, 1916.
4. Al-Mas'udi's, *Kitab al-Tanbih wa'-l-Ishraf: Kitab al-Tanbih wa-al-israf / li-abi al-Hasan Ali b. al-Husayn al-Masudi: M.J. de Goeje's classic edition...I:7 8* (bibliotheca Geographorum Arabicorum). Leiden: Brill Academic Pub, 2013.
5. Annales quos scripsit Abu Jafar Mohammed Ibn Jarir at-Tabari. Cum alis edidit M.J. De Goeje, tertia series. Lugdunum Batavorum: E.J. Brill [1879-1901].
6. كتاب الطبقات الكبير لمحمد بن سعد بن منيع الزهري ت 230 هـ  
<https://ia902704.us.archive.org/28/items/WAQ49583/tisaad01.pdf>
7. Al-Waqidi Muhammad ibn 'Umar. *The Life of Muhammad. Kitab al-tarikh wa al-Maghazi*. Translated by Rizwi Faizer. New York: Routledge, 2011.
8. Ibn Kathir. *The Life of the Prophet Muhammad, Al-Sira al-Nabawiyya*. Translated by Professor Trevor Le Gassick. Reviewed by Dr. Muneer Fareed. Great Books of Islamic Civilization. Center for Muslim Contribution to Civilization, University of Michigan U.S.A: Garnet Publishing, 1998.
9. Ibn Sa'd, Abu 'Abd Allah Muhammad Ibn Mani' al-Zuhri al-Basri, *Kitab al-Tabaqat al-Kabir*, volume 1, volume 2,  
Ibn Sa'd's (public\_html/religie/hadith)
10. *The Chronicle of John* (c. 690) Coptic Bishop of Nikiu. Charles, R. H, trans., London: Williams & Norgate, 1916.
11. *The History of al-Tabari*. Volume VIII. *The Victory of Islam*. Bibliotheca Persia. Edited by Ehsan Yar-Shater. Translated by Michael Fishbein. University of California, Los Angeles. Published by State University of New York Press, Albany, 1997.

12. *The History of al-Tabari*. Volume IX. *The Last Years of the Prophet. The Formation of the State*. Said Amir Arjomand, Editor. Translated and annotated by Ismail K. Poonawala. University of California, Los Angeles. Published by State University of New York Press, Albany, 1990.
13. *The History of al-Tabari*. Volume X. *The Conquest of Arabia. The Riddah Wars*. Translated and annotated by Fred M. Donner. Published by State University of New York Press, Albany, 1993.
14. *The History of al-Tabari*. Volume XI. *The Challenge of Empires*. Translated by Khalid Yahya Blankenship, Temple University. Published by State University of New York Press, Albany, 1993.
15. *The History of al-Tabari*. Volume XII. *The Battle of al-Qadisiyyah and the Conquest of Syria and Palestine*. Translated by Yohanan Friedmann. The Hebrew University of Jerusalem. Published by State University of New York Press, Albany, 1992.
16. *The History of al-Tabari*. Volume XIII. *The Conquest of Iraq, Southwestern Persia, and Egypt*. Translated by Gautier H.A. Juynboll. Published by State University of New York Press, Albany, 1989.
17. *The History of the Conquest of Egypt, North Africa and Spain, known as the Futūḥ Miṣr of Ibn 'Abd Al-Ḥakam*. Edited by Charles C. Torrey. New Haven: Yale University Press, 1922.
18. *Historie Nestorienne Inédite (Chronique de Séert)*, transl. by Scher, A. Seconde Partie (II), Patrologia Orientalis, Paris: Firmin-Dibot, 1919.
19. Абу Йусуф. Йа'куб Ибрахим ал-Куфи. كتاب الخراج *Китаб ал-Харадж. (Мусульманское налогообложение)*. Перевод с арабского и комментарии А.Э. Шмидта. Центр Петербургское Востоковедение. *Памятники Культуры Востока*. XVI. Санкт-Петербург, 2001.
20. Ибн Хишам. *Жизнеописание Пророка Мухаммада. Рассказанное со слов аль-Баккаи, со слов Ибн Исхака аль-Мутталиба (первая половина VIII века)*. Перевод с арабского Н.А. Гайнуллина. „Умма,” Москва 2007.
21. *Абд ар-Рахман ибн Абд ал-Хакам. Завоевание Египта, ал-Магриба и ал-Андалуса*. Перевод с арабского, предисловие и примечания С.Б. Певзнера. Москва, “Наука”, 1985.
22. *Chronique de Michel de Syrien, patriarche jacobite d'Antioche (1166-1199)*, éditée pour la première fois et traduite en français par J.-B. Chabot, II, Paris: E. Leroux, 1901.

### სამეცნიერო ლიტერატურა:

23. გელოვანი, ნ. *თბილისის მუსლიმური თემი (1801-1917)*. თბილისი: კოლორი, 2021.
24. ზნამენსკი, ბ. „სახარების პერსონაჟები ყურანში“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, *ენისა და ლიტერატურის სერია*, N2, თბილისი, 1985.
25. თოფურია, ვ. „ქართველთა ეროვნული თვითშემეცნების ისტორიიდან“, N5, ტაბარის ერთი ცნობის ინტერპრეტაცია, „ცისკარი“, თბილისი, 1984, 143-148.
26. კუცია, ვ. „ჯინი“. *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრი. შემდგენლები კარლო კუცია, მეგი მეტრეველი, გიორგი სანიკიძე, მიხეილ სვანიძე, გოჩა ჯაფარიძე. შესავალი წერილი და ხელმძღვანელობა გოჩა ჯაფარიძისა. თბილისი: ნეკერი, 1999, 225.
27. ლობჯანიძე, გ. „ყურანი და ქრისტიანობა“, *სჯანი*, V. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი, 2004.
28. ლობჯანიძე, გ. *იესო და მარიამი ყურანში*. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2005.
29. ლორთქიფანიძე, მ. „არაბთა მფლობელობის ხასიათი საქართველოში“, *მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. 35, თბილისი, 1963, 35-71.
30. ლორთქიფანიძე, მ. „საქართველო-არაბთა სახალიფოს ურთიერთობის ზოგი საკითხი“. *აღმოსავლეთმცოდნეობა* #3. თბილისი, 2014, 235-240.
31. ლორთქიფანიძე, მ. „ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი. *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, თბილისი, 1951, 61-65.
32. მახარაძე, ი. *ქრისტიანული თემატიკა და მასთან დაკავშირებული ლექსიკა ყურანში*. არაბულ ფილოლოგიაში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. თბილისი, 2009.



33. ნანობაშვილი, მ. „შვიდი ეფესელი ყრმის წამების“ ქართული ვერსიები. დისერტაცია წარდგენილი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 1999.
34. ნანობაშვილი, მ. “Sidney Harrison Griffith, The Bible in Arabic, Princeton University Press, Princeton and Oxford, 2013, 255 pp.” *ადმოსავლეთმცოდნეობა*. # 3, თბილისი, 2014.
35. სილაგაძე, ბ. „ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელის დათარიღებისათვის“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის *მაცნე*, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1, თბილისი, 1971, 68-85.
36. სილაგაძე, ბ. *არაბთა ბატონობა საქართველოში (არაბული ცნობების მიხედვით)*. თბილისი: მეცნიერება, 1991.
37. სიხარულიძე, ე. „არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, *ადმოსავლეთმცოდნეობის სერია*. თბილისი, 1951, 167-181.
38. სიხარულიძე, ე. „საქართველოში არაბთა პირველ ლაშქრობათა ზოგიერთი საკითხისათვის“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის *მოამბე*, თბილისი, 1961, 185-195.
39. სიხარულიძე, ე. *ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის“ აბუ ‘უზაიდისეული ვარიანტი*. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. გ. წერეთლის ადმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. თბილისი, 2001, 3-15 (პრეპრინტი).
40. ტიკაძე, მ. *არაბთა ისტორია (V-XVსს.)*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2008.
41. ფაღავა, ი. „საქართველოში არაბთა ბატონობის პერიოდიზაცია (ნუმისმატიკური მონაცემების გათვალისწინებით)“, *ახლო ადმოსავლეთი და საქართველო*, VIII, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014, 250-257, 342.
42. *ქართული დიპლომატიის ისტორია. ქრესტომათია*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004.
43. ქასრაშვილი, დ. „ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელის“ დათარიღებისათვის (საქართველო-არაბეთის ურთიერთობის ისტორიიდან)“, *კრ. მეგობრობა*, თბილისი, 1980, 129-140.

44. ყურანი. არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო გიორგი ლობჯანიძემ. თბილისი: კავკასიური სახლი, 2006.
45. ცქიტიშვილი, ო. „აჰმად იბნ ასამ აღ-ქუფი არაბთა პირველი ლაშქრობების შესახებ საქართველოში“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის *მაცნე*, ისტორიის არქეოლოგიის ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, N1. თბილისი, 1984, 92-104.
46. ცქიტიშვილი, ო. „ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ აბუ უბაიდის თხზულებაში“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის *მაცნე*, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, ტ.2, თბილისი, 1976, 187-199.
47. წურწუმია, მ. *ომის იდეოლოგია საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთში. ქრისტიანული საღვთო ომი და ისლამური ჯიჰადი. გოჩა ჯაფარიძის წინასიტყვაობით.* თბილისი: კოლორი, 2019.
48. ჯავახიშვილი, ი. „არაბების შემოსევა და მათი ბატონობა პირველ ორ საუკუნეში. ქართველთა პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა არაბთა ბატონობის პირველი ორი საუკუნის განმავლობაში“, ივანე ჯავახიშვილი, *თხზულებანი* თორმეტ ტომად. ტომი II. თბილისი, 1983, 73-91.
49. ჯანაშია, ს. „არაბობა საქართველოში“, *შრომები V*. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1952, (1986), 342-411.
50. ჯაფარიძე, გ. „ზიმეები“, *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*. თბილისი: ნეკერი, 1999, 65.
51. ჯაფარიძე, გ. „ისა“, *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*. თბილისი: ნეკერი, 1999, 89-90.
52. ჯაფარიძე, გ. „მარიამი“, *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*. თბილისი: ნეკერი, 1999, 127-128.
53. ჯაფარიძე, გ. „მუჰამადი“, *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*. თბილისი: ნეკერი, 1999, 142-148.
54. ჯაფარიძე, გ. „ნასარა“, *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*. თბილისი: ნეკერი, 1999, 153-154.

55. ჯაფარიძე, გ. „ყურანი“, *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*, თბილისი: ნეკერი, 1999, 202-206.
56. ჯაფარიძე, გ. „აკდი“, *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრი. რედაქტორი გ. ბერაძე. თბილისი: ნეკერი, 1999, 19-20.
57. ჯაფარიძე, გ. „ჯიჰადი“, *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*. თბილისი: ნეკერი, 1999, 226-228.
58. ჯაფარიძე, გ. „ჰავარი“, *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*. თბილისი: ნეკერი, 1999, 230.
59. ჯაფარიძე, გ. ხარაჯი. *ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი*. თბილისი: ნეკერი, 1999, 215-216.
60. ჯაფარიძე, გ. *ქართველთა სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII საუკუნეებში (არაბული ნარატიული და დოკუმენტური წყაროების მიხედვით)*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018.
61. ჯაფარიძე, გ. „ხალიფა იბნ ხაიატ ალ-‘უსფური ქართლში არაბთა პირველი ლაშქრობების შესახებ“, *სამეცნიერო კონფერენცია „საქართველო ისლამისა და ქრისტიანობის გზაჯვარედინზე“*, თეზისები (თბ., 2019);
62. Abd al-Husain Zarrinkub. “The Arab Conquest of Iran and its Aftermath,” *The Cambridge History of Iran*. Edited by R.N. Frye. Cambridge University Press, New York, 1975, 1-56.
63. Abdo, A.S. *A geographical study of transport in Saudi Arabia, with special reference to road transport*. PHD thesis, University of Durham, Durham, 1969.
64. Abulmajd, Abdalrahman. “The Prophet Muhammad’s Covenant with Yuhannah Ibn Ru’bah and the Christians of Aylah,” *Religions*, 12(6), 2021.
65. Akram, A.I. *The Muslim Conquest of Persia. Islamic Military History Series*. Birmingham - England, UK: Maktabah Publications, 2009.
66. Al-Dawoody, Ahmed Mohsen. *War in Islamic Law: Justifications and Regulations*. A thesis submitted to The University of Birmingham for the degree of Doctor of

- Philosophy, Department of Theology and Religion. The University of Birmingham, August, 2009.
67. Al-Maqrīzī, Taqī al-Dīn Ahmad b. ‘Alī. *Al-Mawā‘iz wa-l-i‘tibār fī dhikr al-khitat wa-l-āthār*. III, Cairo 1270 H (1922).
68. al-Muaikel, Khaleel Ibrahim. *A Crytical study of the archeology of the jawf region of Saudi Arabia with additional material on its history and early Arabic epigraphy*, thesis (Doctoral), Durham University, 1988.
69. Al-Nahee, Owed Abdullah S. *The religious structure of Najrān in late pre-Islamic and early Islamic history: from the end of the Ḥimyarite Kingdom until the end of the Rashidun Caliphate (525-661 CE)*. A thesis submitted to the University of Birmingham for the degree of Doctor of Philosophy. University of Birmingham, 2017.
70. Arjomand, S. A. “The Constitution of Medina: a Sociolegal Interpretation of Muhammad’s Acts of Foundation of the Umma,” *International Journal of Middle Eastern Studies* 41, 2009, 555-575.
71. Armstrong, K. *Islam: A short history*, New York: Modern Library, 2002.
72. Arnason, Johann P. “The Emergence of Islam as a Case of Cultural Crystallization: Historical and Comparative Reflections,” chapter 4, *Yearbook of the Sociology of Islam, vol. 7: Islam in Process – Historical and Civilizational Perspectives*, Bielefeld: Transcript Verlag, 2006, 95-122.
73. Bahnasawy, Salim. *Non-Muslims in the Shari'ah of Islam*. Cairo: Dar al-Nashr lil-Jami'at, 2004.
74. Bat Ye’or. *The Decline of Eastern Christianity under Islam. From Jihad to Dhimmitude*. Translated from the French by Miriam Kochan and David Littman. Madison, Teaneck: Fairleigh Dickinson University Press, 2009.
75. Bavardi, Majid. “The Investigation of “Zikr” From the View of the Holy Quran and Narrations,” *Journal of Basic and Applied Scientific Research*, 2(11), 2012, 10824-10831.
76. Beeston, A.F.L “Background topics,” *The Cambridge History of Arabic Literature. Arabic Literature to the End of the Umayyad Period*. Cambridge University Press, 1983 (2012), New York, 1-26.

77. Bell, R. *The Origin of Islam in its Christian Environment*. The Gunning Lectures Edinburgh University. Routledge and Francis Group, 1925.
78. Blockley, R.C. "Warfare and Diplomacy," *The Cambridge Ancient History* (chapter 13). The Late Empire, Cambridge University Press, 1997, 411-437.
79. Bonner, M. "Byzantines," *The Encyclopedia of the Qur'an*. Jane Dammen McAuliffe, Brill, 2001, 257-269.
80. Bori, C. "All We know is what we have been told: Reflections on Emigration and Land as Devine Heritage in the Qur'an," *The Coming of the Comforter: When? Where? And to Whom?* Studies on the Rise of Islam and various other topics in memory of John Wansbrough. *Orientalica Judaica Christiana. Christian Orient and its Jewish Heritage*; edited by Carlos A. Segovia and Basil Lourie. Gorgias Press, 2012, 303-342.
81. Bowering, G. "Recent Research on the Construction of the Qur'an," *The Qur'an in the Historical Context*. Edited by Gabriel Said Reynolds. London: Routledge, 70-87.
82. Bradford, B.C. *Muhammad's Jesus: Qur'an Parallels with non-Biblical Texts*, 2015.
83. Bradford, B.C. *The Quranic Jesus: A study of Parallels with Non-Biblical Texts*, 2015.
84. Brown, N. *The Judeo-Christian Presbyter of Makah and Madinah*; New York: Nick Brown, 2011.
85. Bsoul, Labeeb Ahmed. "Islamic Diplomacy: Views of the Classical Jurists," *Islam and International Law Engaging Self-Centrism from a Plurality of Perspectives*. Editors: Marie-Luisa Frick and Andreas Th. Müller, Leiden-Boston: Brill, 2013, 125-145.
86. Burton, Paul J. Ancient International Law, the Aetolian League and the Ritual of Surrender during the Roman Republic: A Constructivist View. *The International History Review*, vol 31, No.2, 237-252, 2009.
87. Carter, R.A. "Christianity in the Gulf during the first Centuries of Islam." *Arabian archeology and epigraphy*, 19:71, 2008, 71-108.
88. Chafik Chenata. "Akd." *The Encyclopedia of Islam. New Edition. Vol. I*, Leiden, Brill. 1986, 318-320.
89. Champdor, Albert. *Le Mont Sinai Et Le Monastère Sainte Catherine*, Paris, 1963.
90. Cohen, C. "Socio-Economic History and Islamic Studies: Problems of Bias in the Adaptation of the Indigenous Population to Islam," Hoyland, R. G. (editor). *Muslims and*

- others in early Islamic Society, (collection)*. Ashgate publishing, Burlington, USA, 2004, 259-277.
91. Crone, P. "Quraish and the Roman Army: Making Sense of the Meccan leather trade," *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, 70, 1, UK, 2007, 63-88.
  92. Crone, P. "The Religion of the Qur'anic Pagans: God and the Lesser Deities," *Arabica* 57, Brill, 2010, 151-200.
  93. Crone, P. "Meccan Trade and the Rise of Islam." Piscataway, N.J. : Gorgias Press, 2004.
  94. De Planhol, X. "The Geographical Settings," *Islamic Society and Civilization*. The Cambridge History of Islam, Volume 2b. Cambridge University Press, 1970, 441-468.
  95. Debie, M. "Christians in the Service of the Caliph: Through the Looking Glass of Communal Identities," Borrut, A. Donner, M. *Christians and Others in the Umayyad State*. The University of Chicago, Illinois, 2016, 53-73.
  96. Demichelis, M. *Violence in Early Islam: Religious Narratives, the Arab Conquests and the Canonization of Jihad*. London: I.B. Tauris, 2021.
  97. Denffer, Ahmad Von. *Christians in the Quran and Sunnah*, Illinois: Islamic foundation, 1979 (2007).
  98. Dignas, B. Winter, E. *Rome and Persia in Late Antiquity. Neighbours and Rivals*, Cambridge University Press, Cambridge, 2007.
  99. Donner, F.M. "The Role of Nomads in the Near East in Late Antiquity (400-800 C.E.)," *The Arabs and Arabia on the Eve of Islam*. Edited by F.E. Peters, volume 3. The Formation of the Classical Islamic World. Ashgate Publishing, Routledge, New York, 2017, 21-34.
  100. Dorfmann-Lazarev, I. *Beyond Empire I: Eastern Christianity from the Persian to the Turkish conquest, 604-1071. The Cambridge History of Christianity. Early Medieval Christianity c.600-c.1100*. Cambridge University Press, 2007, 65-85.
  101. Dunlop, D.M. "Sources of Gold and Silver in Islam according to al-Hamdani. (10<sup>th</sup> Century A.D.)," *Studia Islamica*. No. 8, 1957, 29-49.
  102. Dziekan, Marek M. "Quss Ibn Sa'ida al-Iyadi (6th-7th cent. A.D.), Bishop of Najran: An Arabic and Islamic Cultural Hero," *Studia Ceranea*, 2, 2012.

103. Edelby, N. "The Legislative Autonomy of Christians in the Islamic World," Hoyland, Robert G. (editor). *Muslims and others in early Islamic Society, (collection)*. Ashgate Publishing, Burlington, USA, 2004, 37-83.
104. Elders, J. "The lost churches of the Arabian Gulf: recent discoveries on the island of Sir Bani Yas and Marawah," Abu Dhabi Emirate, United Arab Emirates. *Proceeding of the Seminar for Arabian Studies*. Vol 31, papers from the thirty-fourth meeting of the Seminar for Arabian Studies held in London, 2000. Published in 2001, 47-57.
105. Elizer Bashan. "Omar ibn al-Khattab," *Encyclopedia Judaica*. Second edition, volume 15, 2007, 419.
106. El-Wakil, Ahmed. "The Prophet's Treaty with the Christians of Najran: an analytical study to determine the authenticity of the covenants," *Journal of Islamic Studies*, 2016, Vol. 27, No. 3. Oxford University Press, 2016, 273-354.
107. Eried R.Y. "The Syrian impact on Arabic literature." *Arabic literature to the End of the Umayyad period*. Edited by A.F.L. Beeston, T.M. Johnstone, R.B. Serjeant. Cambridge University Press, New York, 1983, 497-501.
108. Eried, R.Y. "The Syrian impact on Arabic literature." *Arabic literature to the end of the Umayyad period*. Cambridge: Cambridge University Press, 1983, 497-501.
109. Fahd, T. "Divination," *The Encyclopedia of the Qur'an*. Volume 1, Jane Dammen McAuliffe, General Editor. Brill, 2011, 542-545.
110. Faizer, R. "Expeditions and Battles," *Encyclopedia of the Qur'an*, volume II, Leiden, Boston: E. J. Brill, 2002, 143-152.
111. Fares, S. "Christian monasticism on the eve of Islam: Kilwa (Saudi Arabia) - new evidence," *Arabian Archaeology and Epigraphy (AAE)* 22/2, 2011, 243-252.
112. Fattal, A. "How Dhimmis Were Judged in the Islamic World. Hoyland, R.G. (editor). *Muslims and others in early Islamic Society, (collection)*. Ashtgate Publishing, Burlington, USA, 2004, 83-103.
113. Fazlur Rahman. "Pre-Foundations of the Muslim Community in Mecca," *The Arabs and Arabia on the Eve of Islam*. Edited by F.E. Peters, volume 3. *The Formation of the Classical Islamic World*. New York, Routledge, Published in 2017, 185-205.

114. Firestone, R. "Abraham," *The Encyclopedia of the Qur'an*, Volume 1, Jane Dammen McAuliffe, General Editor. Brill, 2001, 5-10.
115. Fisher, G, *Between Empires: Arabs, Romans, and Sasanians in Late Antiquity*. Oxford University Press, 2011, 34-71.
116. Fisher, G. Wood, P. "Writing the History of the "Persian Arabs": The Pre-Islamic Perspective on the "Nasrids" of al-Hirah." *Iranian Studies*, vol. 49, No 2, 2016, 247-290.
117. Francis Arundale. *Illustrations of Jerusalem and Mount Sinai: Including the Most Interesting Sites Between Grand Cairo and Beirut*. London:Henri Colburn, 1837.
118. Francois de Blois. "Nasrani and Hanif." *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, January, 2002, 1-30.
119. Frye, R.N. *The Cambridge History of Iran 3(1). The Political History of Iran under the Sasanians*. Cambridge University Press, 1983, 116-180.
120. G. E. von Grunebaum. "The Nature of Arab Unity before Islam," *Arabica* T.10, Fasc. 1 (Jan 1963), Published by Brill, 5-23.
121. Géramb, M. J. *A Pilgrimage to Palestine, Egypt, and Syria*, Volume 2. London: Henri Colburn, 1840;
122. Gibb, H.A.R. *Arab-Byzantine Relations under the Umayyad Caliphate. Arab-Byzantine Relations in Early Islamic Times*. London and New York: Routledge, 2004, 65-81.
123. Gill, M. "The Origin of the Jews of Yathrib." *The Arabs and Arabia on the Eve of Islam*, volume 3, edited by F.E. Peters. *The Formation of the Classical Islamic World*. General Editor: Lawrence I. Conrad, Ashgate publishing, New York, 2017, 145-167.
124. Glayds Frantz-Murphy. "Conversion in Early Islamic Egypt: The Economic Factor," Hoyland, R. G. (editor). *Muslims and others in early Islamic Society*, Aldershot, Hants.: Ashgate, 2004, 2004, 323-329.
125. Glubb, J.B. *The Great Arab Conquests*. London: Hodder and Stoughton, 1966.
126. Godhard, H. *A History of Christian – Muslim Relations*, Edimburgh: Edinburgh University Press, 2001.



127. Goitein, S.D. "Minority Self-rule and Government Control in Islam," Hoyland, R. G. (editor). *Muslims and others in early Islamic Society, (collection)*. Ashgate, New York, 2004, 159-175.
128. Goodman, L.E. "The Greek Impact on Arabic Literature," *Arabic Literature to the End of the Umayyad Period*. Cambridge: Cambridge University Press, 1983, 460-482.
129. Griffith, S.H. "Christian Lore and the Arabic Qur'an. The "Companions of the Cave" in Surat al-Kahf and in Syriac Christian Tradition." *The Qur'an in the Historical Context*, Edited by Gabriel Said Reynolds. Routledge publishing, 2008, 109-137.
130. Griffith, S.H. "Monasticism and Monks," *The Encyclopedia of the Qur'an*. Volume 3, Jane Dammen McAuliffe, General Editor. Brill, 2003, 405-407.
131. Griffith, Sidney. H. "Christians and Christianity." *Encyclopaedia of the Qurān*, volume one A – D, Jane Dammen McAuliffe, General Editor. Leiden-Boston-Köln: Brill, 2001, 310-311.
132. Guillaume, Alfred. *The Life of Muhammad: A Translation of Ibn Ishaq's Sīrat Rasūl Allāh*. Karachi: Oxford University Press, §259, 2006.
133. Haddad, Anton F., Transl. *The Oath of the Prophet Mohammed to the Followers of the Nazarene*. New York: Board of Counsel, 1902.
134. Haddad, Wadi Zaidan. "Ahl al-dhimma in an Islamic State: the teaching of Abu al-Hasan al-Mawardi's Al-ahkam al-sultaniyya." *Christian Perceptions of Islam-Muslim Perceptions of Christianity. The Historical Record II*, Volume 7, issue: 2, 1996, 169-180.
135. Hamidullah, M. *Majmū'at al-Wathā'iq al-Siyāsiyah lil-'ahd al-Nabawī wa-al-Khilāfah al-Rāshidah*. Al-Qāhirah, Maṭba'at Lajnat al-Ta'lif wa-al-Tarjamah, 1956.
136. Hamidullah, Muhammad. *The Muslim Conduct of State. The Other Press*, 1977.
137. Healey, J. F, *Between Rome and Arabia: the Aramaic Interface. Arabia, Greece and Byzantium. Cultural Contacts in Ancient and Medieval Times*. Vol 2, Riyadh: King Saud University, 2012, 37-43.
138. Henninger, J. Pre-Islamic Bedouin Religion. *The Arabs and Arabia on the Eve of Islam*. Edited by F.E. Peters, volume 3, *The Formation of the Classical Islamic World*. First Published in 1999 by Ashgate Publishing. Published in 2017, Routledge, New York, 109-129.

139. Hillenbrand, C. Muhammad and the Rise of Islam, *The New Cambridge Medieval History I c.500-c700*. Cambridge University Press, Cambridge, 2005, 317-345.
140. Hilmi M. Zawati. Jihad and International Relations. Is Jihad Just War? War, Peace and Human Rights under Islamic and Public International Law, Niaz A. Shah, ed. Islam and the Law of Armed Conflict. Cheltenham, UK: Edward Elgar, 2015, 288-323.
141. Hinds, M, Sakkout, H. "A letter from the governor of Egypt to the King of Nubia and Muqurra concerning Egyptian-Nubian Relations in 141/758." *Studia Arabica et Islamica: Festschrift for Ihsān 'Abbās on his sixtieth birthday*. Edited by Wadād al-Qāḍī, Ramzi Baalbaki, Peter Bachmann. [et al.]. Beyrouth: American University of Beirut 1981, 209-229.
142. Hoyland, R. G. "Reflections on the Identity of the Arabian Conquerors of the Seventh-Century Middle East," *The Journal of Middle East Medievalists*, Antoine Borrit, Editor. Al-'Usur Al-Wusta 25, 2017, 113-140.
143. Hoyland, R. G. *Arabia and the Arabs. From the Bronze Age to the coming of Islam*, Routledge, London, 2001.
144. Hoyland, R. G. *Early Islam as a Late Antique Religion. Classical Studies. Ancient Roman History*. The Oxford Handbook of Late Antiquity, Edited by Scott Fitzgerald Johnson, Oxford University Press, 2012.
145. Hoyland, R. G. *Seeing Islam as Others Saw it. Studies in Late Antiquity and Early Islam*. The Darwin Press, Princeton, New Jersey, 1997.
146. Hoylnad, R. G. *In God's Path. The Arab Conquests and the Creation of an Islamic Empire*, Oxford: Oxford University Press, 2015.
147. Hugh Goddard. *A History of Christian – Muslim Relations*. Edinburgh University Press, Edinburgh, 2000.
148. Hussain, M. [Review of *The Covenants of the Prophet Muhammad with the Christians of the World*, by J. A. Morrow]. *Islamic Studies*, 57(3/4), 2018, 311-317.
149. Hutchings, R. *Non-Muslim Integration into the Early Islamic Caliphate through the Use of Surrender Agreements, thesis*. University of Arkansas, Fayetteville, 2020.

150. Inglebert, Harve. "Introduction: Late Antique Conceptions of Late Antiquity." *The Oxford handbook of Late Antiquity*. Edited by Scott Fitzgerald Johnson, Oxford University Press, 2012.
151. Irfan A. Shahid. "Najran," 500-501. *The Encyclopedia of the Qur'an, volume 3*, Jane Dammen McAuliffe, General Editor, Brill 2003.
152. Irfan Shahid. "Pre-Islamic Arabia," *The Cambridge History of Islam. Volume 1A. The Central Islamic lands from pre-Islamic Times to the First World War*, Cambridge University Press, the Edinburgh Building, Cambridge, 1977, 1-29.
153. Jacobson, D.M. "The Enigma of the Name Ilia (=Aelia) for Jerusalem in Early Islam." King's College, London, 2019.
154. Jill Kamill. *Christianity in the Land of the Pharaohs*. The American University in Cairo Press, Cairo, Egypt, 2002.
155. Jūzif Qazzī. *The priest & the Prophet: the Christian priest, Waraqa Ibn Nawfal's profound influence upon Muhammad, the Prophet of Islam*. Los Angeles, CA: The Pen Publishers, 2005.
156. Kennedy Hugh. "Byzantine-Arab Diplomacy in the Near East from the Islamic Conquests to the Mid Eleventh Century," *Arab-Byzantine Relations in Early Islamic Times*. (Volume 8). Edited by Michael Bonner, 2004, 81-95.
157. Kevin Van Bladel. "The Alexander Legend in the Qur'an, 18:83-102." *The Qur'an in the Historical Context*, Edited by Gabriel Said Reynolds, Routledge, 2008, 175-204.
158. Khalid el-Awaisi. "The Quranic Prophecy of the Defeat and the Victory of the Byzantines," *Journal of Islamic Jerusalem Studies*, 2015, 1-32.
159. Kister, M.J. "Musaylima," *The Encyclopedia of the Qur'an*. Volume 3, Jane Dammen McAuliffe, General Editor. Brill, 2003, 460-463.
160. Kropp, M. "Beyond Single Words: Ma'ida – Shaytan – jibt and taghut. Mechanisms of transmission into the Ethiopic Bible and the Qur'anic text." *The Qur'an in the Historical Context*, Edited by Gabriel Said Reynolds. Routledge, 2008, 204-216.
161. Krzysztof Koscielnia. "Jewish and Christian Religious Influences on pre-Islamic Arabia on the example of the term RHMNN (the "Merciful")," Jagiellonian University in Krakow, *Orientalia Christiana Cracoviensia* 3, 2011, 67-74.

162. Lane-Poole, S. "The First Mohammadan Treaties with Christians." *Proceedings of the Royal Irish Academy: Archeology, Culture, History, Literature*, Volume 24, 1902-1904, 227-256.
163. Lawlor, J. I, *The Nabateans in historical perspective. Baker Studies in Biblical Archeology*, Grand Rapids : Baker Book House, 1974.
164. Lecker, M. "Pre-Islamic Arabia." *The New Cambridge History of Islam. Volume 1. The Formation of the Islamic World, Sixth to the Eleventh Centuries*, Cambridge University Press, 2011, 153-170.
165. Lecker, M. "Were the Ghassanids and the Byzantines behind Muhammad's hijra?" Les Jafnides. Des Rois arabes au service de Byzance, (VI e siècle de l'ère chretienne): actes du colloque de Paris, Paris, 2015, 277-294.
166. Lewis, B. *The Middle East. A Brief History of the Last 2000 Years*. New York: Scribner, 1997.
167. Lings, Martin. *Muhammad. His Life Based on the Earliest Sources*. Rochester, Vermont: Inner Traditions, 2006.
168. Luxenberg, Christoph. *The Syro-Aramaic Reading of the Koran*. Verlag Hans Schiler, Berlin, 2004, (2007).
169. Lykens Ed. *Eastern Christianity and the Rise of Islam: Seventh to Twelfth Century*. A Thesis Submitted to the Faculty of George Fox Evangelical Seminary in Candidacy for the Degree of Master of Arts (Theological Studies), George Fox University. Tigard, Oregon, April, 2004.
170. Madelung, W. *The Minor Dynasties of Northern Iran, The Cambridge History of Iran*. Volume 4. The Period from the Arab Invasion to the Seljuqs, edited by Frye, R.N. Cambridge University Press, 1975, 198-249.
171. Magda El-Nowieemy. "Arabia in Roman Sources: The Evidence of Latin Poetry. Arabia, Greece and Byzantium. Cultural Contacts in Ancient and Medieval Times." Vol 2, King Saud University College of Arts. Department of History, Riyadh, 2012, 131-143.
172. Maged S.A. Mikhail. *From Christian Egypt to Islamic Egypt, Religion, Identity and Politics after the Arab Conquest*. New York, NY: American University in Cairo Press, 2014.

173. Maham H. Mirza. "A delegation of Christians from Najran Visits the Prophet Muhammad:" *Contemporary English Sirah Literature for a Western Audience, Islamic Studies*, vol 50, N 2, 2011, 159-170.
174. Maher Y. Abu-Munshar, *Islamic Jerusalem and its Christians. A History of Tolerance and Tensions*. Tauris Academic Studies, London, New York, 2007.
175. Maher Y. Abu-Munshar. *A Historical Study of Muslim Treatment of Christians in Islamic Jerusalem at the Time of 'Umar ibn al-Khattab and Salah al-Din with Special Reference to Islamic Value of Justice*. A thesis submitted in partial fulfilment of the requirements of the University of Abertay Dundee for the Degree of Doctor of Philosophy, Ph.D., 2003.
176. Mahmoud Ayoub, "Dhimmah in Qur'an and Hadith," Hoyland, Robert G. (editor). *Muslims and others in early Islamic Society, (collection)*. Ashgate, New York, 2004, 25-37.
177. Manafis, K. A. *Sinai: Treasures of the Monastery of Saint Catherine*. Ekdotike Athenon, 1990.
178. Margoliouth, D.S. *Mohammed and the Rise of Islam*. New York and London: G. P. Putnam's Sons, 1905.
179. Marshall, D. "Christianity in the Qur'an," *Islam and Religious Diversity, (collection)*. Edited by Lloyd Ridgeon, volume II Christianity, 1-23.
180. Meyendorff, J. "Byzantine Views of Islam," *Arab-Byzantine Relations in Early Islamic Times*. Edited by Michael Bonner. (Volume 8), 2004, 217-234.
181. Miller, E. D. "The Rise of the Petition to 'Umar among Legal Traditions Governing non-Muslims in Medieval Islamic Societies,"
182. Miller, E. Daniel. *From Catalogue to Codes to Canon: The Rise of the Petition to 'Umar among Legal Traditions Governing non-Muslims in Medieval Islamic Societies*. Thesis / Dissertation. University of Missouri-Kansas City, 2000.
183. Morrow, J.A. "The Covenants of the Prophet and the Problems of Transmission: An Analysis of a Manuscript Copied by Faris al-Shidyac." *Religions*, 12, 2021.
184. Morrow, J.A. *The Covenants of the Prophet Muhammad with the Christians of the World*. Tacoma, WA: Angelico Press and Sophia Perennis, 2013.

185. Muhammad Hamidullah. *Le prophète de l'Islam*, vol. I. Vendeur : Librairie Philosophique J. Vrin, Paris, 1975.
186. Muhammed Reza-Ur-Rahim. "Textiles in Pre-Islamic Arabia," *Islamic Studies*, Vol 11, No 1, 47-64, 1972.
187. Muir, William. *The Life of Mahomet, from original sources*. With an introduction by Ram Swarup, first published in 1861, New Delhi:Voice of India, 2002.
188. Musil, Alois. "Arabia Deserta," *American Geographical Society, Oriental Explorations and Studies, No. 2* Edited by J.K. Wright; New York: Horace Liveright, 1927.
189. Mustansir Mir. "Polytheism and Atheism," *Encyclopedia of the Qur'an*, vol. 4. Jane Dammen McAuliffe, General Editor, Leiden-Boston: Brill, 2004, 160.
190. Nafziger, G. F and Walton, M.W. *Islam at War: A History*, Westport, Conn: Praeger. Chicago, 2003.
191. Nasir Khan. *Perceptions of Islam in the Christendoms*. Oslo:Solum Publishers, 2005.
192. Neuwirth, A. "Geography," *The Encyclopedia of the Qur'an*. Volume 2, Jane Dammen McAuliffe, General Editor. Brill, 2002, 293-312.
193. Nickel, G. "We Will Make Peace with You: The Christians of Najran in Muqatil's Tafsir," An extract from *Collectanea Christiana Orientalia*, 3, 2006, 171-188.
194. Noldeke, T. *The History of the Quran. Volume 8*. Brill, Leiden - Boston, 2013.
195. Norris, H.T. "Qisas elements in the Qur'an," *The Cambridge History of Arabic Literature. Arabic Literature to the End of the Umayyad Period*. Cambridge University Press, 1983, 246-259.
196. Noth, A. "On The Relationship in the Caliphate between Central Power and the Provinces", *The Ṣulḥ '- 'Anwa' Traditions for Egypt and Iraq. The Expansion of the Early Islamic State*. New York, Routledge, 2008, 177-188.
197. Paret, R. "The Qur'an – I," *The Cambridge History of Arabic Literature. Arabic Literature to the end of the Umayyad period*. Cambridge: Cambridge University Press, 1983, 186-227.
198. Parker, S.T. "The Roman 'Aqaba Project: The 1994 Campaign," *Annual of the Department of Antiquities of Jordan* 40, 1996, (1997), 19-44.

199. Penn M, P. *Envisioning Islam. Syriac Christians and the Early Muslim World*. University of Pennsylvania press, Philadelphia, 2015.
200. Peters, F.E. *The Monotheists. Jews, Christians and Muslims in Conflict and Competition. Volume 1. The Peoples of God*. Princeton, N.J. : Princeton University Press, 2003.
201. Plumley, J. Martin. "An Eighth-Century Arabic Letter to the King of Nubia." *The Journal of Egyptian Archaeology*, vol. 61, 1975, 241-45.
202. Pococke, Richard. "Chapter XIV: The Patent of Mahomet, which he granted to the Monks of Mount Sinai; and to Christians in General." *Description of the East*. Vol. 1. London: Printed for the author, by W. Bowyer, 1743.
203. Power, Timothy, *The Red Sea from Byzantium to the Caliphate. AD 500-1000*, Cairo: American University in Cairo, 2012.
204. Qureshi, S. M. *Foreign Policy of Hadrat Muhammad*. Kitab Bhavan, India, 1991.
205. Rizwi Faizer. "Expeditions and Battles," *Encyclopedia of the Qur'an*. Volume II, Brill 2002, 143-152.
206. Robin, C, J. "Arabia and Ethiopia," *The Oxford Handbook of Late Antiquity*, Oxford (Oxford University Press), 2012, 247-332.
207. Robinson, C. "The Rise of Islam," 600-705. *The New Cambridge History of Islam*. Volume 1, *The Formation of the Islamic World, Sixth to the Eleventh Centuries*, Cambridge University Press, 2011, 173-226.
208. Roggema, Barbara. *The Legend of Sergius Bahīrā: Eastern Christian Apologetics and Apocalyptic in Response to Islam*. Leiden, Brill, 2009.
209. Rosenthal, F. "History and the Qur'an," *The Encyclopedia of the Qur'an*, vol. II. Jane Dammen McAuliffe, General Editor. Brill, 2002, 428-441.
210. Rubin Uri. "The Constitution of Medina," *Islam and Religious Diversity*. Volume 1, 2012, 29-44.
211. Rubin Ury. "Hanifiyya and Ka'ba. An Inquiry into the Arabian pre-Islamic Background of Din Ibrahim," *Jerusalem Studies in Arabic and Islam*, 13, 1990, 86-99.

212. Rubin, Milka-Levy. "Umar II's ghiyar Edict: Between Ideology and Practice," A. Donner, M. *Christians and Others in the Umayyad State*. The University of Chicago, Illinois, 2016, 157-173.
213. Rubin, Milka-Levy. *Non-Muslims in the Early Islamic Empire. From Surrender to Coexistence*, Cambridge: Cambridge University Press, 2011.
214. Saeid Jalalipour. *The Arab Conquest of Persia: The Khuzistan Province before and after the Muslims' Triumph. e-Sasanika. Graduate paper 11*, 2014.
215. Samir Khalil Samir. "The Theological Christian Influence on the Quran," *Islam and Religious Diversity, (collection)*. Edited by Lloyd Ridgeon, volume II, London:Routledge, 2011, 25-40.
216. Scher, A. *Histoire Nestorienne inédite*. Paris, 1907.
217. Scholler, M. "Medina," *The Encyclopedia of the Qur'an*. Volume 3, Jane Dammen McAuliffe, General Editor, Leiden-Boston:Brill, 2003, 367-371.
218. Scrobucha, H. *Sinai*. London: Oxford University Press, 1966.
219. Serjeant, R.B. "Early Arabic prose." *Arabic Literature to the end of the Umayyad Period*, edited by A.F.L Beeton, Cambridge:Cambridge University Press, 1983, 114-153.
220. Shboul, Ahmad M.H. "Byzantium and the Arabs: The Image of the Byzantines as Mirrored in Arabic Literature," *Arab-Byzantine Relations in Early Islamic Times*. Edited by Lawrence I. Conrad. Aldershot, Hants: Ashgate, 2004, 235-252.
221. Shboul, Ahmad M.H. "Christians and Muslims in Syria and Upper Mesopotamia in the Early Arab Islamic Period: Cultural Change and Continuity. Religious Change, Conversion and Culture," ed. Lynette Olson, Leichhardt:Sydney Association for Studies in Society and Culture, 1996, 74-92.
222. Shboul, Ahmad M.H.; Alan Walmsley. "Identity and Self-Image in Syria-Palestine in the Transition from Byzantine to Early Islamic Rule: Arab Christians and Muslims," *Meditarch 11, Proceedings of a conference held at the Humanities Research Centre in Canberra 10-12 November*, Sydney, 1997, 255-287.
223. Shedd, W.A. *Islam and the Oriental Churches. Their Historical Relations*, Piscataway, New Jersey:Gorgias Press, 2004.



224. Shoemaker, S. J. "Muhammad and the Qur'an." *The Oxford Handbook of Late Antiquity*. Oxford; New York : Oxford University Press, 2012, 1078-1111.
225. Shutao Wang. *The Origins of Islam in the Arabian Context*. Religious Roots of Europe Master's Thesis. University of Bergen, 2016.
226. Simonsen, J. B. *Studies in the genesis and early development of the caliphal taxation system: with special references to circumstances in the Arab Peninsula, Egypt and Palestine*. København: Akademisk forlag, 1988.
227. Smith, W. Robertson. *Kinship and Marriage in Early Arabia*. Cambridge:Cambridge University Press, 1885.
228. Spaulding, J. "Medieval Christian Nubia and the Islamic World: A Reconsideration of the Baqt Treaty." *The International Journal of African Historical Studies*. Vol. 28, No. 3. 1995, 577-594.
229. Sprenger, A. *The Life of Mohammad: from Original Sources*. Allahabad: Presbyterian Mission Press, 1851.
230. Stillmann, N. *The Jews of Arab Lands: A History and Source Book*, Philadelphia : Jewish Publication Society of America, 1979.
231. Szokolczai, A. "Identity Formation in World Religions: A Comparative Analysis of Christianity and Islam, Islam in Process." *Historical and Civilizational Perspectives*, edited by Johann P. Arnason. Volume 7, 2006, 68-94.
232. Tareq Ramadan. *Inscribed Administrative Material Culture and the Development of the Umayyad State in Syria-Palestine, 661-750 Ce. Dissertation*. Wayne State University, Detroit, Michigan, 2017, 61.
233. Tarif Khalidi. "Arabs," *Encyclopedia of the Qur'an*, volume 1, A-D. Janne Dammen McAuliffe, General Editor, Brill, 2001, 144-145.
234. Tasseron, E.L "Jihad." *Encyclopedia of the Qur'an*, volume III, Leiden-Boston:Brill 2003, 35-42.
235. Toutaj Daryae. "The Persian Gulf Trade in Late Antiquity," *Journal of World History*, vol 14, No 1, 2003, 1-16.
236. Trimmingham J. Spencer. *Christianity among the Arabs in Pre-Islamic Times*. London: Longman, 1979.

237. Tritton, A.S. *The Caliphs and Their Non-Muslim Subjects. A critical study of the Covenant of 'Umar*. London, Bombay, Calcutta, Madras: F. Cass, 1930.
238. Trombley, F. R. "Fiscal Documents from the Muslim Conquest of Egypt: military supplies and administrative dislocation, ca 639-644," *Revue des etudes byzantines, Annee* 2013, 71, 5-38.
239. Upton, Charles. *The Shepherds, the Baptist and the Essenes: A Response to the Life of Christ and Biblical Revelations by Anne Catherine Emmerich. Findings in Metaphysics, Path and Lore: A Response to the Traditionalist/Perennialist School*. San Rafael: Sophia Perennis, 2010.
240. Ute Pietruschka, "Bedouin", *The Encyclopedia of the Qur'an*, Janne Dammen McAuliffe, General Editor. Volume 1, Brill 2001, 214-217.
241. Von Grunebaum, G.E. "The Nature of Arab Unity before Islam, The Arabs and Arabia on the Eve of Islam." Edited by F.E. Peters, volume 3. *The Formation of the Classical Islamic World*, Routledge, 2017, 1-21.
242. Wadad al-Qadi. "Non-Muslims in the Muslim Conquest Army in Early Islam," Donner, M. Borrut, A. *Christians and Others in the Umayyad State*. Chicago: The Oriental Institute, 2016, 83-129.
243. Wadi Zatoan Haddad, *Ahl al-dhimma in an Islamic State: the teaching of Abu al-Hasan al-Mawardi's Al-ahkam al-sultaniyya*. Islam and Christian-Muslim Relation, volume 7, 1996.
244. Watt, W. Montgomery. *Muhammad at Medina*. Oxford. At the Clarendon Press, 1956.
245. Watt, W. Montgomery. "Muhammad," *The Cambridge History of Islam, (Volume 1A), The Central Islamic Lands from Pre-Islamic Times to the First World War*. Cambridge: Cambridge University Press, 1977, 30-56.
246. Wilkin, S. "Arab Islam War on Byzantium." University of London, 2020.
247. Wood, P. *The Chronicle of Seert: Christian Historical Imagination in Late Antique Iraq*. Oxford: Oxford University Press, 2013;
248. Yasir Randathani, *Diplomacy and Statesmanship of Holy Prophet Muhammad*. A Minor research project, University of Calicut.

249. Yetkin Yildirim. "The Medina Charter: A Historical Case of Conflict Resolution", *Islam and Christian-Muslim Relations*, 20/4, 2009, 439-450.
250. Ziauddin Ahmed. "The Concept of Jizya in Early Islam. *Islamic Studies*," vol 14, no 4, 293-305, 1975.
251. Zouberi, J. The role of religion in the foreign affairs of Sasanian Iran and the later Roman Empire, *Historia I swiat*. Nr. 6 2017, 121-132.
252. Белл Р., Уотт Монтгомери У. *Коранистика: введение*, Научный редактор В.С. Рыбалкин. Пер. С Англ. С.А. Жданов, Б.В. Норик, М.Г. Романов. СПб: дия, 2005.
253. Беляев, Е.А. *Арабы, Ислам и Арабский Халифат в Раннее Средневековье*. Москва: Наука, 1966.
254. Боголюбов, А.С. "Акд," *Ислам. Энциклопедический Словарь*, Г.В. Милославский, Ю.А. Петросян, М.Б. Пиотровский, С.М. Прозоров (ответственный секретарь). Редактор издательства Л.В. Негря. Главная редакция восточной литературы, 1991.
255. Большаков, О. Г. Ал-Ка'ба. *Ислам, Энциклопедический Словарь*, Г.В. Милославский, Ю.А. Петросян, М.Б. Пиотровский, С.М. Прозоров (ответственный секретарь). Главная редакция восточной литературы, 1991, 123-124.
256. Большаков. О.Г. *История Халифата, том 1, Ислам в Аравии 570-633*, Москва: Восточная литература, 2000.
257. Большаков. О.Г. *История Халифата, том 2. Эпоха великих завоеваний, 633-656*. Москва: Восточная литература, 2002.
258. Вахтангадзе, М.К. *Основные Особенности Раннего Ислама. Диссертация*. Научный руководитель доктор исторических наук Л.И. Надирадзе, Тбилиси, 1991.
259. Галиуллина, С.Д. "Мединское Соглашение как Один из Важнейших Нормативных Документов Мусульманского Права." *Вестник КГУ им Н.А. Некрасова*, №6, 186-190, 2015.
260. Ибрагим, Т.К. "Джизья как Постпророческий Институт: хадисоведческий анализ преданий о договоре христианами Наджрана." *Ислам в Современном мире*, 4: 117-135, 2019.

261. Ибрагим, Т.К. “Об Историчности Наджранского договора о джизье: датировка, альтернативные версии.” Институт Востоковедения, Москва, 2021.
262. Ибрагим, Т.К. “Об Историчности Наджранской Депутации: Содержательный анализ преданий о составе.” *Ислам в современном мире.* 16/2, 2020, 27-46.
263. Климович, Л.И. *Книга о Коране, его происхождении и мифологии.* Издание политической литературы. Москва, 1986.
264. Колесников, А.И. “Две версии договора Мухаммада с христианами Наджрана.” *Палестинский Сборник. Выпуск 28(91), История и Культура Ближнего Востока Древнего и Раннесредневекового Времени.* Ленинград: Наука, 1986, 24-34.
265. Колесников, А.И. “Договоры между мусульманами и Покорённым Населением в Годы Завоевания Ирана Арабами,” Институт Востоковедения. *Писменные памятники и проблемы истории культуры народов востока.* XII годичная научная сессия ЛО ИВ АН СССР (краткие сообщения) часть 1. Москва: Главная редакция восточной литературы, 1977.
266. Колесников, А.И. “Две Редакции Письма Мухаммеда Сасанидскому Шаху Хосрову II Парвизу.” *Палестинский Сборник. Выпуск 17(80), История и Культура Ближнего Востока Древнего и Раннесредневекового Времени.* Ленинград:Наука, Ленинградское отд-ние, 1967, 74-83.
267. Колесников, А.И. “Сражение при Зу-Каре.” *Палестинский Сборник. Выпуск 19(82). Вопросы Истории и Культуры на Ближнем Востоке. Древность и Средневековье.* Ленинград:Наука, 1969, 76-86.
268. *Коран.* Перевод и комментарии И.Ю. Крачковского. Баку: Язычы, 1990.
269. Коротаяев, А. В. *Возникновение ислама: Социально-экологический и политико-антропологический контекст,* издательство О.Г.И. Серия: *Цивилизационное измерение, Нация и Культура/Новые исследования,* Москва, 2007.
270. Крылов Г. Л. “Христиане у истоков ислама: свидетельства мусульманского предания.” *Христианство на Ближнем Востоке,* № 3, 2019.
271. Лундин, А.Г. *Южная Аравия в VI веке.* Автореферат диссертации. Институт востоковедения академии наук СССР, Ленинград, 1957.

272. Надирадзе, Л.И. К Интерпретации термина Ахл Ал-Китаб в “Охранной Грамоте” Хабиба ибн Масламы. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აღმოსავლური კრებული, თბილისი: მეცნიერება, 1983.
273. Надирадзе, Л.И. *Хрестоматия по Истории Халифата*. М.: Издательство Московского Университета, 1968.
274. Негря, Л.В. *Общественный Строй Северной и Центральной Аравии в V-VII*. Москва: Наука, 1981.
275. Остроумов, Н.П. *Аравия и Коран. (Происхождение и Характер Ислама)*, Казань: Типолитограф. Имп. ун-та, 1899.
276. Остроумов, Н.П. *Аравия, Колыбель Ислама*. Ташкент: Тип. при канц. Турк. Г. Губернатора, 1910.
277. Пиотровский М. Б. “Бахира.” *Ислам, энциклопедический Словарь*. Г.В. Милославский, Ю.А. Петросян, М.Б. Пиотровский, С.М. Прозоров (ответственный секретарь). Редактор издательства Л.В. Негря. Главная редакция восточной литературы, 1991.
278. Пиотровский, М.Б. “ал-Ислам.” *Ислам, Энциклопедический Словарь*. Г.В. Милославский, Ю.А. Петросян, М.Б. Пиотровский, С.М. Прозоров (ответственный секретарь). Редактор издательства Л.В. Негря. Главная редакция восточной литературы, 1991.
279. Пиотровский, М.Б. Асхаб ал-Кахф, “Ислам.” *Энциклопедический Словарь*. Г.В. Милославский, Ю.А. Петросян, М.Б. Пиотровский, С.М. Прозоров (ответственный секретарь). Редактор издательства Л.В. Негря. Главная редакция восточной литературы, 1991.
280. Пиотровский, М.Б. *Коранические Сказания*. Москва: Наука, 1991.
281. Пиотровский, М.Б. *Южная Аравия в раннем средневековье*, Москва: Наука, 1985.
282. Резван, Е.А. *Введение в Коранистику*. Издательство Казанского университета, Казань, 2014.
283. Резван, Е.А. *Коран и его мир, Петербургское востоковедение*, 2001.
284. Савин, А. “Пророк Мухаммед взял под защиту всех христиан. В гостях у обрученной с богом.” Журнал “Чудеса и приключения” #5, 2005.

285. Спивак И.А. “Християне Аравии в Изображении Ибн Хишама.” Учёные записки Таврического национального Университета имени В.И. Варнадского. *Серия “исторические науки,”* том 27(66), №4, 2014, 84-92.
286. Уманец, А.А. *Поездка на Синай с приобщением отрывков о Египте и Святой земле*, типография III отд. Собст. Е.И.В. Канцелярии, Санкт-Петербург, 1850.
287. Уотт. М, У. *Мухаммад в Мекке*. Перевод. "Диля." Москва – Санкт-Петербург, 2006.
288. Фрилинг, Р. *Христианство и Ислам. Духовные борения человечества на пути к самопознанию*. Пер. с нем, издательство Энигма, 1997.
289. Чомаев, З.А. “Зарождение Арабско-Мусульманской Посольской Службы (VIIв.),” *Известия Саратовского университета, Сер. История. Международные отношения*, Т. 18, вып 26, 2018, 182-188.
290. Чомаев, З.А. *Мусульманская дипломатия в раннеисламскую эпоху: Зарождение и особенности функционирования (622-661 гг.)* Диссертация на соискание учёной степени кандидата исторических наук. Москва - 2021.
291. Шагинян, А.К. *Армения и Страны Южного Кавказа в Условиях Византийско-Иранской и Арабской Власти*. Санкт-Петербург: Алетейя, 2011.

